ეძღვნება ამელის..

„მთელი ცხოვრება შენთან ერთად მინდა გავატარო

და შენს ხელებში დავლიო სული.

კარგი იქნებოდა, დავქორწინებულიყავით

დღეს, 16.30 საათზე“.

(17 ივნისი, 2003 წელი)

ეს ისტორია 2000 წელს დაიწყო. ოსკარ დიუფრეზნი 34 წლის იყო.

ავტორის გვარი და სახელი გამოგონებულია, როგორც ზოგიერთი ვითომ დაავადება. დღიური პრესისთვის სჭირდება, რათა თავისი ცხოვრება უფრო საინტერესო გახადოს.

ეგოისტია, ლაჩარი, ცინიკოსი და სექსუალური მანიაკი… მოკლედ, როგორც ბევრი სხვა.

ფრედერიკ ბეგბედერი 1965 წელს დაიბადა ნეიი-სიურ-სენში. ლიტერატურის კრიტიკოსია Voici-ში და გამომცემელი - Flammarion-ში. ავტორია რომანებისა „ნოველები ექსტაზის ქვეშ“, „სიყვარული გრძელდება სამი წელი“ და „99 ფრანკი“. მისი ბოლო რომანი „Windows on the World“ 2003 წელს „ინტერალიეს“ პრემიით დაჯილდოვდა.

ზაფხული

პარიზი, რე, რომი, დოვილი

„ღმერთი მწერალს უხეირო ცხოვრების ნიჭს უფრო ადვილად ანიჭებს, ვიდრე პოეტურ ტალანტს“.

სერგეი დოვლატოვი

ორშაბათი

გგონიათ, რამე სათქმელი მაქვს? ფიქრობთ, რამე მნიშვნელოვანი გადამხდა თავს ცხოვრებაში? შესაძლოა, არც… უბრალოდ, კაცი ვარ, ადამიანი. მეც სხვებისთანა ისტორია მაქვს. ჩემს სავარჯიშო სარბენ ბილიკზე რომ დავრბივარ, ასე მგონია, მეტაფორა ვარ.

სამშაბათი

უკვე ყელშია, რااა!.. ყველაზე დამღლელი გაზეთის რუბრიკის ავტორები, კბილების ღრჭიალის სტახანოველები არიან. ბუზღუნში იღებენ ფულს.

ჟურნალები სავსეა ლუკმაპურის მაძიებელი, ცნობილი ან ნაკლებად ცნობილი ჟურნალისტებით, რომლებიც დაკვეთით გაბრაზებას არიან ჩვეულნი. მათი ფოტოები ჟურნალის გვერდის ზედა ნაწილში, მარცხენა მხარესაა ხოლმე. წარბები აუცილებლად შეჭმუხნილი აქვთ, აქაოდა, გაბრაზებული ვართო. ყველაფერზე რჩევას გაძლევენ, ვითომ ორიგინალურს (სინამდვილეში ამასაც კოლეგებს ჰპარავენ). ენა კარგად აქვთ წაგრძელებული… უი, უი, უი, მოკლედ, ახლა ვნახავთ ყველაფერს.

ახლა ჩემი ჯერია. უნდა მძულდეს, რასაც გავკივი ყოველ პარასკევ-შაბათ-კვირას. ყოველ კვირას უნდა მოვძებნო საწუწუნო მიზეზი. უკვე 34 წლის ასაკში ხელფასიანი ბუზღუნა გახლავართ. ახალგაზრდა ჟან დიუტორი (ოღონდ, უჩიბუხოდ). მორჩა, გადაწყდა: უარს ვამბობ! ჟურნალებს ჩემი ინტიმური და ნერვიული დღიურის გამოქვეყნებას ვთავაზობ.

ოთხშაბათი

არსებობს ერთი სიმართლე: ქალები ჩვენზე მაგრად ათავებენ, მაგრამ უფრო იშვიათად.

ხუთშაბათი

მდიდრებს გემოვნება გაუფუჭდათ, არა? ავიღოთ მუნა აიუბი. რაღაც ქვებდაკიდებული ათასობით კაბა, ტურტლიანი იახტა, თან დაქირავებული, მასიური ოქროს ონკანები სააბაზანოში… ახლა უკვე ღარიბები არიან უფრო ელეგანტურები, ვიდრე მდიდრები. Zara-სა და H&M-ის მსგავსი ახალი ფირმის ტანისამოსში გამოწყობილი ჯიბეგამოფხეკილი გოგუცუნები ათიათასჯერ სექსუალურად გამოიყურებიან, ვიდრე ფულიანი მეძავები.

ფული ვულგარულობის მწვერვალია. ჩემი კონსიერჟი ნამდვილად უფრო სტილშია, ვიდრე ივანა ტრამპი. იცით, რა მეზიზღება ყველაზე მეტად? ძვირფასი ინგლისური მანქანის ტყავის სავარძლის სუნი. განა რამეა კიდევ უფრო გულისამრევი, ვიდრე „როლსი“, „ბენტლი“ ან „იაგუარი“?

პარასკევი

იცით, რა იქნებოდა ყველაზე კარგი კინემატოგრაფიის განვითარებისათვის? პორნოფილმის გადაღება, სადაც მსახიობები სექსის დროს ერთმანეთს, მიყვარხარო, ეტყოდნენ, ნაცვლად იმისა, ეთქვათ, „ოხ, რა სუნი გაქვს, შე ძუკნა“. თურმე ასეც ხდება ცხოვრებაში.

შაბათი

ორმოცდაათი წლის მამაკაცის კრიზისი მე ოცი წლით ადრე დამეწყო.

კვირა

ფორმენტერაზე ვარ, ედუარ ბაერთან. ერთადერთი გენიოსი, ვისაც ვიცნობ. პლაჟზე ვილა დაიქირავა. ცისფერი დილა, მზის სხივები ნიკაპზე. წყალში ბევრი წყალმცენარეა. შესვლა არ მინდა, თან მედუზამაც მიკბინა უკვე ფეხზე. ბოლომდე ვცლით ჯინ-კასითა და „მარკეს დე კასერესით“ სავსე ჭიქებს. ქუჩებში ვხვდებით ელენ ფონ უნვერტს, ანისე ალვინას, მაივენ ლე ბესკოსა და მის ქალიშვილს, შანა ბესონს, ბერნარ ზეკრის და ჩანალ +-ის კრისტოფ ტისონს, ვიღაც მსახიობებს, რომლებიც yovelRam ახალ სახლში ათენებენ, პროდიუსერებს, რომლებსაც გემით მივყავართ ტალახის აბაზანების მისაღებად და მერე, როცა საღამოვდება, ბობი ფარელი (ჯგუფ Petits boudins-ის მომღერალი) ერთი ათჯერ მაინც დებს თავის ბოლო დისკს: „ისევ მინდა გიხმარო/როგორც წინა ზაფხულს/კლდეების უკან“. მერე დამცინავი სახით ჩნდება ქალი-მშვენება, სახელად, ფრანსუაზა. ა ლა მირეი დარკი, ზურგმოდღლეზილი იასამნისფერი კაბა აცვია. პლაჟი ოქროსფერია მისიზურგივით. ერთი სიტყვაც არ უთქვამს. მიუხედავად ამისა, ეგ რომ არა, ჩემს დასვენებას აზრი არ ექნებოდა.

ორშაბათი

როგორ მაინტერესებს, რა დაემართებოდა ბრიჯიტ ჯონსს, ფილიპ სოლერსი სოკრატისეულად რომ მისდგომოდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ამწუთას ჩამოვედი კუნძულ რეზე, სადაც ყოველ წამს შეიძლება „ვნების მანიის“ ავტორს გადავეყარო. კარგი ამინდია. მარტო ვარ. ალბათ, წიწკვების შესაბმელად წავალ ბუკინგემში, მეზობელ დისკოთეკაზე. ჯერ ერთი, ეს ხომ ლიტერატურული კუნძულია, ყველას Le Bouc აკერია ენაზე.

სამშაბათი

ვა, ეს რა არის? რა ბედნიერია ამ რეს ხალხი. ყველაფერი მარტივია მათთვის: საკმარისია „როზე დე დიუნის“ ერთი ჭიქა, თორმეტიოდე მსუქანი ხამანწკა, იახტა, რვაოთახიანი ვილა, შვილების „სირილუსის“ ტანისამოსში გამოწყობა და სხვა რა უნდა ბედნიერებას. კუნძული რე ბრტყელი რიყის ქვაა. ზედ უამრავი ოჯახია მოკალათებული, რომლებიც სულ იღიმიან. ამ ხალხისთვის ახალი სატელევიზიო თამაში უნდა გამოვიგონოთ: „ვის უნდა მილიონის წაგება?“

აქ ყველას ჟოფრუა ჰქვია. პრაქტიკულია, არა? პლაჟზე იყვირებ - „ჟოფრუა“ და ყველა მოტრიალდება, ოლივიე კოენის და ჟენევიევ ბრიზაკის გარდა, და შემიძლია, მივესალმო… მოგესალმებით ყველას! მე ოსკარ დიუფრეზნი ვარ, რომანტიკული ეგოისტი, დანევროზებული კაი ტიპი. ველოსიპედზე შემომსხდარ ქერა გოგოებს ვათვალიერებ. მიყვარს გრილზე დაბრაწული ომარები, აკრძალული მოსაწევი, პლაჟისქვიშიანი ღვეზელი, გარგარისებრი დიდი მკერდი და საკაცობრიო უბედურება… გუშინ ვითამაშეთ, ვის უფრო უგემოვნო მუსიკა უყვარს:

მე: - ხანდახან FleetwoodMac-ზე ვგიჟდები… (თვალებს ვხრი)

ლუდო: - ჰმ… მე კაბრელს ვუსმენ ხანდახან (მზერას გაურბის)…

მისი ცოლი: - ლენი კრავიცს ზოგიერთი კარგი მელოდია აქვს… მანქანაში კარგი მოსასმენია, არა (თავი დახრილი აქვს)?

ამ დროს ოთახში ლუდოს გოგონა შემოდის და ყველა ვეთანხმებით:

- სად არის ჩემი ლორის დისკი?

ოთხშაბათი

ბორის ვიანის ფრაზის - „ახლა წავალ და თქვენს საფლავებზე დავაფურთხებ“, საპასუხოდ ვიტყოდი: „ახლა წავალ და ყველა ქალს ვიხმარ“.

ხუთშაბათი

ნაბახუსევი… კუნძული რე… რა იდიოტური სახელია. რე მუსიკალური ნოტია და ყალბად ჟღერს. აქ ბავშვები ყველაფერზე, გენიალურიაო, გაიძახიან, არავინ რომ არ იფიქროს, როგორ ყარს მათი ყოფა. ღარიბებში შემთხვევითი კი არ არის, ბავშვები ყველაფერზე „დავეცის“ რომ გაიძახიან, „გენიალურის“ ნაცვლად. ღარიბები უფრო გონიერები არიან. რაც ჩამოვედი, მემარცხენე პოლიტიკის მიმდევარ მეგობრებთან ვცხოვრობ. ერთი ვერ ამოვისუნთქე თავისუფლად. პრინციპში, ღამის დისკოთეკას Le Bouc ჰქვია მყრალი სუნის გამო. საშინლად მარტოდ ვგრძნობ თავს ამ ოჯახთან ერთად. სულ მახსენდება, რომ საკუთარის შექმნა დამავიწყდა.

პარასკევი

ზღვა, ქარი, მზე: შეუძლებელია მათი დაშორება. ცხვირი მექერცლება და თმა მეხვევა. არდადეგებმა დამღალა. იცით, როგორი არდადეგებია? თავიდან რომ დაგჭირდება დასასვენებლად წასვლა. გუშინ ძლივს დავინახე სოლერსი და კრისტევა. Baleine Bleue-ში სადილობდნენ. ეს ბისტრო მოდურია. ფილიპი გადავკოცნე, ჟულიას ხელი ჩამოვართვი. ნეტავ, პედერასტი ხომ არ გავხდები?

შაბათი

ნაცვლად იმისა, სიყვარულობანათი დავტკბე, ფლობერის მიწერ-მოწერას ვკითხულობ. „ბურჟუაზიის დანახვა საკმარისია, რომ თავისი მძიმე წონით გამჭყლიტოს. აღარც ისეთი ახალგაზრდა ვარ და არც ისეთი ჯანსაღი, რომ მსგავს წარმოდგენას გავუძლო“ (წერილი ამელი ბოსკეს, 1863 წლის 26 ოქტომბერი). მეთევზეების პატარა სოფელი ავირჩიე, მშვიდად რომ ვიყო: არს-ან-რე. ასეც ვიყავი, სანამ ლიონელ ჟოსპენი (საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი) და მისი მეუღლე სილვიანი (ფილოსოფოსი, რენო კამიუს მხარდამჭერი) გამოჩნდებოდნენ. ორ დღეში ჩამოვიდნენ. ახლა დადიან ბაზარში „პარი მატჩის“ ფოტოგრაფების ამალის თანხლებით. მაგრამ გაბრაზებამ მალე გამიარა: ჩემი დღიური VSD.fr-ში დაიბეჭდება. რა უნდა შემშურდეს ამათი?!

კვირა

გუშინ დილას კლერისგან ღია ბარათი მივიღე: „ძვირფასო ოსკარ, არ მიყვარხარ. არ მიყვარხარ. არ მიყვარხარ. არ მიყვარხარ“. ასეთი ლამაზი სასიყვარულო წერილი არასდროს მიმიღია.

ორშაბათი

ჯერ კიდევ არ მინახავს რეჟინ დეფორჟი. თუმცა ყოველ საღამოს ლამის ვყარაულობ Baleine Bleue-თან, რომელიც ძალიან უხდება მის განუყრელ ველოსიპედს. ლიონელ ჟოსპენი კაფე „დიუ კომერსის“ ტერასაზე სადილობს. პულოვერი მხრებზე მოუგდია. კუნძული რე (მინდა გაგახსენოთ - ბერლინის კედლის დანგრევის მერე, ლა როშელთან ერთი ხიდით არის დაკავშირებული) მხრებზე პულოვერმოგდებულთა იმპერიაა. ამ უცნაურ მოსახლეობას ორპირი ქარის საოცარი შიში აქვს. მამაკაცებს თმა მოკლედ აქვთ გაკრეჭილი და Docksides by Sebago-ს სტილს მკაცრად იცავენ. ალბათ, ეს მოდა მაშინ იყო, როცა იახტები იყიდეს. გოგონებს დიდი უკანალები აქვთ და ტრუსის იარლიყს ცისფერი შარვლების დაბალ წელთან აქვს თავი გამოყოფილი. რა უნდა სოციალისტ პრემიერ-მინისტრს ასეთ UDF-კუნძულზე?

სამშაბათი

უკვე მერამდენე კვირაა, რაც ჯიბეში ჩატენილ პრეზერვატივებს ვეფერები. ჯერ კიდევ ცელოფანში არიან. ჩემს პრეზერვატივებს პრეზერვატივი აქვთ! ყოველ დილას მარტოს მეძინება და თავს ძლივს ვიკავებ, კლერს მესიჯი არ გავუგზავნო.

ოთხშაბათი

რა საშინელებაა! მეგონა, მოვიშორე, მაგრამ თურმე სულ თან დამყვება: ტუტანხამონის სამოსში გადაცმული ბულვარ სენ-ჟერმენის აუტანელი მიმი სენ-მარტენის პორტში დაყუდებულა და მთელი მისი საქმიანობა ის არის, რომ მთელი დღე გაუნძრევლად დგას. სულმთლად კრისტიან ჟაკის რომანიდან გადმომხტარი ბოდიგარდია, რომელიც ერთ ადგილს მიშტერებია. გამვლელები ხურდას უგდებენ. ისე სწრაფად მიდის დრო ჩვენს სამყაროში, რომ ადამიანები მზად არიან, უმოძრაობაში ფული გადაიხადონ. გულის სიღრმეში პატივს ვცემ ამ ეგვიპტურ სამოსში გამოწყობილ ტიპს. მზადაა, ცოცხლადვე იქნეს მუმიფიცირებული თაკარა მზეზე, მხოლოდ იმისთვის, რომ ტურისტებს შეახსენოს, რამდენს დაბორიალებენ.

ხუთშაბათი

გუშინ ბასტიონში მობანაკე თინეიჯერებს ვეზასავე, აშკარად დეზოდორი ჰქონდათ გათავებული. იღლიებში ბალანიც ამოზრდოდათ და ერთმანეთში ზასაობისგან გაოფლილიყვნენ. „სველი მაიკების“ საღამო იყო. გაოფლილ ძუძუებზე ვეფერებოდი, მერე ვაიძულებდი, ერთმანეთს მოჰფერებოდნენ და თან ენა გამოეყოთ. ისე მაგრად მიდგებოდა, მეგონა, უზარმაზარი პენისი მქონდა (სიმართლე რომ ვთქვა, ჩემი ჯინსი გარეცხვის მერე იყო შემდგარი). გოგოების გაცილება მინდოდა, მაგრამ ჩემი ძალიან ძვირიანი მანქანის მიტყდებოდა. დარწმუნებული ვარ, ტენტის ქვეშ იმისთანა ამბები ხდებოდა, „ბესებეჟეს“ თინეიჯერებიც სირცხვილისგან გაწითლდებოდნენ. ქალის შებმა კლასებს შორის ბრძოლის გაგრძელებაა, ოღონდ სხვა საშუალებით. როგორც უელბეკი, მეც მარქსისტი სექსუალი ვარ. არსებობს სოციალური ნაერთი ნეიი-სიურ-ატლანტიკში: უნდა ატარო „ქუინის“ მაიკა და ლუცკყ შტარ დე შუპერფუნკ-ზე იხვანხვალო (ამ ყველაფერს იმიტომ ვაკეთებ, რომ ჩემი წლოვანება დავმალო).

პარასკევი

კონშის პლაჟი. დიდხანს ვთირავ სანდრინ კიბერლენის დიდრონ თეთრ ძუძუებს. ამასობაში ვენსან ლინდონი 5 წლის ბავშვებს ფეხბურთს ეთამაშება (და მარცხდება). სანდრინი ძალიან უფერულია, ნამდვილი ინგლისური ფერი ადევს. ნუთუ მართალია? როგორც წყვილი, ძალიან ჰარმონიულები ჩანან. სულ არ მძულხართ, ეტყოდა ხიმენა ანდრე ჟიდს... ამ პლაჟზე ქმრები ყველას ათვალიერებენ, გარდა თავიანთი ცოლებისა. ჰოდა, ჯანდაბა, რა�ა... ისევ კლერზე ვფიქრობ, ამ ბავშვიან ქალზე, რომელიც არ მომინდა. ეს ჭკუიდან შესაშლელი მარტოხელა ორი შვილის დედა, წითური თმით, ქათქათა ძუძუებით, ჭრელი ხელჩანთებით, გროტესკული ფეხსაცმლით, ხრინწიანი ხმით. ჩემი ერინ ბროკოვიჩი. ქალები, რომლებსაც ორი შვილი ჰყავთ და ქმრებმა მიატოვეს, უფრო ახალგაზრდავდებიან. მგონი, ჯერ კიდევ არა ვარ მზად. არ მინდა ოჯახი, არა!

შაბათი

განგაში: ტრუს-შემიზის პლაჟზე (ჰო, სახელწოდება გასაგებია, მაგრამ არაფერია საერთო) მედუზების შემოსევაა. ასე იყო ფორმენტერაზეც. ესზაფხული მედუზების ზაფხულია, ოღონდ კაპრისკის გარეშე. გადავწყვიტე, პარიზში ვბრუნდები. მშვიდობით, კუნძულო! გამგზავრებამდე პლაჟზე ვზივარ, შიშველი ფეხებით ქვიშაში, და ვუყურებ, ვარსკვლავები როგორ ცვივა. ყოვლად ღონემიხდილი, ინერტული და კოსმოსური ვარ. ცხოვრება გრძელ შაბათ-კვირას ჰგავს, „ბურბონ-კოკას“ ნარევი ხახაში და ბარი „უაითის“ მელოდიები.

კვირა

დღიურის ქონა უკვე ნიშნავს, რომ ყველას გააგებინო, „ნახეთ, რა საინტერესო ცხოვრება მაქვს!“ რაც ჩემს თავს ხდება, მთელ მსოფლიოს ეხება. და მოდა? აი, სწორედ აქა ვარ.

ორშაბათი

პარიზი ცარიელია, როგორც ჟან-კლოდ ნარსის თავი, თუ ტელეეკრანის სუფლიორი გამორთულია.

სამშაბათი

არდისონმა დამირეკა. საბერძნეთიდან მოდის. ათი დღე გაატარა იქ მეუღლესა და შვილებთან ერთად. ვუთხარი, საბერძნეთი მძულს-მეთქი. 50 გრადუსი სიცხე, საჭმელი საზიზღრობა და თან კრაზანებით სავსე კერძები. არაო, გაიკვირვა. „სამაგიეროდ, იქ ვერავინ მცნობს!“ უცებ ტვინში დამარტყა: სწორედ ესაა ტიერის ძალა, არდადეგებს საზღვარგარეთ ატარებს, ისევ ჩვეულებრივი ადამიანი რომ გახდეს. ყოველ ზაფხულს ანონიმურობის სტაჟს იგროვებს. რესტორნებში რიგში დგას, აეროპორტში ტვირთს კარგავს: იხსენებს ნამდვილ დამპალ ცხოვრებას.

ოთხშაბათი

1,5 მილიონი კაცი ერთად ლაპარაკობს. აქედან 80.000 16-დან 35 წლამდე ფრანგია. 130 შეხვედრის ადგილას 32 ენაზე მოლაპარაკე ადამიანია თავმოყრილი. ამას ახალგაზრდობის მსოფლიო დღე ჰქვია (JMJ). ეს ყველაფერი რომში ხდება. ვერსალის რალის ჰგავს, ოღონდ გიგანტურს! მორჩა, გადაწყდა, მეც უნდა წავიდე. შალის მჭიდროდ ნაქსოვ მაისურსა და ბადენ-პაუელის ანსამბლს ვიცვამ. რომის პაპსაც შეშურდება, ისე გამოვიყურები. ბარემ ხომ არ მენახა, რამე რომ იყოს?

ხუთშაბათი

რომი ცარიელია. რომაელები პილიგრიმებს გაექცნენ, ადგილი დაუტოვეს.

La dolce vita მოარდადეგეებმა შეცვალეს. ფორთოხლისფერი ქუჩები ბერლუსკონის აფიშებით არის აჭრელებული. თეთრ კბილებს აბდღვრიალებს ჯიგარი. #714 ავტობუსში ყველაფერი ჩვეულებრივად იყო, სანამ მგზავრებმა ტაში არ შემოჰკრეს და გალობა არ დაიწყეს. პატრიკ ბუშიტეს „ცხოვრება მშვიდი, გრძელი მდინარეა“ ზედგამოჭრილი. ახალგაზრდობის მსოფლიო დღე ტიბრის ნაპირებზე დროშებითა და ზურგჩანთებით მიმავალი მომლოცველების რელიგიური ფანატიზმის გულის ამაჩუყებელ ატმოსფეროში მიმდინარეობს.

ბრბოს მივყვები. ანჯელო ბრანდუარდის უფასო კონცერტზე მოვხვდი სან ჯოვანი ინ ლატერანოს მოედანზე. ნამდვილად უფლის ნიშანია. რამდენიმე „ჯვაროსანი“ წიწკვი მხვდება:

- ხომ არ გვემეგობრა?

- უპსსს. ეს რას ნიშნავს?

- ანუუუ, მინდოდა მეთქვა, ხომ არ გინდათ, ცოლად გამომყვეთ და უპრეზერვატივოდ რვა ბავშვი გავაკეთოთ?

პასუხი არ არის. მე ჩემსას ვახურებ:

- შემიძლია ჩემი ჩხვლეტია შოტლანდიური ქვედაკაბების კოლექციაც გაჩვენოთ, „ერმესის“ ყელსახვევზე 30%-იანი ფასდაკლებაც გარანტირებული გექნებათ.

მარცხი. საღამო ტელევიზორის წინ სრულდება. სასტუმროს ოთახში „ინსპექტორ დერიკს“ ვუყურებ იტალიური გახმოვანებით. გზააბნეული კრავი ვარ?

პარასკევი

იმედი გამიცრუვდა: ახალგაზრდობის მსოფლიო დღეზე ცოტა იყო მუწუკებიანი და ახლომხედველი სანდლებიანი ტიპი. უფრო ჩალის ქუდი და ყვითელი ბენდენა ჭარბობდა. ერთი ნაღდია, ერთი ბერი დავაფეთე. სატანისეული როკის დაკვრის დროს შევუსწარი, მაგრამ ეს გამონაკლისი იყო. ყველაზე საინტერესო მონიკა ბელუჩის ორეულებია, რომლებიც სიყვარულზე მღერიან. ალბათ, სატანამ გამოგზავნა მწუხრის ლოცვებში არეულობის შესატანად. კიდევ კარგი, 300 მოძრავი საააღსარებოგაუთვალისწინებიათ ცოდვილებისთვის. მათ ანდრეა და მარტინა ჰქვიათ.

წმინდა ჯვრის ქუჩაზე პაემანი დავუნიშნე თვითგვემის ერთი სეანსისთვის.

- კურთხეულ ხართ დედათა შორის. ესე არს ხორცი ჩემი, აჰა, მომიძღვნია თქვენთვის და ყველასთვის. ჭეშმარიტად გეტყვით თქვენ, აიღეთ და შეექეცით ჩემს სოსისს.

ამ დროს რაღაც უცნაური რამ მოხდა - ამ საზიზღარმა ბილწსიტყვაობამ თავბრუ დამახვია. თვალთ დამიბნელდა. ზარების რეკვა ჩამესმა და კითხვა გამიჩნდა:ეს ყველაფერი გამოცხადება იყო თუ გატრეტილი ვარ?

შაბათი

ჯერ არ ჩამესმის ღვთაებრივი ხმა, მაგრამ მობილურის ზარმა კი გამომაფხიზლა. ოფლში ვცურავ. საფრანგეთის საკუთრება უნდა მოვინახულო: ფარნეზეს სასახლე მთლიანად რესტავრირებულია, მედიჩების ვილა სპილოსძვლისფერია. მგონი, მე უფრო დამჭირდება სახის მოპირკეთება. და წარმოიდგინეთ, ბლეზ პასკალს რომ მოეგო ნაძლევი? ისე მინდა, რაღაცის მჯეროდეს… მაგრამ დავიკიდე ახალგაზრდობის მსოფლიო დღე და რომაულ ბარებში წავედი მუსის საღამოზე: Le Wave (Via Labicana), Le Radio Londra (Monte Testaccio-ზე) და განსაკუთრებით L’Alibi (იმავე მისამართზე), ეს უკანასკნელი სავსეა ურწმუნო ჰომოსექსუალებით, რომელთა გზა ჭეშმარიტზე დაყენება ძალიან გამიჭირდა. ერთ ლესბოსელს, რომელიც ამრეზით მიყურებდა, ვუღრიალე კიდეც:

- Vade Retro Satana! შე უღმერთო! მოიხარე ქედი შენი ღვთის წინაშე!

ჩემი შარვლის გახსნას ელტვოდა. მაშინ მოვტრიალდი და დასაძინებლად წამოვედი.

კვირა

ღმერთი სიყვარულია. მომიტევებს შეცოდებებს. რომში რამდენიმე დღემ გამაგებინა, რას ნიშნავს გამოთქმა „დახეტიალებს კაეშანაშლილი სულივით“.

ორშაბათი

იასამნისფერი ველვეტის შარვალში გამოწყობილი დავსეირნობ. „ერთ დღეს ყველა ასეთ შარვალს ჩაიცვამს“, - მითხრა ლუდომ. ლუდო ჩემი ჭკუადამჯდარი მეგობარია (ცოლიანი, ერთი ბიჭი ჰყავს, მანქანა Renault Espace). ერთად ხშირად ვილეშებით: მე, უშვილძირობა რომ დავივიწყო. ის, თავისი რომ დაივიწყოს (და ორივემ ერთად - გაგანია ზაფხულში ველვეტის შარვალი რომ გვაცვია).

სამშაბათი

თურმე რეჟინს ემანუელ დე ბრანტისთვის სილა გაუწნავს სენ-ტროპეში. რაინდთა ორდენში გაწევრებასავით არაა? რეჟინის სილა მედალს ან დიპლომს ჰგავს, იუმორის ქონის გარანტიას. „კაფე დე ფლორში“ აგვისტოს ბოლოს ხალხმრავლობაა. ნაცნობი სახეები უბრუნდებიან ჩვეულ თავშესაყრელს: კიარა მასტროიანი სარკეს უღიმის, რაფაელ ენტოვენი კარლა ბრუნის ნიკაპზე ეფერება, ჯერემი აირონსი მეუღლეს ეხუტება, ანდრე პრატერ ტეშინე დუმს, კაროლინ სელიე მე მიმზერს. მალე მეც ცნობილი გავხდები და იმედია, რეჟინი ერთხელ მეც გამასილაქებს.

ოთხშაბათი

დედაჩემთან ერთად ვისადილე. კუნძულ რეს ამბებს მოვუყევი.

მე: - წარმოიდგინე, პლაჟზე დედები, ნაცვლად იმისა, შვილებს დაუძახონ, „მოდით, სამხრის დროა“, გაიძახიან: „Lancelot! Eloi! It's miam-miam's time!“

ერთად ვხალისობთ ამაზე. მერე ისეთ თემას ეხება, სულ რომ არ მაწყობს.

დედაჩემი: - მითხარი ერთი, ისევ ხვდები იმ კლერს?

მე: - არა. სულ ვჩხუბობდით. სულ ვშორდებოდით. სხვა რამეზე ვილაპარაკოთ რა… ნამდვილი გიჟია! არაფერი მაგას არ აინტერესებს… დავიკიდე უკვე. ყველაფერი მორჩა ჩვენ შორის.

დედაჩემი: - აჰაა… ესე იგი, ასე ძალიან გიყვარს…

ხუთშაბათი

პენელოპა კანშია. იმის სათქმელად მირეკავს, რომ უჩემობა კლავს იმ ჭრელჭრულ პლაჟზე. თურმე ქვიშაზეა გართხმული და მის გვერდით კისერზე ოქროს ჯაჭვშემოვლებული ვიღაც სქელუები პრანჭვა-გრეხით ილუკმებიან. ჩიჩის ათოხლავებენ. კანში თურმე ბავშვებს არ ჰქვიათ ჟოფრუა ან ლანსელოტი, მაგრამ ბევრია შენონი და მადისონი. სხვათა შორის, ძალიან ადრეულ ასაკში სვამენ ლუდს (როგორც სახელიდან გასაგები უნდა იყოს, პენელოპა ტოპმოდელია და მხოლოდ Coca Ligth-ს სვამს). მოვუყევი, რომ დღიურის წერა დავიწყე. „ბრიჯიტ ჯონსის“ წაკითხვას მირჩევს. უკეთესი იქნებოდა, „მაცდუნებლის დღიური“ უკეთესად შეგესწავლა-მეთქი. როგორც კი დაბრუნდება, სუდგ-ს (სექსუალური ურთიერთობა დაცვის გარეშე) შევპირდი.

პარასკევი

მიტოვებულ პარიზში დავხეტიალებ. ლუდოს ცოლი ჩამოვიდა. მაშასადამე, ვეღარ გამოვა ჩემთან მოციმციმე ღამეში. მისი სიცოცხლე ბედნიერების გრძელვადიანი ტყუილია.

მისი არსებობა ძალიან მარტივია, ჩემი - ძალიან რთული. სულ ტყუილად გადავქექე ჩემი სატელეფონო წიგნაკი, სულ ტყუილად დავგზავნე e-mail-ები ქალაქის ოთხივე კუთხეში, თავი რომ გამეხსენებინა იმ ბანძი დიაცებისთვის, რომელთა სახელები ჩემმა Nokia-მ შემოინახა. უშედეგოდ! ტურისტებს შორის მივჩერჩეტებ, სანამ ჟაველის ქუჩაზე ყოვლად სამარცხვინოდ არ დავყვინთე ერთ დეზინფიცირებულ პიპ-შოუში, ქაღალდის ხელსახოცში რომ გამეთავებინა. ლუდოს ჩემი თავისუფლების რომ შეშურდება?! ყველა ჩემი მეგობარი ერთსა და იმავეზე წუწუნებს, მაინც მარტოსულად ვგრძნობ თავს ჩემს ცოლთანო. მე და ლუდო მხოლოდ ერთ რამეში ვეთანხმებით ერთმანეთს. მე ვამბობ:

- ყველა ახალი ქალი სჯობს სიმარტოვეს.

ლუდო:

- ყველა ახალი ქალი სჯობს ჩემსას.

რუსოს ბრალია ყველაფერი: „ჩვენ ხომ ბედნიერები ვართ, სანამ ვიქნებით ბედნიერები“. ეს ფრაზა „ახალი ელოიზადან“ ავწაპნე: მიყვარს ისეთი ფრაზები, არაფერი რომ არ გამეგება.

შაბათი

ყველას ჰგონია, წლების მომატებასთან ერთად ადამიანი უსულგულო ხდება, მაგრამ ტყუილია. პირიქით, ყოველდღე ვიღაცა გიყვარდება. შეიძლება თვალის ერთი გაკვრით, წკრიალა სიცილის გამო ვიღაცაზე გონება დაკარგო. უბრალოდ, თავს ვიკავებთ, რადგან კარგად ვიცით, სადამდე შეიძლება ამან მიგვიყვანოს. ბოლო-ბოლო, მივუხვდი რუსოს: აბა, წარმოიდგინეთ, „ინგლისელ პაციენტში“ კრისტინ სკოტ-ტომასი არ მომკვდარიყო შიმშილით და ფლეიბოი რეიფ ფაინზი მოსულიყო და ეშველა? მერერა მოხდებოდა? პიკნიკი უდაბნოში? დიუნებში ექსპედიციაში წავიდოდნენ? წარმოიდგინეთ პაშტეტი საჰარაში… მოკლედ, ბედნიერები ვართ, სანამ მართლა ბედნიერები გავხდებით. მერე თუნდაც სამყარო ჩამოგვექცეს თავზე.

კვირა

ძალიან ბევრი სუდგ (სექსუალური ურთიერთობა დაცვის გარეშე) მაქვს საკუთარ თავთან.

ორშაბათი

დიდხანს ვწვებოდი გახარებული. ახლა დეპრესიისთვის დროც კი არა მაქვს. ვინ ვარ? ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ოსკარ დიუფრეზნი ვარ. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ჩემი ნამდვილი სახელი და გვარია ფრედერიკ ბეგბედერი. ხანდახან მეც მიჭირს გარკვევა.

პრინციპში, მგონი, ფრედერიკ ბეგბედერს უნდა, რომ იყოს ოსკარ დიუფრეზნი, მაგრამ რაღაც ვერ ქაჩავს. ოსკარ დიუფრეზნი თავად ფრედერიკია, ოღონდ უარესი. თორემ რატომ გამოიგონებდა?

სამშაბათი

პენელოპას უარი ვუთხარი. სუდგ აღარ იქნება ჩვენ შორის. დღე არ გავა, რამე არ გაიჩითოს: არაბული სამყაროს ინსტიტუტის ახალი ჟურნალ Zurban-ისა (ბექდვითი და ინტერნეტგამოცემის) და Amazon.fr-ზე პრეზენტაციებზე შევუბერე, პატარა გემებზე რომ გაიმართა, ფრანსუა მიტერანის ბიბლიოთეკასთან. ერთი-ორი კიბერნეტიკული საღამო და ატმოსფეროც ვირტუალური.

თან კიდევ იმდენ ჩემისთანა ინტერნეტის მოყვარულს გადავეყარე… მიეჩვივნენ სახლში მარტო ყოფნას. სხედან ეკრანის წინ და მორჩა. ხალხშიც მარტონი არიან, გაყინული მზერით, ცარიელი ჭიქით ხელში, აღარავინ აინტერესებთ. ძალიან მიეჩვივნენ თანამედროვე ზომბების ყოფას. ცხოვრობენ გამჭვირვალე შენობებში და იმის უნარიც არა აქვთ, გვერდით ვინმე შეამჩნიონ. სიმარტოვე ინდივიდუალიზმის ლოგიკური შედეგია. ჩვენი ეკონომიკური ეგოიზმი ცხოვრების წესი გახდა. როგორ გინდა, მაღალი ინტელექტუალური შთაბეჭდილება მოახდინო ვინმესთან პირისპირ ადამიანურ საუბარში, თუ თხუთმეტ წუთს

ანდომებ წერილობით პასუხს? ვირტუალური სამყარო სიმართლისგან თავდაცვის თავშესაფარია.

ოთხშაბათი

დღე და ღამე მაქვს გასწორებული კლერის დავიწყებაში. სრული დატვირთვით ვმუშაობ. დილით რომ ვიღვიძებ, უკვე ვიცი, რომ მთელი დღე ამ საქმეში გავა. ახალი ხელობა მაქვს: კლერის დავიწყება. იმ დღეს, სადილობისას, ჟან-მარი პერიემ ეს შესანიშნავი ფრაზა გამიძრო:

- როცა იცი, რატომ გიყვარს, ესე იგი, არ გიყვარს.

თვალებდახუჭული ვიწერ ამ ფრაზას, ცრემლები რომ შევიკავო.

ხუთშაბათი

გიჟური ღამე კაფე „ლათინაში“, ელისეს მინდვრებზე. ჯენიფერ ლოპესად გადაცმული მდივანი გოგოები ძუძუებზე მოხიტოს ისხამენ, მაშინ როცა ოქროსძეწკვიანი „ცუდი ბიჭები“ ტიტო პუენტეს მელოდიების თანხლებით თავიანთ „ადიდასებს“ ერთმანეთს ადარებენ. ეს ბარი კი არ არის, მოცეკვავე საუნაა. ღვთისმშობლისსახიანი გოგონა ხელს მკიდებს, მერე ჩემს ორ თითს წუწნის და ესპანურად ჩამჩურჩულებს. ეგრეევე მიდგება. „ბაუნტის“ ჰგავს ეს საღამო: სამოთხის სუნი აქვს. რა მგონია უფრო სექსუალური ქალში? მისი ასაკი. 18 წელი. ამას მოჰყვება წაკუზული ორგიები… ყველაფერს ვერ დავწერ. ოჯახურ პუბლიკაზე მაქვს გათვლილი ეს დღიური.

პარასკევი

ბალიდან დაბრუნებულ სამასიოდე კაცს ვიცნობ (ელიზაბეტ ქუინს, ჟან-ლუკ დელარიუს, იუბერ ბუკობზას, ეტიენ მუგოტს… ჟან-ლუკ დელარიუს, ელიზაბეტ ქუინს, ეტიენ მუგოტს…). ნეტავ რა არის იქ ასეთი განსაკუთრებული? ჰალუცინოგენური სოკო, აუზიანი დიდი სახლები, ბოლოკი ამოდის პლაჟზე თუ ჟან-ლუკ დელარიუ, ელიზაბეტ ქუინი და იუბერ ბუკობზა რომ არიან იქ?.. „ვერც წარმოიდგენ, ისეთი სილამაზეა. ბარბექიუზე ცოცხალ კრევეტებს ბრაწავენ. ქვიშა ფეხებს წვავს. ბიჭები სახლს ალაგებენ, სანამ შეხლონგზე ნებივრობ“. ერთი კითხვა მაქვს: ასეთი კარგი რომ ყოფილიყო, რატომ დაბრუნდებოდნენ?

შაბათი

მიყვარს ფრაზები, რომლებიც იწყება სიტყვით „მომწონს“ (დავამტკიცებ კიდეც).

კვირა

დღეს პრესა ძალიან ერთფეროვანია. იმიტომ ვწერ პირველ პირში. ობიექტურობა არ არსებობს. ობიექტურობა საზოგადო სიმართლეში გადაცმული განსაკუთრებული აზრია.

ობიექტური ჟურნალისტი თვლის, რომ მისი სიმართლე ყველას სიმართლეა. იმისათვის, რომ მეამბოხე იყო, უნდა იყო სუბიექტური.

ორშაბათი

სარკის წინ ვვარჯიშობ, ეკრანზე თავმდაბლობა მაგრად ჭრის (მთავარია, თვალები დახარო და წარბები ერთდროულად ასწიო).

სამშაბათი

ტელეფონის ზარი მოსაღამოებულზე. ლუდოს დეპრესია დასწყებიაააა.

- ჯერ ერთი, მურტალია ერთი და იმავე ქალის ხმარება. თან გვერდით ოთახშიც თუ ბავშვი ღნავის, როგორ გინდა, კარგად ვგრძნობდე თავს?

- არ მითხრა ახლა, ბავშვს ტირილს ავუკრძალავო. პირველი, რასაც ადამიანი აკეთებს დაბადებისას, ტირილია. ტირის, რადგან საზიზღარი სამყარო ელოდება.

- ღმერთს რაღაცები შეეშალა. დაბადებისას ბავშვები სიცილით უნდა კვდებოდნენ.

- აბა, რანაირად? ისინი ხომ ჩვენისთანები არიან. ბევრად ურჩევნიათ უკან შებრუნება.

კვნესის. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რა ძნელია დეპრესიული მამისთვის შვილის ტირილი.

რა დროს ბავშვის ჩხავილია, როცა მამა მზად არის თავის მოსაკლავად? ვცდილობ, დავაწყნარო:

- ერთდროულად რომ მოვმკვდარიყავით, ჩვენი წუწუნიც მორჩებოდა.

ოთხშაბათი

რესტორან „ტანჟიას“ მიწისქვეშა ბარში რაც უფრო ტრიალებს საათი, მით უფრო დაბლდება თამასა. ადრე მამაკაცისა და ქალის ურთიერთობა იყო: „საღამო მშვიდობისა, ქალიშვილო. როგორ ბრძანდებით? არაჩვეულებრივად გამოიყურებით. შემიძლია ჭიქა შუშხუნა სასმელზე დაგპატიჟოთ?“ ახლა რა ხდება: „ადექი, ბოზო, შენი სტრინგი რომ დავინახო. მაიკა აიწიე, ძუძუ მოგწოვო“.

ხუთშაბათი

დოვილის ფესტივალი, ანუ ხალხის ბრბოში სიმარტოვის ფესტივალი. სასტუმრო Normandy-ის ტერასაზე ლანგუსტები მაიონეზში იხრჩობიან და არავინ მოდის მათ საშველად. კრისტინ ორბანსა და ფილიპ ბუვარს შორის ვზივარ. გული დამწყდა, ნეტავ ბრაიან დე პალმასა და ელი მედეიროსის შუაშივყოფილიყავი. ამ დილას პაულ ვერხუვენის The Hollow Man ვნახე,

„უჩინმაჩინის“ რიმეიქია, რომლის სცენარი, თავის დროზე, ცუდი არ იყო. გულმოდგინედ ვყნოსავ „კოკს“. შესაძლოა, ჩემმა ჯანმრთელობამ ვეღარ გაუძლოს. ჯერ არ ვიცნობ ისეთ ნარკოტიკს, სიკვდილი რომ დამავიწყოს.

პარასკევი

გუშინ საღამოს კლინტ ისტვუდს გადავეყარე La Ferme Saint-Simeon-ში. თავისი ბოლო ფილმის სათაური „ჯამიროკვაის“ აწაპნა ჩემი საყვარელი სიმღერიდან: The Return of the Space Cowboy. ყველგან ამერიკელი ვარსკვლავები არიან: დონალდ საზერლენდი, მორგან ფრიმანი, ტომი ლი ჯონსი, ანდრე ალიმი. დოვილის პლაჟზე რეჟინიც შემხვდა, მაგრამ კიდევ არ გამასილაქა. ყველა ყველას Sony DV-ს ულებს. ნეტავ ვინმეს თუ ექნება დრო, უყუროს, რაც გადაიღო. ერთი პირობა ვიფიქრე, ალ პაჩინოა-მეთქი. მერე სათვალე გავიკეთე: ლორან ჟერა ყოფილა შავ კოსტიუმში. მართლა ძალიან ბეცი ვარ რა.

შაბათი

იცით, რა არის დოვილის პრობლემა? მაინც გაცივდები, რაც უნდა კარგი ამინდი იყოს. მუდმივი ქარი, თოლიები და ჯიპების პატრონები დაცემინების სურვილს გიჩენენ. ზოგიერთ ადამიანს მტვერზე აქვს ალერგია, მე - სერფინგის დაფაზე. მეტისმეტად ბევრ ქერა გოგოს ერთმანეთში ერევა მზის სათვალე და თმის საჭერი. ელიზაბეტ ქუინის აზრს თუ გავითვალისწინებთ, ჯტდ (ჯორისტვინა დედაკაცები) ძალიან მომრავლებულია. მე ზედაც არ ვაფურთხებ ეგეთებს: ნერვებს მიშლიან, ვითომ ესმით ჩემი შაყირი და მერე გარბიან უფრო ცნობილი კაცისკენ. ამერიკელები ასეთებს ფუცკ მე შჰოეს-ს ეძახიან. მე ვიტყოდი უფრო შუცკ მყ დიცკ. აქ მე ყველას ვიცნობ, მე - არავინ. კლოტილდ კურო ნაზად იყურება, მონიკა ბელუჩი სადღესასწაულოდ გამოწყობილა ჯინსის პიჯაკში, სანდრინ კიბერლენი კი მეტისმეტად თამამი დეკოლტეთი სულ თან დამდევს რეს კუნძულის მერე, აგერ სასტუმროდან გამოდის საბავშვო ეტლით. შიგ სიუზანი უზის. ეტლს ძიძა მოჰყვება, რომელიც ნამდვილი ბომბია. სახელად თურმე მარი-დუსი ჰქვია. როცა ცნობილი გავხდები, გამარჯობას მეტყვიან, მე კი არ მივესალმები. ასეთი თამაშია ეს.

კვირა

სადილად ან დ'ორნანო, დოვილის მერი, ბუზებიანი ნესვით გვიმასპინძლდება. მე კლერზე ვფიქრობ, ჩემს ექსზე… და პენელოპაზე, ჩემს მომავალ სიყვარულზე. კაცები ყოველთვის წინა და მომავალ სიყვარულს შორის არიან გაჩხერილი. ახლანდელი დრო არ გვაინტერესებს. გირჩევნია ნოსტალგიასა და იმედს, დანაკარგსა და ოცნებას შორის ნარნარი. ორ არარსებულს შორის ვართ გაქედილი.

შემოდგომა

საუკუნეებისშორისი წვიმის ამბავი

ორშაბათი

ქალებს სურთ, საყვარლები ქმრებად აქციონ, რაც კასტრირებას ნიშნავს. არც მამაკაცები ჩამოუვარდებიან ამ ამბავში: საყვარლებს შინამოსამსახურეებად გადააქცევენ ხოლმე, საბედისწერო ქალებს კი - თავიანთი შვილების დედებად. ტანჯვის თავიდან ასაცილებლად, ქალებიც და კაცებიც, მათდა უნებურად, ყველაფერს აფუჭებენ. ესეც ტანჯვაა მერე. ამბობენ, წყვილში ერთი აუცილებლად იტანჯება, მეორე კი მოწყენილობისგან კვდებაო. მე თუ მკითხავთ, მირჩევნია, ვიტანჯებოდე, მოსაწყენად მაინც არ გცალია, მაგრამ ის, ვინც მოწყენილია, ისედაც იტანჯება.

ასე მიდის დღეები, მაგრამ არა თვეები.

სამშაბათი

კლერმა დამირეკა! კლერმა დამირეკა! კლერმა დამირეკა! ნამდვილი ქალია. მე კი მიჭირს ისეთი ტიპის თამაში, რომელსაც ჰკიდია. ჩემი ემოცია სატელეფონო ქსელისთვისაც ნათელია. ამ წელს ჩემი ზაფხული 19 სექტემბერს დაიწყო. ღამის 10 საათია, მაგრამ ტემპერატურა 20 გრადუსზე მაღალია. პატარა და განათებულ ქუჩაში ვისადილეთ. სადილზე გვქონდა: ენის წვნიანი, თითები - პირში, გამაგრებული სირი - შარვალში. ვერავინ მეტყვის, რესტორნებში ოფიციანტები რატომ მოდიან მაინცდამაინც იმ მომენტში, როცა რაღაც ძალიან ინტიმური ხდება ჩემსა და ჩემ პირდაპირ მჯდომ გოგონას შორის? რესტორანში ყოველთვის ასეა - როცა არ გჭირდება, ის აუცილებლად ატუზული დგას შენ წინ და როცა ძალიან გჭირდება, რატომღაც იგვიანებს. სადილის მერე პარიზის ქვაფენილებზე ვისეირნეთ. სიო ნაზად უბერავდა. ბორდოსფერი მედო სახეზე და უხერხულობა ძალიან დიდხანს რომ არ გაგრძელებულიყო, ხელი ვთხოვე… რა იდიოტი ვარ!

ოთხშაბათი

კლერთან აღარ დამირეკავს! კლერთან აღარ დამირეკავს! კლერთან აღარ დამირეკავს! ერთი გამახსენეთ, როგორ უნდა სიყვარული?

ხუთშაბათი

ჩემი დაბადების დღე კაბარეში. როცა მეგობრები არ გყავს, დაბადების დღეს ღამის კლუბში ატარებ. თემა: ბალი, რასაკვირველია. ყველგან რუსი ტოპმოდელები არიან. როგორც დიდიე პორტი იტყოდა: „გარდერობი ფილატელისტის ოცნებას უფრო ჰგავს, ვიდრე პრეტ-ა-პორტეს“.

ცხადია, მათ არ ვიცნობ. გამომტყვრალი დილერის მაგიდას უსხედან. თავი მაიამიში გეგონება ოქტავ პარანგოსთან ერთად. ოჰ, ეს მეტიჩარა კიდევ! უკვე ოცდათხუთმეტი წელია ოფლს ვღვრი, ამ ძუკნებმა რომ შემამჩნიონ, მაგრამ რადგან არც მოდელების სააგენტოს პატრონი ვარ და არც დისკუოკეი, არც მეტრი და 90 სანტიმეტრი, მკერდზე შოკოლადის ტაბლეტებივით დაყრილი კუნთებით, არც მოტკეცილი მაისური მაცვია, მათი მხედველობის არეს გამოვრჩი, როგორც The Hollow Man. მამაკაცები შეუდარებლად გამოიყურებიან: ქერები, საყურეებით ყველგან, ყურის გარდა, გრძელი თმითა და ყელზე გაკვანძული ხილაბანდით. სტილს People from Ibiza ჰქვია. განგსტერების სიფათი აქვთ დაჭერილი, პიგმენტაცია - შეცვლილი და აბელ ფერარას ფილმიდან გადმომხტარებს ჰგვანან. თავი პარიზში არ მგონია. ელიზაბეტ ქუინი ქედმაღლურად ამბობს: „კაბარეს უცხოპლანეტელები შემოეჩივნენ. ეს ღამის ლიხტენშტაინია“. ისეთი ხალხმრავლობაა, სარდინების კოლოფში გეგონება თავი. ერთიმეორეზე არიან მიჭეჭყილი და უსაქმურობისგან გაოფლილი გოგოები ინდიფერენტულად იწყებენ შენზე მუშაობას. განა უნდათ? არა, უბრალოდ საქმე არა აქვთ და მიდი, პირდაპირ ფეხზე

მდგომარე… ფრანკს კარგი იდეა მოუვიდა. ჰიპ-ჰოპი ადამიანებს შორის დისტანციას ამცირებსო, თან ათბობს. ერთი გაბედული ლოთი ქალი მკოცნის. თავს ვატრიალებ, გული მერევა. საზიზღრობაა შამპანურის კოცნა. მირჩევნია, შინ მარტო დავბრუნდე. ისევ მომიწევს თორმეტჯერ მასტურბაცია დაძინებამდე. მომავლისთვის გაითვალისწინეთ - კარგად შეამოწმეთ, სანამ დაუზასებთ, დალეული მხოლოდ არაყი უნდა ჰქონდეს.

პარასკევი

საშინელება მაქვს გამოვლილი, ვიტანჯე, ქანცი გამძვრა, დამამარცხეს და შეურაცხმყვეს, ტალახში მაგორავეს, ბანკის ანგარიშის გამო მიმატოვეს, მაგრამ არასდროს, არასდროს არავის ისეთი რამ არ უთხოვია, რაც ჩემს ძალას აღემატება. როგორ აღარ დაგირეკო?!

კლერ, ვერავინ გაიგებს, რა ძნელია, „უბრალოდ, არ დაგირეკო“. აღარ გიყვარდეს - სმის შეწყვეტაზე უარესია.

შაბათი

ლუდო მოვიდა. ყოველკვირა საღამოს ცოლ-ქმარი ჩხუბობს, მეტი საქმე არა აქვთ. საცოდავ დღეში ვართ ერთად. ეტიენ დაოს ბოლო დისკს ვუსმენთ. ის კარლი საიმონის ლამაზ მელოდიაზე გვიმტკიცებს: „ისწავლე, როგორაღარ იყო მარტო“. შეიძლება ქალმა დასაჯოს კაცი იმის გამო, რომ შვილი ჰყავთ? ნუთუ დღევანდელი მამაკაცის საქმე გათავებულია? როგორ უნდა გააკონტროლოს მსოფლიოში მიმდინარე ამბები, როცა საკუთარ სხეულს ვერ აკონტროლებს?

ორშაბათი

ზუსტად იმ დროს, როცა ამ ფრაზის დაწერა გადავწყვიტე, ვიფიქრე, რამე საინტერესოს დავწერ-მეთქი. მაგრამ აი… ვერც ვერაფერი!

სამშაბათი

ცა ქუჭყიანია. პენელოპა ორ ორგაზმს შორის დანაღვლიანებული ჩანს. ამას იმიტომ კი არ აკეთებს, რომ მაეჭვიანოს. თუმცა ნერვები მეშლება. აღარ მინდა წინდაუცვეთელ კაცებთან სექსიო („ჯერ ერთი, ძალიან მალე ათავებენ და მერე, რა საჭიროა ზედმეტი ხორცი, ჩაჩუტული ბუშტივით“). დეტალურად მიყვება, როგორ გაატარა გუშინწინ პირველი ღამე ცოლიან კაცთან. „პირველ ღამეს ყოველთვის უხერხულობაა, მაგრამ იმდენი ტვინიეყო, რომ აღვეგზნე და თან მე უფრო აქტიური ვყოფილიყავი, ვიდრე თავად. როგორც წესი, პირველი ღამე არ ვარგა, მაგრამ ამ შემთხვევაში გეფიცები… გეფიცები, რომ… რომ… თუმცა ცოტა დეფორმირებულიც კი ჰქონდა!“ ტელეფონი დავუკიდე და გავლანძღე, ბოზი ხარ-მეთქი. მდინარე ახლოს რომ ყოფილიყო, მობილურს მოვისროდი დიდი სიამოვნებით, როგორც დეპარდიე და დევერი მიუ-მიუსთან ერთად ფილმში „ვალსის მოცეკვავეები“.

ოთხშაბათი

შეიძლება მოვკვდე. სიტყვა „შეიძლება“ რომ მომეშორებინა?

ხუთშაბათი

ლუდოსთან ერთად ვსადილობ. მაგარ ფორმაშია. მგონი, ყველა პრობლემიდან გამოსავალი იპოვა.

- იცი, რა იქნებოდა კარგი? ერთი კარგი შინამოსამსახურე. დარწმუნებული ვარ.

- შინამოსამსახურე?

- ჰო, უნიფორმიანი ტიპი, რომელიც შენთან ცხოვრობს. ყოველ დილას საუზმეს მოგართმევს ლოგინში. ახალ ამბებს გამცნობს. რა ამინდია გარეთ, ვისთან გაქვს დანიშნული შეხვედრა იმ დღეს და რა ვიცი, კიდევ რამდენ რამეს… (გინებას არ ვწერ). საღამოს სამსახურიდან რომ ბრუნდები, ეუბნები: „დილით დამავიწყდა მეთქვა, ამ საღამოს თექვსმეტ კაცს ველოდებით სადილზე“. ოდნავი უკმაყოფილების გარეშე, ყველაფერს ხუთიანზე აგვარებს. მოკლედ, მაგარი იქნებოდა, არა? (გინებას ისევ ვიღებ!)

- მოსამსახურე გინდა ცოლთან ერთად ხო?

- არა, მის მაგივრად!

- მაპატიე, თემას გადავუხვევ, მაგრამ პენელოპა ცოლიან კაცთან დადის. შემთხვევით შენ ხომ არა ხარ ის კაცი?

- პენელოპა ვინაა? იცნობს ვინმე შინამოსამსახურეს?

- აააა! გაწითლდი ხომ, დამპალო!

პარასკევი

რაც უფრო მეტ ფულს ვშოულობ, მით ნაკლებად მდიდრული ხდება ჩემი ცხოვრება.

შაბათი

ლა-კურნიოვში „იუმას“ დღესასწაულია. ახლა ტალახი აღარ არის, მაგრამ დამწვარი ქონის სუნი ისევ ტრიალებს. ისევ ჩანან ლამაზი პროლეტარები და ფოლკლორული ჯგუფები ჩილედან (კაპიტალისტურ სისტემასთან ერთადერთ დათმობაზე მიდიან, „ტიტანიკიდან“ სელინ დიონის სიმღერას ასრულებენ პანფლეიტებზე). ეს განწყობას მიცვლის. ამ შაბათ-კვირას სენ-ნომ-ლა-ბრეტეში, გოლფზე „ლანკომის“ პრიზზე, არჩევანი მქონდა ჟოზე ბოვესა და უმა თურმანს შორის. ეს უკანასკნელი პირველივით წვერულვაშიანი არ არის, მაგრამ მთელ მსოფლიოს კი არის მოდებული. ჩემი ბანაკი ავირჩიე. ისე, საკაიფო იქნებოდა, ლა-კურნიოვსა და სენ-ნომ-ლა-ბრეტეში სადღესასწაულოდ ჩამოსული საზოგადოებისთვის ადგილების შეცვლა - „იუმას“ დღესასწაული სენ-ნომის გოლფის მინდორზე გაგვემართა, „ლანკომის“ გოლფი კი - ლა-კურნიოვში. ისე, უბრალოდ… საინტერესო სანახავი იქნება. რა დატრიალდებოდა?! ინეს სასტრი მერგეზის სენდვიჩით და რობერ იუ - რალფ ლორენის

მაისურში. მომავალი რევოლუცია ნამდვილად ასე დაიწყება.

კვირა

ისევ „იუმას“ დღესასწაული. მიყვარს კომუნისტები. ისევ უარს ამბობენ მონობაზე. „ინტერნაციონალს“ მღერიან და გლობალიზაციას ებრძვიან. ჯიბეგამოხეული გოგონები უფრო სექსუალურები არიან, ვიდრე გაბღენძილი და მაყუთიანი ქათმები. დაკვირვებული ვარ. უფრო ბუნებრივები არიან, რადგან იმის ფული არა აქვთ, რომ ჯორცხენა ძუკნები გახდნენ. მიშელი ან სესილი ჰქვიათ. ბოტასებს იცვამენ, პაჩულიან ნელსაცხებელს ხმარობენ, არასოდეს იპარსავენ ბოქვენს და თეთრ ღვინოს სვამენ; იციან, ვინ არის ნიკ დრეიკი და პირველ საღამოსვე დაგიწვებიან ყოველგვარი თვალთმაქცობის გარეშე, ოღონდ ერთი პირობით, ცუდი არაფერი უნდა უთხრათ ფიდელ კასტროზე. ლა-კურნიოვი აჭრელებულია პლაკატებით „ოთხმოცდამეცამეტე - ამქვეყნად ყველას სჯობია“. მე, ოსკარ დიუფრეზნი, თვალს ვარიდებ. მე ხომ კარგად ვიცი, რომ სამოცდამეთხუთმეტედან მოვედი, როგორც ალენ მენკი.

ორშაბათი

ამ დილას პენელოპა მირეკავს და მატყობინებს, ვთხოვდებიო. ამიტომ მთხოვს, ჩემს დღიურში აღარ ვახსენო. კარგი, ამიერიდან პენელოპას აქ ერქმევა ჟანა. ეს ნაკლებად სექსუალურია, მაგრამ რას იზამ, თვითონ მოინდომა. სამერმისოდ ეცოდინება, როგორ უნდა დღიურის ავტორთან თავისუფლების ცენზზე ლაპარაკი. ეს ჩემი სისულელეები ერთ დღეს თუ დაფასდა და წიგნად გამოვიდა, სახელად დავარქმევ „ჟანა და ცუდი ბიჭი“.

სამშაბათი

ტუალეტის გამოსასვლელთან კოკაინისგან დამანდრაჟებული თვალის გუგა… აქ ჰაერიც ძალიან საქმეშია: შემოდიან, ნახევარი გრამი რომ შეიყნოსონ. რას ყრიან ფულს მანდრაჟში?! მრცხვენია, ამ დაბნეული, უბადრუკი, ღამურა საძმოს წევრი რომ ვარ. შესაყნოსის ძიების შიშში სულ კოდირებულია მათი საუბარი: „ცეცხლი გაქვს? საწვავი? ტუალეტში წავიდეთ ერთად? გავიორმაგოთ გართობა?“ სულ მე რატომ მეკითხებიან? თან ზუსტად ვიცი, ეს წიგნიც არაფერში დამეხმარება.

ოთხშაბათი

მწერლის კარიერა ასეთია:

30 წლის ასაკში ამბობენ, რომ ის „ბრწყინვალეა“.

40 წლის ასაკში: აქვს „ტალანტი“.

50 წლის ასაკში: „გენიოსია“.

60 წლის ასაკში: „რაღაც გაუფერულდა“.

70 წლის ასაკში: „კიდევ ცოცხალია?“

ხუთშაბათი

ემანუელა გომის დაბადების დღე Monkey-ში. ჰიპ-ჰოპი დიჯეი მიკროფონში გაჰყვირის:

„არ დანებდე, მიაწექი!“, სანამ გაბედავს და საუკუნის ჰიტს დადებს: მაიკლ ჯექსონის Billy Jean, რომელსაც Kool and the Gang-ის Celebration-ს მიაყოლებს. უკვე მეტისმეტად ბებრები ვართ საიმისოდ, რომ ათი წლის წინანდელი დისკები მოგვენატროს. მაშინ სულ არ მოგვწონდა… საღოლ მითქვამს კლოდ მ'ბრალისთვის, რომელსაც MC სოლაარიც ჰქვია. ისევ ერთგულობს სიტყვაში მარცვლების გადაადგილებას. ბავშვობის თემაზე ჩახვევით ვიგებთ, ვინ რამდენზე ქაჩავს, არა? (მოდი ერთი, მეც ვცადო რეპი: ვაწვები საქმეს/დრო რას დამაკლებს…) (ჯერ კიდევ დასახვეწია).

პარასკევი

ჟანა ისე ამეწება, კარგად ვიგრძენი მისი ცხელი ძუძუები. ამ დროს ზუსტად მომავალ ქმარს მაცნობდა. რომ მერწყია, რომანტიკული იქნებოდა. წარმოიდგინეთ ტიპი, რომელიც არწყევს საყვარლის ქორწილში (განსაკუთრებით მაშინ, როცა იმ ტიპს ექვი აქვს, ეს ყველაფერი ლუდოს, მისი ცოლიანი ძმაკაცის ნერვების მოსაშლელად ხდება და ეს ძმაკაციც ცოლიანია).

ისევ კლერზე ვფიქრობ. ამერიკელები ამბობენ: Nice to meet you. მე ვეტყოდი: Sad to leave you.

შაბათი

სიყვარულში გამოტყდომა მე ან ძალიან ადრე მომდის, ან ძალიან გვიან. იცით, რატომ? „მიყვარხარ“, ვამბობ მხოლოდ შესაბმელად ან სიტუაციის გასამყარებლად.

კვირა

ყველაფერი დასრულდა ჟანასთან. თავის ქორწილზე ერთი ასეთი ლამაზი ფრაზა შემომისრიალა: „რა სამწუხაროა, ასეთი ბედნიერი რომ ვარ… შენთან ერთად შანსი მქონდა, უბედური ვყოფილიყავი“. შევეწინააღმდეგე: „ნამდვილად იმ ტიპის ქალი ხარ, ვინც ამ ტიპის ფრაზას ასეთი ტიპისსიტუაციაში იტყოდა?“ რა ლაჩარი, უნიათო და არარაობა ვარ. აღარ მინდა მე ვიყო. დავნაძლევდები, რომ სიყვარული არ არსებობს. ან წასაგები რა მაქვს, ან მოსაგები? ერთ დღეს ერთი საზრიანი ადამიანი დაწერს წიგნს „დიუფრეზნის ნაძლევი“. ეს უფრო ესეი იქნება, შეზღუდული ტირაჟით.

ორშაბათი

ჩქაროსნული მატარებელი „ტალისი“ ბელგიის ტენიანი ცის ქვეშ მიქრის. ლიანდაგების გასწვრივ უამრავი ერთნაირი ყვავილნარია. როგორ მოსწონთ ასეთი ცხოვრება ადამიანებს, როცა ტელევიზორში ყველა მათგანი „ცნობილ ადამიანებს“ უყურებს? გულს მიჩუყებენ ეს ვალონიელი „დეშიენები“. წესით, ამ მატარებლიდან უნდა ჩამოვდიოდე, პირველივე შემხვედრ ბელგიელს მივადგე კარზე და ვუთხრა: „მე თქვენ ფინანსურად მძულხართ“ და მერე დაველოდო, როდის გამაფრთხობინებს

სულს.

ეს მაშინ ხდებოდა, როცა ბრიუსელი აღარ ბრიუსელობდა. წვიმა იყო და ყელზე დიდი შარფით მივაბიჯებდი ქუჩაში. სასტუმრო „ამიგოში“ ვცხოვრობდი, გრან-პლასთან.

MTV-ze Spinning Around გადიოდა, კაილი მინოუგის ახალი კლიპი. მბზინავი ტუჩები, მაღალი ღაწვები, სამართებლით მეტისმეტად მოკლედ გადაჭრილი შორტი, გამობზეკილი ტაკუნები, მაღალი ქუსლები, ფრჩხილები - შეღებილი, ენა - გადმოგდებული, ცრუ წამწამები, რაც მაგიჟებს. როგორ გინდათ, ყოველივე ამის მერე სიმშვიდის შენარჩუნება? ამ საღამოსაც გავალ, მარტო დავლევ, დავთირავ, ისევ მოვიტყუები, ვიოცნებებ, ვაკოცებ, ქათინაურებსაც ვიტყვი, შესაძლოა, გავათავო კიდეც და ვინანებ, აუცილებლად.

სამშაბათი

ბრიუსელი by night: ჯერ თეთრ ლუდს ვწრუპავ და ზედ ოსტენდეს თევზს ვაყოლებ. შემდეგ Manneken-Pis-ზე ძალიან მომინდა მიფსმა (ბოლო-ბოლო, უკვე 400 წელია თავზე გვაფსამს). თქმა და საქმე ერთია. „დასველებული მომრწყველის“ ბელგიური რიმეიქი. ჟანდარმერიასთან პრობლემების მოგვარების მერე ალკოჰოლიკების ბარში აღმოვჩნდი, სახელად „არშიდიუკი“. შემდეგ გავაგრძელე „ჰომო ერექტუსში“, „აბლო“ - დისკობარში და „ლივინგ რუმში“… ბრიუსელი ბარებით პარიზს უჯოკრავს. მოგვიანებით ლუიზის ავენიუზე, ეჭვი მაქვს, რუსი სტუდენტები სხეულს ყიდდნენ მოდური ტანსაცმლისთვის და ვინც მეტს შესთავაზებდა.

ოთხშაბათი

ბელგიელები, ნაცვლად იმისა, თქვან, „შემიძლია“, ამბობენ, „ვიცი“. მაგალითად, თუ ამბობენ, „არ ვიცი ამის გაკეთება“, ნიშნავს: „არ შემიძლია ამის გაკეთება“. მათთვის უუნარო უცოდინარი ყოფილა.

ხუთშაბათი

ერთ რამეს მივხვდი. იმისათვის, რომ ვინმე შეაბა, უარი უნდა აიტანო. ნამდვილი დონ ჟუანების უმრავლესობა დიდად კი არ განსხვავდება სხვა მამაკაცისგან. უბრალოდ ისინი უარს ზედაც არ აფურთხებენ. ქალი პირველივე შეხვედრაზე არასდროს თანხმდება. ქალი თუ უარს გეტყვით, ერთი ხუთი წუთი უნდა აცალოთ (სინანულის დრო რომ მისცეთ). შემდეგ ისევ მიუბრუნდეთ, ისევ თავიდან სცადოთ და ასე უსასრულოდ. თითქმის არც ერთ ნამდვილ ფლეიბოის თავმოყვარეობა არ გააჩნია. მხოლოდ და მხოლოდ ხეპრული სილაღით არიან დაჯილდოებული. მათთვის უარი არასდროს არის უარი. მაინც ურცხვად აწვებიან პირველ ჩვენებას.

პარასკევი

განა აუცილებელია, ყველა ცნობილი იყოს. მაშინ წუწუნიც აღარ არის საჭირო, რომ თავი მოგაბეზრეს ფანებმა, რადგან მთელი ცხოვრება წელზე ფეხს იდგამდი, რათა ვარსკვლავი გამხდარიყავი. ერთი სული მაქვს, ცნობილი გავხდე და მერე მეც ვიზლუქუნო…

შაბათი

ქუინის პროგრამაში არის ასეთი კითხვა, რომელიც შეიძლებოდა პენელოპაზე აქტუალური ყოფილიყო:

- თვეში რამდენი კაცის ყოლის მერე შეიძლება ქალი მეძავად ჩაითვალოს?

კვირა

მშვენივრად ვგრძნობ თავს ცხოველთა სამყაროში. ქორდიანების ტიპი, ქვეტიპი - ხერხემლიანები, ძუძუმწოვართა ოჯახი, პრიმატების რიგი, მაიმუნთა ქვერიგი, ცხვირვიწროთა ქვე-ქვერიგი, ადამიანის მსგავსი მაიმუნები დაბოლოს - ჰომო საპიენსი.

ორშაბათი

პენელოპამ, ბოდიში, ჟანამ დამირეკა და პაქტი შემომთავაზა: თუ ვუშოვი მაგარ შავკანიანს, უარს არ იტყვის ჩემი თანდასწრებით ახმარინოს თავი. ვისარგებლებ ჩემი დღიურით და პატარა ანონსს გავაკეთებ: თუ ხართ შავკანიანი, კარგად აწყობილი და „ოპენ“, მომწერეთ. თქვენ შეიძლება ხელი გამოჰკრათ სექსს ერთი ღამით, გათხოვილ ქალთან სასტუმრო Plaza-Athenee-ში (არ ინერვიულოთ, მე არ დავესწრები, მხოლოდ ანგარიშს გადავიხდი, ჩემს კუთხეში გაუნძრევლად ვეგდები და ვიფიქრებ, ნეტავ რა ჯანდაბას ვაკეთებ აქ-მეთქი).

სამშაბათი

Le Parisien-ში სამწუხარო რამ წავიკითხე: თურმე რომელიღაც ბინაში ქალის ჩონჩხი უპოვიათ. გაზეთში ეწერა, რომ ორმოციოდე წლის იყო და წელიწადზე მეტია, რაც გარდაცვლილი ყოფილა. ამის გამო არავის უდარდია. არც ოჯახი ჰყოლია, არც მეზობლები, არც მეგობრები იმ უბედურს. მარტოხელა ადამიანების სიცოცხლე საფრთხეშია. ახლა მე რომ მოვკვდე, ნეტავ ვინ შეამჩნევს? ერთ წელიწადში შეიძლება მეც მიპოვონ ძველი გაზეთების დასტის ქვეშ… ჩემი გარდაცვალების თარიღს ჟურნალ ვოიცი-ს ფურცლებზე ამოიკითხავთ…

იყო შეყვარებული, ნიშნავს იყო სულ გაოცებული. როცა გაოცება გაივლის, სიყვარულიც გაქრება. ხშირად გვავიწყდება, რომ სიყვარულში ცნობისმოყვარეობის 90%-ია და მხოლოდ 10% - მარტოხელა ძაღლივით სიკვდილის შიში.

ოთხშაბათი

ღამის კლუბში ქალის შებმა რამდენიმე საათი პირიდან მყრალი სუნის ატანას გულისხმობს. იმ საღამოს ხელში არყის ჭიქით, მგზნებარე ტონით, გამწარებული ვაფრქვევდი ლირიკულ ფრაზებს. ცეცხლოვანი პოლონელი მეჯდა წინ. არყის ჭიქა მასაც ხელში ეჭირა. ერთი შორსმჭვრეტელი შენიშვნა მესროლა:

- იცი, როგორ მინდა წყლის სმის დროსაც ასეთი რომანტიკული რამეები მითხრა!..

არაყი საფერფლეში ჩავცალე და მინერალური წყალი შევუკვეთე. კატასავით ხაოიანი ენა ჰქონდა…

ხუთშაბათი

„საინტერესო რამეს დიდხანს უნდა უყურო“ - გუსტავ ფლობერი. ხშირად შემიმჩნევია: მუზა არ არის მთავარი. მთავარი მოლოდინია. მაგრად ვერთობი ახლა, წერა რომ შევძლო.

პარასკევი

ამ საღამოს Les Bains 20 წლის იუბილეს აღნიშნავს. რა კარგია, რომ ზუსტად Fashion Week-ს ემთხვევა! ერთი წუთით წარმოიდგინეთ, ეს იუბილე Boring Week-ს ან Demoded Week-ს რომ დამთხვეოდა!

შაბათი

ლუდო, როგორც წესი, ყოველ შაბათ-კვირას საშველად მიხმობს (ბუნებრივია, პენელოპა აღარ არის თავისუფალი! გულღრძო მიტოვებული საყვარელივით ვმსჯელობ). ყურმილში სპორტული მანქანის ძრავის ხმა მესმის.

- ვღ-ვღმმმ!

- „ფორმულა 1“-ს უყურებ?

- ვღღღმმმმმ! არა, ბავშვმა ტელევიზორი ჩართო „ძრავების“ არხზე. გუშინ საღამოს მე და ქალბატონი XXL-ს ვუყურებდით და თან ჰაშიშს ვეწეოდით.

- მერე? ქენით?

- არა, ელენს ჩაეძინა და ზეწრის ქვეშ დავანძრიე, როგორც ყოველ პარასკევს.

- რა მაგარია ქორწინება.

კვირა

ჩემი მთავარი ოცნება? გავუძლო ერთფეროვნებას.

ორშაბათი

რა იდიოტია ეს კასპაროვი! G7-თან მოუნდა გაერთიანება, ჯობდა E7-თან დამეგობრებულიყო. გიჟია რა!.. ცოტა აკლია თუ რა?..

სამშაბათი

მე ის შემიყვარდა, რადგან მუდმივად ცისტიტი ჰქონდა. კლერი ჩემს სკუტერს აბრალებდა, სასქესო ორგანო სულ რომ უცივდებოდა. კიდევ იმიტომ შემიყვარდა, რომ პირველ შეხვედრაზე სიგარეტი მოუბოდიშებლად ჩემს არყიან ჭიქაში ჩააქრო… და იმიტომ, რომ დივნიდან დგებოდა, სააბაზანოში ჩუმად გადიოდა და საკონტაქტო ლინზებში ფიზიოლოგიურ ხსნარს იმატებდა. კიდევ იმიტომ მიყვარდა, როცა პატარა იყო, კბილებზე ბრეკეტები ჰქონდა, ყოველ შეხვედრაზე სხვადასხვაფერი თმით მოდიოდა: ხან წითური იყო, ხან მუქი, ხან ქერა და ხან იასამნისფერი… მისი ტიკების, უარყოფითი თვისებებისა და მანიაკური ხასიათის გამო მიყვარდა. აღარ მიყვარს ქერა ჩლუნგები, ტლანქი დედაკაცები მირჩევნია.

ოთხშაბათი

უცნაური რამეა: პოლიტიკურად ვეთანხმები დანიელ კონ-ბენდიტს ფედერალური ევროპის თაობაზე. ვეთანხმები ჟაკ ატალისაც მსოფლიო ხელისუფლებაზე. ვივიან ფორესტესიც მესმის, ეკონომიკური კრიზისის საშიშროებაზე რომ გაჰკივის. ვეთანხმები რალფ ნეიდერს კონსომაციის თაობაზე, ჟებესაც - 2001 წლის თაობაზე. მიშელ უელბეკსაც, მსოფლიოს პრივატიზაციაზე რომ ლაპარაკობს. ყველას ვეთანხმები, მაგრამ თვითონ ისინი რომ ვერ თანხმდებიან ერთმანეთში…

ხუთშაბათი

თუ არაფერი ხდება ხუთშაბათს, მაინც მოგიყვეთ რამე?

პარასკევი

ბორდო by night. მომიყვნენ, რომ ბორდო საშინელი ქალაქი იყო ერთ დროს, სადაც მონათვაჭრები ბურჟუაზიულ ფენად იქცნენ. ბორდოელები შაბან-დელმას ჰგავდნენ თურმე. რა სისულელეა! ბორდო auch city-ა, აქ სიცოცხლე დუღს. Quai de Paludate გარონის ნაპირზე მოწყობილი მაიამი-ბიჩია: ტექნობარები, ლათინური მუსიკის ბარები. ნეონის ნათურებით გაბდღვრიალებულია ყველაფერი. საცობები, ბუნებრივია. ღამის 4 საათზე გალეშილი ლიუმპენ-მეძავები. ლიდია ყვირის:

- აქ ყველა კაცი ცხვირმოუხოცავი ბავშვია! სრულწლოვანები არ ჩანან! საბავშვო ბაღში მგონია თავი!

მე ვუხსნი, რომ იდეალური მამაკაცი უმანკო ბავშვია დიდი პენისით. „ლა პაჩანგაში“ ძუძუგადმოგდებული ოფიციანტი გოგო, ვანესა დემუის ორეული, ბარის დახლზე ადის და ძიგძიგს იწყებს. ყველა პენისზრდასრული ბავშვი ენაგადმოგდებული უყურებს. ელოდებიან, ძუძუს როდის მოწოვენ. მგონი, უკვე ათი წუთია, რაც მეც შემიყვარდა. მაგრამ ჯერ სადა ხარ? ერთი ბორდოელი მაჩო მოდის და მემუქრება:

- ჩემს ქალს ნუ თირავ!

- შენ რად გინდა ქალი, ან ეს, ან სხვა?!

ეტყობა, არ ეხუმრება, ამიტომ თემას ვცვლი:

- ანუუუ, ცოლად არ უნდა მოიყვანო…

მისი ძმაბიჭები აკავებენ, რომ კბილებით ყელი არ გამომჭამოს. კრეტინმა „კეპირინჩა“ გადამასხა პერანგზე. დავიკიდე: სიცხისგან ისედაც სველი ვიყავი.

შაბათი

ბორდო by night (გაგრძელება). ალენ ჟიუპე კოქტეილს აწყობს მერიაში. ცნობილმა სახეებმა ფუა-გრას ზუსტად ათ წუთში მუსრი გაავლეს. ყველაზე საშინელება პროვინციელი წვრილფეხა ელიტაა, მერის მიერ მოწყობილ სუფრაზე გამალებით ინაზღაურებენ მთელი წლის განმავლობაში სახელმწიფოსთვის გადახდილს. მუცელგადმოგდებული მაღალანაზღაურებადი მოხელეები, კოსტიუმებში გამოწყობილი პენსიონერები, მიტოვებული მეუღლეები, მარგალიტისმძივებიანი გრაფინიები… „როტარი ინტერნეშენელის“ კლუბის წევრები და მათი ცოლები ცეკვის რალის აწყობენ და როგორც მეწვრილმანეები, სამი ხამანწკისა და ბაიონის ლორის დათრევისთვის ერთმანეთს ტოლს არ უდებენ. მოგვიანებით, Scream au Nautilius-ის ბარმა, შემდეგ კი White Garden-ის, Paris Pekin (მერსის ქუჩაზე) ბარი გამახსენა. ძველ ბორდოშია ეს ბარი, სადაც კონდიციონერი ცუდად მუშაობს. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი „მამილო უვრარი“ გამოდგა. იქ ღვინო კი არ დავლიე, ვჭამე. მერე სასტუმრო „მაჟესტიკში“ ერთი მუქკანიანი დიაცი მჟავე სახით ორგაზმს უფასოდ არიგებდა (ამისთანებს ამერიკელები „შოკოლადკას“ ეძახიან).

კვირა

მორალი: ერთი ქალი არა უშავს. სამი ქალი - ზარალს ვეღარ დაითვლი.

ორშაბათი

გაუთვალისწინებელი შეხვედრა თვითმფრინავში. ერბუსში იან მუაქსსვესაუბრები. ახალგაზრდა გენიოსია (როგორც ბოვის სიმღერაში „ჟან-გენია“). ორივე ვმოგზაურობთ, როგორც ჩვენი ნაწარმოებების „მოგზაურ-წარმომადგენელ-კომერციული შუამავლები“.

მე: - ვაა, დაინახე ბორტგამცილებელი გოგონა? ეს ხომ თვითმფრინავია…

მოში: - მარტო მაგას არ ვუყურებ?

მე: - ტუჩებში ვაკოცებდი.

მოში: - ეგ დიდხანს არ გაგრძელდებოდა, შე ბებერო. ტუჩებშიც უნდა აკოცო და ხელიც მოუჭირო, ყურშიც ჩასჩურჩულო, ცხვირიც მიადო, კბილებში უკბინო, ფეხზე დააბიჯო, კისერში მიაფსა, თვალებში ჩახედო და ენა აულოკო.

მე: - მთავარი დაგავიწყდა: ფრჩხილები ჩაასო.

(ჩემს დღიურში კარგი ის არის, რომ ბოლო სიტყვა ყოველთვის ჩემზეა).

სამშაბათი

გუშინ საღამოს რიჩარდ ავედონის პატივსაცემად კოქტეილ-საღამო გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში. დროზე მივედი. სხვაგვარად რომ ვთქვა, სხვა სტუმრებზე ადრე. საელჩოში ცოტა უცნაური ის იყო, რომ „ფერერო როშე“ ვერსად დავინახე! ჟან-ჟაკ შულს შემოსასვლელისკენ მივყავარ, ჯასპერ ჯონსის დახატული ამერიკის დროშა რომ მაჩვენოს. ინგრიდ კავენს ხელზე ვეამბორე (ჟან-ჟაკის მეუღლე და მისი ბოლო რომანის სახელიც). ერთი პაჩი ჟაკლინ დე რიბეს, ჟიუსტინ ლევის და ინეს დე ლა ფრესანჟის სურნელი ზემოდან. ბერნარ ფრანკი ფიცჯერალდს აქებს, პიერ ბენიშუ ვიალატს ლანძღავს. მე პიერ-ჟან რემიზე მის მეუღლესთან ვქილიკობ. თავს ვიქებ ალენ რობ-გრიესთან. აქ უნდა გავჩერდე, ლიტერატურის აგათა გოდარი რომ არ გავხდე.

ჩემზე ეგოისტი თანამეინახე ამ ბრწყინვალე საზოგადოებაში საელჩოს ორი ძაღლია, რომლებიც ხალიჩაზე კოტრიალობდნენ.

ოთხშაბათი

ბარ „დე ლა პლაზაში“ ტიერი სოლიდური გრადუსის არყიან კოქტეილებს აკეთებს. გეგონება, სუშია ალკოჰოლიკებისთვის. ყველაზე კარგი კოქტეილი ბ52-ია. არიბოს კანფეტი - ნიანგივით უნდა შეისრუტო სხვადასხვასურნელიანი სასმელი და თან ყველა 1 ევრო ღირს. სანდრას (ამ წიგნის ბოლომდე „უცნობი კახპა“ ერქმევა) ვუხსნი, რატომ ვერ ვიტან „უხეშ ფისოებს“, ანუ ლესბოსელებს (მერე გული მერევა კბილებში გაჩხერილ ბალანზე). ჩვეული გულწრფელობით მპასუხობს, რომ ყოველთვის გაპარსული აქვს ბოქვენი:

- შეგიძლია დაიწყო! არ გაწბილდები, კოჯაკის თავივით კრიალაა.

ასეთია ჩემი ცხოვრება და არავითარ შემთხვევაში არავისაში არ გავცვლი (და თან სხვა გამოსავალი არც მაქვს).

ხუთშაბათი

გუშინ საღამოს ფართიზე ვიყავი. VIP-Room-ში. თავი ამოვყავით ორმოციანი წლების ბარში ოთხმოციანში დაბადებული გოგონებით (ოციანი წლების გოგონები აჯობებდა). დოპინგი ისე შეგვერგო, როგორც რიშარ ვირანკს, ტურმალეს უღელტეხილზე რომ გადადიოდა. ჩემი ბღავილი ყველგან ისმოდა:

- მე ჩემი კარიერის მწვერვალზე ვაააააააააააარ!

რადგან ძალიან შეჭეჭყილები ვისხედით, ჩემ გვერდით მოწითურო თოჯინა მუხლზე მეთომარებოდა, ოღონდ განა სპეციალურად. ძალიან ზრდილობიანად გავაჩერე:

- ახლავე შეწყვიტეთ ეს მზაკვრული კონტაქტი მამრობითი სქესის სუსტ ქმნილებასთან. მან შეიძლება ეს სხვანაირად

მოთარგმნოს…

და იცით, რა მიპასუხა იმ უსირცხვილომ?

- მაშინ ბრმა ხეიბრებთან იგულავე, კარგი?

მართალია, ქალები ხომ ჩვენზე ძლიერები არიან და თან თუ იუმორის გრძნობაც აქვთ, ჩათვალეთ, რომ დარხეული გაქვთ!

პარასკევი

მივმართავ მთელი მსოფლიოს ინდუსტრიული სამყაროს წარმომადგენლებსა და პოლიტიკოსებს: „დიდად დაგიმადლებთ, თუ პლანეტას იმ მდგომარეობაში დატოვებთ, როგორიც თქვენი ამქვეყნად მოვლენისას დაგხვდათ!“

შაბათი

ალილუია! კლერმა მომწერა. ტექსტი შოპენჰაუერის სტილშია: „რა საჭიროა ამდენი ხმაური? რისთვის ამდენი ძალისხმევა, ამდენი ფეთქებადობა, აღგზნება და უბედურება? რატომ, როცა უბრალოდ ყველამ თავისნაირი უნდა იპოვოს?“

კვირა

ღმერთო, შემიბრალე. ხვალ უნდა ვნახო. მგონი, ეს ქალი მიყვარდა ყოველთვის. რატომ ვერ ვახერხებ და ვერ ვეუბნები? იმას გავურბივარ, რომელიც მომწონს. იმის მეშინია, ვინც მიპყრობს. იმას ვარიდებ თავს, ვინც მიყვარს და იმას ვაბამ, ვისაც ფეხზე ვკიდივარ.

ორშაბათი

კლერი ორსულად ყოფილა. პირდაპირ მაჯახა და თვალებში მიყურებდა, ჩემი რეაქცია კარგად რომ დაენახა. თავს ძალა დავატანე გასაღიმებლად და უაზროდ გავუმეორე: „დარწმუნებული ხარ? დარწმუნებული ხარ?“ მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ მინდოდა, მეთქვა: „ჩემია? ჩემია?“ დამშვიდებას ვცდილობდი, მაგრამ სახეზე დიდი ასოებით მეწერა: „აბორტი სასწრაფოდ, შე ბოზო!“ ჩემი აზრით, ქალისა და მამაკაცის დიალოგს ჰარმონიულს კიდევ დიდხანს ვერ უწოდებ. ყველაზე საშიში ის არის, რომ ჩვენს აზრებს კითხულობენ ეგ ოხრები და ჩვენ აზრზე ვერ მოვდივართ, რა უნდათ. ტირილი მორთო, თან სულ ახვარი მიძახა… ამ დროს ეს ტყუილია. ეს ხომ არ მოხდებოდა, მარტო მე რომ ვყოფილიყავი ასეთი.

სამშაბათი

გაცივებული რომ ვარ, ხალხს ჰგონია, კოკაინი შევიყნოსე. ამას რეპუტაციის ქონა ჰქვია.

ოთხშაბათი

დილემის წინაშე ვარ: ან უნდა მოვკლა კლერი, ან ცოლად შევირთო. აბორტი სამ კვირაშია დაგეგმილი. რა უაზრობაა, რააა!.. მკერდი მოეზარდა თუ არა, შევძულდი: ვერც კი ვისარგებლებ ამ მომენტით. მისი ზიზღი და მკერდი ერთდროულად გაიზარდა.

ხუთშაბათი

„სინდისი მქენჯნიდა. ყველაფრის დალეწვა მინდოდა. სიბრალული და სითბო მჭირდებოდა“. ვალერი ლარბო, „ბარნაბუთის დღიური“.

პარასკევი

სპორტულ დოპინგზე კიდევ ერთი სკანდალი აგორდა. ყელშია რა ეს თვალთმაქცობა! მე დოპინგის მომხრე ვარ. მწერლების უმრავლესობა ვინ ალკოჰოლზე ზის, ვინ კოკაინზე, ვინ „ამფეტამინზე“. რატომ უკრძალავენ სპორტსმენებს, როცა ხელოვან ხალხზე არ იმჩნევენ? წარმოგიდგენიათ გონკურის ჟიურიმ ჟან-ჟაკ შულს შარდის ანალიზი რომ ჩაუტაროს, „ინგრიდ კავენი“ რომელი აკრძალული ნარკოტიკის ეფექტის ქვეშ დაწერა?! კმარა პურიტანიზმი ნარკოტიკების მიმართ. მაშ, რისთვისღა აწარმოებს ადამიანი დოპინგის საშუალებებს, თუ არ გამოიყენა? მე აბსოლუტურად ვეთანხმები ნებისმიერი ნარკოტიკის სრულ ლეგალიზაციას, რაც უნდა მძიმე იყოს, (ჯანმრთელობის სამინისტროს მაფიით შეცვლის მიზნით). ეს ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ წარმოებულ მაფიას შეცვლის.

შაბათი

კორსიკაში არცთუ ისე ცოტა განგსტერი ძმაკაცი მყავს. სასაცილოა, რომ ეს კაი ბიჭები დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ბომბებს დებენ და როცა ვეუბნები, „აბა, ჰე, მორრა! გაძლევთ დამოუკიდებლობას. აღარ იქნებით ფრანგები“, მაშინვე თავზე იარაღს მადებენ და კბილებში გამოცრიან, მორჩი ხუმრობასო.

კვირა

სამყაროს დასასრული ყველა ვარიანტში მაქსიმუმ 2050 წელს იქნება. ამ ტემპით თუ ვიარეთ, ათ წელიწადში საწვავი აღარ იქნება პლანეტაზე (და არც ათი მილიარდი კაცი). ადამიანი დინოზავრივით გადაშენდება. თფუი, პაკო რაბანივით ვლაპარაკობ! ჭკუა ბედნიერების საწინდარი როდია (ამას ყოველგვარი მეტიჩრობის გარეშე ვამბობ).

ორშაბათი

ღამის კლუბები რისთვისაა? შესაბმელად ან დასალევად. და ეს ამართლებს. დალევ და ყველა ქალს აბამ, რადგან ალკოჰოლი მორიდებას გაკარგვინებს. მთავრობა ტყუის, როცა ამბობს, „ალკოჰოლის ჭარბად მოხმარება მავნეა თქვენი ჯანმრთელობისთვისო“. შიდსის ეშინია, ამიტომ თან გაძლევს ძალას და თან გართმევს, ხელი რომ შეგიშალოს, დაიკმაყოფილო ის სურვილები, რაც დალევის მერე რეალიზაციისთვის მზადაა.

სამშაბათი

ღამის ხუთის თხუთმეტი წუთია. რეალობა ისევ მიუღწეველია…

ოთხშაბათი

„კაფე დე ფლორში“ საღამოს მერე, იმავე სახელობის პრემია მიენიჭა ნიკოლა რეის, ამ 2000 წლების რაიმონ რადიგეს. 26 წლისაა და ეგუება შეუგუებელს: ფილიპ ჯიანს და ანტუან ბლონდენს. ყოველ დილას ემშვიდობება ახალგაზრდობას და ყოველ საღამოს ისევ ჯეელობასცდილობს. მის რომანს „მოკლე მეხსიერება“ ჰქვია და დღევანდელ მამაკაცს ჰგავს: თან რომანტიკულს, თან მანიაკს. ამ წიგნში განსაკუთრებით საყვარლობის შეუძლებლობაზეა ლაპარაკი. მოკლედ, თუ ცოლს ღალატობ, ორი ვარიანტია: ან მასთან რჩები და ყველაფერი ცუდადაა ისევ, ან ტყდები და მაინც ისევ ყველაფერი ცუდადაა.

ხუთშაბათი

მაშინ, როცა ჩვენ მშვიდად ვსხედვართ, ვმსჯელობთ და ციდან ჩამოცვენილ ლამაზმანებს ვთირავთ, ჟორჟ ვოლინსკი ჩემკენ ტრიალდება და ყველაფრის დამაგვირგვინებელ ფრაზას მიძრობს:

- ჩემი ცოლი ერთადერთია, რომელსაც ვუძლებ მიყოლებით ორი საღამო.

პარასკევი

ამელი ნოტომბი არც ისეთი მახინჯია. მორუხო-მომწვანო თვალები აქვს და ძალიან ლამაზი ქათქათა ხელები, გრძელი და თხელი თითებით. მართლა მოჯადოებული და დამუნჯებული ვარ მისი ნაზი მითომანობის წინაშე. როცავეუბნები, კრისტინა რიჩის ჰგავხარ-მეთქი, მპასუხობს: „ვიცი“. როცა ვეკითხები, „როგორ ხარ“, მპასუხობს: „რა ვიცი, აბა“… ჰოდა, ყველაზე ლამაზი გამოდის ახალი რესტორანი დელარიუს დანარჩენი იდიოტების ფონზე.

შაბათი

მხიარულ ბრივ-ლა-გაიარდში ვართ. ისევ დამიცურდა ამელი ნოტომბზე (ფუა-გრათი გამოტენილი პირით ვესაუბრები). დაქორწინება გადავწყვიტეთ მხოლოდ იმიტომ, რომ სასახლე ვიყიდოთ, ერთად ვიცხოვროთ და ვიკონტაქტოთ სასახლის ორ სხვადასხვა მხარეს უზადოდ მორჩილი ოთახის ლაქიას დახმარებით.

ამელი: - ორივე დავწერთ წიგნს ერთმანეთზე.

მე: - ჩემი აჯობებს.

ამელი: - დიახ, რადგან ის, ვისზეც დაწერ, ბევრად საინტერესოა.

ეს გოგო დიდი იდუმალებაა. რაც კი თავს გადახდენია, ერთი დიდი საოცრებაა. აი, მაგალითად, ერთ დღეს პარაშუტით გადმოხტა და პარაშუტი არ გაიშალა. 300 მეტრის სიმაღლიდან ზღართანი მოადინა და ერთი ნაკაწრიც არ ჰქონია. მეუბნება, კაუჩუკის ვარო. ეს რომ დამიმტკიცოს, ცერათითი 180 გრადუსით მოიტრიალა (ისედაც მჯეროდა მისი: აბა, როგორ აიტანდა ასეთ წარმატებას, ელასტიკური რომ არ იყოს?)

კვირა

მის ნოტომბისგან განსხვავებით, მე არ მახსოვს ჩემი ღრმა ბავშვობა. ერთი კია, 1 წლის ასაკიდან 4 წლის ასაკამდე მეც დავფრინავდი. მამაჩემი ხელში ამიყვანდა და ვითომ მოტორიანი თვითმფრინავი იყო, ოთახიდან ოთახში დამაქროლებდა. იატაკს ავუქროლე, კამოდამდე სლალომით ვიფრინე, წკიპზე ავცდი თეთრ კედლებს, პიკირება და მარყუჟიც კი მოვახერხე. მამაჩემმა რომ მიგვატოვა, მხოლოდ მაშინ დავიწყე მიწაზე სიარული.

ორშაბათი

მხოლოდ მართლა პრეტენზიული ადამიანები იტანენ წარმატებას, რადგან მათთვის ეს ბუნებრივია. ჩრდილში რომ დარჩენილიყვნენ, ეს უფრო გაუგებარი, არანორმალური და მათთვის უღირსი იქნებოდა. ამ დროს ისინი ჩვეულებრივად გრძნობენ თავს, არ აფრენენ! თავისთვის ფიქრობენ მხოლოდ: „აჰა, ესეც ასეეე… დროული იყო“. მოკლედ, ერთადერთი საშუალება, რომ არ გაიბღინძოთ, სულ გაბღენძილი უნდა იყოთ.

სამშაბათი

„პეტროსიანთან“. ლინდა მეკითხება:

- შეძლებდი ჩემი Game-Boy ყოფილიყავი?

მე ვპასუხობ:

- მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩემი ჯოისტიკერით ითამაშებდი.

დანარჩენი საუბარი პრივატულია (ეს ხომ ჩემი ინტიმური დღიურია და არა პიპ-შოუ).

ოთხშაბათი

მე კი მეგონა, სამყარო ფეხქვეშ გამეგებოდა! თურმე სადა ბანაობ?! სამყარო ფეხქვეშ არ გეგება: სამყარო იყიდება.

ხუთშაბათი

ყველაზე ძნელი ის კი არ არის, მიხვდე, რისთვის ცხოვრობ, არამედ ის, რომ ამ შეკითხვას გაექცე.

პარასკევი

„ლ'ამი ლუიში“ ვსადილობ ლუდოსთან ერთად. გვერდზე ვანესა პარადი და ჯონი დეპი სხედან. ამ ლამაზი წყვილის დანახვაზე

ჩემი ცოლიანი მეგობარი კიდევ უფრო ვარდება დეპრესიაში:

- როგორ ახერხებენ ნეტავ? ჩემი ცოლი ჩემთან მაგრად იტანჯება… ყველაზე მურტალი მის თვალებში შიშის დანახვაა.

- შიში? აგრესიული ხარ?

- არა, მაგრამ ასე მგონია, მუდმივად ეშინია, არ მოვტყდე. ძალიან მძიმეა. უკვე ფეხზე მკიდია, ერთად რომ აღარ ვწევართ, მაგრამ მისი შიში სტრესში მაგდებს. მგონია, ერთი საზიზღარი მონსტრი ვარ. შენ რას გაიგებ, მარტოხელა ხარ…

- შენ ნუ გგონია, მარტოხელები არ ვაშინებთ ქალებს, პირიქით, ჩემი თავისუფლების, ჩემი ჭუჭყის შიში აქვთ. ეშინიათ, არ შევუყვარდე, ან სოკო არ აიკიდონ, ან კიდევ უარესი - გრძნობა. დარწმუნებული ვარ, მე უფრო იშვიათად ვარ ქალთან, ვიდრე ცოლიანი.

- ჰო, ოღონდ თუ ცოლიანი ერთგულია!

- იცი, რა? მგონი, ნამდვილად სექსუალურად ვერ ვარ კარგად.

- რა? სადომაზოხისტი, ზოოფილი თუ პედოფილი ხდები?

- მოიცა რა… ეგ რა არის? მაგაზე უარესი ვარ. მე მინდა, ვუყვარდე. პენელოპა სად არის? ისევ ხვდები?

- არა. აღარ აღმაგზნებს მას მერე, რაც თვითონ ძალიან აღგზნებულია.

შაბათი

როცა კვდები, თუ ჭკვიანი ხარ, „მაი ტაიში“ უნდა წახვიდე (1370 კმ, ბანდოლიდან სანარი-სიურ-მერის გზაზე). ეს დისკოთეკა სამსართულიანია (კუბური ბარი, ტექნობარი და ფანკი-სოულის ბარი). ყველა გოგო ისეა გამოწყობილი, როგორც კოშმარულ სიზმარში. აქ ჭიქები ყოველთვის სავსეა. სამოთხე დიჯეის ადგილია. ის დისკებს ცვლის და მთელი საუკუნე შენ თვალწინ გაირბენს. მაგალითად, იანიკის ამ საღამოებს, Belsunce Breakdown ყოველგვარი უხერხულობის გარეშე მოსდევს. მხოლოდ სიკვდილის მერე თუ არის შესაძლებელი ასეთი მიქსები. შესასვლელში დიდი შავი ტიპი დგას და არ გთხოვს „განსაწმენდელის“ გავლას. არა, მხოლოდ გასახდელისკენ მიგითითებს.

რაღა დაგვრჩენია? გოგონებთან საუბარი უნდა დაიწყო:

- სიკვდილის მერე, იმედია, შენი სხეულით რეინკარნირებული მოვალ.

ან ბიჭებთან:

- ქალის სასქესო ორგანოთი კაიფის დეფიციტს გრძნობთ?

მერე კარგად უნდა იკაიფო ამ მომენტით (ანუ მიწაზე გართხმულმა უნდა იზასაო).

კვირა

როგორც ყოველთვის, კვირის ფრაზა ანჯელო რინალდისია: „რომანის საშუალებით ვცდილობთ, უსასრულობაში არ დავიკარგოთ?“

ორშაბათი

მოდი, ყველაფერს თავიდან გადავავლოთ თვალი: კლერი მიყვარს, მაგრამ მას ჩემი ნახვა არ უნდა. პენელოპას ჩემთან უნდა, მაგრამ მე არ მინდა. ოსკარ დიუფრეზნი ვარ, მოდური მწერალი, მაგრამ მარტოსული. ბევრს ვმოგზაურობ, განსაკუთრებით მას მერე, რაც ჩემი ბოლო წიგნი ყველგან ითარგმნა. ღამის ბარებში ჩემს ფანებთან ვხალისობ. ერთგვარი გესლიანობა გამოვიმუშავე. ფინანსურ ფონდად მემსახურება… იმის მაგივრად, ვაღიარო, როგორ გამიმართლა, მაინც უკმაყოფილო ვარ. ვერავის ვიტან, ვინც ოდნავ მაინც მგავს. მსოფლიო უნიფორმებში ჩაცმული ადამიანების ჯოგი მგონია, რადგან მხოლოდ აეროპორტებსა და დისკოთეკებს ვსტუმრობ. ყველგან ერთი და იგივე სიმღერა ისმის. გლობალიზაცია ჯერ მუსიკის საშუალებით შემოდის. დედამიწა ერთი საცეკვაო მოედანია. ამ დღიურში ახალ ფენომენზე ვწერ: მსოფლიო დისკოთეკიზაციაზე. ახლახან ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ დისკოთეკები 18-დან 34 წლამდე ახალგაზრდებში (ბიუჯეტის გათვალისწინებით) გართობის მხრივ პირველ ადგილზეა (საგრძნობლად წინ, ვიდრე კინო, თეატრი, კონცერტები… და წიგნები).

სამშაბათი

კლერმა აბორტი გაიკეთა, ისე, რომ არც კი გამაფრთხილა. საავადმყოფოში დავრეკე, მაგრამ ექთანს უფლება არა აქვს, პაციენტის გვარი მითხრას. ამიტომ ვერ მივალ სანახავად. ემბრიონი დღეს 15.00 საათზე არარაობამ შეისრუტა, საიდანაც ვერასოდეს დაბრუნდება. როგორ გინდა შეურიგდე ქალს, რომელსაც ასეთი რამ გავაკეთებინე? ნორმალურად შეიძლება ჩაითვალოს, აწყენინო ადამიანს იმ მიზეზით, ვითომ ისე გიყვარს, რომ ბავშვის გაჩენისთვის გენანება?

ოთხშაბათი

წერა ლოდინს ჰგავს, მწერალი - კინომსახიობს. ჯერ ერთი, სკამზე ზის და მეორე - თამაშის დროს ელოდება.

ხუთშაბათი

ლილი by night. კაპიუსინი მეუბნება:

- იცი, მე ფუტონი ვარ. ერთი მესამედი ლატექსის, ერთი მესამედი - ძუის, დანარჩენი ერთი მესამედი - ბამბის.

კარგია, პირველივე შეხვედრაზე გოგონა მეუბნება, რომ თავი ლოგინი ჰგონია. კიდევ მიხსნის, რომ როლან ბარტი

მოსულელო ელემენტი არ არის:

- სუბიექტური გაგებით, დიფრაქციაშია.

კიდევ კარგი, ბრეტელებიანი კომბინეზონი აცვია, ოღონდ ღრმა დეკოლტეთი! აქ კიდევ სამანტაა, ვარდების გამყიდველი. ყველა რესტორანს არის მოდებული. ეს ლილის ტრადიციაა - ფერია დაძონძილი ქვედაკაბით. „პიროგაში“ ვართ, რომის ბარია ასეთი, სადაც ჰგონიათ ვითომ „კაიპირინიას“ გისხამენ (ამ დროს ეშლებათ) და ყველა ერთმანეთს ეხახუნება. მერე „ამნეზიაში“ მივდივართ, ტექნობარში აგურის კედლებით. სანთლებია ყველგან და ჰა და ჰა, ჰეტეროსექსუალი გოგოები ერთმანეთს უზასებენ გამომეტყველებით: „აბა, მითხარი, რა გინდა“… ატმოსფეროს „ბიუსტჰალტერ-ბრეტელ-გადმოგდება“ ჰქვია. რატომ აღმაგზნებს ასე მდედრებს შორის სექსი? რატომ და იმიტომ, რომ მხოლოდ ასე ვგრძნობ სოციალურ ექსკლუზიურობას. ყველა მაგარ ქალაქში მხოლოდ ხმაურიან ბარებსა და სარდაფებში დავდივარ. ხალხისთვის Mum’s ბარში (გეების ბარი) ყველაზე აქტუალური „ლილის 100 ყველაზე მუშა პენისის“ არჩევნებია. კიდევ ვინმე იტყვის, რომ ღამე ძილი ურჩევნია, ისტორიული ძეგლების დათვალიერებას და ა. შ.?..

პარასკევი

კვირის დახვეწილი ხუმრობა: იცით, რა განსხვავებაა თვიურიან ქალსა და ტერორისტს შორის? ტერორისტთან მოლაპარაკება მოსულა.

შაბათი

დღეს არაფერს ვიყიდი. მოძრაობა წსამ (წინააღმდეგობა სარეკლამო აგრესიის მიმართ) მონაწილეებს მოუხმობს დიდი მაღაზიების წინ მანიფესტაციის მოსაწყობად. ჩვენ ცოტანი ვართ, მაგრამ ზუსტად ვიცით, რა გვინდა. ჩვენს წინააღმდეგობას აწვიმს. საწვიმრებიან ხალხს პეტიციებს ვურიგებთ, რომ აღარაფერი იყიდონ მაღაზიებში. გადამღები კამერა უფრო მეტია, ვიდრე მანიფესტანტი. დუგლას კოუპლენდის სლოგანით გამოვდივარ (მისი რომანიდან Generation X): I am not a target of the market! („მე არა ვარ მარკეტის სამიზნე“). აქვს რამეს აზრი? მგონი, მომხმარებელი მივიდა იმ წერტილამდე, რომ გონს მოუხმოს. გაწელე-გამოწელე, ალტერნატივა ასეთია: ან ვაღიარებთ, რომ წარღვნა 2050 წელს იქნება (არაფრის აკრძალვა, გართობა აწყვეტამდე), ან გავჩერდეთ და ცოტა დავფიქრდეთ, რას ვაკეთებთ (ჟებეს უტოპია 2001 წელი). მე ორივეს შეხედულებას ვიზიარებ: ვერსია „დისტროი-სიამოვნება-ეგოისტი“ უფრო მხიბლავს (ფეხმოკლე), ვიდრე „რომანტიკულ-მორალურ-სტოიკური“. ნამდვილი პრობლემა ხომ ესაა: როგორ გავხადოთ ეკოლოგია გლამურული? ნიჰილისტები რომ გავამართლოთ, კეინსის დევიზი მოვიშველიოთ: „ადრე თუ გვიან, ყველა მოვკვდებით“.

კვირა

მგონი, სჯობს, შევწყვიტო აზროვნება. ბევრი ვიფიქრე, სანამ ამ დასკვნამდე მივიდოდი.

ორშაბათი

თუ დანის პირზე დადიხარ, აუცილებლად ჩამოემხობი ზედ.

სამშაბათი

გამბედაობას და ჩემს Nokia-ს მოვუხმე და კლერს დავურეკე. ფუი შენი, ბედი არ მწყალობს. მისმა ბიჭმა მიპასუხა. ასე მგონია, კლოკლო ვარ და „ტელეფონი ტირის“ ვმღერი.

- შენა, დედაშენი მანდაა? უთხარი რა, „დედიკო, ვიღაცა გეძახის“.

- ააა, ოსკარ, შენა ხარ? მოიცა ახლავე გადავცემ ყურმილს.

ლამის მისამღერი წამოვიღმუვლე:

„ტეეეეეეეეეელეფოოოოოოონიიიიიიიი ტიიიიიიირრრიიიიის“, როცა კლერის ხმა შემომესმა:

- რა იყო? რამე დაგავიწყდა?

- ჰო, შენ.

მაგრამ „ტელეფონი აღარ ტიროდა“.

- მისმინე, ჩემთან ახალი საყვარელია. მშვიდობით.

- მოიცა, მოიცა. უშენოდ არ შემიძლია სიცოცხლე.

- უკვე გვიანია. გააჯვი რაა! ტუ-ტუ-ტუ…..

გავიგე ეს და კოიოტივით ავყმუვლდი მთვარის შუქზე. ტელეფონი ბრდღვინავდა, ბოდავდა, წკმუოდა. ბოლოს გაჩერდა. კივილი. დღეს მაგარი იდეებით ვარ დატვირთული.

ოთხშაბათი

ჩვენი ეპოქის მეტრი პონციუს პილატეა. ლაჩარი, რომელიც პასუხისმგებლობას გაურბის, ყველაფერზე ხელს იბანს, გადაწყვეტილება რომ არ მიიღოს. ჰოდა, ასეთები ვართ! ყველანი პონციუს პილატეები ვართ, ბედს შეგუებულნი, მუდმივად მოუცლელნი. სიზარმაცით იმასაც არ ვაღიარებთ, რომ არ გვესმის ამ სამყაროსი. როლან ბარტმა თქვა:

„პონციუს პილატე ის კაცი არ არის, რომელიც ან კის ამბობს, ან არას. ეს ის კაცია, რომელიც სულ კის ამბობს“. გვგონია, რაღაცას ვბოდავთ, სინამდვილეში კი პირში წყალი გვაქვს ჩაგუბებული. თან ვფიქრობთ, რომ სუფთა ხელები გვაქვს.

ხუთშაბათი

„კოროვაში“, ჟან-ლუკ დელასტრიტის რესტორანში, მონაკოს პრინცი ალბერი კლერ ნებუსთან ერთად ვახშმობს, მე - სესილ სიმეონისთან ერთად. ორივე სულ ტყუილად ვკარგავთ დროს: ერთიც და მეორეც თავიანთი კაცების ერთგულები არიან. არდისონი ამბობს, ამ ადგილს Royalty უნდა ეწოდოსო. ეს რესტორანი საჯაროა. ქათამი კოკა-კოლათი მომიტანეს (რაღაც იდიოტობა). სანდრა („უცნობი კახპა“) მიყვება, როცა მიმტანი ვიყავი და ბოლოს ფეხის ქირას ხურდით მიხდიდნენ, ვუბრაზდებოდი და ვეუბნებოდი: „ეეე, ყულაბა ვარ მეეე!“ და მაშინვე ბიკინიში 500-იან ბანკნოტებს მიცურებდნენო. მისი დაქალი მანიუ თავის ძვირფას ძუძუებს თეფშზე აწყობს. კარგი იქნებოდა, მისი თეფში ვყოფილიყავი. ჟან-ივ ბუვიე ზასზე უარს მეუბნება, ჯინ-ტონიკზე - არა. ედუარ ბაერი უარზაზტში დაბრუნდა, იქ „ასტერიქსს და კლეოპატრას“ იღებს. მერე მატის ბარში უნდა მივიდეს სასწაულმოქმედი სითხის დასალევად. ღამის თერთმეტზე სესილი დგება, თავის ქმართან რომ მივიდეს. სკამის იმ ადგილს ვლოკავ, სადაც უკანალი ედო. ტრანზიტიულობის კანონის მიხედვით ორალური სექსი სჯობს, ვიდრე არავინ.

პარასკევი

იდიოტი ბავშვები თავს იკლავენ მაღაზიებშიც „პლესითეიშენ 2“-ისა და „ჰარი პოტერის“ ბოლო გამოცემაზე. შეიძლება ითქვას, საყიდლებზე სარეკლამო პროტესტმა ღლაპებს გვერდით გაუქროლა. ჯერ კიდევ ბევრი საქმეა გასაკეთებელი თინეიჯერების აზრზე მოსაყვანად.

შაბათი

ერთი სული მაქვს, როდის მოგიყვებით ოსკარ დიუფრეზნის მითურ თავგადასავალს მატარებელში. 2000 წლის 25 ნოემბერს შვიდასი მოქეიფე ლონდონში გაემართა ამ მატარებლით. თუ გაინტერესებთ, ორშაბათამდე ცოტა უნდა მოითმინოთ…

კვირა

ყველაფერი შესანიშნავია ქალის სახეზე, თუ ხუთი სანტიმეტრის დაშორებით დგახართ. მაშინვე კოცნა გინდება. ამ ადგილიდან არასდროს ფეხი არ უნდა მოგვეცვალა. გაგრძელება მთლად ასეთიც არ არის. პირველად რომ ვნახე კლერი, არ უნდა მივახლოებოდი ისეთ მანძილზე, რომ მის თეთრ კანს და ძუძუებს შევხებოდი გაზაფხულის ღამეში. დისტანცია უნდა დამეცვა.

ორშაბათი

ნეტავ მახსოვდეს Nigth Trip. თურმე წლის საღამო გამხდარა. მე კი ასე მგონია, Technikart-ის და La Fabrique-ის მიერ დაქირავებულ ევროსტარის მატარებლით ვიმოგზაურე. ბუნდოვნად მახსენდება ზოგიერთი მოღიმარი სიფათი: ივ ადრიენი პოსტატომური ინდური ტიურბანით თავზე, მაზარინ პენჟო, რომელიც ადრე მოტყდა (ნუთუ Elle-სთვის სტატია უნდა დაეწერა?), ჟაკნო კონტრაბანდული ღვინით, პატრიკ ოდელინი და ან სკოტი (დღევანდელი რომენ გარი და ჯინ სიბერგი). დონ კარლოსის ორკესტრი La Bamba-ს უბერავდა ორ სეტსა და დიჯეის დაუნტემპოს შორის. ლონდონის ღამე ბუნდოვნად მახსოვს. ჰოოო, ის გამოფენა შორსმჭვრეტელური სახელწოდებით Apocalypse, მერე სამსართულიანია ღამის ბარი. ზოგიერთ ძველ კარგ დისკს უკრავდნენ (When I’m with you da To cut a long story short). ბალიშებიან დივანზე ვეგდე და ვწრუპავდი. მერე ქეჩ ლე მული გამოვიდა გიიომ ალარისთან, მოდის ჟურნალის რედაქტორი ქალიც საიდანღაც გაიჩითა და საკაიფოდ დამიწყო კოცნა, თან ჩემს სირს ეხებოდა. მერე იყო ავტობუსი. ჩამეძინა. მერე უკან დასაბრუნებელი მატარებელი და მეტი აღარაფერი. დიდი შავი წერტილი. ამას „კოლაფსს“ ეძახიან… თუ ლამანშისქვეშა არხს ხომ არა?

სამშაბათი

გვირილებს ფურცლებს ვახევ და კლერზე ვფიქრობ:

- კლერი იდიოტია, კლერი ცოტათი იდიოტია, მაგრად იდიოტია, თავდავიწყებით, სიგიჟემდე, საერთოდ არ არის იდიოტი.

მთლიანად მომიცვა ამ ტკივილმა. ვერ ვივიწყებ. რამდენჯერაც დავინახავ, იმდენჯერ ნაკლებად მიმზიდველად მეჩვენება. მაგრამ რაც უფრო იშვიათად ვნახავ, ბევრად უკეთესია. ვულგარულია, ხმაურიანი, გიჟი, ძალიან ხმამაღლა იცინის, უგემოვნოდ იცვამს, ღარიბი მარლენ ჟობერი, თითქოს ოდნავ ნიკოლ კიდმანსაც წააგავს, შუა ზამთარში საბოები აცვია, მისი სასაცილო მანქანა სავსეა ბავშვის საჯდომებით, ორი ბავშვი ჰყავს ორი სხვადასხვა მამაკაცისგან, შერეკილივით იცის სიყვარული, ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ მიყოლებით და მაინც არ ჰყოფნის, შუა ხმარების დროს კივის, ვერასდროს ნაყრდება და თან, ჰოი, როგორი სკეპტიკურია, არაფერი ართობს, სევდიანია…მენატრება კლერი. რამდენჯერაც მივატოვე, იმდენჯერ დავცარიელდი. კვალი დატოვა ჩემს ცხოვრებაში. ისეთი იშვიათია, ვინმე სიყვარულის სენად შემყროდეს…

ოთხშაბათი

SMS-ები ურთიერთობების მოდური წესია. ყველა წერს პატარა ტექსტებს მობილურ ტელეფონებზე. ისევ დეპეშებს, ეპისტოლარულ ჟანრს და „საშიშ ურთიერთობებს“ ვუბრუნდებით. აი, მაგალითად:

თავი მომაბეზრე…

შენი ხელები მენატრება…

ჩემი ტუჩები შენს სხეულს ეძებს…

Ich liebe dich.

შენზე ტრუსში ვისველებ…

იმდენი წლის ვარ, რამდენიც შენ გინდა. ჩემი სახელია, რაც შენ მოგწონს…

ხვნეშა მინდა… შენ არა?..

ჰო, კარგი, კარგი. შეიძლება ეს მთლად შოდერლო დე ლაკლო არ არის, მაგრამ ჯერ კიდევ წინ არის გზა. ამ პატარა მესიჯების სისწრაფე და ინტიმურობა გრძნობებისა და სურვილების გადაჭარბებას უწყობს ხელს. გუშინ ერთი მეგობარი გოგო წუწუნებდა:

- დავიღალე ამ სასიყვარულო მესიჯებით!

ხუთშაბათი

საფრანგეთში უდიდესი რევოლუცია ხდება და ამაზე არავინ ლაპარაკობს! ეროვნულმა ასამბლეამ ოფიციალურად ნება დართო ვაზექტომიას. სურვილისამებრ ოსკარ დიუფრეზნის მზარდ ლეგიონებს ამიერიდან შეუძლიათ სტერილურები გახდნენ და ქალთან ყოფნის მერე მშვიდად იყვნენ, არანაირი ბავშვი. ო, რა ბედნიერებაა! რა სიხარული! ბოლოს და ბოლოს, ეგოისტები რეპროდუქციას შეწყვეტენ. აბა, როდის აანაზღაურებს ვაზექტომიას ჯანმრთელობის სამინისტრო?

პარასკევი

ვალერი ლემერსიემ თქვა:

- ჯერ ახალგაზრდა ვარ და დარჩენილი წლები მინდა გავატარო შეკითხვაში - „ეს რა ღირს?“

ეს ჩემი თაობის პრობლემაა. მიგვიფურთხებია იმ ცხოვრებისთვის, რომელიც ჩვენს მშობლებს უნდოდათ ჩვენთვის. მათნაირები ვართ: არც ჩვენ გვსურს დავემორჩილოთ ვინმეს ან რამეს, მაგრამ ზარმაცები ვართ და ზედმეტად თავის შეწუხება არ გვინდა.

შაბათი

VIP Room-ში რობი უილიამსის გვერდით ვზივარ. ზოლებიანი კოსტიუმი აცვია ბანკირივით. ეს კარგი ამბავია: დღეს თუ როკვარსკვლავები კარიერის მწვერვალზე მყოფ ახალგაზრდებივით იზმანებიან, ესე იგი, მეც შემიძლია ოთხმოციანი წლების მოძველებული გარდერობი გადმოვქექო და ვარსკვლავს დავემსგავსო.

კვირა

ერთი რამე აღმოვაჩინე: თუ გინდათ, უფასოდ ჭყლიტოთ ძუძუები, უნდა თქვათ, რომ ნაოპერაციებია. გოგოები საშინლად ბრაზდებიან. უცებ მაისურებს იხდიან და გთავაზობენ, თავად მოსინჯოთ თუ ეს მართალია. მაშინვე არ დაუთმოთ. ნამდვილი პროფესიონალივით უნდა მოიქცეთ. უთხარით:

- კარგად გაუკეთებია… უყურე შენ, საერთოდ არ იგრძნობა სილიკონი.

- სულაც არა! ეს ნაღდია! უკეთ შეეხე!

უფასო სტრიპტიზი და სარძევე ჯირკვლის თომარი გარანტირებულია. მადლობა ვის?

მადლობა, ოსკარს!

ორშაბათი

რა კარგი იქნებოდა, რამე საინტერესო გადამხდენოდა დღეს. ყველა მოგებული დარჩებოდა.

სამშაბათი

მეგობრის პატარა და „ჩენთან“ მიმყავს (ყველაზე კარგი ჩინური რესტორანი პარიზში). მენიუში ჩაიხედა და შეჰყვირა:

- რამხელა არჩევანია! პირდაპირ სტრესი მივიღე!

რაც დრო გადის, ახალგაზრდები უფრო და უფრო უცნაურად გამოხატავენ ემოციას. მაგალითად, მე აზრზე არა ვარ, უკუღმა როგორ ვთქვა „ანტიკონსტიტუციურად“. სადილი ჩაგვიფლავდა. საუბრის თემა ვერ გამოვძებნეთ. კლერის მერე თავს ზედმეტად ვიცავ. სწორედ ამის გამოც დავკარგე. რამდენადაც უფრო შემეშინდება ქალებთან ურთიერთობა მოსალოდნელი გადასატანი ტკივილის გამო, მით უფრო ნაკლებია შეყვარების შანსი. ხანდახან მიფიქრია, ასეთ საუკუნეში სიყვარული და შეყვარებულები აღარ იარსებებენ. რა საჭიროა? ჯავშნიანი თაობა მოდის. მწერების სამყარო. ჯაქვისპერანგიანები. სიყვარული - რამდენი ნაწილისგან შედგება?

ოთხშაბათი

სტრასბურგი ამსტერდამია ჰაშიშის თავისუფლად გაყიდვის გარეშე (მაგრამ ელზასური ღვინო, რამდენიც გინდა, გულო და სულო). მარილიანი ჩხირებით ვსუსნაობ და ევროპაზე ვფიქრობ. გოტიკურ ქალაქებში სიმთვრალეც უჩვეულოა. ვერცხლისფერწყლიან არხებში ხეებით გაწყობილი სახლების ფასადები და ესტონელი მეძავი დიაცების ბარძაყები ირეკლება. Living Room-ში (ბალაიერის 11 ნომერი) „ბურჟუაზიული წარსულის“ მქონე ყალბი სამკაულების ბდღვრიალა ატმოსფეროა. ჩემთვის ვღიღინებ You are my high. მჯდომარე ბევრის დალევა საშიშია: ეფექტს ადგომისას ამჩნევ. ფეხის გადადგმა შეუძლებელია, ანუ ისევ ჯდები. ამ დროს ნამდვილი პრობლემა იწყება. შუკრუთის მირთმევის მერე „ავიატორში“ (ამ ბარის მისამართი დავკარგე) ჩავფრინდი. რატომაა, რომ ყოველთვის უნდა აირჩიო ქერას, შავგვრემანსა თუ წითურს შორის? მე იქნებ ქერშავი გოგოს არჩევა მინდა, ან ქერა-წითურის?! უკვე დილის შვიდი საათია. ისევ არ ამიდგა. ამ დროს პროლეტარიატი სამსახურში წასასვლელად დგება.

ხუთშაბათი

ერთი ამერიკელი გოგო მკოცნიდა და მის ლოგინში ვგორაობდით, თან ავრილ ლავინის ალბომს ვუსმენდით. საუკეთესო სიმღერებია მე-3 და მე-10. დღეს სიმღერების სახელები კი არ გვაინტერესებს, არამედ მარტო ნომრებსაც ყაბულსა ვართ. მერამდენეა სიმღერა, დისტანციურით დასაყენებლად უფრო პრაქტიკულია. ამერიკელი თავის ქორწინებაზე მიყვებოდა, როგორ მოსწყდა მუცელი… მე ოქროსფერ მხრებსა და ლამაზ ხელებზე ვკბენდი. ვლოკავდი, როგორც ნაყინს და ჩემთვის ვფიქრობდი: „თავს გაუფრთხილდი, ძვირფასო“, ტაკე ცარე. ახლაც იმავეს ვიმეორებ და ძალიან მწყდება გული, ტელეფონის ნომერი როგორ არ გამოვართვი. ამერიკელები ყველას ეუბნებიან take care. მე ეს ფრაზა უფრო ინტიმური მგონია, ვიდრე I love you. თავს გაუფრთხილდი, რადგან უკვე ვეღარასდროს გნახავ. სევდიანი ერთი ღამის ისტორიები, მაგრამ სასიამოვნო. ისეთი ჟესტების არ გვრცხვენია, რომლებსაც, როგორც წესი, სხვა შემთხვევაში თვეები ვერ ვბედავთ. სხვა ენაზე უფრო

ვბედავთ გარყვნილი ფარზების თქმას: Give me your pussy, Lick my balls, I want your ass, swalloooooow! მორიდება ეფემერასავით ქრება. რომ მცოდნოდა, ყოველდღე ასე იქნებოდა, უფრო იშვიათად გავათავებდი.

ზამთარი

კამკამა სიჩუმე გაჩირაღდნებულ წყლებში

პარასკევი

პოპულარული ხდები თუ არა, გოგონებს უფრო ადვილად აბამ. უფრო ზუსტად რომ ვთქვა, პოპულარობა აშინებთ, უხერხულ მდგომარეობაში აგდებთ, თქვენსა და მათ შორის კედელს აღმართავს და ხელში გრჩებათ მხოლოდ კარიერისტი კახპები, ინტერესიანი ბოღმები, შურიანი ღვარძლიანები, გიჟი კომპლექსიანები. ჩემი ბოლო რომანი გაყიდვით პირველ ადგილზეა. როცა არავინ მიცნობდა, ვინმესთან მიახლოებას ვერ ვბედავდი. ახლა ყველა მიცნობს, მაგრამ ვერ მიახლოვდებიან. მივხვდი, რომ პოპულარობა ნაჭუჭში გამწყვდევს, გბოჭავს, გივიწროებს ცხოვრებას: მოკლედ, ციხეა რა! ჟესტები თავისუფალი აღარ არის, არც საქციელი. საკუთარ თავს უნდა ჰგავდე მხოლოდ. ბევრი ცნობილი ადამიანი საზღვარგარეთ გარბის საცხოვრებლად. ყელში აქვთ საკუთარი თავის როლის თამაში, საკუთარი იმიჯის გამართლება. იყო პოპულარული, ნიშნავს, ბევრ რამეში იყო ლიმიტირებული.

შაბათი

პენელოპას ტელეფონი ვიბრაციაზე აქვს ჩართული. ვიფიქრე, ზარიანი ვიბრატორი ხომ არ მეჩუქებინა-მეთქი?..

კვირა

ვინმეს რომ შეუყვარდე, ოცდაჩვიდმეტი მეთოდის გამოყენება კი არ არის საჭირო: საკმარისია, მოაჩვენო, რომ ფეხზე გკიდია. უტყუარი ხერხია. ქალიც და კაციც ერთია: იმაზე კარგავენ ჭკუას, ვისაც არ აინტერესებს. კლერი იმიტომ მიყვარს, რომ არც კი თამაშობს, მართლა ფეხზე ვკიდივარ. უფრო სწორად, უნდა მეთქვა: საშინლად ვკიდივარ.

ესაა სიყვარული: ვინც ყველაზე მეტად გიყვარს, იმას სრული ინდიფერენტულობა უნდა აჩვენო. გულის ძგერა დაუმალო, ითამაშო „სულერთია“, პირიქით თქვა, რის თქმაც გულით გინდა. პრინციპში, სიყვარული დიდი მამაძაღლობაა.

ორშაბათი

ნამდვილი ვამპირი ვარ. სხვების ცხოვრებას ვითვისებ, მერე სხვები რომ დავაჯერო, ჩემია-მეთქი. სისხლს ვწოვ. ამ დღიურზე მინდობილობა მაქვს აღებული. სასწრაფოდ უნდა ჩავეწერო სექსუალურად ინტოქსირებულების კლინიკაში. ვერაფრით ვმშვიდდები. ამ სიშმაგისგან თავს ვერ ვიხსნი. ერთადერთი ადგილი, სადაც წყნარად ვარ, ტაქსის უკანა სავარძელია, სადაც ბავშვობის დროინდელ ტყავის სუნს შევიყნოსავ და თან ვღიღინებ The Troggs-ის Love is all around-ს.

სამშაბათი

თჰე ბესტ-ების პრემიის გადაცემის ცერემონიალი სასტუმრო გეორგე ვ-ში. გიუნტერ საქსი რეჟინს ესაუბრება. ამ უკანასკნელმა პირობა დადო, ამ საღამოს არავის გავაწნი სილასო. ახალი „მის საფრანგეთი“ ცოტა ზედმეტად გაბადრულია. უნდა გაეფრთხილებინათ, კარგი, გეყო, არჩეული ხარ, აღარ არის საჭირო შერეკილივით სიცილიო. ალექსანდრ ზუარიც აქ არის: სადაც დავინახავ, თავი ფილმ ჟეტ შეტ-ში მგონია. ეგეც კიდევ რაა! რაც თავი მახსოვს, სულ ამ ფილმში თამაშობს. უნდა აღვნიშნო, რომ ეს ფილმი, უჰ, უკაცრავად, ეს სადილი წიგნის სათაურის ეპონიმის, მასიმო გარჯიას ორგანიზებულია. საუკეთესო მეგობრებმა „გრეტა გარბოს ქალი“ შეარქვეს. სტეფან ბერნი ქილიკობს:

- ვალენტინოსა და ლიზ ტეილორის ორეულები დაპატიჟა, მაგრამ რა უბედურებაა, ნამდვილ ჯინა ლოლობრიჯიდას რაღას პატიჟებდა?!

ურსულა ანდრესმა ელეგანტურობის დიპლომი გადმომცა. გაკვირვებულ ადამიანს ვთამაშობ, მაგრამ მე ხომ კარგად ვიცი, რომ დამსახურებულად მივიღე. კაროლ ბუკე სულ წითელია. რცხვენია, ასეთ საღამოზე რომ არის მოწვეული. ვიღაცამ თქვა:

- ამაზეც ისე აგიდგება, როგორც სარეცხ მანქანაზე.

რა იდიოტობაა, გაწურვის რეჟიმში მანქანამაც შეიძლება გასიამოვნოს.

ჟან-ჟაკ შული და ინგრიდ კავენი ჩემს მაგიდასთან სხედან (მომავალ რომანში ჩემზეც დაწერენ ნეტავ?). მასიმო გარჯიამ ვიღაცა ჭკუიდან შესაშლელი შავგვრემანი გოგონა გაგვაცნო:

- გაიცანით ნინა. იტალიელია, 21 წლის. სულ ახალია.

ნინა ხშირად დგება მაგიდიდან. ან კოკაინს იყნოსავს, ან სულ ეფსია. ბეატრის დალი აღარ მალავს ტატუს. გავახსენდი (ერთხელ ინტერვიუ ავიღე მისგან). ვეკითხები, როგორ ბრძანდებით-მეთქი. „ცუდად“ - მპასუხობს. მიყვარს ისეთი ხალხი, საშველად ზრდილობიანად რომ გეძახიან. კრისტინ დევიე-ჟონკური ამბობს, თეატრში ვიმუშავებდიო.ა

- როგორც ბერნარ ტაპი?

უპსს, ეგ აღარ უფიქრია. იფიქრებს… ერთადერთი შემთხვევაა, როცაფრედერიკ ტადეი არავის იღებს. რა მოსაწყენია: აუცილებლად იტყვის ვინმე რაღაც სისულელეს, იდიოტურად მოიქცევა, ამას კი ვერავინ ნახავს! მე პირადად, სიტყვასაც არ ვძრავ, ვინმე თუ არ იღებს. სხვათა შორის, დარწმუნებული ვარ, კამერები რომ გამორთონ, პლანეტაზე სიჩუმე დაისადგურებდა.

ოთხშაბათი

ძალიან რომ არ შემომიძვრეს ნინა, ვეუბნები, ჩემს ლოგინში ხაფანგია-მეთქი.

- გეფიცები, ღამის 4 საათზე აფეთქდება. მა-ლე უნდა წა-ხვი-დე!

იმუშავა ტყუილმა: მაშინვე გაშპა. წავიდა და გული დამწყდა, მისი სურნელი მომინდა. მაგრად ესმოდა ზასი. ენა კბილებზე ისე ჰქონდა მობჯენილი. ოფლს იწმენდდა და მეჩურჩულებოდა, თითქოს ქათინაურს მეუბნებოდა:

- Oscar, you are so selfish…

რა მინდოდა?! ნამდვილი ავადმყოფი ვარ. მართლა ღირსი ვიქნები, ლოგინი ღამის 4 საათზე აფეთქდეს!

ხუთშაბათი

ამფიბია ვარ. ჩემი ინტელექტუალური კოეფიციენტი წყალშია. ეს ტექსტი ჩემს Nokia-ზე მოვიდა. შემდეგი უფრო სასიამოვნო იყო:

- უფლის გზასყველა ვერ გაუგებს, ჩემსას - კი. ლინდა.

მინდა მომწონდეს, მაგრამ თავს ვერ უბრძანებ. ხომ არ დავბერდი უკვე?

პარასკევი

ამ საღამოსაც მასტურბაცია. ისეთი პრაქტიკულია… მანუელ დიუფრეზნი უნდა დავირქვა.

შაბათი

შობის საღამოს დეპრესია მეწყება. ყველა ნაძვის ხის გარშემოა. თოვლის პაპა ნამდვილი საოჯახო ნაგავია.

კვირა

ბარში მარტო. უწვრილშვილო მარტოხელა ერთ ჭიქა არაყს უკვეთს. ბარმენი პასუხობს:

- მოხიტო არ გირჩევნია? უცებ არ დაგარტყამს.

ეს პატარა ადამიანიც ღელავს, ცუდად არ გავხდე.

- ნუ გეშინია, ერთი ჭიქა ათი წუთი მეყოფა.

ორშაბათი

შობის დეპრესიას რომ გავექცე, მსოფლიოში ყველაზე ლამაზი სასტუმროსკენ გავრბივარ:

The Datai ლანგკავიშია. ეს პატარა კუნძული მალაიზიის ჩრდილო-დასავლეთშია, ტაილანდის ქვეშ. რამდენიმე საუცხოო ვილა მიმობნეულა თეთრი ქვიშის პლაჟზე. გარშემო ეგზოტიკური ტყეა, საიდანაც მაიმუნების უცნაური ხმები ისმის. თავი „ტარზანში“ გეგონება. ყველაფერი დახვეწილი გემოვნებით არის გაკეთებული, ტურისტების გარდა. პრინციპში, განა მართლა ყველაზე ლამაზი სასტუმროა მსოფლიოში? არა, ყველაზე ბურჟუაზიულია. გასულ თვეს აქ ჯუდი ფოსტერი იყო, ფილ კოლინზიც. შირაკიც კი ჩამოვიდა (უფრო ფარულად, ვიდრე მავრიკის „როიალ პალმზე“). პლაჟზე ახალი გასული ვიყავი და ვინ დავინახე? „ოაზისის“ ნოელ გალაჰერი! მისი ახალი საცოლე მეგ რაიანს ჰგავს. ნოელ გალაჰერი ვიეტნამურებში! მაგრად ასწორებს, გაექცე შობის ღამეს და პლანეტის მეორე მხარეს მაინც გადააწყდე თოვლის პაპას.

სამშაბათი

თექვსმეტი საათი მეძინა. როცა ცხელა, ტურისტი წყალში ჩადის გასაგრილებლად. მაგრამ რა უნდა ქნას, როცა წყალიც ცხელია? ეს სამოთხე ჩემმა გურუმ, ელიზაბეტ ქუინმა მირჩია. ამას წინათ ვეუბნებოდი ზუსტად, აზიური კინოს ისეთი დამცველი ხარ, თვალები დაგიწვრილდა-მეთქი. იცით, რა რეაქცია ჰქონდა?

- მირჩევნია, თვალები დამიწვრილდეს, ვიდრე დამინაოჭდეს.

გამეღიმა მის გონებამახვილობაზე. ინდონეზიურ საუზმეს შევექცეოდი პლაჟზე. ორ კვირაში ამ ფრაზის მშვენიერი გაგრძელება მომივიდა თავში:

- მე ნაცისტი კი არა ვარ, მე ნასი გორენგი ვარ.

ციცქნა და ყვითელი ჩიტები ჩემს თეფშზე ნაზად კენკავენ.

ოთხშაბათი

დაწოლისას თეთრი ვარ, წითელი, როცა ვიღვიძებ. დიდ დროს ვატარებ მზეში კითხვაში. მწერებს ფეხს ვაბიჯებ და ვსრეს (წითელ ჭიანჭველებს, ქვიშის პატარა კიბორჩხალებს, ცეროდენა ობობებს, მკვდარ ფოთლებს, რომლებიც სინამდვილეში ცოცხალი პეპლებია… და კიდევ ბევრ არაიდენტიფიცირებულ სახეობას). ნოელ გალაჰერი წავიდა. სამწუხაროა, ვერ მოვახერხე და ვერ ვკითხე, რისი თქმა უნდოდა: Babyyyy/ You're gonna be the one that saves mee/ and after aaaall/ You're my wonderwaaaall რაც, წესით, უნდა ნიშნავდეს: „შენ ოცნების კედელი ხარ, რომელიც გადამარჩენს?“, საოცარი დამთხვევები ცხოვრებას იდუმალს ხდის და ერთი საათის მერე პატრიკ ბესონის წიგნში „ზოგიერთი მელანქოლიისთვის გასაგები“, ასეთ რამეს ვკითხულობ: „მას არ უყვარდა ქალები, მათი სჯეროდა. ერთი მართალია, ერთი მათგანი - ერთ-ერთი მილიარდიდან - ოდესმე უშველიდა. ამ ქვეყნიდან წასვლამდე ასეთის პოვნა სურდა“.

ხუთშაბათი

ფრანგული გაზეთებიდან გავიგე, ალფრედ სირვენისგან ბანკნოტებით სავსე ჩემოდანი რომ მიიღო, კოდური სახელი „ოსკარი“ უნდა აკრიფო. საკმარისი ყოფილა Elf-ში დაგერეკა და გეთქვა: „ოსკარისგან სერვისი მსურს“, ჟენევიდან ოქროს ზოდები რომ მიგეღო. რა სასიამოვნოა, ასეთი კოდური სახელი რომ მქვია. მაგრამ ჩემი მკითხველები უნდა გავაფრთხილო, სისტემა აღარ მუშაობს. თუ დამირეკავთ და ოსკარს სთხოვეთო, მეტყვით, იცოდეთ, ერთ სანტიმსაც ვერ მიიღებთ! თუმცა… თუ

კარგად დავფიქრდები, თუ ახალგაზრდა, მშვენიერი ქალი ბრძანდებით, ნუ მოგერიდებათ, მომწერეთ. შეიძლება „ოსკარის სერვისს“ გამოჰკრათ ხელი……. (არასდროს მესმოდა, რატომ უნდა დავწერო სამი წერტილი, როცა შეიძლება თორმეტის დაწერა ნაგულისხმევის გასამძაფრებლად.).

პარასკევი

ამ მუსლიმანურ ქვეყნებში ისევ არ ამიყვანეს მძევლად. უკვე ვბრაზდები.

შაბათი

ვგიჟდები, ისე მომწონს მალაიზიური სახელმწიფოს ლიდერის გვარ-სახელი: სალაჰიდინ-აბდულ-აზიზ-ალჰაჯ-იბნი-აჰმარუმ სულთან ჰისამუდინ ალამ შაჰ ალჰაჯ. „გაუმარჯოს, რა გქვია?“ ალბათ, იშვიათად დადის ღამის ბარში ქალების შესაბმელად.

კვირა

მომავალ კვირას კუალა-ლუმპური by night-ის შესახებ მოგიყვებით…….

ორშაბათი

თუ ნიუ-იორკი სულ ფეხზეა, კუალა-ლუმპური სულ გაჩირაღდნებულია. ვიტრინიდან Petronas Twin Towers-ის (მსოფლიოში ყველაზე მაღალი ცათამბჯენი) სიდიდის ბრილიანტი იჭყიტება. გიგანტურ კომერციულ ცენტრებში მთელი შორეული აღმოსავლეთისთვის თავმოყრილია „პრადა“, „გუჩი“, „შანელი“, „ერმესი“. მონტენის პროსპექტი მთელ მსოფლიოშია. Ra City Bar-ში სელინ დიონს უნიჭოდ მღერის ვიღაც. აქ კარაოკე ისევ მოდურია. სინგას (ლუდი) ვსვამ ფხუკეტზე ნოსტალგიით. გარეთ „ლ'ორეალის“ გიგანტური აფიშაა გაკრული. ვირჟინი ლედუაიენი 30 მეტრი სიმაღლისაა. იცით, როგორ ჟღერს „იმიტომ, რომ მე ამად ვღირვარ“ მალაიზიურად? Kerana diriku begitu berharga. ვინ წავიყვანო Regent Hotel-ში? ბაცკ ღოომ-ის ოფიციანტი თუ Liquid Club-ის კახპა? არც ერთი და არც მეორე. ამ საღამოს სასტუმროს ნომერში ავალ გემრიელ ფრანგთან ერთად, რომელსაც დელფინ ვალეტი ჰქვია. გიიომ კანე ვარ ფილმში თჰე ბეაცჰ, ოღონდ დი კაპრიოს გარეშე და ვერავინ დამაწერს ჩემს ფრანგს.

სამშაბათი

პარიზში დაბრუნება კუალა-ლუმპურის მერე ერთი საუკუნით უკან დაბრუნებას უდრის, მაშინ, როცა მსოფლიო ახალ ათასწლეულში გადადის. საათობრივი „კოპირება“ მჭირს. აღარ ვიცი, როდის დილა მშვიდობისა ვთქვა, როდის - საღამო მშვიდობისა. ცხოვრება რომ გავიმარტივო, ვამბობ - „ახალ წელს გილოცავთ“. ხალხი კმაყოფილი ჩანს.

მერე შემიძლია მაგიდაზეც ჩამოვიძინო და კამკამა სიჩუმეში გაჩირაღდნებული წყლები დავინახო.

ოთხშაბათი

ვერაფრით ვგრძნობ ამ ახალ წელს. კუბრიკმა ამაზე უკვე გვიამბო „ყველა განზომილებაში“. მთვარეზე შავ ქვას იპოვიან, ყველგან მაიმუნები იცხოვრებენ, საორბიტო სადგურები ვალსს იცეკვებენ, კომპიუტერი აფეთქდება და დასასრული რაღაც გაუგებარი იქნება. უკეთესად ვიგრძნობდითავს, პირდაპირ 4001 წელში რომ მომახვედრა (თუ არ იჩქარეთ კალენდრის შეცვლა, ალბათ, ვერც ერთი ჩვენგანი ვერ იხილავს 4001 წელს).

ხუთშაბათი

ისევ ელიტურ სადილზე ვარ დაპატიჟებული Hôtel d'alsace-ში. საღამო კიდევ ერთ ოსკარს (ოღონდ უაილდს) ეძღვნება, რომელიც ამ სასტუმროში ცხოვრობდა. იმ ოთახში გავიხადე ტანთ, სადაც ის უბედური გარდაიცვალა. „პენუარში“ ჩავედი სავახშმოდ - ფოტოგრაფებს ჩემი ვიზუალი - გაყიდონ და პური ჭამონ. როგორ ასწორებს ნაჩუქარი სადილები. როგორც კი ვინმე გამდიდრდება, ფულს აღარ იხდის. ერთ უფასო სადილს მეორე სპონსორიზებული საღამო ცვლის. რა საჭიროა მდიდრების ფულის დახარჯვა, ეს ხომ ძალიან ლოგიკურია!.. რესტორანში რითი ვხვდებით, რომ ესა თუ ის პიროვნება მდიდარია? ის ერთადერთია, ვინც არ იხდის (ან პრესატაშემ დაპატიჟა, გალა-ში რომ მისი ფოტო გამოჩნდეს, ან რესტორნის მფლობელია).

პარასკევი

მე სახალხო დონ ჟუანი ვარ, „პრიზმა ჯგუფის“ კაზანოვა. ჩემი პრობლემა თავდავიწყებით შეყვარებაა, თუ მთვრალი ვარ. აი, იმ გოგონების სია, ვინც მე მხიბლავს: ლუიზი, კაროლინი, ალექსანდრა, ლეტისია, ლეა, ნიკოლი, ევა, საბინა, ნინა, ელენა. „რატომ უნდა გიყვარდეს იშვიათად, რათა მართლა გიყვარდეს?“ - კითხულობს ალბერ კამიუ „სიზიფეს მითში“. აუცილებლად უნდა გავაგრძელო სმა!

შაბათი

Over Side, შერშ-მიდის ქუჩა #92. პარტნიორების გამცვლელთა მცოდნეების ახალი კლუბია. რაღაცით კასტელის ჯგუფს ჰგავს მესამე ათასწლეულში. გოგონები მთლად ქორფები და ლამაზები არიან. მამაკაცები უკანასკნელ მოდაზე არიან გამოწყობილი. კლუბ BCBG-ს ერთი რამით თუ ჩამოუვარდება: აქ, იმის მაგივრად, რომ იცეკვონ, ერთმანეთს ხმარობენ. ელეგანტური ტანისამოსის გარეშე, ცოტა არ იყოს, რთულია. ტიერი არდისონმა ზუსტად თქვა:

- XXI საუკუნეში მოედანზე ცეკვებს მოედანზე ხმარება შეცვლის.

კვირა

მკითხველი მეკითხება, რატომ არის ოსკარ დიუფრეზნი პოპულარული? რას აკეთებს ცხოვრებაში? მხოლოდ წერს? საიდან ამდენი ფული? ქუჩაში გამვლელები რატომ ართმევენ ავტოგრაფს? ვპასუხობ, ახლა ადამიანები ერთ წუთში მდიდრდებიან და წარმატებაც მალე მოდის. თავი რატომ უნდა გავიმართლო? მე თავად უსამართლობა ვარ!

ორშაბათი

სიყვარული მეტეოროლოგიასაც ცვლის. წვიმს, ნაღველი შემოგაწვებათ. მობილურში ნომრებს ეძებთ. ჩერდებით იმ ქალის სახელზე, ვისზეც გაიფიქრეთ და, ჰოპლა! დააჭირეთ და მოპასუხეს მესიჯს უტოვებთ: „ახლა შენზე ვფიქრობდი“. უცებ მზე გამოდის ღრუბლებიდან, წვიმაში ჩიტები გალობენ. თქვენ ჯინ კელივით ცეკვის ილეთს აკეთებთ (უკეთესადაც კი). აუჰ! რას გიყურებენ გამვლელები… შეიძლება -12 გრადუსი იყოს გარეთ, თქვენ კი გცხელათ: ავტომოპასუხეში მისი ხმა გაიგონეთ…

სამშაბათი

ვიღაც ტიპი მაჩერებს ქუჩაში და მეუბნება, რა სასიამოვნოდ წერთო. მადლობას ვუხდი და რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის მერე ვფიქრობ, აი, სად არის ჩემი პრობლემა: სასიამოვნოდ ვწერ თურმე… როდის უნდა დავწერო კარგად?

ოთხშაბათი

ამ ბოლო დროს რატომღაც ყველა გადაირია გაუგებარ ტომას პინჩონზე. მატყუარა!.. ჰოლდენ კოლფილდს, ჯ. დ. სელინჯერის (კიდევ ერთი განდეგილი ამერიკელი) „კლდის პირას, ქვავის ყანაში“, სამი ტიპის ადამიანები ხვდებიან: bastards, jerks, phonies. კაცობრიობა სამ კატეგორიად იყოფა: ნაბიჭვრები, ბრიყვები და მატყუარები. შეიძლება სხვა თვისებებიც დავუმატოთ. დარწმუნებული ვარ, სელინჯერი გვითვალთვალებს და ხშირად დაგვცინის თავისი კორნიშული ქოხიდან, მასაჩუსეტსში.

ხუთშაბათი

ბიუსის ქუჩის გაზეთების გამყიდველი მთელი ხმით გაჰკივის, Monde-ის ნომრები რომ გაყიდოს:

- რავალიაკმა ანრი IV მოკლა!

ერთ წამში ხალხი დაეხვია და მისი გაზეთების დასტა თვალის დახამხამებაში გათავდა. ხომ ხედავთ? პრესას ყოველთვის სჭირდება სენსაციური ამბავი.

პარასკევი

Queen-ის სადღესასწაულო პროგრამაში რამდენიმე მოდური აბრევიატურაა:

დგდ - დიორის გამომწვევი დეკოლტე

თგ - თითქმის გაპარსული

გღმ -გამჭოლი და ღრმა მზერა

ხშ - ხვალ, შემდეგ

წბ - წინდების ბარი

შაბათი

ტიერი არდისონის დაბადების დღე კლუბ Candelles-ში (პარტნიორების გაცვლის კლუბი, სადაც მაგრად ათბობენ, გახდა სწრაფად რომ შეძლოს კლიენტურამ). საოცარ გარდამავალ ფერებში გამოწყობილი ქერა გოგო ამოვიღე მიზანში.

- რა გქვია?

- ელზა. როგორც „ზელდა“, ოღონდ პირველი ასო „ზ“ რომ მოაშორო და ასო „დ“ შეცვალო ასოთი „ზ“.

- Just call me Scott. იცი, ერთ წამში რომ შეგახრამუნებ?

- იმედია…

კიდევ კარგი, ელიზაბეტ ქუინმა მომისწრო:

- მე ვუდი ალიენე ვარ.

- ეს კლუბი ანტიკურ რომს ჰგავს, მაგრამ რომანტიკულობა აკლია.

- ქვედაკაბით მოვედი, რადგან ჩახდა უფრო ადვილია, - ამბობს ელზა, - ვინმეს ხომ არა აქვს პრეზერვატივი?

ხელს მკიდებს და დერეფნის ბოლოსკენ მიმაქანებს. რამდენიმე უხერხული წამის მერე:

- რა? არ შეგიძლია?

- არა! შეყვარებული ვარ.

კვირა

„ადრე მიდგებოდა ქალებზე. ახლა ვეღარაფერს მიხერხებენ“. ნერვები მეშლება: კვირის ფრაზა მე არ მეკუთვნის, მუაქსისაა.

ორშაბათი

გადავწყვიტე, გამოვიგონო „ანტიყურადღების მისაპყრობი“, რომელიც ახალ „ყურადღების მისაპყრობს“ მისცემს დასაბამს. განსაკუთრებული კვირეულის ინაუგურაციას ვაწყობ: „ფრანგული გადასაკარგავი“. დღეს, მაგალითად, „ბალტოში“ ერთი ჭიქა დავლიე, სიგარეტის ბოლით გაბუღულ კაფეში, პორტ დე კლინიანკურში. „მორპიონიც“ გადავფხიკე, მაგრამ ვერაფერი მოვიგე. მომავალი წლისთვის ახალი ლიტერატურული პრემიის დაარსებაზე ვიფიქრე: „ბალტოს პრემიას“ დავარქმევ. ქუჩაში სიარულის დროს საგაზეთო კიოსკებში Le Parisien-ს ავუარე და Djihad ვიყიდე, შაშ-ის ბოლო გამოშვება.

სამშაბათი

ჩხუბის მერე ლუდოს ცოლი შინ დაბრუნდა. ლუდო ცუდ დღეშია: ჩემთან ერთად ხომ მარტოხელა კაცის ცხოვრებას დაუბრუნდა. ყველამ კარგად ვიცით, ერთს იპოვი, ათს დაკარგავ. სხვა? ან სკოტი ჩემი ახალი კონცეფციით „ანტიშიკი/ძალიან შიკი“ აღფრთოვანდა. ჩრდილოეთის სადგურზე წავედით და უგემრიელესი ქაბაბი გეახელით: მე - მაიონეზით, ანმა - ჰარისათი. მიყვარს ქალები, რომლებიც ჰარისას ჭამენ. ასეთები აღმაგზნებენ. ან სკოტმა სამჯერ შეუკვეთა ჰარისიანი ქაბაბი. მეც კი ცრემლები მცვიოდა…

ოთხშაბათი

SAS. ძალიან მაგარია! დე ვილიე დაიმსახურებდა „ბალტოს პრემიას“. რა გითხრათ კიდევ და კატრინეტების საღამოზე მოგიყვებით, ბელვილის ესპანურ ცენტრში. თეთრი შარვალი და კოვბოის თეთრი სანტიაგები მაცვია. დიჯეი ფილიპ ლავილის სიმღერას დებს. გარშის უბნის ვიზაჟისტთან ერთად ვცეკვავ სლოუს. დარბაზს ზუსტად იმ დროს ვტოვებ, როცა ჟან შულტეისის „კონფიდენციალურობა კონფიდენციალურობისთვის“ უკრავენ (1981).

ხუთშაბათი

„კამუკერაში“ ვისადილეთ. მშვენიერი რესტორანია. კეტი მართავს, ყოფილი „კლოდეტი“.

გავიხსენოთ კლოდი… სულმთლად დაელექტროებული გამოვდივართ.ამას ნეოშიკი მოითხოვს… და ვხმარობ ჯორჯიო მოროდერის მელოდიაზე ფილმიდან Midnight Express.

პარასკევი

ოჰ, როგორ მინდა მიწაზე დავდგა ფეხი…. ამასობაში მორიდებით ვკიდებ ხელს…

შაბათი

ერთ ლფნ-ს (ლამაზ ფაშფაშა ნიმფომანს), ერთ ათნ-ს (აღგზნებული თინეიჯერი ნიციდან), ერთ ვიაგ-ს (ვერაგი ინდონეზიელი აპრიორის გარეშე), ერთ ნმX-ს (ნარკომანი მსახიობი X), ერთ ცილ-ს (ცეცხლოვანი იდიოტი ლამაზმანი), ერთ სუმ-ს (სულელი ურცხვი მძღოლი) და ერთ ტმწნ-ს (ტაკოს მაძიებელი წმინდა ნიტუში) გადავეყარე. ტურბოს სიჩქარე ჩავრთე თითოეულის შესაბმელად. რა ვქნა, სახელები უნდა შევამოკლო. ჩვენ ხომ აბრევიატურის სამყაროს შვილები ვართ. მერე ფარმაცევტიკის საღამოზე უნდა წავიდე Norgent-le- Rotrou-ს დარბაზში. ვიღაც მანუელა დარდს ლეიკოპლასტირით მიქარწყლებს. ერთხელ მოვხვდი მასთან სახლში და თავი ისე ვიგრძენი, თითქოს საკუთარ სახლში ვიყავი. დილით რომ გავიღვიძე, აღმოვაჩინე, რომ ქვაზე დახატულ ეშმაკს ჰგავს. ორგაზმს „პატარა სიკვდილი“ ჰქვია. იმიტომ, რომ თუ გაათავე, გაღვიძება აღარ ღირს. დიახ! ასეა, რას იზამთ? არის ასეთი დღეები, როცა სიყვარულით ვტკბებით და არის დღეები, როცა „სიყვარული“ გვაჩმორებს.

კვირა

კლერი კი არ მენატრება, მიკვირს, გვერდით რომ არ იყო იმ დროს, როცა არ მენატრებოდა. მონატრება სხვა არაფერია, თუ არა სიცარიელის სასიკვდილო დოზა. ცხოვრებაზე გაბრაზებული ვარ, რატომ გამაჩინა ამქვეყნად? მინდოდა, მემეტიჩრა ჩემი კონცეფციით „შიკი/ანტიშიკი“ და აღმოვაჩინე, რომ „ანტიარარაობა“ მაინც არარაობა ყოფილა.

ორშაბათი

მონრეალი ფრანგულად მოლაპარაკე ნიუ-იორკია. ქიანქველების ულტრათანამედროვე ბუდე, ჰიპერფეშენი, total hype და ანდერგრაუნდი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებითაც (-20 გრადუსზე მიწის ქვეშ ცხოვრობენ). კვებეკი ათი წლით უსწრებს საფრანგეთს. ოტოქთონების კომიკური აქცენტიც უცებ გავიწყდება და არასრულფასოვნების კომპლექსი უჩნდება პარიზულ ცხვირაწეულ პატერნალიზმს. ნათელია, ფრანკოფონმა კანადელებმა ქკვიანური რეზისტენტულობის ხერხი შეიმუშავეს ამერიკანიზაციის წინააღმდეგ. მხოლოდ იმას უფრთხილდებიან, რაც აწყობთ (სისწრაფე, ეფექტურობა და ტექნოლოგიები). დანარჩენი წყალში მოისროლეს (მექრთამეობა, ინგლისური ენა და როშ ვუაზინი).

სამშაბათი

პორტოს ვსვამ „სოფაში“ (რეიჩელ უესტის ქუჩა, 451). გარშემო გოგუცუნები მახვევია, რომლებსაც ეშინიათ, ჭიპი არ გაუცივდეთ. გარეთ პოლარული ყინვაა. ამათ კი მაინც ჭიპს ზემოთ მაისურები აცვიათ. მერე ჩამეძინა და დამესიზმრა, ჭიპები როგორ აცემინებდნენ (ვეცდები, მორის დანტეკის მოსაწევზე ცოტა დავამუხრუჭო. ძალიან ბევრი ტეტრაჰიდროკორტიზონი შედის).

ოთხშაბათი

აქ „მაგარ გოგოებს“ „კაპარჩხანები“ ჰქვიათ. იგივე ტკივილია აქაც: თვალწინ ღვთაებრივი სილამაზე გიდგას და ის ზედაც არ გაფურთხებს. რა სამწუხაროა, ეს თოვლი როგორ არ დნება. ყველაზე კარგი საშუალება ქალის მოსაშორებლად, მასთან დაწოლაა. კვებეკელი კაცები მართლები არიან, როცა ამბობენ, „მაგარი გოგოები“ ნერვებს გვიშლიანო. პრობლემა კი ისაა, რომ მერე ვაფრენთ ამ „ნერვების მოშლისგან“, რომელსაც „ლტოლვა“ ჰქვია.

ხუთშაბათი

ჟიულ რენარმა თავის დღიურში ყველაფერზე ამომწურავი ინფორმაცია დაწერა. ერთი ლამაზი გამოთქმაც იპოვა ჩემნაირ ქარაფშუტა ადამიანებზე. 1892 წელი, 31 მაისი:

„ოცდახუთ კაცზე გაშლილ სუფრასავით გული“. ის კი დაავიწყდა, ბევრი ქურჭელი რომ გატყდება სუფრის ალაგების დროს.

პარასკევი

„კონტინენტალში“ იზაბელ მარეშალთან ერთად ვსადილობ. ეს ის ტელეწამყვანია, კრისტინ ბრავოს რომ ჰბაძავს, ოფელი უინტერის გარეგნობით და ან სენკლერის ტვინით. კარგი გოგოა, ბევრს მუშაობს, მაგრამ მაინც ვერ გვეწევა ერბის, ფელიპეს და მე „სოფას“, „ლივინგ“ და „ჟაი“ ბარებისგადარბენაში. ღამის 3 საათი როგორც კი სრულდება, ბარიდან გვაგდებენ (ერთ-

ერთი იშვიათი, მაგრამ ცუდი მხარე ღამის კვებეკის კანონში, რომელიც ბრიტანელებიდან გადმოქაჩეს). „კრუიზში წასვლისას მაგრად დავეცით, რადგან ქერამ უარი გვთხლიშა, გასართობად წამოსულიყო. მაშინ მის ერთ-ერთ დავარცხნილ დაქალს შევთავაზეთ!“(ვცდილობ, კვებეკურად გამოვხატო ემოცია. მათი ფრანგული მესამე ათასწლეულის ფუტურისტულ ჟარგონებს ჰგავს, რომელიც ენტონი ბერჯესმა დაამკვიდრა „მექანიკური ფორთოხლით“).

შაბათი

ჩემი საიდუმლო? ხალხს თავს ვაჩვენებ, რომ ვწერ და ამ პრინციპითვე ვაგრძელებ.

კვირა

კლერმა მომწერა: „მთელი ცხოვრება დაგელოდები, თუ მალე დამირეკავ“. გვიანი რომ არის?! მირჩევნია, ჩვენი ტანჯვა მახსოვდეს და ეს გრძნობა არ შევცვალო ჩვენი სიყვარულის შეუძლებლობით. დღეს ჩემი მომავალი სიყვარულისკენ მიჭირავს თვალი. აი, იმიტომაც ვიცვლი ხშირად. ახალ ქალებს კი არ ვეძებ, უკანასკნელის შეხვედრას ვლამობ. ზუსტად ვიცი, სადღაც არის ის ერთადერთი, რომელსაც ჯერ არ ვიცნობ, მაგრამ ის უკვე მელოდება.

ორშაბათი

ოცი წლის მერე იმავე მდგომარეობაში ვარ, როცა თხუთმეტი წლის ბიჭი ელტონ ჯონს ვუსმენდი: Freinds, Border song, Tiny Dancer, Skyline Pigeon, Mona Lisas and Mad Hatters, Levon, Grey Seal, I Need To Turn to, This song has no title. ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი მელოდიები. მივმართავ იმ მკითხველებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ელტონ ჯონის კომპოზიციებმა არაფერი შეიტანეს 70-იან წლებში, ან თუ ვისაც ჰგონია, რომ ელტონი უბრალოდ სქელი სათვალიანი ტიპია ინგლისურ შოუბიზნესში, მოვითხოვ, ახლავე დახუროთ ეს წიგნი. მარტო ჩემი ოთახის მწვანეაბრეშუმიანი კედლები რად ღირდა? აჭრელებული იყო მისი ფოტოებით. ისეთი კი არ იყო, დღეს როგორი მრგვალიც არის… მის მელოდიებზე მუცელში სითბო მეღვრებოდა. თან ბედნიერი ვიყავი და თან სევდიანი. მონტენის ლიცეუმის ყველა გოგო მიყვარდა ერთდროულად… მე რომანტიკული სექსუალური მანიაკი ვარ. ეს არ არის შეუძლებელი, იმიტომ, რომ ვარსებობ.

სამშაბათი

ქალთან დასაშორებლად საკმარისია სამი ფრაზის წარმოთქმა: „გშორდები“, „ჩვენ შორის ყველაფერი მორჩა“ და „აღარ მიყვარხარ“. სანამ ეს ფრაზები მზად არ არის, კიდევ შეიძლება ყველაფრის თავიდან დაწყება. რამდენიც გინდათ, იჩხუბეთ, რაც გინდათ, უწოდეთ. აი, იმ დღეს კი, როცა მათ წარმოთქვამთ, ყველაფერი დასრულდება. სწორედ ამ დროს გაითიშება წამმზომი და უკან გზა აღარ არის. ეს გამოუვალი სიტუაციის პაროლია: „სიმ-სიმ, დაიხურე, სიყვარულო“.

ოთხშაბათი

ამ პლანეტის 6 მილიარდი მცხოვრებიდან 3,5 მილიარდი ქალია. თუ დავუშვებთ, რომ ყოველი 1000-დან ერთი მაინც „დაცემა ქალია“ (ძალიან პესიმისტური ვარაუდით), გამოდის პლანეტაზე დადის 3 500 000 მაგარი ნაშა, რომელთათვის ნებისმიერი ჰეტეროსექსუალი სიცოცხლესაც კი გაწირავდა დაუფიქრებლად. 3.5 მილიონი ღვთაება უეჭველი ან კინოვარსკვლავია, ან ტოპმოდელი, ანუ რიგით მოკვდავებს გვრჩება 3 499 800 ქკუიდან გადასაყვანი მზეთუნახავი. ყველასთან რომ მოვახერხო დაწოლა, ვიანგარიშე და გამოდის, დღეში ათჯერ უნდა მქონდეს სექსი და ამას ათასი წელი დასჭირდება. თუ ამ რიცხვს 2.5 მილიარდ მამაკაცს მივუყენებთ გვერდით, რომლებიც ლამაზ ვამპირებზე აბოდებენ, სექსუალური დაკმაყოფილების კოეფიციენტი გამოვა, 3 488 800 გაყოფილი 2 500 000 000-ზე; ანუ ათასიდან ერთია შანსი. მათემატიკურად ასე გამოდის: ყოველი 1000-დან 999 დედამიწის მცხოვრებს მაგრად დაჩაგრავს სილამაზის დიქტატურა. ტყუილად კი არ ვეძახით ლამაზ ქალებს „ბომბას“, ან „დაცემას“. ფატალური ქალები დიდი სიძლიერის „სქელუა ბერტები“ არიან!

ხუთშაბათი

ყველაფერს ძალიან ახალგაზრდა ასაკში მივაღწიე. არ მოსწონს ეს ხალხს. იმას ჰგავს ეს, არაბი შეიხი Renault Clio-ს რეკლამაში რომ არის და შვილს მხარზე ურტყამს:

- ძალიან ძველი ხომ არ არის, შვილო?!

პარასკევი

უფალო, არა ვარ ჯერ მზად შენს მისაღებად. მხოლოდ ერთი სიტყვა მაღირსე და ყველაფერზე უარს ვიტყვი.

შაბათი

ლეტისიას ნერვები რომ მოვუშალო, ვეუბნები, სხვას ვიხმარ და შენზე ვიფიქრებ-მეთქი. ნაზად მიღიმის, რადგან რაც უნდა ვეცადო, მაინც ვერ გამომყავს წყობიდან. აი, რას მეუბნება დაშაქრული ხმით:

- მირჩევნია, სხვა იხმარო და ჩემზე იფიქრო, ვიდრე მე მხმარობდე სხვაზე ფიქრით.

კვირა

Elegantly wasted კვირეული დასრულდა. ასე ამბობდა INXS-ჯგუფი, სანამ მათი სოლისტი თავს მოიკლავდა. ჟან ესტაში მართალი იყო: ისეთ ქალს ვეძებთ, ერთდროულად კახპაც და დედაც რომ იყოს. ქალები კი ჩვენისთანები არიან: მამიკოც და ჟიგოლოც ერთდროულად უნდათ.

ორშაბათი

ერთი რამე, რაც მეზიზღება: როცა გადასასვლელთან ქალს ელოდები (იმედით სავსე თვალებით აბამ უცნობ ქალებს, ისინი კაფეში შედიან. თმას ელეგანტურად ისწორებ თითოეული მარცხის მერე და ისევ თავმომწონედ იყურები აქეთ-იქით). კიდევ ერთი რამე: ერთსა და იმავე ადგილას პაემნის დანიშვნა არ შეიძლება. მერე რომ რამე ვერაგობა არ ჩაგიტაროს „გულის ვარდმა“, არც უნდა გაიჩინო.

სამშაბათი

ქუჩაში კლერს გადავეყარე: დიდი იმედგაცრუება! ჩემს მოგონებებში ლამაზი გოგო იყო და ამის გამო მიყვარდა. ყოველთვის რუდუნებით ვეპყრობოდი. მასთან ერთად ყოველი წამი უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ წამი. და ახლა? ფუი შენი!.. ჯადოსნობა გაქრა, ხიბლი აღარ არის. სიზარმაცის, სიამაყის, ტანჯვის შიშით ერთმანეთს დავშორდით და ჩვენს ურთიერთობას ხავსი მოეკიდა… შეუძლებელი გახდა რეანიმაცია… ჩემ წინ ერთი წითური გოგო იდგა ვულგარულ ტანისამოსში, მოჩვარული მკერდით, საშინელი მაკიაჟით. მხოლოდ ფეხზე პეპლის ტატუმ თუ გამახსენა, რომ ეს ის გოგოა, რომლის სახელიც სულ რამდენიმე კვირის წინ მაბოდებდა. პოლ-ჟან ტულეს „ჩემი მეგობარი ნანი“ გამახსენდა: „იცოდა, რა უსირცხვილო საქციელია დიდი ხნის მიტოვებულ ქალთან ურთიერთობის ისევ გაბმა. ბოთლში ჩატოვებულ აქროლებულ „ჟიურანსონის“ ღვინოს ჰგავს, უფერულ ტოპაზს“. სიყვარულის დასასრულზე დაწერილი ყველაზე მწარე და მართალი სიტყვებია. ცეცხლი ნელდება, ღვინო ძმარდება. ყველაფერი კამკამა ბოლოს იბილწება. კრისტალიზაციის დასრულება მკრეხელობაა. სასიკვდილო ცოდვა გულმავიწყობის გამო? როცა შეგძულდება ერთ დროს საყვარელი ადამიანი, ამით საკუთარი თავისთვის გამოგაქვს სასიკვდილო განაჩენი.

ოთხშაბათი

„ფაქიზო გულებო, ერთგულო გულებო,

თქვენ კიცხავთ კნინ სიყვარულს…

ბოლო მოეღოს წუწუნს უაზროს:

დანაშაულია განა, სხვა შეიყვარო?

სიყვარულო ფრთოსანო,

ვიფარფატოთ?

ვიფარფატოთ?

ვიფარფატოთ?“

ბომარშე, „ფიგაროს ქორწინება“

(ხაზგასმულია ჟან რენუარის მიერ ფილმში „თამაშის წესები“ და ჩემგან კი აქ).

ხუთშაბათი

პენელოპამ დამირეკა, რომ ეთქვა, ბოლოს და ბოლოს, ბედნიერება მეწვიაო - ეს წინა შაბათს 21.17 საათიდან 21.42 საათამდე მოხდაო. ძალიან ვთხოვე, არაფერი მოეყოლა. ბედნიერების წინააღმდეგი ვარ. კარგი იქნებოდა, ბედნიერი ხალხის წინააღმდეგ მანიფესტაციები მოეწყოთ. დუმილის კოლონები ჩაივლიდა ქუჩებში, დეპრესიული ადამიანები მოწყენილი სახეებით სლოგანებს გამოიტანდნენ: „არა სიცოცხლის სიხარულს!“, „კმარა ბედნიერება!“, „ჰედონიზმს არა!“

მაშინ უნდა ვყოფილიყავი პენელოპასთან, როცა ვუნდოდი. ერთი მშვენიერი ანცი გოგოა, მაგრამ მეგონა, საჩემო მკერდი არ ჰქონდა. მერე კიდევ ლუდოსთან იწვა და ჩემთვის არაფერი უთქვამს. რა იდიოტია: რომ ეთქვა, უკეთესი არ იქნებოდა? უფრო აღმაგზნებდა. ეს შეავსებდა მკერდის უკმარისობას!

პარასკევი

გუშინ საღამოს ერთი იდიოტი ჩემს მეგობარ გიიომ რაპნოს ელექტრონულ მისამართს ეკითხებოდა. გიიომმა უთხრა:

- R!

მერე, რასაკვირველია, თრახი მოჰყვა ამას, ფინგალები ყველას და ჰემატომები.

შაბათი

ლუდო მოწყენილია.

- რატომ ხარ მოწყენილი?

- საყვარელს დავშორდი.

- მართლა? ახალი გყავს?

- აბა, რა… აბა, ცოლიანი კაცის ცხოვრება რა არის უამისოდ?

- რატომ მიატოვე, აბა?

- ბევრ სუნამოს ისხამდა.

- რა�ა?

- ჰო, რა იყო? შინ რომ ვბრუნდებოდი, ჩემი ცოლი სულ მეჩხუბებოდა. ჰოდა, შევეშვი.

ქალბატონებო, ქალიშვილებო, ვინც კითხულობთ ახლა, თუ ცოლიანი საყვარელი გყავთ, შეიბრალეთ მისი ცოლი, ნუ ხმარობთ მათრობელა სუნამოებს. არც Coco, არც Poison, არც Obsession არ დაისხათ, უმორჩილესად გთხოვთ. განსაკუთრებით მოერიდეთ Rush-ს. იყავით გულმოწყალე. წინასწარ დიდ მადლობას მოგახსენებთ.

კვირა

სიმართლე გითხრათ, ძალიან ადვილია ყველაფრის წყალში გადაყრა: საკმარისია უთხრა, ვისთანაც კარგად გრძნობ თავს, რომ გიყვარს და…

ორშაბათი

მხოლოდ კრეტინ ახალგაზრდებთან ვიჭერსაქმეს. „აუტკივარი თავის ატკივებას“ თავს არიდებენ. ამ დროს მე, უკვე ორმოცს მიტანებულ მამაკაცს, ყველაზე მეტად სწორედ „თავის ატკივება“ მიყვარს. ჩემი იდიოტური ცხოვრების სათითაო დეტალს ვაანალიზებ და მსოფლიოს შეცვლას ვლამობ. სულ უნდა „აიტკივო თავი“, თუ გინდა არსებობა! აიტკივეთ თავი, ურტყით კედელს. დღეს დეკარტი იტყოდა:

„აუტკივარ თავს ვიტკივებ, მაშასადამე, ვარსებობ“.

სამშაბათი

ლუდო მეორე ბავშვს ელოდება! პანაშვიდური სიფათით მეუბნება ამ ახალ ამბავს, რასაც წყობიდან გამოვყავარ:

- ქორწინების პრობლემა უპრეზერვატივოდ ჟიმაობაა. ამის დედაც… ხომ არ ხარ ვალდებული, მთელი პლანეტა შენ გაამრავლო!

- შემეშვი რა! მე კმაყოფილი ვარ! ვგიჟდები ბავშვების კეთებაზე.

მთელი გულით მჯერა. ჩემთან უყვარს უბედურის როლის თამაში (რომ მასიამოვნოს), სინამდვილეში კი უბედნიერესია. ეს ნაყოფიერება მის მამაკაცურ ეგოს აძლიერებს. მე კონტრშეტევაზე გადავდივარ:

- დაჰკვირვებიხარ ჩვილის გამოწვდილ ხელებს? ნამდვილი დამპყრობლები არიან. ჩვენ შორის მკვიდრდებიან, ადგილი რომ დაგვაწერონ!

- შენ არ გესმის… შენკენ რომ იწვდიან ხელებს, მაშინ პატარა თათუნებია… ა, ლა, ლა, ლა�ა… გეფიცები, დებილები ვხდებით… რამ დამაწვინა ჩემს ცოლთან მე კიდევ, რამ?..

- რა გარყვნილებაა! ვინღა იქცევა დღეს ეგრე!

- იცი ანეკდოტი კაცზე, თავის ცოლთან ერთად ლურდში რომ ჩავიდა?

- არა.

- რა და სასწაული არ მოხდა: ისევ თავის ცოლთან არის.

ამიტომაც ვგიჟდები ლუდოზე: ყოველთვის იდიოტურ ანეკდოტებს მიყვება.

ოთხშაბათი

როლან დიუმას პროცესი ყველაზე მეტად მძულს იმიტომ, რომ ჩემი „ბერლუტები“ მოდიდან გადავა.

ხუთშაბათი

ერთ დროს ფული მოშვებული ონკანიდან მოდიოდა კაპიტალისტურ ქვეყნებში. საკმარისი იყო, დახრილიყავი და შეგეგროვებინა. კიდევ კარგი, იყო რამდენიმე კაცი, ვინც უარს ამბობდა დახრაზე.

პარასკევი

გუშინ საღამოს ან სკოტმა ასეთი რამ გამიძრო:

- გულწრფელად გეტყვი, მაგრად მიტყდება, ჩემ გამო სხვა ქალებს რომ შეეშვი.

არის ხოლმე ასეთი დღეები. ამას წინათ ავტომოპასუხეზე მესიჯიდამიტოვა. მე რომ დავურეკე, ავტომოპასუხე შემრჩა. პაემანზე ვიყავი და ტელეფონი გამოვრთე. კიდევ დაურეკავს და ისევ ავტომოპასუხე შეხვედრია. ისევ დატოვა თავისი ნომერი. ისევ დავურეკე და გამორთული ჰქონდა. ტექსტი გავუგზავნე, მიპასუხა და რომ დამირეკა, ისევ გავითიშეთ, გვირაბში შევდიოდი და ვეღარ იჭერდა. მთელი დღე დაგვეკარგა. მირჩევნია, ვიფიქრო, რომ ერთმანეთს დავდევდით მთელი დღე.

შაბათი

რატომ არის ასეთი სასიამოვნო სიყვარული უპრეზერვატივოდ? იმიტომ, რომ ორ მთავარ რისკზე მივდივართ: სიცოცხლის მიცემისა და სიკვდილის გამოწერის.

კვირა

როცა ბევრ ქალთან გიწევს ურთიერთობა, პრინციპში მაინც ერთი გამოდის ბოლოში. მხოლოდ სახელია ხოლმე სხვა, კანის ფერი, სიმაღლე, ხმა… თმის სიგრძე, გულმკერდის გარშემოწერილობა, გაპარსული ბოქვენი, მაგრამ საცვლის მრავალფეროვნება დასაშვებია. სულ ერთსა და იმავე ფრაზებს ვეუბნებით, ერთსა და იმავე რამეს ვუკეთებთ, ჟესტების წესრიგი არ ირღვევა. „კარგი სუნი გაქვს… მოდი ცოტა ახლოს… შენი მეშინია… შენი ტუჩები მსურს… უნდა შეგჭამო, მალე მოდი, მეტი აღარ შემიძლია… გმადლობ, უფალო, ძალიან გამიმართლა… საშინლად მომწონხარ… სიზმარში მგონია თავი… მთელი ღამე ჩემი ხარ, მთელი ცხოვრება ვიჟიმავებთ“ - ეს სიტყვები ყოველ საღამოს მეორდება სხვადასხვა გოგოსთან და თვალები ერთნაირად გაცისკროვნებულია, თითქოს პატარა ხარ და საჩუქარს ხსნი. ცვლილება გამეორებაში გამოიხატება. გამოდის, იმავესთან რჩები, რომელიც, რაც უნდა უცნაური იყოს, სიახლის საშუალებას გაძლევს. დონ ჟუანები უფანტაზიო ხალხია. კაზანოვა ყველას სტახანოველი ეგონა, ამ დროს უზარმაცესი იყო. ქალებს კი ვიცვლით, მაგრამ ჩვენ ხომ ისევ ისეთი ვრჩებით, მხოლოდ მცირე ძალისხმევით ვკმაყოფილდებით. დარჩე იმ განუმეორებელთან და იყოს ერთადერთი - მეტ ტალანტს მოითხოვს.

ორშაბათი

საწყალი ბალთუსი: შარლ ტრენემ სიკვდილი მოჰპარა. ისევ, როგორც ჟან კოქტოს - ედიტ პიაფმა 1963 წელს. სიფრთხილეა საჭირო, არ უნდა მოკვდე იმავე წელს, როდესაც ცნობილი მომღერალი. ასე წერენ პრესაში… არ მინდა იმ დღეს მოვკვდე, როცა ჯონი ჰოლიდეი მოკვდება.

სამშაბათი

გუშინ საღამოს რივოლის ქუჩის ბარებში მქონდა ტურნე: სასტუმრო Crillon-დან Maxim's-თან, Intercontinental, Costes, Vendome, Ritz, Meurice, Regina… ცოტა თუ აღწევს Regina-მდე (მხოლოდ მე. ვაშა! გავიმარჯვე… ჰმ, ნეტავ რა გამარჯვებაა?).

მერე ერთმა კახპამ მომიწუწნა და მაშინვე არწყია. რა კავშირი იყო ნეტავ ამ ორ პროცესს შორის?

მე-8 არონდისმანის ბარის მიწის ქვეშ ვიყავით. უკვე ვათავებდი ჩემს პრეზერვატივში, რომ შემეშვა. წამოდგა ტუალეტში წასასვლელად. მერე ხველება მომესმა და წყლის ჩამოშვება.

ალბათ, დამწყები იყო, ისე ნაზად და გაუბედავად მუშაობდა. აუჩქარებლად ჩავიცვი. ფული უნდა ამეღო მისი ჩანთიდან. ვერაფერს გაიგებდა ის უბედური. ჩემზე გამომტყვრალი იყო. შამპანურის ფული გავისტუმრე და გამოუმშვიდობებლად წამოვედი (მგონი, გავბრაზდი, გული რომ აერია). რატომ ვართ ასეთი საძაგლები? გზააბნეული ადამიანები… გარიჟრაჟზე, ტაქსიში, რადიოში „რა დარჩა ჩვენი სიყვარულისგან?" ისმოდა და მე ვტიროდი, მგონი, მძღოლიც… ორივეს ფაქიზი სული აღმოგვაჩნდა. ორი გზააბნეული კრავი…

მარმარილოსფერი დილა… სენის სანაპირო…

ვქვითინებდი… ზუსტად ვიცოდი, იმ გოგონამ რაღაც ისეთი მომცა, რომელსაც ფასი არ ჰქონდა…

ოთხშაბათი

გაიქეცი, თავი დააღწიე… წინ, წინ… უკანმოუხედავად…. და მერე, გაჩერდე? ვიღაცას თვალებში ჩახედო და უთხრა: „შენ მჭირდები, სწორედ შენ!" და გჯეროდეს ამის. რა კარგი იქნებოდა. ამიტომ ნუ იცინით, ნურც გეშინიათ… წადით რისკზე, ჩაიდინეთ რაიმე სასაცილო საქციელი: მაგალითად, 14 თებერვლის გარდა სხვა დღესაც აჩუქეთ ყვავილები და ისიყვარულეთ გატრეწვის გარეშე.

ხუთშაბათი

„მესანგრის წინსაფრის" სტილი ბრუნდება მოდაში ფილმ-ჰიტის Too much flesh გამო. ელოდი ბუშე დაუფარავად უკეთებს აფიშირებას ბანჯგვლიან სირს.ჰოდა, ღამის ცხოვრების გოგოშკები მაშინვე აჰყვნენ მოდას. მშვიდობით, „კოჯაკის ფისო". ახლა „ბარი უაითის ფისოა" მოდური!

პარასკევი

ორი ბისექსუალის ლაპარაკს მოვკარი ყური:

- მიყვარხარ.

- მეც.

- მე კაცი მყავს.

- მეც.

- მაშინ პაკა.

- მეც.

შაბათი

„პაშა დე ბრიუსელის" გახსნა. იბიცას ცნობილი ღამის კლუბი ბელგიურ ფილიალს ხსნის (ეკუიერის ქუჩაზე, 41). დიჯეის პიპი ჰქვია (დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ Grand Popo Football Club-ისგან). ერთი ფლო გავიცანი, რომელიც მოხიტოს სვამდა. რამდენიმე იდიომატური გამოთქმა მასწავლა. „მაგარი ნაშა" - ბრიუსელურად ამბობენ, „ტოპნაშა", „არაფრის კეთებას" თურმე „ჭამა" ჰქვია. ფლოს არ უნდა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე წასვლა:

- იქ იქნებიან ტოპნაშები?

- არა, მარტო კუანები (ადგილობრივი ტერმინი „ბურჟუაზიის" აღსანიშნად). მარტო ოფიციანტები არიან კარგები, მაგრამ ძალიან დაკავებულები არიან.

განვაგრძობ მსოფლიოს „კლუბიზაციის" დათვალიერებას. ამ საღამოს ქუჩები გრილია, შუქი - სევდიანი, თითქოს ქარმა დაღალაო. დედამიწა მალე საცეკვაო მოედნად გადაიქცევა. იცით, ეს დღიური კიდევ რაში მჭირდება? მომავალმა თაობებმა რომ დაინახონ, როგორ ვცხოვრობდით XXI საუკუნეში. აი, ტკბილი ეპოქა, როცა ცხოვრება დავუნგრიეთ. „ფიუზში" (ბლეს ქუჩა, 203) დავასრულე საღამო. ყველაზე მეტად აქ ვიგრძენი ევროპული ეგზოტიზმი. ფლო ბანანს ჭამს. რა იდიოტობაა, მაგრამ ასეა: გოგონა, რომელიც ღამის კლუბში ბანანს ჭამს, მაგარ განწყობას გიქმნის. ოფიციანტმა Blue Lemon-ით სავსე ჭიქა მომიტანა. ვეკითხები:

- რა არის Blue Lemon?

მიღიმის:

- ლურჯი რაღაც.

ამ „ლურჯი რაღაცის“ მერე როგორ გინდა დარჩე სუვერენიტეტული?

კვირა

მგონი, მივხვდი, რა არ გამომდის: მინდა გმირი ვიყო, „ტიტანიკის“ გემბანზე ვიდგე და ვყვიროდე, რომ მსოფლიო ჩემია. მინდა ვსვამდე ციკუტას ნახარშს, ვიპყრობდე იმპერიებს, მზის სისტემა შევცვალო და „დანონის“ ფირმა დავამხო. ძალიან მინდა ისტორიაში ჩავეწერო და ეს მხოლოდ ანეკდოტი არ იყოს.

ორშაბათი

ახალი ტექნოლოგიები წერას აჩქარებს. შმშ-ებით ფრანგული ენა უფრო სწრაფად განვითარდა, ვიდრე ლუი-ფერდინანდ სელინის, რაიმონ კენოს და პიერ გიოტას წყალობით.

მაგალითად: G PEUR DETR MOCH+CHIANTE

- SI TEM PA MA FOLI FO MDIRE DE TLACHE

- NE CHANGE RI 1 TU VI A 300 ALEUR!

- JE NSE PLU CEKE JDI.

- Y A D BEL FILL?

- TOU VA BI 1?

ნეტავ რას ელოდება აკადემია, ლექსიკონი არ უნდა განაახლოს?

სამშაბათი

ჩემთვის მშვიდად ტყუილს ვთხზავდი, როცა ნორჩმა ალექსანდრამ ტელეფონში მიკივლა:

- გულს ისეთი მიზეზები შეიძლება ჰქონდეს, ჩემი დიდი უკანალი რომ ვერ იგებს!

ჩემი აზრით, ყველა დამეთანხმებით, კვირის ფრაზის გრან-პრი რომ საზეიმოდ გადავცეთ დამშვიდების მიზნით.

ოთხშაბათი

სულ ავირიე და გზა ამებნა, მაგრამ ვერავინ ხვდება, კარგად გამოვიყურები მტრის ჯინაზე. ერთი, რაც შემომრჩა, აღფრთოვანების უნარია. მწერლობა პროფესია არ არის, ძიებაა. უნდა შეგეძლოს ნორმალური ყოფა გაოცებით და სიგიჟე - სიმშვიდით აღიქვა.

ხუთშაბათი

ანა გავალდას ერთადერთი ნაკლი მისი მოკლე თმაა. სხვა ყველაფერი მომწონს.

ერთმანეთის ცხოვრებას ვადარებთ და ისე გამოდის, აღარ ვასრულებთ ჩვენს კერძს. თურმე კოკას სვამს და მეუღლეს დაშორდა. მეც იმავეს ვაკეთებდი მის ასაკში. ხალხმა გვიცნო „კამბოჯიაში“, მაგრამ მე ანგარიშს მაინც გადავიხდი. რაღაც მომენტში, ჩემს ყველა დაუკმაყოფილებელ სურვილს გამოსავალი უპოვა:

- ოსკარ, მარტივია ძალიან, რამე დამამშვიდებელი დალიე!

ამგვარად ჩემი ცხოვრება ერთი გრძელი სამხედრო სამსახური გამოვა, ყოველგვარი სექსუალური ვალდებულებების გარეშე.

პარასკევი

მარტოხელა კაცს ერთი კითხვა აწუხებს:

- ვისთან ერთად გავატარო დღევანდელიღამე?

ცოლიანი სხვანაირად სვამს კითხვას:

- ვისთან ერთად გავატარო დღევანდელი შუადღე?

შაბათი

იმ დღეს ლუდოსთან შევიარე, მორალურად რომ ამოვდგომოდი გვერდში მისი ქალიშვილის დაბადების დღეზე. ბავშვები ისე კიოდნენ, რომ ძლივს შევაღწიეთ სააბაზანოში ჰაშიშის მოსაწევად. კიდევ ერთი თავსატეხი: ორი წლის ქალიშვილმა დაგვინახა და აიჩემა, მეც მინდა თქვენთან ერთად ვიპ-ღოომ-შიო (აბაზანაზე ჩამომსხდრები ვოხრავდით, როგორ ქარს გავატანეთ ჩვენი ახალგაზრდობა). მაშინ ბავშვს ნერვიული კრიზი მოუვიდა, დახურულ კარს ეჯაჯგურებოდა და გამგმირავი ხმით გაჰკიოდა. ჩვენ ბოლომდე გმირულად გავუძელით. ერთ მომენტში ლუდომ კი ვერ მოითმინა და უღრიალა:

- დამშვიდდი, სოფი! თუ ასე გააგრძელებ, ისევ დედაშენის მუცელში შეგაბრუნებ!

რის საფუძველზე შეუძლია ინდივიდს იმის ფიქრი, რომ ყველაფერი ეპატიება, რადგან ორი წლისაა?

კვირა

მნიშვნელოვანი ფიგურა გავხდი. მარტო ერთი კვირა მოვახერხე და ჟან-კლოდ ტრიშეს (საფრანგეთის ბანკის მმართველი) შევთავაზე ლარზაკში ფერმის გახსნა, მარკ ლამბრონს ღვინის ბოთლი გადავასხი, ჟორჟ მუსტაკისა და კირაზთან ერთად ვისადილე (ოღონდ ორივესთან ერთდროულად კი არა), ალენ სუშონსა და ბერნარ ფრანკთან ერთადაც წავიხემსე (არც ამათთან ვიყავი ერთდროულად), მჩ სოლაარსა და ტინა კიეფერთან ერთად გავრეპე (ამ შემთხვევაში, ჰო, ორივესთან ერთად! ეს კი გმირობა იყო!). ოსკარ დიუფრეზნი მსოფლიოს ყველაზე ქახქახა უცნობი ვარსკვლავია. მესამე პირში ლაპარაკობენ მასზე, რადგან ცოტა თავში აუვარდა. ამითია სწორედ დიდი ოსკარი.

ორშაბათი

რითი უნდა მივხვდეთ, რომ ესა თუ ის ღამის კლუბი მაგარია? საპირფარეშოში ცერათითს ტუალეტის ქაღალდს რომ მიადებ, ისეთი ქათქათა მოგეჩვენება, რომ შენი კბილების სითეთრე მასთან მონაგონია. მაგრამ რაც, ცოტა არ იყოს, მიტყდება, ისე ხდება ხოლმე, რომ მეტ დროს საპირფარეშოში ატარებ, ვიდრე ბარში. ზოგიერთი ბარის ტუალეტის აღწერა უკეთესად შემიძლია, ვიდრე საცეკვაო მოედნის.

- მაგარი დრო გავატარეთ გუშინ საღამოს.

- ჰოოო? რა ქენი?

- მთელი ღამე ტუალეტში გავატარე, ვიყნოსე, დავლიე, ვაცემინე და ვაბოყინე.

- ვუაუუ… მართლაც კარგი დრო გაგიტარებია….

სამშაბათი

ინგრედიენტები: 2 ბოთლი ბორდო, 2 გრამი კოკაინი, 1 ბოთლი „აბსოლუტი“. ეს ყველაფერი კარგად აურიეთ თქვენს ტვინსა და კუჭში. რამე სისულელე უპასუხეთ იდიოტებს, დაბრუნდით შინ და იქ კი აღმოაჩენთ, რომ აღარ გაქვთ „ზოლპიდემი“. არ დაიძინოთ: მთელი ღამე ჭერის თვალიერებაში გაატარეთ და დაწყევლეთ ის დღე, როცა გაჩნდით ამ ქვეყანაზე (დროის ბანძად გატარების რეცეპტი).

ოთხშაბათი

არიელ დომბალმა მოხიბვლის მთავარი საიდუმლო გამანდო. ამ ფრაზით ნებისმიერ ადგილას ნებისმიერ დროს შეაბამ ნებისმიერ ქალს, რაც უნდა მოწყენილი და მუნჯად იჯდეს. შემდეგ რამდენჯერმე უმანკო მზერა ესროლეთ, მიუახლოვდით და ჩასჩურჩულეთ:

- თითქოს აქ არა ხართ, მაგრამ არაფერი გეპარებათ.

თურმე უტყუარი ხერხია. ვერ ვუბედავ, ვკითხო, ასე შეაბა თავისი BHL?!მაგრამ უფრო პიერ ბენიშუს პროზაული მეთოდის მჯერა და რა ვქნა:

- ქალიშვილო, „მერსედესით“ გასეირნებაზე რას იტყოდით?

ხუთშაბათი

პრინცესას ქუჩაზე ავიაკომპანიის ბორტგამცილებელს შევხვდი. ასე იმიტომ შევარქვი, რომ მართლა ასეთი პრესტიჟული პროფესია აქვს („ეარ ფრანსში“ მუშაობს). მაგრამ რაღაც დროის მერე ერთმანეთში ერევა კასტელი და „ბოინგ 747“ და მაშინვე უსაფრთოხების წესების ჩამოთვლას იწყებს:

- დამატებითი გასასვლელი, ეს არის კარები წარწერით Exit და კაბინის წინა, ცენტრალურ და უკანა მხარეს მდებარეობს. დაბლა თუ დახედავთ, ყვითელი ხაზები მიგითითებთ, როგორ მიხვიდეთ ამ გასასვლელებამდე.

(შემიძლია გითხრათ, რომ ხალხი უფრო ყურადღებით უსმენს, ვიდრე თვითმფრინავში. ყველას ისეთი სახე აქვს, თითქოს მათი ცხოვრება მასზეა დამოკიდებული).

- თუ წნევა დაეცა, ჟანგბადით სავსე ნიღბები ავტომატურად ჩამოცვივდება (ყველა ინსტინქტურად ჭერში იყურება. მერე ჩემს კუთვნილ უსაფრთხოების ჟილეტს ვეძებ თვალით და გაუნძრევლად ვრჩები ერთ ადგილას მეორე დილამდე).

პარასკევი

გრბლობგმმმგრელლვგგ… ცხოვრება სახელად ბრგგრნმლლლცცცმმ.

შაბათი

უელბეკმა პოეზიაზე თავის თეორიულ მანიფესტს „დარჩე ცოცხალი“ დაარქვა. თუ ოდესმე ვინმე პოპულარობაზე დაწერს თეორიას, უნდა დაარქვას „დარჩე ნორმალური“. პოპულარობა არ არის ადამიანის ნორმალური მდგომარეობა, მაგრამ საზოგადოება ვარსკვლავებისგან ამას მაინც მოითხოვს. მერე გიჩნდება ისეთი გრძნობა, რომ ვარსკვლავების ერთადერთი მიზანია „თავში არ აუვარდეთ“ პოპულარობა. ხანდახან ვერც კი ვცნობთ ქუჩაში (ხშირად არ არიან გაპარსული, ვარცხნილობა არეული აქვთ, სათვალე ან ქუდი ჩამოფხატული), მაგრამ გადამეტებული თავაზიანობა გასცემთ ხოლმე. ზედმეტი მოსდით, კარგა ხანი გართმევენ ხელს, გაჩვენებენ, რომ ძალიან აინტერესებთ… თქვენ ფიქრობთ, ალბათ, ეს ვიღაც მართლა ცნობილი პიროვნებაა, ასე რომ ცდილობს, „ჩვეულებრივი“ იყოსო. ვარსკვლავი გამუდმებით ბოდიშს იხდის თავისი ვარსკვლავობისთვის. თავში ავარდნილი ტიპები კი მთელ დროს იმაში ატარებენ, თქვენ რომ მოგაჩვენონ, აი, რა ჩვეულებრივები ვართო. „ცხვირაწეულებს“ ზედმეტი გულისხმიერებით ვარჩევთ სხვა მოკვდავებისგან. ბევრ კითხვას გისვამენ, თუ როგორ ცხოვრობთ, რა არის თქვენს დამპალ ცხოვრებაში საინტერესო და ვითომ გისმენენ, როცა პასუხობთ. როცა „ვარსკვლავი“ ასე იქცევა (გაუთავებლად ლაპარაკობს, დიდი ინტერესით ეპყრობა მოსაუბრეს, რომელიც ფეხებზე ჰკიდია), ესე იგი, სურს რიგითმა მოკვდავმა ყველას უთხრას: „იცით, რა კარგი ტიპია ცხოვრებაშიც, კიდევ უფრო კარგი, ვიდრე ტელევიზორში“. ამ დროს ეს მასკარადი სხვა არაფერია, თუ არა ინტერესი, მერე რას იტყვიან მასზე ჩვეულებრივი მოკვდავნი (სინამდვილეში ჩვეულებრივი მოკვდავი მეტად ვეღარსად შეხვდება თავის ვარსკვლავს. მისი უბადრუკი ყოფა დავიწყებას მიეცემა ამ „დაუვიწყარი“ საუბრიდან ზუსტად ხუთ წუთში, რადგან ვარსკვლავს მისთვის არც სცხელოდა, უზომოდ

დაკავებული იყო ფოტოგრაფების წინაშე პოზიორობით). როგორც წესი, გაითვალისწინეთ, უფრთხილდით თქვენით დაინტერესებულ ცნობილ ადამიანებს. მე ეს კარგად ვიცი: დაბადებიდან მაქვს თავში ავარდნილი.

კვირა

მარი დე მონტუირი მიყურებს, როგორ ვცლი ჩემს 42-ე „კაიპირინიას“ კაფე „კლოზერიში“.

- ძალიან ბევრს სვამ.

არ ვიბნევი. იმავე სტილში ვპასუხობ (თითს საზეიმოდ მაღლა ვწევ):

- თითქოს აქ არა ხართ, მაგრამ არაფერი გეპარებათ.

ორშაბათი

„საღამო მშვიდობისა. სირაქლემას ფილე აღარ დარჩა“, - ტრაგიკული ხმით მიცხადებს „ფარფალას“ ოფიციანტი (1, კრუაზეტის პროსპექტი, კანში). ჩვენ კი სასადილოდ ეს-ესაა მოვედით. ვფიქრობ, კვირის ფრაზის გრან-პრის გადავცემთ დიდი ზარ-ზეიმით.

სამშაბათი

„მარშეს“ ბარში ერთი ნორჩი შავგვრემანი იზაბელა გავიცანი. მარტო ჰყვარებია შამპერეში მისვლა და ვიდეოს ყურება (უკვე ხუთჯერ იყო). ბოლოს მთელი დღე გაატარა პირველ რიგში სტრიპტიზის ყურებაში.

- ხანდახან სტრიპტიზიორები მაყურებელს ირჩევენ. აჰყავთ სცენაზე დახდიან. იმ უბედურს კი ვეღარ უდგება, - მიყვება იზაბელა.

კიდევ ის მითხრა, რომ ამას წინათ ეპილაციის გასაკეთებლად მისულა და იტალიელმა ეპილაციის პროფესიონალმა ბოქვენის ლოკვა დაუწყო. საცოდავი შოკირებული შინ დაბრუნებულა. ღამე შიშისგან დასიზმრებია, თითქოს ვიღაცას შიშველ ძუძუებს უჩვენებდა და ის საზიზღარი კი ხმარებაზე უარს ეუბნებოდა. ანალიტიკოსი რომ ვყოფილიყავი, რა ფულს გავაკეთებდი ყველა ამ გიჟზე, ასე რომ მეკიდებიან.

ოთხშაბათი

კოქტეილი ჟერომ ბეგლესთან ერთად. ჟერომი პარის მატცჰ-ის ჟურნალისტია. PPDA ისევ მშვენიერ კლერ კასტიონთან არის (ძალიან ლამაზი თაგვის სიფათით). ჟან-ჟაკ შული თავისი ჯოხით ბრძანდება (როგორც ფრანსუა ნურისიე). ფრანსუა ვეიერგანს სულ შესწორებები შეაქვს თავის მომავალ წიგნში. ფრანსუა ჟიბო ისევ აკადემიკოსობის კანდიდატია. ემანუელა გომი დიდხანს ვერ დარჩება Canal +-ზე. ღამეს „კენზო-რეივში“ ვამთავრებ. „თქვენო უწმინდესობავ“, - მომმართავს ივ ადრიენი. ჯინ-ტონიკს ვწრუპავთ და სეიშელის კუნძულებსა და მსოფლიოს დასასრულზე ვბაასობთ. უფალო, მადლობას გწირავ, მსოფლიოს დასასრულს ამ საღამოზე მოსაწვევი რომ არ მიუღია.

ხუთშაბათი

ხშირად გამიგია, დაკომპლექსებულ გოგოზე ამბობენ, ტრაკში ცოცხი აქვსო. ვერასდროს გავიგე, რას ნიშნავდა ეს გამოთქმა. მე რომ რომელიმე გოგონა უკან ცოცხით დავინახო, არაფრით ვიფიქრებ, რომ კომპლექსიანია.

პარასკევი

„მე მიყურებთ, მაგრამ თქვენს თავს ხედავთ“. ჟაკ რიგო ყოველთვის მართალია.

გაზაფხული

კანი, მონპელიე, ჟენევა, გერმანია და ვენა

კვირა

„ოსკარ დიუფრეზნის დღიურის“ ბევრი მკითხველი მეკითხება, სად არის სიმართლე და სად - ტყუილიო. ოსკარ დიუფრეზნი თქვენ ხართო? არა? მაშ, რატომ არის მისი წიგნი ფრედერიკ ბეგბედერის სახელით ხელმოწერილიო? ეს არ ასვენებს მათ სულებს: სად ვიტყუები, რომელ ადგილას, რომელ საათზე, რომელი პიროვნებაა გამოგონებული და რომელი - არა… არ ესმით, რომ პირადი დღიურის წერა ავტორის ნამდვილი სახელით, არ ნიშნავს სიმართლის წერას. ეს არ არის არაგონის „მართალი ტყუილი“, დღიურის ავტორის ცრუპენტელა სიმართლეა. ადრე ავტორის დღიური და რომანი განსხვავებული იყო. პირველი ავტორის პირადი ცხოვრების გამომზეურება იყო, მეორე - გამოგონება. ვინაიდან ახლა რომანიც ავტობიოგრაფიული გახდა, გადავწყვიტე, რომანტიკული დღიური დამეწერა. საკუთარი ცხოვრების მოყოლა ავტორის ნამდვილი სახელით უინტერესოა და მოსაწყენი, რასაკვირველია, ბევრად მარტივიც: მკითხველმა კარგად იცის, როგორია ავტორი, რას გვიყვება, თან გენიოსობას ვაბრალებთ (მოძველებულიც რომ არის, ისიც ვიცით). სიმართლე მირჩევნია რეალობას. ფიქციას რომ კითხულობ მწერლის დღიურში, გგონია, დახუჭობანას თამაშობ. „ეგოისტი რომანტიკოსი“ შეიძლება სხვაგვარად ასე ახსნა: „თამაში საკუთარ თავთან“. „ორშაბათი - მე არა, სამშაბათი - მე არა, ოთხშაბათი - მე არა“.

(ჩემი ღრმა პატივისცემა გომბროვიჩს).

ორშაბათი

პირველი: გარდაუვალი კატასტროფა გველის, დედამიწა აღარ იარსებებს. მეორე: მეც აღარ ვიქნები, ესეც გარდაუვალი და ეძვგარეშეა. აქტუალური შეკითხვაა, რომელი დაიღუპება პირველი? დედამიწა თუ მე? მირჩევნია, ჯერ დედამიწა… მერე რა? მაინც ბოლო ერთი იქნება. სიკვდილის შიში ვერ იხსნის დასასრულს, მეც სხვებთან ერთად დავიღუპები. ალბათ, ადამიანები ერთმანეთს ვგავართ: მაშინ გასაგებია, რატომ ვცდილობთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, აპოკალიფსის მალე დაწყებას: მარტო რომ არ ვიყოთ სიკვდილშიც…

სამშაბათი

ჩემი ცხოვრება რეალურ ფაქტებზე აგებული რომანია.

ოთხშაბათი

ელიზაბეტ ქუინს ჩემს ბოლო ამნეზიაზე ველაპარაკებოდი.

- შაბათს 19 საათიდან კვირა შუაღამემდე ერთი დიდი შავი წერტილია, არაფერი მახსოვს, რა მოხდა.

მიპასუხა, როგორც ლუი ჟუვემ „სასაცილო დრამაში“:

- შავი წერტილი? რა ამაღელვებელია…

ხუთშაბათი

მიყვარს ჩემი უბედურება. მარტო არ მტოვებს, სულ ჩემ გვერდითაა. ხანდახან ბედნიერი რომ ვარ, უცებ ვგრძნობ ტკივილის უკმარისობას… უცებ ვეჩვევით სევდას.

პარასკევი

აქციონერები შონ პენი და ჯონი დეპი არ იყვნენ (ოჰ, ეს საღამოები, სადაც ორი ათასი კაცი ელოდება იმათ, ვინც არ მოდის. კონცეფცია „დიდი გეტსბიდან“ არის გადმოქაჩული). „სიმპლი რედმა“ იმღერა: თურმე ხმა ლონდონში დარჩათ. მე არ ვიყავი, გონზაგმა დააბეზღა ჩემთან.

შაბათი

ისეთ განწყობაზე ვარ, მინდა ყველა ქალს ვუერთგულო. გაწყვეტილი კავშირები მინდა აღვადგინო, დარღვეული ურთიერთობები, გაბნეული ნაწილები შევაწებო… საერთოდ, ამ პროცესს „თავის შერემონტება“ ჰქვია. მაგრამ რაც შემეხება მე, არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებ კლერთან შერიგებას. სხვა ქალებში მინდა ვიპოვო მისი ნაწილები და მერე შევაერთო. კლერის პაზლი უნდა ავაწყო დანარჩენებისგან.

კვირა

წუხელ, გამთენიის 4.59სთ-ზე, მანქანიდან თავგადაყოფილი მივქროდი ნიცასა და კანს შორის გზაზე. გაზაფხულის თბილი სიო უბერავდა. კვიპაროსების, ზეთისხილის, კედრის, ფიქვის სუნი მათრობდა. მეგონა, მთვარე სერფინგით მისრიალებდა ცაში…. ხმელთაშუა ზღვის თავზე… საოცარსიმსუბუქეს ვგრძნობდი, მას მერე, რაც მობილური Village-ში დავკარგე. ჟუან ლე პენში ღამის კლუბია ასეთი (ყოფილი Voom Voom, ვინც არ იცის). ახლა ვინღა დამირეკავს?! ნამდვილი თავისუფლება დაუკავშირებლობაა! ერთადერთი რამ, რაზეც გული მწყდება, მარინ დელტერმის ტელეფონის ნომერია. რა გაუმართლა იმ ტიპს, ვინც ჩემს ტელეფონს იპოვის… ჟან ალის დაბადების დღე იყო „პეტასლენდში“. მოგვიანებით ახალი სახელით მოვნათლავთ - „მორტოლენდელი სოსისი“. იქ ვურტყი პირველად Green Apple-Vodka და Hipnotic Poison. ბატონმა რუდიმ პატივი დამდო, ჩამერთო Daft Punk. დიდი წარმატება მოჰყვა: ბევრი ყვითელი სათვალე, გადაღეღილი პერანგი და შარვლის წელზე ამოსული ვარდისფერი ტანგა. მიკროფონით ხელში ერთ-ერთმა ჯენიფერ ლოპესმა, რომელსაც სინამდვილეში ანისა ერქვა, ასე დაახასიათა თავისი ეპოქა:

- ყველანი ბოზები ხართ!

თუ ეს ახალგაზრდობაა ჩვენი მომავალი, სამყაროს დასასრული შორს არ ყოფილა!

ორშაბათი

ფიზიკურად სუსტი ვარ, ადვილად მაცდუნებს კაცი. რა ვქნა? ქალური მშვენიერების მსხვერპლი ვარ. ისევე როგორც მოდის მსხვერპლი, ხომ გაგიგიათ, ასეთი ვარ. სარჩელი უნდა შევიტანო, რომ დამნაშავე არა ვარ. ჩემი ბრალი არ არის… სულელი ვარ, ჩერჩეტი… თქვენ თუ ასეთს „უნამუსოს“ ეძახით, მე beauty victim-ს დავარქმევდი.

სამშაბათი

პარიზის კინოფესტივალი გაიხსნა. ფილმის ჩვენების მერე ჩემ გვერდით „გომონ მარინიანის“ კიბის საფეხურზე ჩამომჯდარი შვლისთვალება გოგონა შევნიშნე. მობილურს სევდიანად დაჰყურებს ერთინახევარი საათია. შემეცოდა. ვიფიქრე, ალბათ, ვინმეს ზარს ელოდება და ის არ ურეკავს-მეთქი. ან სახელები და გვარები გადაიკითხა ორმოცდაათჯერ და არ იცის, არჩევანი ვისზე გააჩეროს-მეთქი. პატარა გული აბრეშუმის ბიუსტჰალტერის ქვეშ უცემს ცხოვრების მამაკაცის მოლოდინში… აბა, რას ვიფიქრებდი, დასტრესილი სახით მობილურის კლავიატურაზე თითები რატომ უნდა აფათურო გაუთავებლად?.. რა ლირიკული ვარ მაინც, ჰა?! დრო ვიხელთე და მივუახლოვდი. ვკითხე, ცუდად ხომ არ ხარ-მეთქი. ჰოდა, არ გამიბრაზდა?!

- ერთი თქვენიც! წამაგებინეთ! „ტეტრისში“ ვიმარჯვებდი!

თურმე ეს იდუმალი გზააბნეული სინამდვილეში სატელეფონო თამაშების ჩემპიონი ყოფილა (ერთი შენიშვნა: ვიფანტაზიორე, ბუნებრივია, ფილმების ფესტივალია…).

ცოტა მოგვიანებით, Renoma Gallery-ში კლოტილდ კურო არ მოვიდა.

ოთხშაბათი

ერთ კარგ ანეკდოტს მომიყვნენ: სვეკკ ჰომოსექსუალს რომანი აქვს გინეკოლოგთან. ყველა პარიზულ საღამოზე დაჰყავს და ასე წარადგენს:

- ჩემი გინეკოლოგის გარეშე უკვე აღარსად დავდივარ!

ხუთშაბათი

დღიურის წერაზე ბევრი ვიფიქრე. გაუგებრობისა და უხერხულობის თავიდან ასაცილებლად მინდა გაგაცნოთ ნაწყვეტი კამიუს „ვარდნიდან“: „აღსარების ავტორები ისე წერენ, რომ აღსარება არსად ჩანს მათ წიგნებში. რაც იციან, იმის თქმა არამც და არამც არ სურთ. მაშინაც, როცა სათქმელად ემზადებიან, ოსტატურად სხვა თემაზე გადადიან… მენდეთ, მაგ საქმეში ჭიპი მაქვს მოჭრილი“. მაინც რა უცნაური გრძნობა იყო: გი ჟორჟმა როგორ აღიარა ჩადენილი მკვლელობები პარიზის სასამართლოში. ყველა ავტორი გის რომ ჰგავდეს, სუსტ წერტილზე დავაწვებოდით და გუდასაც მოხსნიდნენ პირს. „დიახ, მე ჩავიდინე, დიახ, დიახ, ეს მე ვარ… მორჩა, მაპატიეთ, აღარ მოვიტყუები“. მაგრამ მწერლები ხომ კრიმინალები არიან, არასდროს გამოტყდებიან სიმართლეში.

პარასკევი

გუშინ საღამოს დომინიკ ნოგეზი რომანის სახელოსნოს რედაქციიდან წავიდა:

- წავედი, რომანი მაქვს დასამთავრებელი.

- მეც… უნდა წავიდე: რომანი მაქვს დასაწყები, - ვუპასუხე.

შაბათი

ტელევიზიით რომ გამოვიდე, იტყვიან, ეს კაცი სულ ტელევიზორშიაო. ამიტომ უარს ვამბობ, ისედაც ამბობენ, რომ თავი ვარსკვლავი მგონია. თავიც რომ მოვიკლა, იტყვიან, პიარისთვის უნდოდაო.

კვირა

გამომცემლები წიგნებს არ კითხულობენ - აქვეყნებენ.

კრიტიკოსებიც არ კითხულობენ - უბრალოდ, წიგნს ფურცლავენ.

ხალხი არ კითხულობს - მხოლოდ წიგნებს ყიდულობენ.

დასკვნა: არავინ კითხულობს წიგნებს, მწერლების გარდა.

ორშაბათი

ლუდო შინ რომ ბრუნდება, ვიღაცა მაინც ჰყავს, ვისაც კალთაში ჩაუდებს თავს. ხანდახან ჩემს თავს ვეკითხები, მარტოხელები იქნებ იმიტომ აბამენ ქალებს, რომ სიტყვა „ჩაუდებს“ გამოიყენონ?..

სამშაბათი

რომანტიზმის დიდი კრიზისი აქვს პატრიკ უილიამსს (ჟურნალ Technikart-ის მთავარი რედაქტორის მოადგილე): ორივე თანახმა ვართ, რომ ქალთან დაწოლა უფრო სასიამოვნოა, თუ შეყვარებულიც ხარ. მამაკაცები ქალებს ჰგვანან ამ საქმეში: სექსი გრძნობით გვირჩევნია. გულის ფრიალი, ხიბლი, ამ საქმეს ცოტა ჯადოსნობა უნდა ახლდეს. აბა, სხვანაირად სექსი უბრალო ფიზკულტურა იქნებოდა. ალბათ, ამიტომაც ვსვამთ ამდენ სასმელს. ხშირად მქონია სექსი მთვრალს, სიყვარულით თრობა რომ შემეგრძნო. გული თუ არ ფეთქავს, თავი მაინც ხომ უნდა გიტრიალებდეთ.

ოთხშაბათი

გუშინ საღამოს გიიომ რაპნო ერთ ლამაზ ქმნილებას თავის Audi TT-ს აჩვენებდა:

- ახალი მანქანა ვიყიდე, შინ ნაშები რომ ავიყვანო… რას აკეთებ ამ ღამეს?

ხუთშაბათი

კვირის კიდევ ერთი ფრაზა: „მირჩევნია, მოგოლი ვეგონო ვინმეს, ვიდრე მონღოლოიდი“ (ტიერი არდისონი).

პარასკევი

ვენა… ცარიელ სასახლეში ვალსს აღარ ცეკვავენ. ფროიდის სახელობის პარკი. ჰაინრიხ ჰაინეს სიტყვები მინდა შევცვალო: Ich weiß genau was es bedeuten soll, daß ich so traurig bin?არ ინერვიულოთ, სიტყვების თამაშის ერთადერთი შემთხვევა იქნება გერმანულ ენაზე.

შაბათი

ჟან-პიერ რუეირუს 50 წლის იუბილეა მონპელიეს ოპერაში. მისმა მრავალრიცხოვანმა მეგობარმა სმოკინგი და საღამოს კაბა მოირგო. პიერ კომბესკოც აქ არის. ვიღაც პიკის ქალში გამოწყობილა და დაკარგულ კონტრაცეპტივს ეძებს. ძველი დროის სადღესასწაულო მელოდიები ისმის. საკმაოდ ასაკოვანი ვარ იმისთვის, რომ ამ მელოდიებმა ნოსტალგია გამიღვიძონ. დღეს სხვა მელოდიებზე ვცეკვავთ. სხვათა შორის, მონპელიეში უფრო ცეკვავენ ვალსს, ვიდრე ვენაში. ერთი ჩემი მეგობარი ბენუა დიუტერტრი ქალების შესაბმელად დაძრწის. მე კულისებს ვათვალიერებინებ ერთ მუქთმიან ნაშას, რომელიც გაოცებული ერთსა და იმავეს იმეორებს:

- კი, მაგრამ 39 წლის ვარ, გესმის?! რას მაბამ, ოცდაცხრამეტის ვარ-მეთქი!

მაგრამ ცხვირში იმდენი მქონდა, რომ შარვალში აღარაფერი დამრჩა…

კვირა

პალავა-ლე-ფლოში მზე პიცას აცხუნებს. ადგილობრივ პროლეტარიატს მზის საწინააღმდეგო ზეთი წაუსვამს მთელ ტანზე და

პლაჟის ფრენბურთს თამაშობს. ღარიბი ხალხი უფრო სექსუალურია-მეთქი, უკვე ხომ გითხარით. ყოველთვის დაგიმტკიცებთ ამას (მე თავად ვარ ცოცხალი მაგალითი). ერთი ბალნიანი შავგვრემანი გოგო მომცააააა… ძველი მაგნიტოფონებიდან პოპდუეტი Modjo-ს სიმღერა Lady ისმის, თითქოს გუშინ იქცა ჰიტად. კაუჩუკის სანდლებით რადიოაქტიური მიდიების საჭმელად მივდივართ. ძველი ფუნიკულორით არხზე გადავდივართ იტალიური ნაყინის საჭმელად. რესტორნის მაგიდები ტერასაზეა გამოტანილი, ზურგით ზღვისკენ. ვაააა, ცუდია! ფოტოზე ვერ მოვხვდებით Midi libre-ში. მანქანის უკანა ფანჯრიდან ჩემი სიყვარული დავინახე, როგორ დავტოვე წარსულში.

ორშაბათი

გოგონების ძუძუები ისეთივე მკვრივია, როგორც სილიკონიანი. გაუთავებლად ვუმეორებ კამილას, რომელსაც თმა ყავისფრად შეუღებავს. ძალიან ნორჩია ჩემთვის. ის კი მოთქვამს:

- რატოოომ? ვადაგასული პროდუქტი გევასება?

პრინციპში, მისი ასაკი კი არ მაწუხებს (17 წლისაა), უფრო მისმა ფასმა შემაშფოთა („შანელის“ საათი). უცნაური თვისება აქვს, საჩუქრებს მოითხოვს, მაშინ, როცა მისი დაბადების დღე ჯერ არ მოსულა, არც 24 დეკემბერია… რა სამწუხაროა, კინაღამ დავიჯერე, როცა მე თვითონ ვთამაშობდი. ძველად უფრო ლამაზი გრძნობები იყო. იმის მაგივრად, რომ ვიხვნეშო ყველასავით (სწრაფი არაფერი ვარგა)… „იაპონური ბარის“ ფრანკი და ოლივიე ისევ დამცინებენ:

- ოსკარ, გოგონები მხოლოდ ფურცელზე წვებიან!

ლატექსში გათავება, რაც უნდა თხელი იყოს, ძალიან ლამაზ პირშიც კი მაინც ლატექსში გათავებაა.

სამშაბათი

ადრე სამ ჭიქას რომ დავლევდი, ლამაზი ფრაზები თავისით მოდიოდნენ. ახლა, როცა სამ ჭიქას დავლევ, ვინიშნავ, რა წავიკითხე.

ოთხშაბათი

კლერი დილის ექვს საათზე მირეკავს, რომ გამლანძღოს. მშვიდად ვაცლი ნაღველის გადმონთხევას, როგორც გიენას აფრიკულ სავანაში. მერე ისევ მშვიდად ვპასუხობ, რომ ჩვენ შორის დიდი განსხვავებაა: ისევ მაგინებს, რადგან ვუყვარვარ, მე კი ზრდილობიანი ვრჩები, რადგან აღარ მიყვარს. როცა ყურმილი დამიკიდა, სუნთქვა შემეკრა, მივხვდი, ეს ბოლო საუბარი იყო ჩვენს ცხოვრებაში.

ხუთშაბათი

ხშირად მინდა ქალები ერთმანეთში ჩემი საყვარელი ციტატებით საუბრობდნენ. მაგალითად, „ნეტავ ვისში გეშლებით?“ - არაგონის ეს ცნობილი შეკითხვა აბსოლუტურად ლოგიკური იქნებოდა კოქტოს არანაკლებ ცნობილი ფრაზისთვის: „ის, რაც შენში არ მოსწონთ, კიდევ უფრო განავითარე: ის შენ ხარ“. მორალი: შენ ხარ ის, ვინც ჰგონიხართ. აზრი არა აქვს ნერვიულობას, ცუდად რომ გახასიათებენ, რადგან ზუსტია ეს დახასიათება. სჯობს, ეს აზრი გაიზიარო, ვიდრე მთელი სიცოცხლე აღმა იცურო. არაგონსა და კოქტოს თავის სიცოცხლეში ჰქონდათ ნეტავ ეს საუბარი? რა მნიშვნელობა აქვს… ახლა სულები საუბრობენ. რა არის ბიბლიოთეკა, თუ არა გვამების საუბრის ადგილი? დებატები დაუსრულებელი იქნებოდა… მაგალითად, კაფკა თავისი კატეგორიული აფორიზმით კიდევ უფრო შორს მიდის, ვიდრე კოქტო: „მსოფლიოსა და საკუთარ თავთან ბრძოლაში წაგებული მსოფლიოა“.

პარასკევი

წვიმს, დარია, წვიმს, დარია. ღმერთი დისტანციურით თამაშობს ამინდის პროგნოზთან, როგორც მე - ქალებთან. დაცინვას გიკრძალავთ. ეს ჩემი პატარა ოთხსტროფიანი, გთხოვთ, წაიკითხოთ და ნუ გამკიცხავთ:

დიდი სურვილი მაქვს უმად გჭამო

დიდი სურვილი მაქვს ხვალვე შეგირთო

დიდი სურვილი მაქვს საჯდომი მოგაჭამო

დიდი სურვილი მაქვს ხელი გთხოვო.

ვიცი, ჯერ ბევრი შრომაა ჩასადები ამ ნაშრომში, მაგრამ მაინც ალექსანდრიული ლექსია!..

შაბათი

რაც შეეხება სუიციდს. ჟაკ რიგო აი, რას ამბობს: „სიცოცხლე არაფრად ღირს, როცა მას ტოვებ“ (ამ ფრაზამაც არ შეუშალა ხელი, სიტყვა საქმედ ექცია).

კვირა

მხოლოდ წერა, კითხვა და ქალთან დაწოლა მევასება. აქედან გამომდინარე, საცხოვრებლად აბსოლუტურად მაწყობს ციცქნა ბინა წიგნების თაროებით, ერთი კომპიუტერი და ერთიც საწოლი.

ორშაბათი

ციმბირის ყინვაა: ნოემბერი ექვსი თვე გაიწელა. მე კი მთელი ცხოვრება სათბურების წინააღმდეგ გამოვდივარ! იქამდეც მივალ, რომ გლობალური დათბობის მომხრე გავხდები… 2000 წლის ნოემბერში 180 ქვეყანა ლა-ეში შეიკრიბა და შეთანხმდა, შეემცირებინათ CO_2-ის წარმოება და ამის მერე ვითოშებით! მაგრამ ლიონელ ჟოსპენის პოლიტიკური პროგრამა შემდეგს მოიცავს: „მე მომეცით ხმა, რადგან 2002 წლისთვის მანქანების რაოდენობას გავზრდი, რათა მთელი წელი თბილოდეს. ამავე დროს ზღვის დონე რვა მეტრამდე აიწევს და პლაჟები პარიზს მიუახლოვდება“.

სამშაბათი

გუშინ ბილი უაზერსს ვუსმენდი Ain’t no sunshine when she’s gone/ It’s not warm she’s away და ვიტირე. პარიზულმა ყინვამ ჩემს გულს გაორმაგებული გამყინვარების ხანით დაარტყა. ვიცი, რაღაც იდიოტობას ვწერ, ეს კიდევ უფრო ამძაფრებს ჩემზე წარმოდგენას, თითქოს გულქვა ფალოკრატი ვიყო, მაგრამ აბა, რა ჩემი ბრალია?! ამ სიმარტოვეში ცრემლები მუსიკალური ცენტრის ეკვალაიზერის წინ იმედის საწყისად მიმაჩნია.

ოთხშაბათი

ტელევიზორს ვუყურებ, რომელიღაც წიგნის პრეზენტაციაა. ვცდილობ, ჩვეულებრივი ვიყო. პოპულარობა მონობაა ფუფუნებაში, ციხე ღია ცის ქვეშ. ქუჩაში დადიხარ და ყველა გითვალთვალებს, როგორ მოიქცევი. ვინმეს რომ შეეჩეხები, ისე იქცევა, თითქოს ვერ გიცნო. ცოტას გაივლიდა შენს ზურგს უკან ასეთი ჩურჩული გესმის:

- ნახე? ეს ის იდიოტი ოსკარ დიუფრეზნია!

- უყურე შენ?! გამხდარა!

- ვერ ნახე, რა განგრეულ კაიფში იყო?

- მაინც ცხვირაწეული დადის!

- მე მიყვარს, რას ერჩით…

- მოკეტე ერთი, ეგლანტინა, რაა!…

ყველა უმცირესი დეტალი, თითოეული ცვლილება ფიზიკურ გარეგნობაში წვრილმანებამდეა გარჩეული.

- რა ცხიმიანი თმა ჰქონია!

- გაპარსულიც არ არის!

- იგივე პერანგი აცვია, ფოუიელთან გადაცემაში რომ ეცვა!

- ჰო, აბა, რა! ღამე, ალბათ, სადღაც გაატარა!

- მე მიყვარს…

- მოკეტე-მეთქი, ეგლანტინა!

ასე მგონია, თითქოს მუდმივად მიღებს კამერა. სულ ოფლიანი ვარ. რამდენი თვალი მიყურებს! მარტო მე არ მქონია ჩამოსივებული თვალები…

ხუთშაბათი

წარსული გათავდა და მომავალი გაურკვეველია. აწმყო გაუთავებელ სიამოვნებაში გვახრჩობს.

პარასკევი

ჩემი მიზანია, ვიყო ტომ ჯონსი და კონდიციონერიან ლიმუზინში ვიჯდე. სახე გადაჭიმული, ინპლანტირებული კაპილარული სისტემით და ზეგარუჯული, აბსოლუტურად გაპობილი და გამოწუწნული. აი, ნახავთ, ამასაც მივაღწევ. ერთ დღესაც მნახავთ თეთრი ტყავის სავარძელზე ცალ ხელში „მაგნუმით“, ლიტველი ესცორტ-გირლ-ები კი მეორე მხარეს დამიმშვენებენ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, მაინც მოვძებნი ჩემს ბედზე საწუწუნო მიზეზს.

შაბათი

ჰო, მართლა… კანის ფესტივალი ორ კვირაშია, არა? იქ ხომ იქნება კონდიციონერიანი ლიმუზინები? ოცნება ასე მარტივად რომ ასრულდება, გამოდის, არც ისეთი ოცნება იყო…

კვირა

„ღარიბი ვერასდროს დაწერდა ჰენრი ჯეიმზის რომანებს“. ჯეიმზ ჯოისი მმფარველობს.

ორშაბათი

რასაც ვაკეთებ (გაზეთებისთვის სტატიებს ვწერ, წიგნებს, ტელე-რადიოქრონიკებს), მხოლოდ და მხოლოდ სილაჩრით მომდის. უარის თქმა არ შემიძლია. მეშინია, არ დამინახონ და ჩემი ხმა არ გაიგონ, დამივიწყებენ. ხალხი ფიქრობს, რომ პეოპლე ვხდებით, რადგან ამაყები ვართ, ნარცისები და მეგალომანები. ამ დროს ყველაფერი პირიქითაა: პოპულარობა იმას უნდა, ვინც მშიშარაა, მორიდებული და სუსტი.

სამშაბათი

ლუდო დასცინის ჩემს ბურჟუაზიულ მანკიერებებს.

- ჰოოო…. ოცდათხუთმეტს გადაცილებული მარტოხელას თვისებები…

- შენ რატომ არ წერ შენს ბედნიერებაზე? შენ ხომ უბედნიერესი მამა ხარ, ფანტასტიკური ცოლის პატრონი…

- რისთვის უნდა ვწერო? ჩემი შედევრები ჩემი შვილებია. ვერც ერთი დისკი, წიგნი თუ ფილმი ვერ შეედრება მათ. ვერც ერთი მხატვარი ვერ გამოიწვევს ჩემში ისეთივე აღფრთოვანებას. როცა ჩემი უფროსი გოგო დაიბადა, მაშინ მივხვდი, ყველანაირი

ხელოვნება სასაცილოა პატარა მტირალა არსების წინაშე, რომელიც სისხლიანი წევს დედის მკერდზე. მასმერე ჩემი ცხოვრება გაუგებარ და ჯადოსნურ ნაწარმოებად გადაიქცა. ხანდახან რაღაცები მეორდება, რაღაცები ძალიან ჭიანურდება, შეცდომებსაც ვუშვებთ. ვიღლებით, ცხოვრების დეკორაციები მოსაწყენი ხდება. არჩეული სტილი ხშირად ჩვენი უარყოფითი მხარე ხდება. მაგრამ ეს სჯობს პიკასოსაც, პრუსტსაც, ფელინისაც და „ბითლზსაც“.

- პეგი წერდა, ოჯახის მამა თანამედროვე თავგადასავლების მაძიებელიაო. შენ კი ამბობ, საცოდავი დენდიაო.

- იცი რა, ოსკარ, დიდხანს მშურდა შენი ყოფის. ახლა კი ვხედავ, რა საცოდავი ხარ.

- გმადლობ, ჩემო ერთადერთო მეგობარო.

ერთმანეთს ვერ გავუგეთ. ფანჯრიდან ვუყურებ ახალგამომცხვარ მამიკოებს, როგორ შედიან საბავშვო ეტლებით ლუქსემბურგის პარკში. დაღლილები და დეპრესიულები არიან ამ ხმაურიანი ღლაპების გადამკიდე. იძულებული არიან, ქვიშაში ითამაშონ „პასკა, პასკა, გამოცხვი“. არადა, ჰა და ჰა, მოთმინებას ბოლო მოეღება… როდის გარეკავენ საბოლოოდ? როდის მიხვდებიან, რომ სულ არ აინტერესებთ პამპერსები და ეს ჯანდაბური საბავშვო სავარძლები?

ოთხშაბათი

მიშელ დეონს უნდა ვურჩიო ბერძნული რომანი ასეთი სახელწოდებით: „წმინდა გონი კორფუში“.

ხუთშაბათი

ორი ადგილი, სადაც ხალხი ტაშს უკრავს და ძალიან იდიოტობად მეჩვენება: კინოში და თვითმფრინავის დაშვებისას.

პარასკევი

კვირის ფრაზა: „ის ნახევრად ტოპმოდელი იყო, ნახევრად - მაინ კამპფი“ (ედუარ ბეარი).

შაბათი

სიცოცხლის ბოლოს ფრანსუა მიტერანი აუტანელი იყო. როჟე ანენს გაანდო, ეიფელის კოშკის დანგრევა მინდაო. თვალს უკრავდა მორის პაპონს, ჟორჟ-მარკ ბენამუსთვის რომ ნერვები მოეშალა. ელკაბაშის თვალწინ ყველა მის მეგობარს ლანძღავდა, ანადგურებდა თავის მტრებს. ბოლოს რისი თქმა მინდა: იყო ბებერი, აუტანელი, ყოვლისშემძლე, კურტიზანებითა და წიგნებით გარშემორტყმული. დაცემულს ესროდა, რათა მოესწრო, მისთვის რომ არ ესროლათ.

კვირა

გარკვეული ასაკიდან რაღაცები ზუსტად ვიცით. მაგალითად, სიყვარული: „გრძელდება სამი წელი“. ერთგულება? - „ადამიანისთვის გაუგებარი“. სიკვდილი? - „ერთადერთი თავისუფლება“. ცნობილი ფრაზებით ვიმშვიდებთ თავს. გარკვეული ასაკიდან ნებისმიერი საბაბი გვაწყობს აზროვნების შესაწყვეტად.

ორშაბათი

საფრანგეთიდან უნდა წავიდე. ერთმა მეცნიერმა ზედმიწევნით ამიხსნა, რატომ იყო მხოლოდ ხუთი მზიანი დღე ბოლო ექვსი თვე. ჩრდილოეთ პოლუსი დნება. გამოდის, ოკეანეებში მეტი წყალია: მარილი ვეღარ ასწრებს თანაბრად განაწილებას, რამეთუ სწორედ მარილია გოლფსტრიმის დინების განმსაზღვრელი. არ მკითხოთ, ეს როგორ ხდებაო, მაინც არაფერი მესმის. მაგრამ სამწუხარო რეალობა ასეთია. გოლფსტრიმის თბილი დინების გავლენაა, რომ საფრანგეთში არ ყინავს, როგორც ჩრდილოეთ პოლუსზე, მაგრამ ეს დინება მიმართულებას იცვლის. მომავალ ათწლეულებში პარიზი ისეთივე ცხელი ადგილი იქნება, როგორიც მონრეალი. 2001 წლის ავადსახსენებელი კლიმატური პირობები შემთხვევითი ცვლილება არ გახლავთ. არავინ გვეუბნება, მაგრამ ყინული წაგვლეკავს. ფრანგული ზამთარი უფრო და უფრო მძიმე გახდება. ისე გვინდოდა მეტი და მეტი კომფორტი, რომ საშინლად დავაბინძურეთ ბუნება. ის კი შურს იძიებს. მომავალი ნოე ხელთათმანებში მოგვევლინება, ციგითა და წვერზე სტალაქტიდებით.

სამშაბათი

ყავისფერთვალება ქერა გოგონები კარგს არაფერს გასცემენ.

ოთხშაბათი

ფრანსუაზ არდიმ ჩემი ჰოროსკოპი ამიხსნა: ქალწული ვყოფილვარ გადახრილი ტყუპისკენ. ქალწული ნიშნავს, რომ ვარ მანიაკური, სერიოზული, მშრომელი, პედანტი, მოაზროვნე, დამღუპველი, აუტანელი საცხოვრებლად. ტყუპი ნიშნავს: ცნობისმოყვარეს, დილეტანტს, ინტერესიანს, კომუნიკაბელურს, სწრაფს, დასტრესილს, აუტანელს საცხოვრებლად. ქალწულისგან კრიტიკული გონი მერგო და ტყუპისგან - მოუსვენარი ხასიათი.ისეთ წვრილმანებზე ვამახვილებ ყურადღებას ამ დღიურში, დიდად ვეჭვობ, შიზოფრენია მაქვს.

ხუთშაბათი

არი ბულონმა ალენ დელონს წერილი მისწერა. მეც მომინდა არისთვის მიწერა: „ძვირფასო არი, შენი შველის ხმა ჰგავს უდაბნოსა შიგან ძახილს. არ იცი, ვინ ხარ, საიდან მოდიხარ და რატომ ცხოვრობ? გგონია, მარტო ხარ ამ მდგომარეობაში? დაწყნარდი. ყველა ასე ვართ“. მისი ბავშვობა, ალბათ, მართლა კოშმარი იყო. მაგრამ მის კითხვებზე უმრავლესობა პასუხს ვერ მოძებნის. მამის ყოლა მაინც არაფერს ცვლის.

პარასკევი

შაბათ-კვირა ჟენევაში წიგნის გამოფენაზე. რის ნახვას ველოდები და ჭუჭყიანი ფულით გაძეძგილი ბანკების, საათების მაღაზიებისა და შოკოლადის. სადღესასწაულოდ მორთული ქალაქი რუსული მაფიისა და საუდელი პრინცების ხელშია. იბიცას და მაიამის შეუძლიათ, დაისვენონ. აქ ყველა ისე ზასაობს ენაგადმოგდებული, როგორც კლიპში You are My High. ბილ კლინტონმა ფონდიუ მიირთვა „არმიურში“ (ძველ ჟენევაში). ოსკარ დიუფრეზნმა კი „ესპუარ-ბარში“ ერთი ბოთლი ლუდი

მარტინას ძუძუებში ჩაცალა.

შაბათი

მსოფლიოს კლუბიზაცია (გაგრძელება). რა თქმა უნდა, „ესპუარ-ბარზე“ უკეთესებიც არის: „მეორე ბიურო“ (სტანდის ქუჩა) და „ბაროკო“ (ფიურსტერის მოედანი). „ბაროკო“ ჟანინის ბარია და ჟენევის ახალგაზრდობის შესაკრები ადგილი. ანუ ამით იმის თქმა მინდა, რომ მსოფლიოს ყველაზე სექსუალური ნაშები აქ იყრიან თავს იუველირი მამიკოების ზარმაცი შვილების შესახვედრად. არაყი-რედ ბულის ნაზავს (საფრანგეთში მკაცრად აკრძალული) სვამენ, აპროტესტებენ, როცა დიჯეი შეგის დებს და სანამ BMW Z8-ით გასისინდებიან, სამჯერ კოცნიან ერთმანეთს გამოსამშვიდობებლად. აქ რუმინელი ქალები ძუძუებს შორის ოქროს ძეწკვებს ატარებენ და ან ნიკიტა და ან ადრიანა ჰქვიათ. დანიელა ლუმბროზოს ირმა დანონს ეძახიან! რა სამწუხაროა, რომ არ მევასება ეს ფირმა! გეფიცებით, არ ვამეტებ. კვირაში ცამეტი გადაცემა მიჰყავს ტელევიზიით, შეგიძლიათ, შეამოწმოთ.

კვირა

კვირის ფრაზა: „ის ნახევრად ფეშენია, ნახევრად ფაშისტი“ (ჩერკინსკი).

ორშაბათი

შვეიცარიულმა დილამ ვერ გაფანტა ნისლი ტბაზე. სიო მიეხმარა და წყლის წვეთები ნავებსა და გამვლელებს მიაპკურა. გაცრეცილ მაღლობებს შევცქერი ცელქი მზერით. უცებ წამოჟინჟღლა და მზესთან ერთად ცისარტყელა გამოჩნდა. ფერებმა თავის ტკივილი მომიშუშა. გმადლობ, უფალო. ინდიფერენტულობა ყველაზე დიდი უნამუსობაა.

სამშაბათი

ამერიკელი მილიარდერი დენის ტიტო (იუგოსლავიელ მარშალში არ აგერიოთ) დედამიწაზე ჩამოვიდა იმის დასადასტურებლად, რომ მართლა 20 მილიონი დოლარი აქვს ანგარიშზე. კოსმოსურ ტურიზმს არ გაჩნია ეკოკლასის ტურიზმი: მოგზაურობა შესაძლებელია მხოლოდ Royal-upper-business-vip-deluxe-lounge-golden-international-class-ით. 140 მილიონი ფრანკი, სატელიტი რომ გახდე. ოდიარი წინასწარმეტყველი იყო, ამ ფრაზას როცა წერდა: „ორბიტაზე იდიოტებს რომ გაგზავნიან, მერე ნახეთ ჩვენი ტრიალი!“

ოთხშაბათი

დაიდოს ტიტოს ვამჯობინებ. It reminds me that it’s not so bad, it’s not so bad. არტისტების გადარჩევა ხდება: ემინემი დაიდოს ყიდის, Everything But The Girl-ს, სტინგს და თუგინდ სიუზან ვეგას იგივე დაემართათ. პლაგიატი მუსიკაშიც მოსულა. მხოლოდ ლიტერატურის სუსტი მხარე არ ყოფილა, როცა ქურდებს არათუ არ სჯიან, არამედ ასაჩუქრებენ კიდეც.

ხუთშაბათი

ნეტავ რა სჯობია, თინუსი მივირთვა სადილად, რომელიც ვირთევზას ახრამუნებს, თუ ისევ ვირთევზა ვამჯობინო, რომელიც თინუსს შეექცევა?

პარასკევი

სონია რიკელის ვიტრინა ჩვენი ეპოქის სიმბოლოა: ნაომი კლაინის საფირმო ნიშნების წინააღმდეგ დაწერილი წიგნი, სახელად No Logo, ჩანთისა და ქამრის კოდური მნიშვნელობების გვერდით… ჰა, როგორია?..

შაბათი

კანში ყველგან პოლიციელია ჩამწკრივებული, რიგით მოკვდავები ფესტივალის ფართიზე რომ არ შევიდნენ. აქ ხომ მდიდრები რესპუბლიკის მიერ დაწესებულ ყველაკანონს არღვევენ. გაინტერესებთ, რა თემაა ყველაზე აქტუალური? სურდო სმოკინგში. რაც შეიძლება ბევრი უნდა შეიყნოსო, რომ სერიოზულ ადამიანად მიგიღონ. ცრემლები არ წამოგივათ, მაგრამ აი, ცხვირიდან წვინტლი გარანტირებულია.

კვირა

იტალიურმა კანონმდებლობამ ბერლუსკონი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია. დემოკრატია უფრო და უფრო ნაკლებად დემოკრატიული ხდება. სეგენი მართალი იყო, ამას „აშკარა თვალთმაქცობა“ რომ უწოდა. ყველაზე ძლიერ დემოკრატიულ ქვეყანაში პოლიტიკოსმა არჩევნებში რომ გაიმარჯვოს, მაფიის ფული რაც შეიძლება მეტჯერ უნდა გაათეთროს, სახელმწიფოს ხაზინაში ხელი კარგად უნდა აფათუროს, გადასახადები გააყალბოს, პარლამენტარები და სასამართლო სისტემა მოისყიდოს, კორუმპირებული იყოს და… და ეროვნული ტელევიზიის სამ არხს ფლობდეს! შირაკმა უნდა გაითვალისწინოს ეს: თუ სურს, მეთორმეტეჯერ აირჩიონ, საკმარისია, საფრანგეთის ტელევიზიის პირველი არხი, Canal + და M6 შეისყიდოს (France Televisions-ის გენერალური დირექტორი უკვე არის).

ორშაბათი

პირველად რაც თვალში მომხვდა, კანში რომ ჩამოვედი, სისხლის გუბე იყო. ტაქსიდან გადმოვედი, ჰემოგლობინში რომ ჩამებოტა. თურმე კრუაზეტზე ჩხუბი მომხდარა. იმის მაგივრად, მდიდრებს დაეჯახონ, ეს ღატაკი ადამიანები, როგორც წესი, ერთმანეთს ცხრილავენ. დაე, ასე იყოს! „მარტინეზის“ აპარტამენტებში ერთი ბოთლი „ტეტენჟე“ მომართვეს. ბარში ჩავიტანე. ასე მირჩევნია, იქ ნაკლებად პოპულარული ვარ, ვიდრე გიიომ დიურანი, ალექსანდრა კაზანი, ედუარ ბაერი, ლუ დუაიონი, მიშელ დენიზო, მატიე კასოვიცი, ჯამელ დებიუზი…

- კოპოლაზე იყავი?

- ფილმზე მელაპარაკები?

- არა, რა ფილმი? სუფრაზე…

ამას მიჩვევა ხომ უნდა: აქ ელიზაბეტ ქუინის გარდა, კინოზე არავინ ლაპარაკობს. ერთადერთი საინტერესო თემაა, ამ საღამოს სად წავიდეთ. მაგრამ მეეე, ჩამოვედი თუ არა, ყველაფერი გავმაზე. ამ ტიპის თავყრილობების მთავარი პრინციპი მუდმივი ხაიებია. ყველაზე ხშირად ამ ორ ფრაზას გაიგებთ კანის ფესტივალზე: „შარშან ჯობდა“ და „იცი, სხვაგან უფრო მაგარი პონტია“. სადაც უნდა წახვიდეთ, რასაც უნდა აკეთებდეთ, სადღაც სხვაგან მაინც უკეთესი იქნება. ეს რა ისტერიკული სიდებილეა, ფესტივალის ყველა მონაწილეს ყურზე მობილური რომ აქვს მიდუღებული?! კანში თხუთმეტი დღე ვარსკვლავებს ყველაფერი აქვთ, ოღონდ ინატრონ: ნარკოტიკი, კახპები, სასახლეები, ფეშენ-სადილები, გემები, ვერტმფრენები. ამიტომაც იქცევიან განებივრებული ბავშვებივით, გული უსკდებათ, რამე საინტერესო არ გამოტოვონ. უკეთესი ადგილის მოძებნა გრაალის თასის ძებნის ტოლფასია. ფართის გამაზვა სიკვდილს, აუტანელ ტანჯვას უდრის. ვინ მეტყვის, კარგი თუ ვქენი, „მაჟესტიკის“ პლაჟზე რომ წავედი France Televisions-ის სადილზე? Canal+-ის კლუბში რომელი იქნებოდა უკეთესი არჩევანი - აქსელ ლაფონსა და კლოტილდ კუროსთან ცეკვა თუ ემანუელ ბეართან და შარლოტ გენსბურთან? პიერ ლესკური რატომ მიყრის თვალს თვალში: განა ვგავარ ტელეწამყვანს? არსებობს ამ გოგოზე უფრო ლამაზი გოგო, რომელიც ახლა მკოცნის? ნეტავ ამწუთას, როცა ვწერ, ამ ქალაქში არსებობს ისეთი ადგილი, სადაც უფრო საინტერესო ამბები ხდება? აჰა, ესეც მოხდა! ძლივს მეგონა, სამოთხეში ჩამოვედი-მეთქი და შოუბიზნესის ჯოჯოხეთში მოვხვდი.

სამშაბათი

შუადღისას ოფლში გაწუწულმა გავიღვიძე. კონდიციონერი გაჩერდა და ღია ფანჯარაში მეძინა. ჯ. გ. ბალარდის ბოლო რომანს ვშლი. ზოოპარკი, სადაც ვიმყოფები, უმაღლეს დონეზე აქვს აღწერილი. „სუპერკანში“ (ასე ჰქვია რომანს) მოთხრობილია ერთ კაცზე, რომელიც რივიერას ამაღლებულ ადგილას ცხოვრობდა ფანტასტიკურ აუზიან ვილაში. გარშემო ყველგან ვიდეოთვალი იყო დამონტაჟებული და ელექტროჭიშკრით სრულდებოდა. ერთ დღესაც იარაღი აიღო და ათი კაცი მოკლა, სანამ სიცოცხლეს თვითმკვლელობით არ დაასრულებდა. ბალარდი მიხვდა, რომ ასეთი ხელოვნური ცხოვრება შეუძლებელია. 302-ე გვერდი: „კინოფესტივალი ერთ-ნახევარ კილომეტრზე იყო გადაჭიმული. „მარტინეზიდან“ ძველ პორტამდე.კომერციული დირექტორები ზღვის პროდუქტებით ივსებდნენ მუცლებს. სიგანე 50 მეტრს არ შორდებოდა (…) ხალხი პალმების ძირას იდგა და ტრადიციულ როლს ასრულებდა: გაჰყვიროდნენ და უფრო თავდაჯერებულები ჩანდნენ, ვიდრე ლიმუზინებიდან გადმოსული მსახიობები, რომლებიც ჟიურის წინ გადიოდნენ როგორც ცნობილი კრიმინალები“.

ოკეი, მჯერა… ნამდვილ Reality Show-ში ვარ, დაცემის პირას მყოფ დისნეილენდში. ბალარდი „ავტოკატასტროფის“ ავტორია! მაგრამ „სისასტიკის გამოფენაც“ მის კალამს ეკუთვნის, რომელიც ზუსტად აღწერს კანის ფესტივალს. კინოინდუსტრია რეალობიდან გასაქცევად გამოიგონეს. კინო ჯადოსნური ტყუილია, ცოცხალი ოცნება, რომელსაც უკვე თავისი არისტოკრატია ჰყავს და რევოლუციისაც ეშინია. ფესტივალის გაბღენძილი ტიპები ყურსასმენებიანი მცველების ზურგს უკან იმალებიან. აქ ყველა ულტრასნობია, ანუ სრული პარანოიკი. ახლა მესმის სისხლის გუბის ამბავი, კეთილი იყოს შენი მობრძანებაო, დასაწყისში რომ მისურვა. ეს რეალობა იყო, რომელსაც ამ ცირკში წინ გაძრომა უნდოდა.

ოთხშაბათი

მარკ დორსელის მიერ მოწყობილი საღამოს მერე, დილაადრიან „ფერარიში“ ვსხდებით და 240 კმ/სთ მივქრივართ „აეროსმიტის“ მელოდიების თანხლებით. გზაჯვარედინზე გათხლეშილმა მძღოლმა საჭე ვეღარ დაიმორჩილა და საოცარი ძალით შემოვტრიალდით. ნაშები კიოდნენ. ამ ძალამ სილიკონიანი ძუძუები ჯონგალიანოს დეკოლტედან ამოყარა. კიდევ კარგი, ქამარი მოჭერილი მქონდა! სონიამ შიშისგან აღებინა, როცა ჩემმა ძმაკაცმა აქსელერატორს დააჭირა მანქანის სწორი მიმართულების დასაჭერად და 180კმ/სთ-ით ისევ დააწვა აისისკენ.

ხუთშაბათი

VIP Room-ში მოწყენილობაა: წითელი ლენტის აქეთა მხარეს თეთრი ტყავის სავარძლებზე ვართ მიყრილები. სულ სველი ვართ არაყი-ბანანის ნაზავით და თეძოებზე ვეფერებით მომავალ მსახიობ გოგონებს, რომლებიც მაგიდაზე ცეკვავენ. უცებ საშინელი ეჭვი გამიჩნდა: და ეს VIP-სივრცე წითელი ლენტის იქით რომ იყოს?..

მოგვიანებით ერთ მაგარ ახალგამომცხვარ ვარსკვლავს ვაბამ და ვეკითხები:

- აქ ფილმების სანახავად ჩამოხვედი?

მიბნედილი ხმით მპასუხობს:

- არა. აქ ჟან როშის სანახავად მოვედი.

პარასკევი

ქუჩაში ვიღაც ადგილობრივი გოიმი გოგონა დამეტაკა, ერთი კარგად მიჯიკა და შემომიბღვირა:

- ცნობილი ვინმე ხარ?

- ცნობილ ადამიანებს იცნობ?

- ტელევიზიით გამოდიხარ? რა გქვია?

- მსახიობი ხარ, მომღერალი თუ ტელეწამყვანი? ავტოგრაფს დამიტოვებ?

- მოიცა, მოიცა… ერთი მითხარი, ვინ ხარ?

- კლუბში ვერ შემიყვან, მოსაწვევი ხომ გაქვს?

მე თუ მკითხავთ, ამ შანტრაბას აგრესიულობა გამართლებულია. Beautiful people-მა პუბლიკას ომი გამოუცხადა შავი სათვალეების, როლს-როისების, გიგანტური აფიშებისა და ჟურნალების გარეთა ყდების მიღმა. ჩვეულებრივი ხალხი მათ იცნობს, ვარსკვლავები კი აბრზე არ არიან. ისინი თავიანთი ვარსკვლავების სიყვარულით იწვიან და პასუხად არაფერს იღებენ. პუბლიკა შეურაცხყოფილია. ერთ დღესაც ჯავრს იყრიან ალბათ, არა? კი აპლოდისმენტებს, იცოცხლე, იღებს ნიკოლ კიდმანი, მაგრამ მსახიობები ისევ თავიანთ თავს უკრავენ ტაშს. დღეს ყველაზე დიდი წარმატება აქვს ვიდეოვიზუალურ აუდიტორიას ავტორისა და მსახიობის გარეშე. ყველაზე პოპულარული სალაპარაკო თემა (როგორც ყველა ქვეყანაში)

უმუშევრობის პოპულარულობაა, ვიდრე სამსახურის ქონა.

შაბათი

„ბრბოს ყურადღება სამმა ლიმუზინმა მიიპყრო, რომლებიც სასტუმრო „მარტინეზის“ მხრიდან გამოჩნდნენ. ცნობისმოყვარეები რკინის ბარიერებს მოაწყდნენ. აღგზნებული პუბლიკა ყვიროდა და აპლოდისმენტები აღარც ისმოდა. უამრავი ხელი ეჭიდებოდა მანქანის სახურავს, ჩამუქებულ მინებს და ვარსკვლავურ ხელის მოწერას ელტვოდა. ერთი საშუალო ასაკის ბეისბოლისქუდიანმა ქალმა ბოლო მოდელის კადილაკის რადიოს ანტენას პეპსი მიასხა“. ჯ. გ. ბალარდი ინგლისელი ნაბოკოვიკ.

კვირა

მაშინ მივხვდი, რომ მომწონდა ეს ყველაფერი. გემოც გავუგე. სიამოვნებისგან ვათავებდი, რომ მათზე მაღლა ვდგავარ და სიყალბეში ვცხოვრობ. მინდოდა, ჩემი ცხოვრება კინოს დამსგავსებოდა. აქ ხელოვნებით დასატკბობად არ ჩამოვსულვარ. აქ მარი ჟილენთან შესახვედრადგახლავართ, ჯოე სტარს მხარზე ხელი რომ დავარტყა, ბეატრის დალთან რომ ვიცეკვო, იახტა Techniboat-ზე არიელ უიზმანსა და ფრანცის ვან ლისტენბორგთან ერთად მავრიტანიული სოუსით ხამანწკები და სატაცური მივირთვა, ალენ შაბას ჭიქა რომ მივუჭახუნო, ფეხმორთხმულმა უხარისხო კოკაინი უნიტაზზე გადამხობილმა შევიყნოსო…. და ამ ყველაფერთან ერთად… პაპარაცების ფოტოაპარატების ჩხაკუნი, ვიგრძენი, სიამოვნებას მანიჭებდა. ბარიერების უკან ჩემი სახელი რომ მესმოდა („ოსკარ!“ „ოსკარ!“), ერექცია მეწყებოდა… პარიზში დაბრუნების დროა!

ორშაბათი

კვირის ფრაზა რომ ამერჩია, ამ სამს შორის ვერ გადავწყვიტე: „გასრიალდი“, „გამასრიალე“ და „გაგასრიალებ“. კიდევ კარგი, იან მუაქსი წამეხმარა:

- იყო მარტოხელა, ნიშნავს დაქორწინებული იყო ვიღაც ნებისმიერზე…

სამშაბათი

მომწონს, როცა ცბიერი ვგონივარ. უნდა აღვადგინოთ ეს მოდიდან გასული სიტყვა. არა ვარ არც უნამუსო, არც ნაგავი, არც არამზადა: მე ვარ ცბიერი, გოგოების კუდში მადევარი. მოლიერმა შემოიტანა ეს სიტყვა, როცა დონ ჟუანს ახასიათებდა: „ყველაზე დიდი ცბიერი, რომელიც დედამიწას უტარებია თავის ზურგზე“. მაშ, ვინ ყოფილან ყველაზე მაგრები? ცბიერები, რასაკვირველია!

ოთხშაბათი

გვატყუებენ, თავზე ნაცარს გვაყრიან! აკადემიკოსები მართლა უკვდავები კი არ არიან: ჟაკ დე ბურბონ-ბიუსემ ახლახან გაფშიკა ფეხები. უკანასკნელი ფრანგი იყო, რომელიც ქორწინებასა და ოჯახურ ბედნიერებას იცავდა. ამბობდა „სიყვარული გრძელვადიანიაო“ (მისი „დღიურის“ ერთ-ერთი ტომის სახელია). თავის საყვარელ ლორანს შეხვდა იმ ქვეყნად, მისი ნაწარმოებების სულსა და გულს… მისი სულისა და გულის შედევრს… მივტირი ბედნიერ წყვილზე ჩემგან რადიკალურად განსხვავებული შეხედულებების მატარებელ ადამიანს. ვისთანღა ვისაუბრო ახლა? ვინღა მეტყვის, სიყვარული არსებობსო? ვინ დამიმტკიცებს, ამა ქვეყნადაც რომ შესაძლებელია ბედნიერება? ბურბონ ბიუსე, წვეროსანო ბებერო დინოზავრო და კათოლიკე, თქვენ მართლა უკანასკნელი რომანტიკოსი ბრძანდებოდით?

ხუთშაბათი

კანის „ბაოლი“ მენატრება. რა ასხმული გოგონები ბრწყინავდნენ სანთლების შუქზე… ნაშების კანის ფერი უფრო და უფრო ემსგავსება „დიორის“ რეკლამას: მოდა ოქროცურვილი, მარგალიტების ოფლია სველ მხრებსა და შუბლზე. გუდრონიღა აკლდათ ლოყებზე, აი, ჟურნალებში რომ ბეჭდავენ ხოლმე! ამბობენ, გალიანოსთვის ნიკ ნაითის ფოტოები მეტისმეტად სუფთა იყოო და მოდელების სხეულზე ტალახის წასმა მოუთხოვია გადაღებების დროს. ნეტავ საიდან მოდის ხელოვნების ნიმუშებზე მანქანის ზეთის დამატების ტენდენცია?! ან ბერნარ არნოს რა უნდოდა, Total-Fina-Elf-ის ჯგუფთან ერთად მანქანების ზეთის ბაზაზე დამზადებულ სილამაზის ახალ პროდუქციას რომ უშვებდა?

პარასკევი

დღეს მხოლოდ ცინიზმი და პარანოია შემოგვრჩა. ერთი მხრივ, ბევრი ფიქრობს, თუ გაფუჭებაა, გაფუჭება იყოს, მაგრამ სანამ ცოცხლები ვართ, საკუთარი ინტერესები დავიცვათო. მაგალითად, კომერსანტები, ფინანსისტები, ტელეწამყვანები, რეკლამის თანამშრომლები, ჰედონისტები, ნიჰილისტები… მეორე მხრივ, ისინი, ვისაც სამყაროს დასასრულის ეშინია, ცდილობენ, დაიცვან ის, რაც ჯერ კიდევ სულ მთლად გაჩანაგებული არ არის: მწერლები, გლობალიზაციასთან მებრძოლები, ეკოლოგისტები, პოეტები, გამტრაკებლები, ბუზღუნები. ამ დიქოტომიამ მემარჯვენე/მემარცხენეებად დაყოფის ფენომენის გაგება გამოდევნა ბერლინის კედლის დამსხვრევის მერე. ერთი ჰემიპლეგია მეორეს ჩაგრავს.

შაბათი

რადგან ტერმინი „ავტოფიქშენი“ ჭკუამოკლე „ნარცისებმა“ მიითვისეს, დიუფრეზნის საკაიფოდ და მალროს პატივსაცემად („ანტიმემუარების“ მითომანი ავტორი) საჭირო გახდა ახალი ტერმინის გამოგონება - „ანტიდღიური“. ეს სარკე დეფორმირებულად დაგანახვებთ ჩემი გამოსახულების გარშემო მოტრიალე დედამიწას.

კვირა

რესტორნებსა და კლუბებში ცალ-ცალკე საპირფარეშოა ქალებისა და მამაკაცებისთვის. რა მოძველებული მანიქეიზმია! რა საჭიროა კლიენტურის არჩევანის წინ დაყენება? ვფიქრობ, სიამოვნებისათვის მესამე საერთო ადგილი უნდა დაწესდეს: ჰერმაფროდიტებისთვის, მერყევი და ყოყმანა ადამიანებისთვის, ტრანსსექსუალებისთვის, ტრანსფორმისტებისთვის, ბისექსუალებისთვის, ლესბოსელებისთვის, გაურკვეველი ორიენტაციისწარმომადგენლებისთვის და ა.შ.

ორშაბათი

როცა მსახიობი მაივენ ლე ბესკო თავის მეგობრებს Café de la Gare-ში ეპატიჟება one-woman-show-ზე, ავტობიოგრაფიული ნაწარმოების პრეზენტაციაზე (სახელად „პუაშიში“), რომელიც ეს-ესაა დაწერა, ცოტა შიში გიპყრობს. განა მსოფლიოში არსებობს იმაზე საშიში რამ, რაც სცენაზე ასვლა და იმ ტექსტის დაცვაა, რომელშიც საკუთარ ცხოვრებას აღწერ? მაგრამ რა? მაივენი სცენაზე საათ-ნახევარი მარტო დგას, საქმეს ურჩევს დედას, მამას, დას. გაშმაგებული ლაპარაკობს თავის პოპულარობაზე, მკაცრად აანალიზებს საკუთარ თავს, აკრიტიკებს ისევ გაერთიანებულ ოჯახს. ტექსტი, ვერ წარმოიდგენთ და, ძლიერი და გაბედულია. ავტორი - გამაოგნებელი, მხიარული, ემოციური, ირონიული, თან, გონებამახვილი, სასტიკიც კი… ფილიპ კობერია ქალის ტანისამოსში. ბოლოს, მასავით ცრემლმორეული პუბლიკისგან standing ovation დაიმსახურა. ცუდი მეგობარი აღმოვჩნდი… აბა, რა ვიცოდი, ასეთი ტალანტი თუ იმალებოდა ამ გოგოში?! მორალი: თუ არავინ გაძლევთ დამსახურებულ როლს, თავად უნდა დაწეროთ ის.

სამშაბათი

გუშინ საღამოს გაქლიბვით დავიღალე, გეგონება, რაღაც ვალდებულება შევასრულე. უკვე ბევრი მამაკაცი ვიცი, სიმულანტობს ლოგინში. იცოდეთ, ქალბატონებო: ჩვენც ისევე გვეზარება ორგაზმამდე მისვლა, როგორც თქვენ. ამის დასაფარად სხვადასხვა საშუალება არსებობს: პრეზერვატივის უჩუმრად მოხსნა, ვითომდა უკვე წებოვანია, ანდა გამოკვეთილად ხვნეშა, ვითომ ბოლოში გადიხარ და ამ დროს საცოდავ დღეში ხარ. ფემინიზაციამ ახალი გამარჯვება მოიტანა: ქალები და მამაკაცები თანასწორი გახადა სიამოვნების კომედიაშიც!

ოთხშაბათი

„სიყვარული ფანტაზიაში ბევრად სჯობს უკვე გამოცდილ სიყვარულს. სიტყვა საქმედ არ აქციოთ, ძალიან აღმგზნებია“. - ენდი უორჰოლი.

ხუთშაბათი

ლიტერატურის კრიტიკოსობა პროვინციელივითაა, კოქტეილზე ვინმე ვარსკვლავს რომ შეამჩნევს და მუჯლუგუნებით წინ გადის, ვინძლო ჟურნალში ფოტოზე მოვხვდე მის გვერდითო. ჰოდა, ლიტერატურის კრიტიკოსიც ასე ფიქრობს: ჯოისზე, რემბოზე, სელინსა და პრუსტზე თუ რამე დაწერა, იმედი აქვს, ვინმე სერიოზულად მიიღებს. ამ თანავარსკვლავედის წევრობა უნდა. მაგრამ ამაოდ!

პარასკევი

მე რომ Loft-ში მონაწილეობა მიმეღო, ტელემაყურებელი ზუსტად ათი წუთის მერე ჩემს გაგდებას მოითხოვდა.

შაბათი

Les Bains-ში შემთხვევით მარი ჟილენის გვერდით აღმოვჩნდი. ლამაზი კისერი, დიდრონი თვალები, ჩამოქნილი ფეხები, წვრილი კოჭები, მბზინავი კბილები… უკვე იმდენი ხანია მასზე ვოცნებობ, რომ შეხვედრისას ხმას ვერ ვიღებ. ხელი ზრდილობიანად ჩამომართვა, მე ეს თავაზიანობად მივიღე. „აბსოლუტი“ დავისხი გამბედაობისთვის. გიიომ რაპნო, შაიან კოი, მე და ალე დე ბასევილი (რომელიც ყველას აჩვენებს მაისურს წარწერით: Nobody knows I'm a Lesbian), რასაკვირველია, სავარძლებზე შემდგარები ვოხუნჯობთ. აგერ ოცი წელია, ამ რესტორანში ასე სვავებივით ვიქცევით, თუმცა კარგად ვიცით, საჭმელად მხოლოდ ოფიციანტი გოგონები თუ გამოდგებიან. საუბედუროდ, სასმელმა ჩემი მორიდება საშინელ გრადუსამდე აიყვანა. ციცქნა მარიმ ვერ დაინახა ჩემი პოეტური სული, რომელიც მყვირალა ხეპრეს უკან იმალებოდა. ნახევარ საათში ადგა და გაბრაზებული წავიდა ჩემი უთქმელობის გამო.

კვირა

ალექსანდრ დრიუბინიმ Canal+-ზე გადაცემის წაყვანა შემომთავაზა. თუ უარი ვთქვი, იცოდეთ, მეშინოდა, მართლა ოსკარ დიუფრეზნი არ გავმხდარიყავი.

ორშაბათი

ფრანკფურტი გერმანული ნიუ-იორკია: ფუტურისტული სტილის ცათამბჯენები, მეგა-რესტორნები, დასავლური კაპიტალიზმი, თურქი მეძავები ქუჩაში… წინასწარ ვიცი, თავს კარგად ვიგრძნობ აქ. მარტო ერთი პრობლემაა: გერმანელები ტაქსის უკანა სავარძელზეც ქამრით დაბმასგთხოვენ.

სამშაბათი

მაგრად მევასება ეს ქვეყანა: ყველა გოგოს დიდი ძუძუები აქვს. გერმანიაში კლაუდია შიფერი ბრტყელ ქალად ითვლება! რა იქნება, დედის რძის საწოვ აპარატად რომ მაქცია? მერე რომელიგრეტხენი ეტყოდა რამეს ოსკარს - საწველ მანქანას?

გერმანია ისეთივე მწვანეა, როგორიც საფრანგეთი - ლურჯი, იტალია - ყვითელი, ესპანეთი - თეთრი, ინგლისი - რუხი, თურქეთი - იასამნისფერი.

ოთხშაბათი

მას მერე, რაც ბონი დედაქალაქი აღარ არის, მოიწყინა. წაბლის ხეების ძირას მოწყენილი ლუდს ვსვამ, როგორც აპოლინერი. ჯანდაბა, ერთადერთ საყვარელს, ვისაც აქ ვიცნობ, Adult pay TV ჰქვია. სასტუმროდან ფრანსუაზას ვურეკავ დაბადების დღის მისალოცად. ფრიად აოცებს ჩემი ზარი (აი, უკვე ლამის წელიწადია, ერთმანეთი არ გვინახავს). თუმცა აღიარა, შენს წიგნს ვკითხულობო! ვთხოვე, გერმანიაში ვარ და შენც ჩამოდი-მეთქი. მოიყრუა, ოღონდ ზრდილობიანად, ვითომ ვერ გაიგო ჩემი რაინდული შეთავაზება… პორნოარხი გამოვრთე. მასზე ფიქრი ჯობია…

ხუთშაბათი

ჰამბურგი. კონფერენციას მისალმებით Hello, Hamburgers! ვიწყებ, უკეთესი ჭაშნიკია. ერთი ნაცადი ხერხი ვიცი: ჯერ ლიტერატურის ქომაგად გამოვდივარ, თუ როგორ ემუქრება გადაშენება ამ უმოწყალო სამყაროში, მერე ჩემს ნაწარმოებს ვუბრუნდები, იმ იმედით, რომ მსმენელი იდეების ასოციაციით იფიქრებს, ლიტერატურაზე საუბრობსო. ასეთი ხერხის

წყალობით ხშირად დამიმსახურებია ტაში, ნახეთ, კაცობრიობის მხსნელი მოგვევლინაო… ჩემი one-man-show-ს მერე ულფ პოშარდს იქ მივყავარ, სადაც დებოშები ხდება. სახელებიც გენიალური აქვს ყველას: Le Mojo, Le Madhouse, Le Shark Club, Le Purgatory(!) რასაკვირველია, ყველაფერი Voila-თი მთავრდება (ჩემი ღამე ისე დასრულდა, როგორც ჟურნალ Voici-ს ზოგიერთი სტატია). აქ ფლორიან ილიესის წიგნმა Generation Golf დიდი წარმატება მოიპოვა ეს სიმპათიური ახალგაზრდა (გამაცნეს. სულ მთლად ქყინტია, 1971 წელს დაიბადა) წიგნში აღწერს ახალგაზრდობას, რომელსაც ოდნავი პასუხისმგებლობის გრძნობა არ გააჩნია. წერს, რომ ასაკსა და სტაბილურ გრძნობებს გავურბივართ. ვცხოვრობთ მხოლოდ იმისთვის, რომ რეკლამებს დავემსგავსოთ, ერთადერთი სურვილი აქციების მოპოვებაა და ვცხოვრობთ როგორც 68-იანი ჩვენი მშობლები, ოღონდ რევოლუციის გარეშე. „ცარიელი ვართ, მაგრამ კარგად ჩაცმული“, - ასე წერს ბიჭი. ეს მაიმუნი ფრიცი ომს მიცხადებს თუ რა? უარს ვაცხადებ, ჩემი ტერიტორია გერმანელმა დაიკავოს!

პარასკევი

მიუნხენი. სრული კრახი ირმისა და ტანიასთან. როგორ მოვხსნა ქალი იმ ქვეყანაში, სადაც არავინ მიცნობს? რა უნდა ვქნა ისეთი, რომ ბავარიაში მოვეწონო? თავაზიანი ვიყო? მეტისმეტად მურაბა-ტიპი გამოვალ. ცუდი ტიპი ვიყო? სარისკოა. ინდიფერენტული ვითამაშო? ყველა ქალი გამექცევა. ალექსის ტრეგარო ასე ხსნის:

- ტყუილი ყოველთვის გამოსავალია.

კლუბი P1 ძალიან მოდურია (ყოფილი მანქანების ფარეხი). ჩვენი საუბარიც აქ გრძელდება ჯინ-ლემონით შეზარხოშებულებს შორის.

- პრინციპში, ან ვსვამთ, ან ვუიმაობთ, ხომ?

- მართალი ხარ. ალბათ, ამ საღამოსაც დავლევთ.

მართლაც, მალე შეიძლება ნიკოლა მებაღისა და დანიელ ჟელენის კონკურენტები გავხდეთ. მარცხის რამდენიმე სანიმუშო მაგალითი:

ტანია: Maybe I will kiss you later.

ირმი: Sorry, I am not drunk enough.

ტანია: My grandfather was a fucking nazi.

ირმი: My father was an alcoholic.

ტანია: My mother stabbed my father with a knife.

ფრანგებს ჰგონიათ, გერმანელებმა მათზე ნაკლები ტანჯვა გამოიარეს მეორე მსოფლიო ომის დროს. რთულია ამ ქვეყნის ისტორიის მქონე ადამიანების შთამომავლების შებმა. იმედგადაწურული ვისხედით, როცა ტანიამ საღეჭი რეზინა პირში ჩაიდო. ფრანკმა შეჰყვირა:

- ეს უკვე კარგის ნიშანია!

და მერე რა? უბრალოდ, საღეჭი რეზინის დაღეჭვა უნდოდა. ერთ დღესაც დავწერ წიგნს სახელად „ხშირი ფიასკო“.

შაბათი

შტუტგარტში მოვიწყინე. კონდიციონერიან ოთახში ვარ ასაკოვან ადამიანებთან ჩატარებული კონფერენციის მერე. 126 წლის წინ რემბოშტუტგარტში ორი თვე დარჩა. მერე აფრიკაში წავიდა და გასაგებია, რატომაც…

კვირა

ბრიუიტის დანახვაზე ასთმის შემოტევა მემართება. მისი სახე სუნთქვას მიკრავს. ჯონი ქეშზე მელაპარაკება. კიოლნის საკათედრო ტაძარზე ლამაზია. ამ დღიდან მოყოლებული, როცა კი ჯონი ქეშის ხმას გავიგონებ, მასზე ვიფიქრებ, The greatest kisser of Europe. თავის ელმისამართსა და კოცნას მიტოვებს და მორჩა… მაგრად მომწონს ბრეტ ისტონ ელისის დაწერილი ლიტერატურის ოქროს წიგნში:

- The better you look, the more you see.

ორშაბათი

როცა კარგი ამინდია, ვენა დუნაის პირზე მყოფ რომს ემსგავსება. პარკში მოსუნსულე მელა შევამჩნიე და წერო, რომელიც თავის ბარტყებს აქმევდა. ძველი აგურის შენობები დიდ დაქრილ ცხოველებს ჰგავდა. ერთი მე არ ვაქმევ არავის. გრიუნერ პრატერის ხეები ჩემზე დიდხანს იცოცხლებენ. „ვოლკსგარტენში“ Bukowski’s Nightmare შევუკვეთე. ვენელები განათლებული და ფრანგულენოვანები არიან. დაგიმტკიცოთ? ქიქებს რომ უჭახუნებენ, სულ „პრუსტს!“ გაიძახიან.

სამშაბათი

უცხო ქვეყანაში დღეს პირველად გავეცი ავტოგრაფი. ჩემი ფოტო ქუჩებში, წიგნის მაღაზიის ვიტრინებში, გერმანულ საგაზეთო ჯიხურებშია გამოფენილი. რა აბსურდია, გახდე ცნობილი ისეთ ქვეყანაში, სადაც შენსენაზე არ ლაპარაკობენ. ინგლისურად ვუწერ ხელს და მადლობას გერმანულად ვეუბნები: Danke schön, მერე ვაყოლებ: Auf wiedersehen, მაგრამ ვფიქრობ: Entschuldigung-ზე.

მადლობა მინდა გადავუხადო გერმანიას, რადგან ამ ქვეყანამ გამიჩინა სურვილი, ფრანსუაზასთან დამერეკა. ჰაერის სისპეტაკემ და გერმანული ტყეების რომანტიზმმა გამომაცოცხლა. ამ უმანკოებამ გერმანელები რატომ გახადა დამნაშავეები?.. რა რომანტიზმზეა ლაპარაკი, რამდენი ხალხი ამოხოცეს! მაგრამ რომანტიზმის გარეშე არც სიყვარულია, არც ჰიტლერი…

ოთხშაბათი

ხანდახან, როცა ყურადღებას აღარ ამახვილებ, შეიძლება ღამის სამ საათზე ციურიხში ვიღაც უცნობების გარემოცვაში ვიდეოთამაშებზე დაგათენდეს, სადაც ეწევიან რაღაც საკმაოდ ძლიერს (სხვათა შორის, კანონით დაშვებულია)… და სადაც, მენდეთ, არავინ, დიახ, არავინ მოგიწუწნით ოთხშაბათ საღამოს.

ხუთშაბათი

პარიზში ვბრუნდები. პენელოპა მირეკავს:

- უთქვენოდ მოწყენილი ვარ…

- გინდა თქვა, უჩემოდ და ლუდოს გარეშე?

- მეგონა, ქორწინება ვინმეს მოსატყუებლად გამოდგებოდა, მაგრამ ლუდოს ჩემი ნახვა აღარ უნდა და შენ კი ჰომოსექსუალი ხარ.

- არა, მე ჩმორი ფემინისტი ვარ, ეს ცოტა სხვა რამეა. შეყვარებული ფალოკრატი ვარ, თუ გინდა.

- სულ ქალების ცვლაში ხარ, რადგან გეშინია. ერთ რამეს გეტყვი, მიდი, ლუდო იხმარე. ორივეს მოგეშვებათ. მე კი ვიდეოზე გადაგიღებთ…

- ვგიჟდები, როცა ტელეფონზე ლაპარაკის დროს შენს თავს ეფერები.

- ჩემი ქმარი უკვე აღარ მეკარება და რაღაცით ხომ უნდა შევეშველო თავს. ძალიან იდიოტი ხარ. არავინ გაინტერესებს.

- მართალია. მაშინ მიდი, მოგისმენ, შენ დაინტერესდი ჩემით.

- რაც გავთხოვდი, აღარავის ვუნდივარ.

- ტყუილია. მას მერე, რაც სხვისი ხარ, უფრო აღმაგზნებ. ისე, მართალი ხარ. ალბათ, მართლა პედერასტი ვარ.

სასტუმროში ვიჟიმავეთ. მე ფრანსუაზაზე ვფიქრობდი, ის - ლუდოზე. გოჭებივით ვიჭყლოპინეთ და ისევ ჩვენ-ჩვენ პატივცემულ უბედურებას დავუბრუნდით.

პარასკევი

თუ ნებას მომცემთ, ერთ იდიოტურ ანეკდოტს მოგიყვებით ჩემი ცხოვრებიდან. ჩვენი ეპოქის რეზიუმეს ზუსტად აკეთებს: იმ დღეს Helmut Lang-ის მარკის ჯინსები ვიყიდე საღებავის ლაქების იმიტაციით (ასეთი მოთუთხნილი და სამშენებლო საღებავის იმიტაციით უფრო ძვირია ჯინსი). ერთი კვირა ვატარე და კვირის ბოლოს ჩემს დამლაგებელს მივეცი გასარეცხად, ოღონდ არ გავაფრთხილე, რაში იყო საქმე. მეორე დღეს მოდის და მეუბნება:

- დიდი პრობლემაა გარეცხვა… მაგრამ მაინც მოხერხება და გარეცხვა!

ჩემი ჯინსი ულაქებოდ, სრულიად სუფთა დამიბრუნა. იმდენი უხეხიასაწყალს, რომ ბატონი ჰელმუტის სტილი სულ წყალს გააყოლა! ენა ჩამივარდა, მაგრამ მომავალში გაკვეთილი იქნება ჩემთვის: როცა ბურჟუაზიის წარმომადგენელს სურს პროლეტარს დაემსგავსოს, თავისი სარეცხი თვითონ უნდა გარეცხოს.

როგორ უნდა ამეხსნა ჩემი პატივცემული დამლაგებლისთვის, რომ საღებავის ლაქები უმაღლესი შიკია იდიოტებისთვის? როგორ გინდათ გავაგებინო საწყალ ქალს, რომ მაყუთის ქონა სულ არ ნიშნავს ტვინის ქონასაც.

შაბათი

ქალს თუ შიგ არა აქვს, პანიკაშია (პენელოპას თეორემა).

კვირა

20-დან 25 წლის ასაკამდე გვგონია, ჩვენ არ ვიქნებით ისეთი, როგორიც სხვები. სწორედ ამიტომ მიყვარს ამ ასაკის ახალგაზრდების ყურება ცეკვის დროს. გულზე მალამოდ მედება, ასე თავისუფალი რომ ჰგონიათ თავი. ვგიჟდები, როცა ბიჭი გოგოს კოცნის. ეს ისეთი მნიშვნელოვანია მათთვის. ალბათ, ვერც გრძნობენ, BackStreet Boys-ს კლიპში რომ ჩარჩნენ. მეც ასე ვიქცეოდი ადრე. მეც გულის ფანცქალით ვჭამდი გოგონების თმას და თავი დაუმარცხებელი მეგონა.

ორშაბათი

პატრიკ დიუვალმა გამომცემლობა შტოკ-ში ისეი საგავაზე, იაპონელ კანიბალზე, წიგნი გამოაქვეყნა. სულ ზედმიწევნით აღწერს კანიბალიზმის მიზეზებს. ტომას ჰარიმ, „ჰანიბალის“ ავტორმა, შეუძლია გაისეირნოს, მაგრამ ერთი რამ ვერ გაითვალისწინა. ჩემი აზრით, საგავას ყელში ჰქონდა ამოსული გაცვეთილი ქათინაურები. ჩვენთვის, ყველასათვის, ნაცნობი ლექსიკონის შეცვლა მოისურვა ტიპმა. ალბათ, ამის თქმა უნდოდა:

- შენი წვრილი ნაწლავი და ნაღვლის ბუშტი მიყვარს. რა შესანიშნავი პანკრეასი გაქვს. ვგიჟდები შენს ღვიძლზე… იცი, რა გემრიელი თვალები გაქვს?

სამშაბათი

შეიძლება მთელი ცხოვრება რაღაცის ან ვიღაცის ძიებაში გავატაროთ და ბოლოს მივხვდებით, რომ სინამდვილეში საკუთარ თავს ვეძებდით.

ათეისტი იმას ეძებს, რასაც ვერ პოულობს.

არტისტი პოულობს იმას, რასაც არ ეძებდა.

ოთხშაბათი

უცნაური სიმეტრიაა… ნახეთ: ლუდოს გამბედაობა არ ჰყოფნის, ცოლი მიატოვოს, მე კი ცოლი მოვიყვანო. ერთი მედლის სხვადასხვა მხარე ვართ. ორი რამ არსებობს ცხოვრებაში, რისი გაკეთებაც არ ძალუძს კაცს: წავიდეს და დარჩეს.

ხუთშაბათი

სისუსტის გამო ვსვამ. ხალხი ჩემს ცხოვრებაში ისე შემოდის და გადის, როგორც Hotel Plaza-Athenee-ს კარში. ამ საღამოს „ნუვო კაბარეს“ ინაუგურაციაა (პალე-რუაიალის მოედანი. პარიზი, ი არონდისმანი). ერთი ღვთაება დავინახე, რომელიც აფრიკულ სტილსა და ფუტურისტულ დიზაინს შორის იყო გაჩხერილი. ზუსტად ისე, როგორც კუბრიკთან „2011, კოსმოსური ოდისეა“. კარგად იცოდა, რომ კაცობრიობა მაიმუნების ჯგუფია თეთრ პლასტიკურ უდაბნოში.

პარასკევი

ვცდილობ, ფრანსუაზასთან ახალი ისტორია დავიწყო: დალევის გარეშე ვაბამ. ეს მოითხოვს კონცენტრაციას, ძალიან რომ არ გავუტეხო. ძნელია, არ გაწითლდე, როცა ჩვენი თვალები ერთმანეთს ეფეთება. დუმილი… თვალები სად წავიღოთ, არ ვიცით. გვეშინია, ზედმეტად გულწრფელები არ ვიყოთ. ოღონდ სიყვარული არა! ერთდროულად დავიწყეთ საუბარი:

- მაპატიე, მგონი, გაგაწყვეტინე…

- არა, არა… მიდი…

- არა, შენს მერე.

- აღარც მახსოვს, რისი თქმა მინდოდა…

ორი იდიოტი თინეიჯერი. მოგვიანებით ზუსტად ასე გავაგრძელებთ ტელეფონზეც:

- მიდი, დაკიდე.

- არა, ჯერ შენ.

- კარგი, სამამდე ვითვლი.

ვთამაშობდი, ვითომ არჩევანი ჩემზეა, მაგრამ ვერ მოგართვით. ჩვენ არვირჩევთ. მამაკაცი თუ ქალი, არანაირი განსხვავება არ არის. ჩვენ გვირჩევენ და მორჩა. შენს რიგს უნდა დაელოდო და შანსი არ გაუშვა. სადილის დასასრულს ერთი ბოთლი შევუკვეთე. კოცნას ვერ ვუბედავ… სიყალბის შიშს ვერ უმკურნალებ. ვხედავ, როგორ მშორდება. თავს ვიკავებ, შეშლილივით არ ვსდიო მის მანქანას. მუცელი პეპლებით მაქვს სავსე. იასამნის თაიგული და სიხარულის მდინარე მახრჩობს. თითები ტუჩებთან მიმაქვს… ღვინო თვალებიდან გადმომდის… ძლივს გამოვცოცხლდი.

შაბათი

საღამო ჯადოქრობის გარეშე გავლიე და არც გემოვნებაში ჩავჭრილვარ. ეს გოგო არ მინახავს, რაც ეს დღიური დავიწყე (ფრანსუაზა - ეს სწორედ ის ზურგმოდღლეზილი კაბაა, ფორმენტერაზე რომ ეცვა). იცით, რას ჰგავდა ეს სიტუაცია? თითქოს რეალობას ზემოდან გაზის ნაჭერი ედო, ძალიან რბილი, თან სევდიანი და მსუბუქი.

ვიღაცაზე ფიქრით მუცლის კუმშვა მინდოდა, მგონი. ისეთ ქალთან მინდოდა შეხვედრა, რომელიც გამირბის და მე არ მინდა გავექცე. ფრანსუაზა გაქრა, მე კი ვფიქრობ: „რა გროტესკული სახელი აქვს, მაგრამ კარგი სუნი. ალბათ, ჩვენს შეხვედრამდე დაიბანა თმა“. უკვე მომენატრა. მორიდებული და მგრძნობიარეა. მისი ფრჩხილებიც მომწონს, მომრგვალებული იდაყვი, ლამაზი მხრები, ცოტა მოგუდული ხმა, როგორც კატრინ დენევს… მისი გიენას სიცილი მიპყრობს, როცა ჩვეულებრივ მეუბნება, რომ ტრუსს არ ატარებს. თვალები ისეთი დიდი აქვს, რომ იძულებულია, ნახევრად გააღოს (ალბათ, დამღლელი იქნება გაბრაზებულ კატასავით დიდრონი, რუხი და მწვანე თვალების ბოლომდე გაღება). ნეტავ რა სუნამოს ისხამს? ვიყიდდი და მასზე ფიქრით გავატარებდი ამ წუთისოფელს…

ო, ლა-ლა-ლა… ნუ, რა ცინიკოსი ხარ, ოსკარ, რაა! ზაფხული მოვიდა? ჰორმონებისა და ჰაერის გაბინძურების პიკი მოახლოვდა?

ზაფხული

A-ს ამბავი

„ღამე თავად სიყვარულია. ძლიერ შეყვარებული რომ ვყოფილიყავი, ამის მოყოლას მაინც ვერ შევძლებდი“.

ფერნანდო პესოა

კვირა

საშინლად შეყვარებული ვარ. არ გიცნობდი, მაგრამ ისე მოხდა, თითქოს შეგიცანი.

ორშაბათი

ბურჟუაზიის უმაღლესი წერტილი: გუშინ Hotel du Cap Eden Roc-ში ბერნარ-ანრი ლევისა და არიელ დომბალთან ერთად ვისადილე. ისე უყვართ ერთმანეთი, გამაღიზიანებელია. აუზზე თხილს ვაკნატუნებდით და ნაჭუჭებს ამერიკელ მილიარდერებს, სახელად, „ჯერის“, ვუტოვებდით. ლამაზმა არიელმა გვაუწყა, მომავალ არჩევნებზე კომუნისტებს მივცემ ხმას, რობერს ჩემი ხმა მოსწონსო (ლოგიკურია, ხომ?). მე და ბერნარი ატმის წვენს ვწრუპავდით და გადავიწყებულ ომებზე ვსაუბრობდით. კარგი იყო: არ ჯობია CAC 40-ზე ლაპარაკს? ნეტავ მე თუ შევძლებ ოდესმე, ამდენი ხანი მიყვარდეს ერთი და

იგივე ქალი?

სამშაბათი

ყოველდღე ვურეკავთ ერთმანეთს. ფრანსუაზას ყვავილები მივართვი დედამისთან. თან ლარბოს ოთხი სტროფი წავუმძღვარე:

„მოგართვი ჩემი სული:

არარაობა ბედკრული.

სიამაყე მორიდებული,

იმედგაცრუება სრული.

ამას არ იმსახურებ, ვიცი,

შენი სიყვარულის ღირსი არა ვარ, ვიცი.

თავი ცბიერი გგონია, ვიცი,

თავი ჭკვიანი მგონია, იცი.

ათასჯერ გავზომე გრძნობა,

ყველაფერს მიმიხვდი, ყოჩაღ.

არ გჯერა ჩემი მარაზმის,

მე კი - შენი სილაღის.

საიდუმლო არ არის ჩვენს სიყვარულში,

მაშ, ვიყოთ მსუბუქნი და სერიოზულნი,

ნუ დავივიწყებთ, ამა სოფელში

არიან მხოლოდ უცხონი“.

ცოტა too much გამომივიდა, მაგრამ მაინც დამირეკა. სამსახურს შეეშვა ფრანსუაზა და არც ახალს არ ეძებს. იმედგაცრუებულია. მხოლოდ კატები და წიგნები ამშვიდებს. სხეულს უვლის, არავის ხვდება და არც ბავშვების ყოლას აპირებს. იდეალური ქალია? სანამ შემხვდებოდა, სიკვდილს ნატრობდა. „სიკვდილი“ - ამ სიტყვას ყველაზე ხშირად ხმარობს: „კინაღამ მოვკვდი“, „მოვკვდები“, „მეგონა, ვკვდებოდი“ და ა.შ. მაგრამ სიტყვა „გარდაცვალებასაც“ ხმარობს და ეპითეტს „საზიზღარი“. ადრე არასდროს შემხვედრია ასეთი სასაცილო ადამიანი. გიჟური სისწრაფით მეტყველებს. მრავალშვილიან ოჯახში ყველაზე პატარა იყო და ეტყობა, ბავშვობაში, სუფრასთან, რაც შეიძლება სწრაფად უნდა ეთქვა თავისი სათქმელი, თორემ მერე ვეღარავინ გაიგებდა… რაც უფრო ხშირად ვეუბნები, რომ მენატრება, მართლაც ასე ხდება. მგონი, დედამიწაზე ჩემი მისია მისთვის სიკვდილის გადაფიქრება იყო.

ოთხშაბათი

ეროვნული ასამბლეის კაფეტერიაში ვსადილობ არნო მონტებურთან ერთად. მას მერე, რაც რესპუბლიკის პრეზიდენტის გამოკვლევაზე გასაშვებად ხელის მოწერების შეგროვება დაიწყო, ხელს აღარვინ ართმევს. ვერ გავიგე, რატომ არ აწერენ ხელს დეპუტატები? გეგონება, შავი ჭირი აქვსო, ისე გაურბის ყველა. არადა, მხოლოდ სიმართლის გაგება მოითხოვა კაცმა… განა მართლა საზიზღარია?! აი, მაგალითად, „დანონზეც“ კი არ გამოსულა ბოიკოტით, მხოლოდ „ევიანს“ სვამს! რესტორანში ანგარიშის გადახდის დროს ჯიბეში ხელს აფათურებს… გადაიხდის ნეტავ ქეშით? დააძრობს მარი და პიერ კიურეს თავებიან 500-ფრანკიანი კუპიურების შეკვრას? არა! სტეფან სიმონს და ტიერი ლე ვალუას აპატიუებინებს თავს. დიახ! კორუმპირებულია სხვებივით!

ხუთშაბათი

ფრანსუაზა, შენ ყველაზე დიდი მოვლენა ხარ ჩემს ცხოვრებაში. უფლებასაც არ მაძლევ, რომ არ მიყვარდე. სხვანაირად შეუძლებელიცაა. შენ გვერდით უბრალოდ ჩავლის უფლება არ დამიტოვე. როცა ფიქრობ, თუ ამასთან არაფერი გამომივიდა, ჩემს ცხოვრებას რა აზრი აქვსო, აი, ესაა სიყვარული. როცა გიყვარს, აღარ ორჭოფობ. სხვა ყველაფერი ფერმკრთალდება. რატომ მანამდე არ გიცნობდი (აქ მაინც ყველაფერს დავწერ, რაც ვერ გავბედე, მეთქვა ან მექნა).

პარასკევი

პარიზიდან წავიდა. მაშასადამე, ჩემგანაც. „შეყვარებულები ხართ? აგვისტომდე იქირავეთ ბინა სადმე და წადით. ზაფხული უქმად არ გაატაროთ. ივლისშივე შეიყვარეთ ვინმე“. რემბოს „რომანი“ (1870) დღესაც აქტუალურია.

შაბათი

ნიცაში სალეიას პროსპექტი ხალხითაა სავსე. „პასტისს“ წრუპავენ და გამვლელებს ათვალიერებენ. პატრიკ ბესონს სახე უნათდება, როცა ფლორანს გოდფერნო იღიმება. ინგლისურ სანაპიროზე ნატაშები უსაფრთხოების ხაზს მიქმნიან. Le village de Juan-les-Pins (yofili Voom Voom) ევროპის ყველაზე ლამაზი კლუბი გახდება. დონა სამერის 1500 Bad Girls-იც აქ არის, აქედან გამომდინარე, ატმოსფერო აღწერას არ ექვემდებარება და არც მე გავრისკავ. ერთს გეტყვით, საფირმო კოქტეილს „კუნი“ ჰქვია. თუ ბარმენს ჰკითხავთ, რა შედის ამ კოქტეილშიო, გიპასუხებთ:

- ფუჩუს წვენი…

ჰმ! თუმცა ლამარტინი მართალია: „ერთი ადამიანი გაკლიათ და სოფელიც დაცარიელდება“. დილას მზე სიესტას პარკინგზე ჩხუბის ფონზე ამოიწვერა. რთულია, გითხრათ, ვისი უფრო შემეშინდა: ბეისბოლის ბიტების, „აბსოლუტის“ შედეგის თუ ფრანსუაზასი?

კვირა

ახლა, როცა საზოგადოებაში გავდივარ, განა ხალხთან შეხვედრა მინდა? - არა, ფრაზების ჩაწერა მირჩევნია. ეს კი პრობლემა ხდება. ადამიანი, როგორც ბუნების შვილი, ნაკლებად მაინტერესებს, მე უფრო გონისკენ ვიხრები.მთელი კვირა გონებამახვილი ფრაზის ძიებაში გავატარე. ბოლო წუთს გიიომ დიუსტანმა გამიძრო, როცა ვკითხე, ქმრის ერთგული ხარ-მეთქი?

- რასაკვირველია, არა!

- იცის, რომ ღალატობ?

- ზედმეტად არ ვლაპარაკობ ამ თემაზე. ვიცი, რომ განიცდის… მე კი იმიტომ ვაკეთებ ამას, რომ მიდგება.

ორშაბათი

შეყვარებული თუ არა ხარ, ყველა გოგოს ცნობისმოყვარეობით ათვალიერებ კაცი. სიახლის, სიურპრიზის, გაოცების, ერთი ნახვით შეყვარების სურვილი გაქვს.

შეყვარებული თუ ხარ, ყველა გოგოს მანიაკივით უყურებ: სხვაში ვეძებთ, რაც გვაკლია, რაღაც უცხო გემო გვიპყრობს. გვგონია, ყველგან მხოლოდ ის არის. კაზანოვა ამბობდა, სიახლე ჩვენი სულების ტირანიაო. ეგრეა? არა, ტირანი თავად შენ ხარ. ფრანსუაზას გადარჩენა მინდა და თვითონ მშველის. ერთადერთი ეგოისტი ვნახე, რომელმაც ალტრუისტად გადამაქცია.

სამშაბათი

სანამ ლუდო მის ოჯახურ ციხეშია ფორმენტერაზე, მე, დეპრესიული, მარტო ვარ იბიცაში. ლიტერატურულ ჟურნალს ვფურცლავ და ვკითხულობ სტატიას გაბედული სათაურით „ქება მოწყენილობას“. აქ ჰიუსმანსის „პირიქით“ გამახსენდა: „რა არ სცადა, მაგრამ მაინც უსაშველო მოწყენილობა თრგუნავდა. შუაგზაზე იდგა, გამოფხიზლებული, მარტო, უზომოდ ძალაგამოცლილი“. მეშინოდა, ალბათ, აღარასდროს შემიყვარდება-მეთქი. ახლა მეშინია, სულ მეყვარება. გოგონა, რომლისთვისაც ჯერაც არ მიკოცნია!

ოთხშაბათი

ფრანსუაზა ჩემს ლირიკულ SMS-ებს არ პასუხობს. აზრების გასაფანტად, ლუდოსთან მივფრინავ იბიცაში. იქ თურმე ახალ სპორტს მისდევენ: ღამის კლუბებში მოდურია გაკუება. აქაოდა, არაფერიო, გამაყრუებელი მუსიკის ფონზე, ვინმე ლამაზსიფათიან გოგოსთან მიდიხარ, თამაშის წესია ასეთი. მაგალითად, ვინმე უცოდველი არაჩვეულებრივი მოდელი უნდა აირჩიო ჯინსის ღრმადეკოლტეიან კომბინეზონში და მისკენ ზურგით მიტრიალდე, მთელი გაზები დააცალო და ხითხითით გაშპე. არის ამ სპორტში რაღაც რევანშისტული. გამარჯვების დროშა არაფერზეა, სხვათა შორის, ასაფრიალებელი. მაგრამ ნუ გავიწყდებათ, ჩვენ იბიცაში ვართ, განა ფრანგულ კოლეჯში!

ხუთშაბათი

ნეტავ ჩვენი ცხოვრებაც ისეთი ყოფილიყო, როგორიც გუშინდელი საღამო Privilege-ში…

საღამოს „რენესანსი“ ერქვა და სახელს ამართლებდა… მაგრამ, მსოფლიოს ყველაზე დიდ ღამის კლუბს Privilege რომ დაარქვა, გაბედვა ხომ უნდა (ალბათ, ფაბრის ემაერი საფლავში ბრუნავს!)… კარლ კოქსს მხოლოდ 18 წლის ღვთაებები ეხვივნენ… მანამდე ჩემს დილერს Mar Y Sol-ში ველოდებოდი (ადგილობრივი Senequier) და თან ლოანებს ვთირავდი… Pacha-ში ერიკ მორილომ თავისი „ქვეცნობიერი შეკრება“ შეაგდო… „დივინო“ ლენჩების კლუბად გადაიქცა… პორტში ახალი მაისური შევიძინე წარწერით და ყველას მინდოდა დაენახა: Good girls go to heaven, Bad girls go to Ibiza… Chupitos ისხმებოდა და ისმებოდა… კადრის გაჩერება მინდოდა. რატომ არც ერთ ღამის კლუბს მონანიება არ ჰქვია? დილაადრიან მე და ლუდო ყურადღებით ვაკვირდებოდით, ვარდისფერი ცა როგორ ლურჯდებოდა და გული სწყდებოდა ამაზე. ზღვა ცის ფერებს იპარავდა. ჩვენს თავზე თვითმფრინავები ზოგი მარჯვნივ უხვევდა, აფრიკისკენ, ზოგი მარცხნივ - ევროპისკენ. ფრანსუაზას დასავიწყებლად ნებისმიერთან დავწვებოდი, მაგრამ ვიცოდი, აზრი არ ჰქონდა. ყველაფერი ერთმანეთში ამერია: ქვეყნები, ხალხი, წლები და სხეულები. კომპასი მჭირდება სასწრაფოდ…. და თუ ეს ფრანსუაზაა?

პარასკევი

იცით, რა ჰქვია ესპანურად „ხელოვნურ ფალოსს“? - Consolador. რა ლამაზია, არა? „დაწყნარება“ (ესპ. Consolar - ნუგეშის მიცემა, კომფორტი) და „გამაგრება“ (კონსოლიდირება) ერთდროულად იგულისხმება. ორივე მშვენივრად გამოხატავს ობიექტის არსს.

შაბათი

- მორჩა, გათავდა: ვეყრები!

ძნელი გასაგებია, ლუდო სიხარულისგან იცრემლება თუ დარდისგან იცინის.

- დასრულდა. ჩემმა ქორწინებამ შვიდწლიან კრიზისს ვერ გაუძლო.

ყველაფერი ჩამეშალა: მეგონა, ერთადერთი მყარი ადამიანია ჩემი მეგობარი-მეთქი. მაგრამ დღეს ვიღას უნდა ენდოს კაცი? ყველა გაურბის პასუხისმგებლობას: დაქორწინებული კაციც თუ განქორწინებაზე ფიქრობს, სად წავალთ? ცოლმა ლუდო ფორმენტერადან გამოაგდო და „ახალი ლუდო“ იშოვა. „ახალი ლუდო“ ტიპია ბალიშებისგან, რომელიც გუშინწინ შექმნა

ლუდომ, ღამე რომ მოტეხილიყო და ლოგინში ცოლს ის ჰგონებოდა (უეჭველად გაიგებდით ამ ამბავს. დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა მედიაში, Voici-, Match-, VSD-,Gala-ს ფურცლებზე…)

- მანქანიდან გადმომაგდო და პორტში უსიტყვოდ დამტოვა… ბორანს გამოვყევი ჩემი ჭუჭყიანი მაისურებით სავსე ჩემოდნით. ცრემლები და წყლის შხეფები ერთად მახრჩობდა. მარილმა სახის კანი დამიჭიმა. ჩემს უნამუსო სიფათზე მარილის დამამზადებელი ქარხანა აშენდა წამში.

- რა იყო, რა მოხდა?

- რა და ჩემი ცხოვრება მოხდა. სხვაგან დაფრინავდა ჩემი ფიქრები და მიხვდა. ან უნდა წამოვსულიყავი, ან წყალში უნდა გადავმხტარიყავი.

- მოიცა, მოიცა. ყველაფერი დალაგდება…

- რა ვიცი, აბა… უკვე კარგა ხანია ბედისწერა ამეკვიატა. ადამიანები ერთმანეთს თუ ვეღარ იტანენ, უნდა დაშორდნენ. რა იდიოტები ვართ, სიყვარული მუდმივი რომ გვგონია. გრძნობაც ისეთი წარმავალია, როგორიც ჩვენ. ყველაფერი მთავრდება და ამის აღიარება არ გვინდა.

ტკივილმა რა ლირიკული გახადა.

- შენ როგორ გრძნობ თავს?

- ბანალურად. საშინლად. აზრზე ხარ: ექვსი თვის ფეხმძიმეა!

- მოიცა რა. ახლა გული ამერევა.

- ჰმ… დღეს შენი დღიურის მკითხველები მაგრად იკაიფებენ ჩვენზე!

- იცი, რა? ჩემი მკითხველი ისეთივეა, როგორიც ყველა სხვა: ჩემს დღიურს ან პლაუზე კითხულობენ, ან მეტროში. ფიქრობენ, თითქოს ეს ჩვეულებრივი რამეა, მაგრამ გულის სიღრმეში კარგად იციან, რისი თქმა მინდა.

კვირა

რასაა, რომ ამბობს ეს ლუდო? რაღაც სენსაციური სტატია გამიძრო: ცოლიანი კაცები უფრო მომხიბლავები არიან, ვიდრე უცოლოებიო. დიდი ხანია მოძველებული პონტია ცოლიანი ტიპები თავიანთი ფოფოდიებით და მოზლუქუნე ბაჭყატებით. მათ უფრო მეტი პრობლემა აქვთ, ვიდრე დედამიწის ყველა ოსკარ დიუფრეზნს ერთად აღებულს.

ორშაბათი

ქალები უნდობლად უყურებენ სხვა ქალებს. არადა, მათი ყველაზე დიდი მტერი სიმარტოვეა. ლუდოს ყელში ამოუვიდა, მარტო რომ არ იყო. მე კი სიმარტოვე მაქვს ყელში. ჩემი ამბავი გავანდე:

- იცი, მგონი, ერთ ვიღაცას შევხვდი…

- ააამ ეგრეც ვიფიქრე, შე ცრუპენტელა! ველოდებოდი, როდის მეტყოდი! იცი, რითი გატყობ, შეყვარებული რომ ხარ?

- არა, არ ვიცი…

- საზიზღარი გახდი, თან ისეთიიი! ისეთ სიფათებს იჭერ! აბა, მითხარი, ვინ არის?

- არ იცნობ… ფრანსუაზა ჰქვია.

- მართლა?!

გეგონება, იცნობს.

სამშაბათი

აეროპორტიდან იბიცამდე მიმავალი გზა აფიშებით არის აჭრელებული. დიდი ზეიმია მოსალოდნელი Pacha, Space და Amnesia-ში. ღამის კლუბების რეკლამებმა ყველაფერს გადააჭარბა. ავტობუსების გაჩერებებიც რეკლამებითაა სავსე. ღამის კლუბიზაცია მასების ინტერესის საგანი გახდა. კაპიტალიზმის მერე, ა�ა, ბატონო, კლუბიზაცია მოვიდა! ჩვენი ხვალინდელი დღეა, ჰედონიზმის რელიგია. დისკოთეკა მთელი წლის მონობის გადასავიწყებელ ატრაქციონს ჰგავს. როდის დაარიგებენ Auchan-ის სარეკლამო ფურცლებს? დავიდ გეტა უკვე გონდოლას ცხვირზე დგას. კარლ კოქსი მომავალ მუსიკის საღამოზე ინფორმაციას როდის გამოაცხადებს? გერმანელებითა და ინგლისელებით სავსე ჩარტერული რეისები პირდაპირ საცეკვაო მოედანზე სხდებიან, პრობლემებს რომ გაექცნენ: ფიზიკურ სიმახინჯეს, ნამზეურს მოტვლეპილ თავზე, ლუდით სავსე სქელ მუცლებს, ფეხბურთის უხეირო ეროვნულ ნაკრებს…

ოთხშაბათი

ახლა ჩემი და ლუდოს წინაღამის საუბარს შევაჯამებ: ლუდოს რამდენიმე თვის წინ ფრანსუაზასთან რომანი ჰქონია. ერთმანეთი არ უყვარდათ, მაგრამ კვირაში ერთხელ ჟიმაობდნენ და როგორც ჩანს, ეფექტურად. ვთხოვე, დეტალებზე აქცენტს ნუ გააკეთებ-მეთქი.

- ოოოო, იცოდე, გიჟია, გარეკილი, ცოტა მძიმეც. ფრთხილად იყავი, ძმაო.

თუ ეგონა, გადაწყვეტილებას შემაცვლევინებდა, არ გამოუვიდა. რაც უფრო გიჟი იქნება ფრანსუაზა, მით უფრო მომეწონება. არ მომეშვა:

- ავადმყოფია! მთელი დღე არაფერს აკეთებს, საყვარლების მთელი არმია ჰყავს! დეპრესიულია. ძალიან სექსუალური, ძალიან ჭკვიანი, მაგრამ მამალი გიჟი.

რაც უფრო მეტს მეუბნება, მით უფრო მიმზიდველია ჩემთვის. დიურასი ამბობს: „მომწონხარ: რამხელა მოვლენაა“. შეყვარებული უნდა ვიყო, რომ ვთქვა: „ჰიროსიმა, ჩემო სიყვარულო“ იბიცაში!

- მაშინვე ვიფიქრე, ფრანსუაზა ჩემთვის არის დაბადებული-მეთქი. იცი, რა ტიპის ქალია? მთელი დღე როჟით ზის და ბოლოს გიჟურ სექსს გაჩუქებს. მაგას რა სჯობია. ყველაფერი, ოღონდ იდიოტური თვალები არა!

ხუთშაბათი

ბოლო-ბოლო დამირეკა ფრანსუაზამ, რომ ეთქვა, რატომ არ მირეკავდა: მატყუარას, მოქეიფის, სიყვარულში არასტაბილური და თავქარიანი კაცის რეპუტაცია მაქვს… დედამ ურჩია, ჩამომცლოდა. ჩემი მხრიდან კარტები გადავუშალე და ვუთხარი, არ გავბრაზდები, ლუდოსთან რომ იყავი-მეთქი, არც შენი ნევროზი გამაღიზიანებს და არც ის, ცოლიან კაცებთან რომ დადიოდი-მეთქი. რაც მინდა, იმას ვიზამო და ჩემი წარსული შენი საქმე არ არისო. ჩემიც დაიკიდა…

შესანიშნავია: უკვე ვიჩხუბეთ და ჯერ ერთად არ ვყოფილვართ. ვცდილობ, სიტუაცია განვმუხტო:

- იცი, მართლა სერიოზული ხდება ჩვენი ურთიერთობა. მომწონხარ, რამხელა მოვლენაა, არა?

- ჰო, კაი, კაი. მეც მაქვს წაკითხული დიურასი.

- (…) შეუძლებელია, შეუძლებელი…

- რა?

- თავს ვეღარ ვაკონტროლებ!

- ვერც მე.

და ეს სატელეფონო საუბარი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ლამაზ წუთებად იქცა. ზუსტად ის გრძნობა აღმიწერა, რაც მე დამემართა. სულელივით მიხარია, ძლივს ისეთი ადამიანის ყურადღება მივიქციე, ვინც მე თვითონ მიზიდავს. წამში უკვე აეროპორტში ვიყავი.

პარასკევი

მეზარება პარასკევის ამბების მოყოლა. პათეტიკური სპექტაკლი იყო. გათხლეშილი მთვრალი ფრანსუაზას ვემუდარებოდი, გამომყოლოდა. ტაქსისმძღოლი მოწმე იყო ჩემი უუნარობის… ჰმ, ლოველასი შეყვარებულია. გულთამპყრობელი ტანჯვის მსხვერპლი ხდება, ფრანსუაზა კი ჩემი ღვთაებრივი სასჯელია. ის ყველას მაგივრად იყრის ჯავრს.

ათი თუ დავკარგე, ერთი ხომ ვიპოვე.

შაბათი

ჰო, მართლა: „ახალ კაბარეში“ ფართი მოვაწყვე. ჟაკ გარსიამ განაახლა და „მეორე იმპერიაში“ გადაბარგდა, მესამე ათასწლეულისთვის.ბარი ყველასათვის ღია იყო და სამწუხაროდ, ყველას მაგივრად მე ვიხდიდი. გიიომ დიუსტანს თავისი დისკების მოტანა დაავიწყდა. ჩემი აზრით, ჰეროინი ცოტა უნდა დაასტოპოს და პროფესიონალურად მიაწვეს დისკ-ჟოკეობას. პატრიკ ოდელინიც კი უფრო საღად გამოიყურებოდა! მგონი, სადილის დროს ყველა საკმაოდ ბედნიერი იყო, მიუხედავად იმისა, რომ კერძები უკეთესი შეიძლებოდა ყოფილიყო. კი მაგრამ, ვინ მიდის კაბარეში საჭმელად? მე და ტიერი არდისონი, ნამდვილად არა! ზუსტად ამ დროს ახალი დარბაზი გაიხსნა, სახელად Lounge (ასე იმიტომ დაარქვეს, რომ ყველა მატრასებზე წვება). საკმაოდ კომიკური იყო ერთი აკადემიკოსის (ჟან-მარი რუარის) და სახელმწიფო მრჩევლის (მარკ ლამბრონის) დანახვა, როგორ ეყარნენ Crazy-გოგოებსა და ამინდის მომავალ წამყვანებს შორის. სამწუხაროდ, ტანისამოსი არავის გაუხდია. მარი ჟილენმა მადლობა გადამიხადა იმდღევანდელ ქათინაურებზე, მაგრამ მე ისევ გაუთლელ ხეპრესავით ვიქცეოდი (კიდევ კარგი, დაბინდული შუქი ჩემს უადგილო გაწითლებას მალავდა). იცით, რატომ ლამაზდება უფრო და უფრო ლუ დუალონი? იმიტომ, რომ ჭკუა მოემატა (ბერდება რა). ერთია, დრო არ მეყო ელენ ფილიერსა და პიერ ბენიშუსთან მისაწოლად. პიერ ასულინსა და მარკ-ედუარ ნაბესთან ლიტერატურაზე სალაპარაკოდ. ინეს დე ლა ფრესანჟსა და არნო კლარსფელდთან საცეკვაოდ. მაგრამ საღამო გამოვიდა: ვენსან კასელთან ერთად ცხოვრებას მივაფსი! (რაც შეეხება იმას, თუ რა მოხდა მერე…. ფრანსუაზას კისერზე საეჭვოდ ჩამოკონწიალებული შავი კაბა ეცვა. წინადღის საქციელი მადარდებდა… ლუდო მის შორიახლო ტრიალებდა. მირჩევნია, მეტი აღარ გავიხსენო: სელექციური ამნეზია მჭირს).

კვირა

ეს დღიური ანტი-Loft Story-ა. პირადი ცხოვრების გამომზეურების მომხრე ვარ. დიახაც! დეივ ეგერსის არ იყოს, გამოგონებული ისტორიები ისეთ შთაბეჭდილებას გვიტოვებს, თითქოს „მანქანას ჯამბაზის კოსტიუმში ვმართავთ“. ჩემი სიმართლე ტყუილის პრიზმაში გადის, შრომით ვცხრილავ და წერის ფილტრში ვატარებ. მაპატიეთ, თავმდაბალი ვერ ვარ: ვფიქრობ, მარტივად მოვახერხებდი 70 დღე კახპებთან ერთად ერთ ოთახში გამოკეტილი ვყოფილიყავი და ეს ფირზე აღებეჭდათ. ოღონდ ზუსტად ვიცი, ამ იდიოტური გადაცემის ვერც ერთი მონაწილე ვერ მოახერხებდა დღიურის დაწერას. აბა, სცადონ! კენზა, მიდი, აბა, გელოდები! ბორის ვიანმა ზუსტად აღწერა ლიტერატურის როლი „დღეთა ქაფის“ წინასიტყვაობაში (10 მარტი, 1946): „ეს ამბავი თავიდან ბოლომდე ჭეშმარიტია, რადგან მე ის წარმოვიდგინე“.

ორშაბათი

გუშინ საღამოს ტომ ფორდმა ივ სენ ლორანის ქალის ახალი სუნამო წარადგინა: „შიშველი“ - Nu. ბრონიარის სასახლე დაიქირავა (პარიზის ყოფილი ბირჟა) და შიშველი მამაკაცებითა და ქალებით სავსე აკვარიუმი დადგა. ჭიებივით იკლაკნებოდნენ და ერთმანეთს ეხვეოდნენ. 800 სტუმარი ცეკვავდა და გაშტერებული უყურებდა სანახაობას. აღგზნებულები იყვნენ, ცხადია. მართალი გითხრათ, ევა ჰერციგოვა სულელივით იღიმებოდა, დიჯეი „აეროსმიტის“ Walk This Way-ს პატი ლაბელის Voulez-vous coucher avec moi ce soir-ს აბამდა. ფრანსუაზამ ცხოვრებაში პირველად დალია არაყი… და ალკოჰოლის

ხიბლი აღმოაჩინა: ყველას უკან დასდევდა. თავი კიბერნეტიკულად გამართულ სამეცნიერო-ფანტასტიკურ ფილმში მეგონა. 2060 წელს ფინანსური ბაზარი შუშის გალიაში გამომწყვდეულ გიგანტურ ორგიად გადაიქცევა… კი მაგრამ, დღევანდელი მოვლენა არ გაგონებთ ამას? დიდი ეჭვი მაქვს, ტომ ფორდი ანდროიდია, ან BioTekInc-ის ფირმის შექმნილი XB28 ტიპის კიბორგი, როგორც „ხელოვნურ გონში“, სტივენ სპილბერგის ამ გოიმურ ვარიანტშია, კუბრიკს რომ ასწაპნა. მომენტი ვიპოვე და ფრანსუაზას ჩავჩურჩულე:

- მიყვარხარ. როდის დავწვეთ ერთად?

ჯერ ხელზე ხელი მომიჭირა, მერე იდაყვზე, მკლავზე, მხარსა და ბოლოს, ნიკაპზე. ჩვენი ბაგეები ერთმანეთს შეეხო. მომენტალურად დავყრუვდი, დავბრმავდი და დავმუნჯდი.

სამშაბათი

ამბობენ, ნაწარმოების პირველ ფრაზას უდიდესი მნიშვნელობა აქვსო: „დიდი ხანი ვწვებოდი ადრე“ („სვანის მხარეს“); „დღეს დედა მოკვდა“ („უცხო“); „ყველაფერი ასე დაიწყო“ („მოგზაურობა ღამის დასალიერში“). ბოლო ფრაზები თუ ვიცით ზეპირად? წიგნის დასრულება უფრო რთული საქმეაო, ამბობენ. რიგის მიხედვით გავაგრძელოთ: „თუ რამეზე გული დაგვწყვეტია, კადრი მოგონებად დაგვრჩენია. მაგრამ სახლები, ქუჩები, სამწუხაროდ, მხოლოდ წარმავალია, როგორც წლები“ („სვანის მხარეს“); „ყველაფერი რომ გადაიხარშოს, იმისთვის, რომ ნაკლებად მარტოსულად ვიგრძნო თავი, ისღადამრჩენია, ბევრი მაყურებელი ვინატრო, რომლებიც სიძულვილის შეძახილებით შემხვდებიან“ („უცხო“); „თავისკენ მოუხმობდა მდინარის ბარჟებს, მთელ ქალაქს, ცას, სოფელს და ჩვენ, სენასაც კი… ვინღა ლაპარაკობს ახლა მასზე“ („მოგზაურობა ღამის დასალიერში“). მოდი, სწრაფად შევაჯამოთ ეს სამი ნიმუში: შედევრები უფრო ადვილი დასაწყებია, ვიდრე დასასრულებელი, რადგან ფინალური ფრაზები ხუთჯერ უფრო გრძელია, ვიდრე დასაწყისის. გენიოსი ისაა, ვინც მარტივად, ხელის ერთი მოსმით იწყებს, მაგრამ მელანქოლიურად ამთავრებს (როგორც სიყვარულს).

ოთხშაბათი

მოკლედ, კიდევ არ გვიჟიმავია (გუშინწინ იაღლიში მომივიდა. ჩემი სირი სოსის Knacki Herta-სხელა გახდა. ფრანსუაზა გაბრაზდა, მე კი შეურაცხყოფილი დავრჩი, თუმცა, ვაღიარებ, მანამდე არასდროს ყოფილა ჩემს ლოგინშიასეთი მშვენება… ვერ აღმაგზნო? არა, ნამდვილი როკო სიფრედი ვიყავი, მაგრამ მიზნის მიღწევის სურვილმა ყველა უნარი შემიზღუდა, როგორც ანრი ლეკონტს „როლან გაროსის“ ტურნირზე). ბევრი ფიქრის გარეშე (და მგონი ვა-ბანკზე) ფრანსუაზას ლოს-ანჯელესში წასვლა შევთავაზე. ძალიან გავოცდი, რომ დამეთანხმა. თორმეტი საათის მერე სასტუმრო „მონდრიანის“ წინ გიჟივით ტაქსის ვაჩერებდი აეროპორტში წასასვლელად, რომ ელიზაბეტ ქუინი გამოჩნდა და ფრანსუაზა გააცინა:

- ვაა, აეროპორტისკენ? ბედნიერი მგზავრობა მინდა გისურვოთ, მაგრამ ლოს-ანჯელესში არიან ტაქსები, მაგრამ არა ტაქსები.

ამას მოჰყვა ბედნიერების ცრემლები თეთრად გაწყობილ ოთახში. მიუხედავად იმ საღამოს მარცხის, შიშის და ბიორიტმის არევისა, ჩემმა ორგანიზმმა კვლავ მუშა რეჟიმში დაიწყო ფუნქციონირება. წარმოგიდგენიათ, 35 წელია ვჟიმაობ და ერთხელაც არ მიტირია.

ხუთშაბათი

ნიუ-იორკშიც მან რეის გამოფენა გაიხსნა. სოფიაში Dali’s ბარში ვიყავი. ლოს-ანჯელესშიც სასტუმრო „მონდრიანში“ გავჩერდით. ყველაფერი საფრანგეთთან მაკავშირებს, ერთი „სიტროენ-პიკასოღა“ მაკლია და მოვაჯდები! კითხვა ჩნდება: რა საჭიროა თანამედროვე ხელოვნება? რაში და, მოდურ ადგილებს მისი ცნობილი წარმომადგენლების სახელები რომ ეწოდოს. ხელოვნება პოპულარული რეალითი-შოუების გარეშე ხდება. ხელოვნება=პოპულარობას+შინაარსი. შესანიშნავი არ არის განა, რესტორანს ასეთი სახელი უწოდო?! ხელოვანი ადამიანი არის ტიპი, რომელიც რაღაც ღვაწლის გამო ცნობილი გახდა. ამას კი ვამბობ, მაგრამ არ გამიკვირდება, მალე „სტივი კაფეები“ და „ლოანა-ბარები“ რომ გაიხსნას.

პარასკევი

„მონდრიანის“ Sky Bar-ში, როგორც სან-ფრანცისკოს Backlip du Phenix Hotel-ში, ძალიან ხშირად გაიგებთ Oh, My God. პრაქტიკულია მოდური სასტუმროები: აუზის გარშემო ყოველთვის ლამაზი ადამიანია. ამის გამო გარეთ გასვლა არ გინდება. საკმარისია, ბარში ჩახვიდე, რომ პატარა სვეიკი გოგოების ცვენა ატყდება და შენც ყლურწე „მარტინი“, რამდენიც გინდა. მერე სასტუმროს ოთახამდე კიბეზე იხოხე. რაო, დეპრესია? ფრანსუაზამ 50-მილიგრამიანი „ეფექსორის“ აბები ხელისგულზე დამიყარა და მეც მსუნაგად პირში ჩავიყარე.

შაბათი

სან-ფრანცისკო დაკიდებული ნიუ-იორკია. ფრანსუაზა Haigth-Ashbury-ის კვარტალში წავიყვანე. ლუდოს ქალიშვილს, სოფის, ტანისამოსი ვუყიდეთ. ფრანსუაზას Jefferson Airplane-ის ძველი გამოშვების დისკი ვაჩუქე. მე ჯინსის პიჯაკი მიყიდა, „ახალგაზრდულად რომ გამოვიყურებოდე“. დაქირავებული მანქანა ცუდად გავაჩერე და ჭყივილი დაიწყო. სადღაც უჯრაში კიდევ მიგდია ჯარიმის ფურცელი. ხანდახან გავშტერდები ხოლმე, ამოვიღებ და ვუყურებ. ალბათ, ჩარჩოშიც ჩავსვამ.

კვირა

ხშირად ყურადღებას არ ვაქცევთ საყვარლობის კეკლუც ხასიათს. ნამდვილი ფრანგული სპორტია: გალანტური ტყუილის ხელოვნება. „სად იყავი გუშინ ექვსი საათისთვის? ვერ დაგიკავშირდი. ჰმ… ჰოოოო… რა მინდოდა? ჰმ, სულ დამავიწყდა, ამ შაბათ-კვირას სემინარზე მივემგზავრები“. ნუ დაგავიწყდებათ, ჯერ როდის ერთობოდა მადამ ბოვარი. კარგი, ვთქვათ, ბოვარიც ფრანგია. და ფრანსუაზა?..

ორშაბათი

Backflip, სან-ფრანცისკო, ღამის 3 საათი (პარიზში შუადღის 12 საათია). საწინააღმდეგო არაფერი მაქვს სანდლებიანი დიჯეისა, მაგრამ თავიდან, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ მომეჩვენა. შევთანხმდეთ, რომ მისი იმიჯი,„ფეხშიშველა ყოფნა მიყვარს“, აიძულებს, სამჯერ უფრო კარგად იმუშაოს. ყველა გოგოს ერთი სახე აქვს - კამერონ დიასის. მამაკაცები საშუალოზე დაბალ დონეზე გამოიყურებიან, უგემოვნოდ აცვიათ, ტლანქები არიან და საშინლად ცეკვავენ… მხოლოდ სან-

ფრანცისკოში ხდება, რომ ლამაზი მამაკაცი ჰომოსექსუალია და Backflip კი ჰეტეროსექსუალთა ერთ-ერთი იშვიათი ბარია. სხვათა შორის, აქაც კი გოგოები ერთმანეთში ცეკვავენ. გარემო ძალიან ლესბოსურია და ქერა გოგონები ბეისბოლის გუნდის ჩირლიდერებს ჰგვანან. იგრძნობა, მხოლოდ აყენებაზე მუშაობენ და ნამდვილ საქმეს გაურბიან. ყველაზე კარგად აქ ჩანს, რომ მამაკაცი არაფერს წარმოადგენს.

სამშაბათი

შეერთებულ შტატებს ერთი რამე აკლია - ეჭვი. მედროშე ქვეყნის უმნიშვნელოვანესი მანკიერი მხარე. ამ ქვეყანაში თუ ითამაშე, აუცილებლად გაიმარჯვებ. ამას მერე გაუთავებელი ქეიფი მოჰყვება, ყოველგვარი სინდისის უქენჯნელად. რამდენიმე კვირის მერე ნებისმიერი ევროპელი ახალგაზრდა ამერიკაში თავს ხანდაზმულ ადამიანად გრძნობს. არაფერზე ვნერვიულობ, ეგზისტენციალიზმის პრობლემა არ მაწუხებს, მგრძნობელობის დაკარგვის საკითხი არ დგას დღის წესრიგში. მხოლოდ გაბადრული სახეებია გარშემო! ჩემი გულის გასახეთქად ეს ოხრები სულ ბედნიერი სახეებით დადიან. ძალიან მინდა, MTV-ის არხზე ბოიკოტი მოვაწყო. ფრანსუაზაც მეთანხმება (რაც იშვიათობაა).

ოთხშაბათი

მხოლოდ ამერიკაში ყოფნის დროს ვგრძნობ თავს ევროპელად.

ხუთშაბათი

რატომ მაინცდამაინც ის და არა სხვა? წყვილი ჯიქნის გამო რატომ უნდა ვთქვა უარი ათასზე? იმავეს ვიტყვი მდედრის ათასობით ბოქვენზე. სანსეტ-ბულვარის Standard Hotel-ში ვარ, აუზზე. ფრანსუაზა საშოპინგოდ წავიდა. მის არყოფნაში „უმისობა“, სიმსივნის ტოლი ავადმყოფობა შემეყარა. თვითგადარჩენის ინსტინქტის საფუძველზე სიყვარულის ტყვეები ვხდებით.

პარასკევი

Fred Segal-ში ვაინონა რაიდერი ვნახე, შავ კაბას ყიდულობდა (ამ შემთხვევაში, გადაიხადა!). კაბის ზურგზე მარიხუანას ფოთოლი ეხატა. Standard Downtown-ის სახურავზე საცეკვაო აუზია, ღია ცის ქვეშ. წარმოიდგინეთ თავი ღამე გაბდღვრიალებულ ცათამბჯენებს შორის. შენობას გარედან ლიფტები აქვს დამონტაჟებული და განათებული ბურთებივით ადი-ჩადიან. ცარიელ კაბინეტებში ნეონის ნათურები ანთია. დისკოკეი აზიელი ტიპია მინი-შორტებსა და მაღალქუსლიან ქოშებში. ჯინ-ტონიკს ვწრუპავ, აუზი გათხლეშილი ნაშებით არის სავსე. ფრანსუაზას შენიშვნა მისცეს, ძალიან ბევრს ეწევიო. პლაზმურ ტელევიზორებში დაკუნთული მოსერფინგე ბიჭები ჩნდებიან. მოცეკვავეები ვერტმფრენის ყოველ გამოჩენაზე კივიან.

შაბათი

ყველა ჩემი უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ჯერ კიდევ დედაჩემის მუცელში ყოფნისას განუწყვეტლივ ვუსმენდი მიშელ პოლნარევის „სიყვარული შენთან ერთად“ (1965). ბოლოში ჩავიდოდა თუ არა, გადაახვევდა და ისევ თავიდან:

„ამაზე ვფიქრობთ,

ხმამაღლა ხომ არ ვამბობთ.

არ მადარდებს ხალხი და მორალი,

როცა შენთან მინდა სიყვარული“.

ნეტავ ივ დიუტეისთვის რომ ესმინა, მაშინ რა გამოვიდოდი?

კვირა

„დღეს ცუდი დღეა და დღითი დღე გაუარესდება. და ასე მანამ, სანამ ყველაზე ცუდი არ მოხდება“. ხანდახან შოპენჰაუერს მინდა ვუთხრა: „მოკეტე, პატივცემულო!“

ორშაბათი

ჟან-ჟორჟს, ჩემს მეგობარს, სხვების დარიგება უყვარს, თვითონ კი მორალი სულ არ აინტერესებს. ამ დილასაც დამირეკა ლექციის ჩასატარებლად:

- გეყოფა შენს თავზე წერა. არაფრად ღირს. შეგვიცოდე შენიანები!

შეიძლება მართალიცაა. გადავწყვიტე, დავუჯერებ-მეთქი. მორჩა, აღარაფერს მოვყვები ჩემს ცხოვრებაზე.

სამშაბათი

დრაკონები ხახიდან ცეცხლს აფრქვევდნენ. რობინ ჰუდმა გადაწყვიტა, თავისი გრძელი შუბით შებრძოლებოდა მათ. უცებ მეფის ასული პირდაპირ სასახლის ფანჯრიდან გაფრინდა (ჰო, სულ დამავიწყდა, ფრთები რომ ჰქონდა). მაგრამ ვაი, რომ ხეებმა თავიანთი დიდრონი ტოტებით დაიჭირეს. ამ დროს ჰარი პოტერი გამოჩნდა:

- სალამალეკუნგა! - შეჰყვირა და თავისი ჯადოსნური ჯოხი მოიქნია.

მაშინ ცა გაიხსნა და ლეონ ზიტრონმა (პრინციპში, ღმერთი ლეონად იყო გადაცმული) გამოაცხადა:

- ძვირფასო ბატონებო და ქალბატონებო, საღამოოოო მშვიდობიიიისა.

ჰოდა, რობინ ჰუდი ერთ ტონა მდნარ კულომიეში ჩაიხრჩო. ფერიები და ჯუჯები ტირილით გასკდნენ. უცებ გაცოცხლდა, წამოხტა და ხელს გააყოლა ტურფა მეფის ასული. ცხრა თვის მერე ბევრი შვილი ეყოლათ და ცხოვრობდნენ დიდხანს და

ბედნიერად.

ოთხშაბათი

მაპატიეთ, მგონი, საკმარისი ფანტაზიის უნარი არა მაქვს (ან უფრო ზუსტად, ნიჭი), ზღაპრები რომ შევთხზა. ვწუხვარ, ჟან-ჟორჟ. რაც შემეძლო, ვქენი. მაგრამ ისევ ჩემს „პერსპექტიულ ფანტაზიებს“ მივუბრუნდები (ასეთ კვალიფიკაციას აძლევს ჩემს ნამუშევარს მიშელ უელბეკი. პირადად მე ასე ვუწოდებდი: „საჯარო ავტოდესტრუქცია“).

ხუთშაბათი

დავფიქრდი და გავაანალიზე: პრინციპში, მამაჩემზე აღარ ვბრაზობ, რადგან იმავე უსაქციელობას ჩავდივარ. ნეტავ გავეფრთხილებინე (შეიძლება სცადა კიდეც, მაგრამ მე არ ვუსმენდი)!

პარასკევი

რამდენი ჩხუბს დავიწყებთ მე და ფრანსუაზა, იმდენი გაშმაგებული სექსით ვამთავრებთ. ზოგჯერ ხელოვნურად ვქმნი საჩხუბარს, შერიგების ბედნიერებას რომ დავეწაფო.

შაბათი

ჟან-ბატისტ ბლანმა და ლიონელ არასილმა გორდში დამპატიჟეს სადის პრემიის გადაცემის ცერემონიაზე, რომელიც კატრინ მილესთვის უნდა გადაეცათ (პირველი პრემია ერიკ ბენიე-ბიურკელს ერგო პირველი რომანისთვის). ფრანსუაზა თან წავიყვანე. სადილი ძალიან სასიამოვნო იყო Mas de Tourteron-ში, სადაც გიიომ დიუსტენმა კვირის ფრაზა წარმოთქვა: „მინდა მემარჯვენე ვიყო შენთან ერთად“. საღამოს ლაკოსტის სასახლის საწამებელი საკნები მოვინახულეთ. ამ მაიმუნმა ქლოე დე ლისმა ისარგებლა იმით, რომ ზურგით ვიჯექი და თავისი ქმრის ფოტოობიექტივის წინ შიშველი პოზირებს (ქორწინებისგანაც არის რაღაც სარგებელი). მერე გოტიკური საღამო იყო Mas de la Gacholle-ში. დისკჟოკეი ძალიან dark სტილში იყო და ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა, ისე მიაყოლა The Cure-ს Taxi Girl-ის მელოდიები. მოკლედ რომ გითხრათ, დღესასწაული ძალიან ჰგავდა იმას, რასაც ჟერომ ბეგლე „დარიესეკებს“ ეძახის (ანუ გარყვნილ ქალებს).

კვირა

სამყაროს დასასრულმა, მგონი, კასტელასის ფერმამდეც მიაღწია. ჯიანი, ეს მოშაირე პოეტი, ტუჩის ჰარმონიკაზე უკრავს ცხვრების თანხლებით. საოცარია მზის ჩასვლა ალპებში. ლავანდას გარიგას სუნი აქვს და პირიქით. ცხოველები ახლოს მოდიან, ფრანსუაზასთან ერთად რომ მიირთვან. თავი კინოფილმში „ბემბი“ გეგონებათ. დარწმუნებული ვარ, ჟან ჟიონომ თავის ერთ-ერთ პასტორალურ რომანში სოფელ სივერგზეც დაწერა. მიდით, იჩალიჩეთ და იპოვეთ პროვანსისკენ მიმავალი ყველაზე ლამაზი საიდუმლო გზა. მწვანე მაღლობი გვარიანად გამომშრალია, რადგან მზის სხივები ვერ აღწევს ზეთისხილის ხეების ჩრდილქვეშ. სიო ხშირი სტუმარია ფოთოლნარში და კისრებს აგრილებს. მგონი, ეს ადგილი ყველაზე სტუმართმოყვარეა პლანეტაზე. კარგი იქნებოდა, კედელზე ვინმეს წარწერა გაეკეთებინა: „აქ ოსკარ დიუფრეზნი უღმერთოდ ბედნიერი იყო“.

ორშაბათი

ტუალეტში მის მერე შევიდა. ასე გაიგო, სადილად სატაცური რომ ეჭამა, არადა, უმტკიცებდა, მთელი დღე მეძინაო. მოღალატე ქალმა აღიარა, რომ რიცაში ლუდოსთან ერთად ისადილა. შარდმა გასცა!

სამშაბათი

უსაშველო პოპულარობა სიცოცხლეს ამწარებს. ვარსკვლავი თავს უფლებას ვეღარ აძლევს, გაისეირნოს, ტერასაზე ისადილოს, საყიდლებზე იაროს, სკვერში სკამზე იკითხოს, პლაჟზე სიყვარულით დატკბეს, ეპილეფსიანივით ბარში იცეკვოს… მოკლედ, ნორმალური და ჯანსაღი ცხოვრება შეუძლებელი ხდება ვარსკვლავური ყოფის გამო. უფალს მადლობას ვწირავ, მე რომ არ ვარ ასეთ დღეში. ვინც ცნობილი ადამიანია,სინამდვილეში თავის მოკვლის სურვილი აქვს. ამიტომაც უყვარს ასე საზოგადოებას და არა იმიტომ, რომ ცოცხალ ლოკოკინებს უფასოდ მიირთმევს.

ოთხშაბათი

ფილმის „როშფორელი ქალიშვილები“ პერსონაჟი დელფინა (კატრინ დენევის შესრულებით) თავის თავს უცნობი მხატვრის ტილოზე ამოიცნობს. ტილოს „ქალის იდეალი“ ჰქვია. დელფინა ვიღაც ტიპს მიუბრუნდება და იტყვის:

- ამ მხატვარს, ეტყობა, ძალიან ვუყვარვარ, ასეთი რომ დამხატა.

ჟაკ დემიმ ამ შესანიშნავი ფრაზით თავისებურად ჩამოაყალიბა სტენდალისეული კრისტალიზაცია. ამაში მდგომარეობს სიყვარული: გამოიგონო, სანამ გაიცნობ. მეც სწორედ ასე დამემართა. ფრანსუაზა პირველად შარშან ვნახე. მერე მეგონა, მიმავიწყდა, არადა, უკვე ჩემს გულში დაედო ბინა. ეს შეუძლებელს ხდიდა კლერთან, პენელოპასთან ან ვინმე სხვასთან ურთიერთობას. როცა ვნახე, მივხვდი, ის იყო ჩემი ქალის იდეალი. ჩემს გულში ადგილს აღარავის უტოვებდა და რამდენჯერაც გავექცეოდი, იმდენად შეუძლებელი გახდებოდა ჩემთვის სიცოცხლე. ის უკვე არსებობდა ჩემში, როცა მეგონა, გამოვიგონე. პრინციპში, სიყვარული თავის ადგილს თვითონ იმკვიდრებს. სიყვარული ხელოვნების ნიმუშია, მწერლების, მუსიკოსების, მხატვრების, კინორეჟისორების მუზა. ალბათ, ამიტომაა, რომ ხელოვანები ყველაზე კარგი საყვარლები არიან.

ხუთშაბათი

აგვისტოს წვიმა პარიზში. რესტორნებსაც ადამიანებივით მოუწყენიათ. „მარტო პარიზში?“ - წერენ სექსუალური შეხვედრების რეკლამებში. ეს ღალატის ხანაა. ბალნეოლოგიურ კურორტებზე ცოლები პლაჟის მეპატრონეებთან ღალატობენ ქმრებს. ამ დროს მათი მეორე ნახევრები დანიელ ტურისტებთან ერთობიან. მინდა ჩემი შოკირებული მკითხველი ქალები გავაფრთხილო: არ არსებობს მექალთანე და თან ერთგული მეუღლე. კაცის ორი კატეგორია არსებობს: პირველი, რომელიც ატყუებს და არ აღიარებს; მეორე ღალატობს და აღიარებს. ამაზე იფიქრეთ, როცა მეუღლის მობილურში ქექვას დაიწყებთ. ერთგულება ადამიანის თვისება არ არის, განსაკუთრებით ზაფხულში. მერე, ისიც მითხარით აბა, რომელი უფრო ამორალურია: ის, ვინც ჩუმად ღალატობს, თუ ის, რომელიც ყველაფერს აღიარებს?

პარასკევი

კიდევ ერთი რჩევა ჩემს მკითხველს: თუ მობილური გაქვთ, არ დაგავიწყდეთ, შედით „კონტაქტებში“ და „ბოლო ზარი“ წაშალეთ. ეს საოჯახო სცენებისგან დაგიცავთ შინ დაბრუნებისას. ნუ დაგავიწყდებათ გაგზავნილი ტექსტების ციფრული მახსოვრობიდან ამოშლაც. ტექნიკურმა პროგრესმა კი დააახლოვა კაცობრიობა, მაგრამ ოჯახური პრობლემებიც შექმნა.

შაბათი

კვირის ფრაზა ჟან-ჟოზე მარშანის „მეოცნებეში“ (გამომცემლობა „როშე“) ამოვიკითხე: „რაღაც ძალიან გაურკვევლისკენ მივილტვი და მგონი, ეს თავისუფალი ცხოვრებაა“.

კვირა

რატომ სურთ ადამიანთა კლონირების აკრძალვა? თანამედროვე მსოფლიოს ლოგიკით ეს დიდი ხანია, დაშვებულია: კავშირის გაწყვეტა სექსსა და რეპროდუქციას შორის. ფიზიკური განსხვავების მოშთობა სხვადასხვა რასის შთამომავლებში, პლასტიკური ოპერაციით სქესის შეცვლა. ჰაქსლიმ დარვინზე ტექნიკის წინსვლით გაიმარჯვა: ბუნებრივი გადარჩევა დღეს უკვე ხელოვნური გახდა. ადამიანმა აჯობა მაიმუნს, რომელმაც, თავის დროზე, დინოზავრი დაჯაბნა. ადამიანს ვინ დაჯაბნის ნეტავ? თავად ადამიანი?

ორშაბათი

ფრანსუაზას ნებისმიერი სიტყვა ეროტიკულია. მაგალითად, თუ ვეკითხები, დასაძინებლად ყურებში საცობს რატომ იდებ-მეთქი, მპასუხობს:

- მევასება, ყურში რაღაც რომ ფუვდება.

ეს გოგო ყველაზე გემრიელ ოთხყველიან „ლამაზ“ პიცას ჩამოჰგავს: მხოლოდ სილამაზე, კიდევ ერთხელ სილამაზე და ზემოდან კიდევ სუპერსილამაზე. მის სახელსაც შევეჩვიე!

სამშაბათი

ტიანანმენის მოედანზე სტუდენტმა ტანკების კოლონა შეაჩერა, გენუაში მას ჯიპმა გადაუარა. დასკვნა: კომუნისტები ულტრალიბერალებს უჯოკრავენ.

ოთხშაბათი

ოდრი დივონი ოცნებობდა, დედას გაელანძღა:

- შენ იცი, რა ხარ? ვინც რას გეტყვის, ერთ ნესტოში შეგდის და მეორიდან გამოგდის!

ხუთშაბათი

ყველა ეს მწერალი წინასწარმეჭვრეტელი იყო: ჟიულ ვერნი, კაფკა, ორუელი, ჰაქსლი… იქნებ კი არ გვაფრთხილებდნენ და უბრალოდ ძალიან გავლენიანები იყვნენ? იქნებ კოსმოსური ხომალდები, წყალქვეშა ნავები, მოთვალთვალეები, ტოტალიტარიზმი, კლონები მხოლოდ ამ გიუების ფანტაზიის ნაყოფი იყო? „დორიან გრეის პორტრეტის“ წინასიტყვაობაში ოსკარ უაილდი ასე წერს: „ბუნება ხელოვნებას იმეორებს“. შეუძლებელი არ არის, ისტორიაც ასე იყოს.

პარასკევი

სასტუმრო Il Pellicano პორტო-ერკოლეში (150 კმ ჩრდილო-დასავლეთით რომიდან). ეს იტალიური Eden Roc-ია. თურმე ჩარლი ჩაპლინს გაუხსნია 1969 წელს (ბარმენმა რიკარდომ მითხრა). ფრანსუაზა კლდეში გამოკვეთილი ლიფტით ჩადის, რომ ლაგუნის კამკამა წყალში ილივლივოს. ტოსკანის სანაპიროზე მზე ძვირი ღირს, მაგრამ აქ ყველაფერი რიგზეა, მამაძაღლობის გარეშე: რეგიონს ხომ არჯენტარიო ჰქვია. ეს იდილიური ნახევარკუნძულია.

მაყუთი მათი სახლია. მაგრამ ეს სახლი ციხეა. აქედან არც ისე შორს, ტარკვინიაში, 1953 წელს მარგარეტ დიურასმა ცხენობანა ითამაშა. ძალიან მინდა ამ წიგნში იმ ადგილებზე დავწერო,სადაც შეყვარებულები ვიყავით. დაიბეჭდება და უკვდავება მიენიჭება.

შაბათი

ერთი ჭიქა „ამარეტო“ („არმანდოსთან“, პორტო სან სტეფანოში) იმ ნუშის კანფეტის გემოს ჰგავს, რომელზეც ჩემი თაობის ყველა მეცხრეკლასელი გიჟდებოდა. ეს მარციპანის კანფეტი 1960-დან 1975 წლამდე დაბადებულების საკუთრება იყო. ერთ რამესაც გეტყვით: Air France-ის თვითმფრინავებში თხევად საპონსაც მისი სუნი ჰქონდა. ასწაპნეთ ერთი ფლაკონი და მომავალ რეისს თქვენთვის მისი სახელი ერქმევა უკვე.

კვირა

დიდი სუფრების დროს ყველაზე მეტად მიყვარს, როცა მაგიდიდან ვდგებით. მერე ქალები ფეხზე იხდიან და ფეხის თითებზე მასაჟის კეთებით ჩემზე ჭორაობით ირთობენ თავს.

ორშაბათი

Voici-ს ყდაზე მარი ჟილენის ფოტოა, როგორ კოცნის ვენსან ელბაზს. მე რითი მჯობია ნეტავ ეს ტიპი? გარდა იმისა, რომ ბევრი ფული აქვს, პოპულარულია, სიმპათიური, იუმორი აქვს და კუნთები აყრია?!

სამშაბათი

რა საინტერესოა: ლუდო მას მერე უფრო დაუახლოვდა თავის ქალიშვილს, რაც ცოლს გაშორდა. ერთდროულად ცოლისა და

შვილის სიყვარული არ შეეძლო?

- ახლა ლუქსემბურგის პარკში ერთად მივდივართ. ვიცავ ჩერჩეტი ბავშვებისგან, ვედროს რომ ართმევენ ხოლმე. სასრიალოდან ჩამოცურებულს ვიჭერ. ვანილის ნაყინს რომ ვაჭმევ, იცი, ლოყებს როგორ ითხვრის? ძალიან საყვარელია. შინ რომ ვბრუნდებით, ჯენეტ ჯექსონზე ვცეკვავთ. ცეკვაზე გიჟდება ბავშვი. დისკს ჩართავს ხოლმე და მზის სათვალეებით ვტრიალებთ მთელ ოთახში. თხუთმეტი წუთი ასეთი დერვიშობა გამოწერილია. რომ მოვრჩებით, მთვრალივით ბარბაცებს, სიცილით სკდება და ფისოს კუდზე ექაჩება. აი, ესაა ბედნიერება, როგორც მოწყურებულისთვის წყლის ჩანჩქერი ზაფხულის მომქანცველი სეირნობის მერე.

- რამხელა იდეებს გაწვდის თურმე ეს სიყვარული…

- მოიცა, ჯერ არ მორჩა. მერე კოცნას მთხოვს. როცა ტუჩებზე ვაკოცებ, მადლობას მიხდის. ფეხებს განზე გასწევს და მეუბნება: „ჭუჭუ, ჭუჭუ“.

- მერე რაა, რომ შენი შვილია. ისიც ისეთი ქალია, როგორიც ყველა! როგორც მივხვდი, იმის თქმა გინდა, რომ შენი შვილისთვის უკეთესი მამიკო გახდი, რაც ცოლს გაშორდი?

- ჰო, ზუსტად. რა შედარებაა. ნამდვილი მამა გავხდი, რაც დედამისს დავშორდი!

მზად ვიყავი, ჩამძინებოდა ამდენი ერთი და იმავეს მოსმენით, მაგრამ არც კი ვიცი, რატომ და ლუდოსი შემშურდა კიდეც. ყოველდღე ნახავ საუკეთესო ძმაკაცს ორი წლის შვილზე შეშლილს? თან ისეთ თემაზე არ ვლაპარაკობთ,რაც უთანხმოებას წარმოშობს: ფრანსუაზაზე… არა, განა მწყინს, რომ ჩემს ზურგს უკან აბამდა: მეც იმავეს ვიზამდი მის ადგილას. კი მაგრამ, როგორ ვერ შეიშნოვა? ჩვენმა სიყვარულმა უფრო მიმზიდველი გახადა მის თვალში: კლასიკური ამბავია - ცნობილი სამკუთხედის ამბავი. არა, ნამდვილად არა ვარ მესაკუთრე, ოღონდ საშინლად ვეჭვიანობ მაინც. ყველა თავისთვის იყოს, ფრანსუაზა ყველასათვის! მოკლედ, თვითონ გადაწყვიტოს.

ოთხშაბათი

ინცესტსა და პედოფილიაზე უარესი გარყვნილება გითხრათ? მამობრივი სიყვარული ჰქვია ამას. ეს ნიშნავს, გააკეთო ბავშვი და გიყვარდეს ისე, რომ არასდროს დაწვე მასთან ერთად…

ხუთშაბათი

პოლინ რეაჟისა და „რიტა მიცუოკოს“ პატივსაცემად მეც დავწერდი რომანს „A-ს ამბავი“.

პარასკევი

უფრო და უფრო ვატყობ, რომ თავად ვაკეთებ იმას, რასაც თავგამოდებით ვაკრიტიკებ. ნუ დამემდურებით: ალბათ, ყველაზე საინტერესო ესაა ჩემში. თუ ის ვარ, რაც მეზიზღება, ალბათ, იმიტომ, რომ ზუსტად ვიცი, სხვისი გაკრიტიკება უფრო ადვილია.

შაბათი

ამ ზაფხულს ჩემი და ლუდოს სიტუაციები შეიცვალა: ახლა ლუდოა მარტოხელა და მე - ცოლიანი. მეორე ბურბონ ბიუსე ხომ არ ვხდები? ვცდილობ, შევიცვალო, თან ვითომ თავისუფალიც ვარ. მაგრამ თქვენც ხომ გესმით, რომ აღარ მჯერა ამ მე-6 არონდისმანის დონ ჟუანის. ჩემი გული სიყვარულისთვის ძგერს. ერთი გამომცემლობა „არლეკინში“ უნდა წავიდე და „რომანტიკული ეგოისტის“ გამოცემა შევთავაზო.

კვირა

მსოფლიოს მბრძანებელი რომ გახდე, ერთი კარგი ხერხია: დაბალ ხმაზე უნდა ილაპარაკო. აბა, სცადეთ: ნახავთ, ჩურჩული მოსაუბრეს თქვენდამი დამოკიდებულებას შეუცვლის. დაბალი ტემბრი თქვენს მსმენელს იძულებულს ხდის, სამჯერ გკითხოთ, რაზე საუბრობთ. ნელ-ნელა მოთმინებას კარგავს, წყობიდან გამოდის, აგრესიული ხდება, შეიძლება დაყრუვდეს კიდეც. მაშინ, როცა სახეზე თქვენ ისევ ფლეგმატური ღიმილი გაქვთ. თქვენს უდარდელ ირონიასა და თავაზიანობას ის ჭკუიდან გადაჰყავს. ჩურჩული ელეგანტური და ინდიფერენტულია. ანდა რა საჭიროა ისეთებმა გაიგონ, რას ამბობთ, რომლებსაც სულ ფეხზე ჰკიდიათ თქვენი საუბარი? ყოველ შემთხვევაში, მუსიკა ყველაფერს ფარავს და ისედაც ბევრი მეგობარი გვყავს.

- არაფერი გესმის, რას ვამბობ? მერე არ გიტყდება?

რა სასიამოვნოა, სხვებს რომ ნერვებს უშლი და თავად აბსოლუტურად აუღელვებელი ხარ! წყნარი ჩურჩული და სკეპტიკური ბუზღუნი ელიტური მეტყველების ორი ღერძია!

ორშაბათი

გალურჯებული იდგა ცარიელი საწოლის წინ. Where did you sleep last night? (რა ნირვანას შეკითხვაა, არა? ლედბელის დავესესხე. იცოდეთ, არასდროს დასვათ ეს შეკითხვა. ოღონდ წუწუნი არა!). მირჩევნია თუნდაც ეს: Never explain, never complain. გაუძელით, თუნდაც სტოიკურობის გამოვლინება დაგჭირდეთ, რათა ტკივილისგან არ იღრიალოთ, რადგან არ იცით, ბოლო 24 საათი სად გაატარა თქვენმა საყვარელმა ქალმა.

სამშაბათი

კვირის ფრაზა ჩემს მეგობარს და ამავე დროს გამომცემელ მანუელ კარკასონს ეკუთვნის (ახლახან აღმოაჩინა მიშელ უელბეკის გაბერილი მენიუ ჟურნალში „Lire“):

- უელბეკი ბერხტესგადენის აგდის კონცხია.

რაზეც მარკ ლამბრონი შემეკამათა:

- სულაც არა. უელბეკი კელტი დრუიდია. „კრისი და მანუს“ პანორამიქსი. ან, თუ გინდათ, ფრე იყოს.

ოთხშაბათი

ნოველას მაშინ ვწერთ, როცა რომანის დაწერის დრო არა გვაქვს. ქრონიკებს ვწერთ, თუ ნოველის დაწერის დრო არა გვაქვს. და მაშინ, როცა ქრონიკების დაწერის დროს ვერ ვპოულობთ, აი, მაშინ დღიურის წერის დროა.

ხუთშაბათი

პარიზმა დაიმსახურა, რომ ბიორკს წირვაზე ემღერა Saint Chapelle-ის ტაძარში. სასახლის პროსპექტზე უბილეთოდ დავყიალებ. ერთი მკითხველის წყალობით, რომელიც დისკების მაღაზიის მეპატრონეცაა, შესვლა მოვახერხე. ბოლოს აქ განქორწინების დროს ვიყავი. ლიონელ ჟოსპენიც აქ არის: ტროკკიდან ტროლებზე გადავიდა. ივ სიმონი და სტეფანი შევრიეც აქ არიან. ელიზაბეტ ქუინი, ზაზი, ბერტრან კანტა „ნუარ დეზირიდან“, ალენ ბაშუნგი… და რა ვიცი, კიდევ ვინ. ბიორკის პანთეიზმზე შაყირი არ გავათავე. და საერთოდ, ძალიან სასაცილო სიტუაცია იყო: სრულიად პარიზი იყო შეყრილი ტაძარში და თავად ეს ისლანდიელი გოგო, რომელსაც ეკლესია სულ არ აინტერესებს, ერთი თოვლის სწამს. მაგრამ როგორც კი სიმღერა დაიწყო თავისი ბავშვური წკრიალა ხმით, გული აგვიჩუყდა. მალრომ თქვა: „მუსიკა ხმაურია, რომელიც ფიქრობს“. რა სისულელეა. ან რა ხმაურზე და ან რა ფიქრზეა ლაპარაკი?! მუსიკა ატირებული ჯადოქრობაა. ვფიქრობ, უფალი რომ ჩამობრძანებულიყო, ცუდად არ განეწყობოდა ამ კერპთაყვანისმცემლის კონცერტის მიმართ. როცა პატარა ესკიმოსმა გოგონამ სიმღერით ჩამიარა All is full of love (ა კაპელათი!), სიცილი სულ აღარ მინდოდა. აქამდე არასდროს მქონია ასეთი გრძნობა: მეგონა, სასწაული სულ მთლად ჩემ გვერდით ხდებოდა. ბოლოს დარბაზი აპლოდისმენტებით დაინგრა. ბიორკი მუსიკოსი არ არის, ბიორკი სასწაულების სასახლის კარის გასაღების მფლობელია და ამ სასწაულში - ჩვენი მასპინძელი.

პარასკევი

პარიზის VIP-ბარმა ახალი სეზონი გახსნა. მდედრობითი სქესის კლიენტურა საოცრად გაახალგაზრდავებული მომეჩვენა… ადრე ჩვენი ძმაკაცების დებს ვაბამდით, ახლა უკვე - მათ ქალიშვილებს.

- დედაჩემის ყოფილი საყვარელი ხომ არა ხართ, თუ მეშლება?

ამ შეკითხვაზე ტანში გცრის.

- იცი, დედაშენი მაგარი გოგო იყო, ასე, ოცი წლის წინ. მაგრამ იგივე ნაკლი ჰქონდა, რაც შენ: ძალიან ბევრს ბედავდა.

ჯერ ერთი, ღალატზე არც მიფიქრია: ჯერჯერობით სულაც არ მინდა, ფრანსუაზას ვუღალატო, თუმცა ფიქრიც არ მინდა, რომ „გარყვნილ ცხოვრებას“ (ფრანსუაზა ასე ამბობს) შევეშვა.

შაბათი

მარბიოფის ქუჩაზე Nobu-ში ვისადილეთ. პირველი პრობლემა: ჯავშანი გაუქმებული დამხვდა. მეორე პრობლემა: ვერავინ მიცნო. მესამე პრობლემა: ფაბიენ ბარტეზი და ლინდა ევანჯელისტა გვერდით მაგიდასთან სხედან და ყველა ცნობს. მეოთხე პრობლემა: ოფიციანტს თითო-თითო კერძი სამი საათის ინტერვალით მოაქვს. მეხუთე პრობლემა: სხვები უფრო ხმაურობენ, ვიდრე ჩვენ. ეს უკვე მმპ-აა (მდიდრების მეგა-პრობლემა). რითი ვხვდებით, რომ ვიღაც გამდიდრდა? ყველაფერზე წუწუნებს.

კვირა

სიყვარული ადამიანს დაუმარცხებელს ხდის. აბა, სცადეთ და გააჩერეთ შეყვარებული ადამიანი. არც იფიქროთ, გზა გადაუღობოთ. ბოლო-ბოლო, საწადელს მივაღწიე: ყოველ დილას ნავთობის მაგნატად ვიღვიძებ.

ორშაბათი

ამ დღიურს რომ ვიწყებდი, ოსკარ უაილდი მინდოდა ვყოფილიყავი. დასასრულ, ალბათ, ჰეტეროსექსუალი არმისტიდ მოპენი თუ გავხდები.

სამშაბათი

11 სექტემბერი, 2001 წელი - ცათამბჯენი „ტყუპი“ დაინგრა.

ნაშუადღევს - აუზი.

ოთხშაბათი

მარკ-ედუარ ნაბე ინტერნეტში „გამოცხადებიდან“ ფრაგმენტებს კითხულობს. მსოფლიოს დასასრულია ლივე-ში. უნდა გავექცეთ მესამე მსოფლიო ომს, მაგრამ სად წავიდეთ? თავის დროზე, რემბომ აბისინია აირჩია, თუმცა დღეს ეთიოპია არასტაბილურია, სელინჯერმა - კორნიში, ვერმონტი კი ისევ ამერიკაშია. სიდ ბარეტმა თქვა, მე კემბრიჯი მინდაო, მაგრამ ეს ტერიტორიაც შეერთებული შტატების მოკავშირეა. ბობი ფიშერი იაპონიაში გაიხიზნა და საშიში სექტები გაანადგურა. გოგენი ხომ ტაიტიზე იყო და იყო და მას მერე ეს ადგილი რადიოაქტიურია. მიშელ უელბეკი ირლანდიაში გადაიხვეწა, მაგრამ აქ სხვა ომი - რელიგიური, უსასრულოდ გაჭიანურდა. აბა, სად? მე ვფიქრობ, შვეიცარია, როგორც ბალთუსმა და გოდარმა ქნეს. შვეიცარია ერთადერთი ადგილია აპოკალიფსისგან თავის დასაცავად. ანგარიშის გახსნის დროც დამრჩებოდა… კატასტროფების მოლოდინში ჰიპნოზირებული ვართ. ზოგიერთი ჟურნალისტი გვერდს უვლისისეთ ზედსართავებს, როგორიცაა: „არაჩვეულებრივი“, „ფანტასტიკური“, „სუნთქვისშემკვრელი“, „შესანიშნავი“. საშინელების შეგრძნების წყურვილს ღალატობენ. სიკვდილი ლამაზი ფონის თანხლებით სურთ. ასეთია მათი პროფესია. და მართლებიც არიან: ლამაზია, როგორც დანტეს „ჯოჯოხეთი“, როგორც ოქტავ მირბოს „წამების ბაღი“ და ფრენსის ბეკონის ტილოები. სულ არ უნდა გრცხვენოდეთ, თუ კოშმარები გხიბლავთ. ჯ. გ. ბალარდი წერდა: „სისასტიკე XXI საუკუნის პოეზიაოო“.

ხუთშაბათი

დასავლური ცხოვრების ერთი-ერთი წესი, ალბათ, წარსულს ჩაჰბარდება. ამიერიდან ნაკლებად თავისუფალნი ვიქნებით,

სამაგიეროდ, უფრო მეტად გაკონტროლებულნი. იძულებული ვიქნებით, გავაკეთოთ არჩევანი თავისუფლებასა და უსაფრთხოებას შორის. აბა, რას ავირჩევთ, თუ სასეირნოდ გასვლის მანდრაჟი გვკლავს? აი, კონკრეტული მაგალითი: რატომ არის, უკვე ორმოცი წელია თვითმფრინავის პილოტის კაბინეტში ასე ადვილი შესვლა? იმიტომ, რომ ყველა ბოინგსა თუ აერობუსს მასობრივი განადგურების იარაღი აქვს ბორტზე. ყველა თვითმფრინავზე მგზავრების დასაცავად ღამის გამთენებელი და პილოტის კაბინეტის დამცველი უნდა იყოს. ერთი ბოდიგარდი თითო ბორტგამცილებელზე! პილოტის კაბინეტი ჯავშნით უნდა იყოს დაცული, რადგან ხშირად პილოტი მხოლოდ უბრალო ფარდით არის გამოყოფილი მგზავრებისგან! დაუშვებელია, რომ აქამდე ამაზე არ უფიქრიათ. პირატებთან საბრძოლველი არანაირი კომპეტენცია არ გააჩნიათ პილოტებს. ახლა აღარ უნდა დაისვას კითხვა: „თვითმფრინავში პილოტი არის?“, ახლა უნდა ვიკითხოთ: „პილოტს მცველი ჰყავს?“

პარასკევი

თავდასხმის დღეს ღამის ბარებში არავინ იყო. მეორე დღიდან კი ყველგან მხიარულება დაიწყო. დასკვნა ასეთი შეიძლება იყოს: რადგან ყველა ისედაც მალე მოვკვდებით და ჯოჯოხეთური ცეცხლი ჩაგვყლაპავს, დაე, გავერთოთ უკანასკნელად. მესამე მსოფლიო ომი მაგარი აფროდიზიაკია. ამ დროს ვინმეს შებმა თუ მოგინდათ, გირჩევთ, ამ თემას შეეხოთ:

- სულ რამდენიმე საათიღა დაგვრჩენია. პატარა ორალურ სექსზე რას იტყოდით? One last scream before the end?

შაბათი

შან სამ თავისი ბოლო რომანი გამოსცა. 11 სექტემბრის ამბავი რომ გაიგო, შეჰყვირა:

- არა, ეს როგორ გამიბედეს!

ეს იყო ამ კვირის „აუ, ჩემი“.

კვირა

აპოკალიფსი ახლა. გამიმართლა, რომ ზუსტად მსოფლიოს დასასრულამდე შეგხვდი. ჩვენი ფანჯრებიდან დავტკბებით მისი სილამაზით. ატომური სოკო შენს ზურმუხტისფერ თვალებში აირეკლება. მალე აღარც ჰაერი იქნება, აღარც წყალი… მხოლოდ მე და შენ…

ორშაბათი

სიყვარული ისე თავსდება, როგორც რუსული მატრიოშკები: მე პრეზერვატივში ვარ, ჩემი პრეზერვატივი გოგოშია და გოგო ჩემს ლოგინში.

სამშაბათი

ხშირად ვამბობთ, რომ სილამაზე ქალის საქმეა, ძალაუფლება - მამაკაცის. ორივეს კოზირი კი მოხიბვლაა. არ ვამბობთ, რომ ლამაზი სახე ბარიერს ქმნის. სილამაზე ვულგარულ კრეტინებსა და მახინჯებს იპყრობს, მაგრამ ფაქიზ და მორიდებულ ჭკვიან ადამიანებს აშინებს. გადარჩევა ყოველთვის უხეიროდ ხდება ხოლმე: აი, რატომ არიან ხოლმე ლამაზი გოგონები იდიოტების გვერდზე. ფიზიკური სილამაზე პოპულარობას უნდა შეადარო და არა ძალაუფლებას. სილამაზე ეფემერულია, წარმავალი და წლებს ექვემდებარება. სილამაზე შეიძლება რაიმეს კრიტერიუმი იყოს?

ოთხშაბათი

სიცილით ვიხევი, ალენ მინკის „ბედნიერ გლობალიზაციას“ რომ ვკითხულობ Le Monde-ში. ეს საშინელი ეკონომისტი ადრე, ალბათ, კომიკოსი მოშაირე იყო. „კანდიდიდან“ ბრმა პანგლოსს მაგონებს, სულ რომ იმეორებდა: „ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის“. პირადად მე, გლობალიზაციის მომხრე ვარ. ყველგან, სადაც მივდივარ, საკუთარ სახლში მგონია თავი. მჯერა, კოსმოპოლიტი ჰეგელის, სულ ცალ ფეხზე მკიდია ეროვნული სუვერენიტეტი. ალბათ, ყველაზე არაპატრიოტი ადამიანი ვარ, მაგრამ ეს ხელს არ მიშლის, ვაღიარო, რომ გლობალიზაციას ჯერ კაცი არ გაუბედნიერებია, მდიდრებიც კი.

ხუთშაბათი

უფრო და უფრო მეტ ეროტიკულ შემოთავაზებას ვიღებ, მას მერე, რაც გამოვაცხადე, ჩემი გული დაკავებულია-მეთქი. რამე კავშირშია ერთმანეთთან? რასაკვირველია! ყველა კახპაა! რომ მცოდნოდა, დავწერდი, მარტოხელა ვარ-მეთქი?

თავიდანვე ყველას თავს გავაცნობდი, როგორც ცოლიანი კაცი. კიდევ უფრო რომ აღმეგზნეთ, ქალბატონებო!

პარასკევი

ამ წელს ბევრი წიგნია სტატუსით „არა უშავს“. არის შედევრები და ბეეევრი საშინელება, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ „არა უშავს“ წიგნებიც. აი, ეს კი, ყველაზე ცუდია კრიტიკოსისთვის: წიგნი, რომელიც არც ცუდია და არც გენიალური, მხოლოდ „არა უშავს“. არც კარგად დაწერილი, არც შესაშურად ხატოვანი… საერთოდ, ეს ისეთი წიგნებია, რომელთაც გვერდზე გადავდებთ ხოლმე, ერთ დღეს რომ ვისაუბროთ მათზე. მაგრამ ყოველთვის მოიძებნება უკეთესი, უფრო სასარგებლო, რომელიც სხვას არ შეედრება და „არა უშავს“ წიგნს ხვალინდელის იმედად გვერდზე გადავდებთ, მერე ზეგინდელის და საბოლოოდ, „არა უშავს“ წიგნზე არავინ არაფერს ამბობს.

შაბათი

სადილი ჩემს მეგობარ „უცნობ კახპასთან“ ერთად.

- გუშინ მაგრად გამედო.

ნუ, ისეთი გამოთქმები აქვს, გაგიუდება კაცი. „გუშინმაგრად გამედო“ სულ არ ნიშნავს, რომ უფასოდ იხმარეს, „უცნობი კახპა“ ყოველთვის უფასოა. არა, გამოთქმა „გუშინ მაგრად გამედო“ ნიშნავს, რომ მისმა კაცმა მაგრად იხმარა. თქვენ კახპურად ლაპარაკობთ (ახალი მოდური ენა)? კახპურად მაგარი წარმატებული ღამის გატარება სხვადასხვანაირად ითქმის:

- გუშინ საკაიფოდ მიმკურნალეს დაჟანგებისგან.

- გუშინ ჩემს ფისოს ათასი სტუმარი ჰყავდა.

- გუშინ ღირსეულად მივეცი.

- გუშინ ჯიშიანად ვახმარინე თავი.

და კიდევ ერთი საინტერესო, თან ორაზროვანიცაა:

- დედიჩემის მივეცი გუშინ.

კვირა

რა არის სიყვარული?

მაშინაც კი მენატრები, ჩემ გვერდით რომ ხარ.

არ დაგავიწყდეს, დედაშენს მადლობა უთხრა, შენ რომ გშვა.

შემოდგომა

ტომ ფორდი: „ბედნიერი ხართ?“

კარლ ლაგერფელდი: „Darling, არც ასეთი ამბიციური ვარ“.

(ჟურნალი „Numero“, 2004 წლის დეკემბერი)

ორშაბათი

Product placement ლიტერატურაში ყოველთვის არსებობდა (ჟერარ დე ვილიე თავისი შაშ-ის მერე მიჰყვება ამ პრაქტიკას). ამჯერად ინგლისელმა ავტორმა თავისი ნაწარმოები მიჰყიდა რეკლამის შემსრულებელს: „ბულგარის“. „99 ფრანკში“ ახალგაზრდა ფრანტიც ერთობა ტყუილი, გამოგონებული რეკლამების წარმოდგენით. ამას კი აკეთებდა, მაგრამ ვერ წარმოედგინა ასეთი სიბინძურე თუ შეაღწევდა ლიტერატურის წმინდა სავანეში. რა გულუბრყვილობაა! განა რეკლამა აიტანს, რაც მისი თვალთახედვის არეს სცდება? მაინც ყველგან აღწევს, სადაც ერთი ბეწო დამოუკიდებლობა მაინც არსებობს. განა ლიტერატურა წინააღმდეგობის უკანასკნელი სფერო არ იყო? და ესეც მორჩა. ახლა, როცა წიგნებს ფურცლავთ სიმართლის გასაგებად, უნდა შეამოწმოთ, რომელიმე ბრენდი ხომ არ აკონტროლებს. ხელოვანი ვალდებულია, უარი უთხრას მსოფლიოს პრივატიზაციას, რომელიც არა მარტო ანგრევს მას, არამედ სიტყვის თავისუფლების აკრძალვის ზღვარზეა. თუ თვითმფრინავები ნიუ-იორკის ცაზე ჩანან, ესეც გაფრთხილებაა: უფრო მკაფიოდ უნდა დავიცვათ ჩვენი დემოკრატია და მისი ფასეულობები. არა, ყველაფერი არ იყიდება. დემოკრატიული ფასეულობების პრივილეგია სწორედ ის არის, უფლება მაქვს, ხმამაღლა ვთქვა, - „ბულგარი“ ვულგარული სამკაულების ფირმაა და მას გამდიდრებული გოიმები ატარებენ.

სამშაბათი

გაწითლება იმპოტენციას ჰგავს: საკმარისია მასზე ლაპარაკი დაიწყო და ისიც აქაა.

ოთხშაბათი

ამ კვირის ფრაზა? გუშინ „უცნობმა კახპამ“ ჩვეული შორსმჭვრეტელობით ბრძანა ბალნიან ქალებზე (რომლის სახელსაც არ დავწერ):

- მისი ფისო მაიმუნების პლანეტას ჰგავდა!

ხუთშაბათი

ჟან დ'ორმესონს (76 წლის) და ალენ რობ-გრიეს (79 წლის) ჰგონიათ ისევ ძველებურად პეწიანი და კოხტად ჩაცმული არიან, ტანისამოსივით მწვანეები და კაქტუსივით გამომშრალი. ელიზაბეტ ქუინი გამენდო:

- მათი საიდუმლო იცი, რა არის? თანამედროვე ენისა და ლიტერატურის დარგში DHEA აქვთ აღებული.

პარასკევი

სამწუხაროდ, კვირის მდარე გამოცანის ავტორობა უნდა ვაღიარო: ბატონ და ქალბატონ ფემალებს ჰყავთ ერთი ვაუი. რას ეძახიან მას? უსამას.

შაბათი

რაც უფრო ცინიკოსები ვართ, მით უფრო გვიზიდავს უმანკოება. ისეთი გოგოები მოგვწონს, რომლებსაც ისეთი რამის სწამთ, რაც ჩვენ დიდი ხანია, ღიმილს გვგვრის. აი, რატომ მოგვწონს ლოლიტები: მარტო მათ წიწკვობას კი არ ვეშურებით, სულიერი უმწიკვლობა გვხიბლავს, ოცნებებით ვიკვებებით და ოპტიმიზმი გვეუფლება. გულუბრყვილობა ჩლუნგი ადამიანების ოპიუმია.

კვირა

სულ ბოლო წამს, სანამ ყველაფერს მიწა ჩაყლაპავს, ვიღაცას ვიღაცა შეუყვარდება და მსოფლიოც გადარჩება.

ორშაბათი

ამ კვირას 36 წლის გავხდი. გამოდის, უკვე 18 წელია, რაც 18-ის ვარ. ეს დღიური უდარდელობასთან გამომშვიდობებაც

გამოდის: ტიპი წერს რაღაც იდიოტობებს და ახალგაზრდულ ქარაფშუტობას აბრალებს. მაგალითად, ფრანსუაზას შეყვარება: ახლა უკვე თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ის ლუდოსთანაც წევს (რამდენი ლუდოზე დაველაპარაკები, იმდენი სალაპარაკო თემას ცვლის. ჩემი აზრით, არ იცის, რომელი აგვირჩიოს). ამ შიზოიდის სიყვარული მაგარი სისულელეა, მაგრამ უსიყვარულობაც რომ შეუძლებელია? ცოტა ტანჯვა მიხდება ხოლმე: მაახალგაზრდავებს. 30 წელს გადაცილებული შეყვარებული მამაკაცი უკვე გროტესკულია. თუმცა გეტყვით, რომ სიყვარული სჯობს ყოველ საღამოს Ritz Health Club-ში ფიზკულტურას. და სხვათა შორის, სიმეტრიაც მინდა შევინარჩუნო იმ პრინციპით, რომ რასაცა გასცემ, დაგიბრუნდება…

სამშაბათი

რენე ჟირარი ფიქრობს, რომ სიცრუე რომანტიკულია, სიმართლე კი - რომანული. მე ვფიქრობ, პირიქითაა: სიცრუე რომანულია (რომანის წერა სიმართლის ართქმის ხელოვნებაა, გულწრფელობის ტირანიაზე უარის თქმა და შანტაჟი, ავთენტიკურობის დიქტატურა) და სიმართლე რომანტიკულია (ჭეშმარიტებაზე პოეტური და ლირიკული არის განა რამე? სისულელე არ არის, რომ თქვა ის, რასაც მართლა ფიქრობ?).

ოთხშაბათი

კვირის ფრაზა სექსი-შოკოლადისაა. „უცნობი კახპის“ ახალი ფსევდონიმია (უპს! ხომ არ წამომცდა): „გუშინ საღამოს ვიკაიფე. ლიონელ ჟოსპენი ქალის ქვედაკაბით და პიჯაკით ვნახე“ (ნარკომანის იუმორია ეს. თავიდან წაიკითხეთ ფრაზა ნარკოტიკით გაბრუებულებმა და უკეთესად გაიგებთ.).

ხუთშაბათი

ლუდო დარდობს, რატომ ნახულობს მხოლოდ ყოველ მეორე შაბათ-კვირას შვილებს. ვცდილობ, დავამშვიდო:

- მამები იმიტომ არსებობენ, რომ ხშირად არ იყვნენ შვილებთან. ასეა: მამის როლი გაქრობაა, სანამ სხვა ვინმეთი შეცვლიან.

დარწმუნებული არა ვარ, რომ დავამშვიდე… რაც შეეხება ფრანსუაზას, ვცდილობთ, ლუდოზე არ ვილაპარაკოთ. ძალიან მეშინია, ორივე ერთდროულად არ დავკარგო.

პარასკევი

მე და ფრანსუაზა ამსტერდამში მშვიდად მივირთმევთ კექსს. ვან გოგის მუზეუმში გამოფენაა, სახელწოდებით „ვან გოგი და გოგენი“. აქ გავიაზრეთ, თუ რა ბობოქარი მეგობრობა ჰქონია ამ ორ ადამიანს. ისტორია როგორ იყო, ყველამ ვიცით: არლში, ყვითელ სახლში, ერთად მუშაობდნენ, შემდეგ საშინლად იჩხუბეს და ვან გოგმა ყური მოიჭრა მას მერე, რაც გოგენს სამართებელი მოუღერა. მაგრამ არსებობს ერთი ინგლისელი კრიტიკოსის ახალი ვერსია: თურმე გოგენს მოუჭრია ყური ვან გოგისთვის ამ ჩხუბის დროს!როგორც მაიკ ტაისონმა ევანდერ ჰოლიფილდს! ეს ჩვენი წარმოდგენაა დაწყევლილ ხელოვანზე. დოლორისტული კატეხიზმო უნდა გადაიხედოს, რომლის მიხედვითაც, გენიალურობის მისანიჭებლად თავი უნდა გაინადგურო. ამ დროს პირიქით ხდება: ვინმე თუ გენიალურია, მას სხვები ანადგურებენ (1947 წელს ანტონენ არტო წერდა: „ვან გოგი საზოგადოების ხელით თვითმკვლელია“). მართალია, ვან გოგი აბსენტს სვამდა, მაგრამ ნამდვილად არ მოეწონებოდა, მუზეუმს მისი სახელი რომ დარქმეოდა. „მარიხუანას მუზეუმი“ - ეს სახელი უფრო მოეწონებოდა… და ლუდო რომ ყოფილიყო ჩემთვის გოგენი? ინსტინქტურად ყურს გავუფრთხილდებოდი.

შაბათი

ამსტერდამი ნამდვილი lili-ის (ლიბერალურ-ლიბერტიანული) სამყაროს დედაქალაქია. მეძავები ვიტრინაში დგანან და ნარკოტიკი თავისუფლად იყიდება. ნიუ-იორკს ძველად ნიუ-ამსტერდამი ერქვა. თვითმფრინავები ქალაქზე ჩიტის გადასაფრენ მანძილზე ფრენენ. უნდობლად გავცქერი შორიდან. საელჩოს სასტუმროს ნომერში მთელი ღამე არ გვძინავს, სულ გაოფლილები ვართ და ჩვენი ცხოვრების საუკეთესო ორგაზმების კოლექციას ვასრულებთ. სველი თმით ისევ და ისევ თავიდან ვიწყებთ. ფანჯრები თავიდან იორთქლება. მეზობლებმა მოგვიკაკუნეს კიდეც: რომ გითხრათ, რა სასტავია გარშემო?! დიდი სიამოვნებით ერთ ვედრო წყალს დაგვაცლიდნენ თავზე, ჩვენს საწოლს ჭრიალი რომ შეეწყვიტა.

კვირა

გუშინ Yab-Yum-ში უკვე მეორედ გავათენე ღამე თეთრად. ევროპის ყველაზე მაღალი დონის ბორდელია. ვგიჟდები, როცა ნაშა მე მირჩევს და არა ქალს. სხვა ქალებს ვუყურებ, როგორ ხარბად ეწაფებიან ერთმანეთის ტუჩებს, სააბაზანოში როგორ უსვამენ ერთმანეთს საპონს, ერთმანეთს ძუძუებს უზელენ, კარგად იციან, რომელ ხვრელში შეასრიალონ თითები. მათ ზურგზე ვათავებ. საოცარი ხმები ამოსდით ფილტვებიდან. მერე ისევ თავიდან ვიწყებთ და ასე რამდენჯერმე. დამღლელია ჰედონიზმი. უელბეკის გაფრთხილება არ დამავიწყდეს, პატაიუში წასვლა საჭირო აღარ არის-მეთქი. ამსტერდამელები ყველაფერს ლაზათიანად აკეთებენ. კრედო Nike-ს მოჰპარეს: Just do me.

ორშაბათი

ვინმეს რომ ეთქვა, პრეზიდენტ ბუშს ავღანურის მოწევა უნდაო, როგორ დავიჯერებდი! სიურპრიზებით არის სავსე ეს ქვეყანა. ამსტერდამში ჰაშიში იყიდება, სახელად Power Afghan. ჯერ გაძინებთ, მაგრამ გამოფხიზლება აგრესიული აქვს. ოჰ, ეს თალიბანი რაა!

სამშაბათი

ფრანსუაზა: იცი, ყველაზე მეტად რა მომწონს შენში? პატარა ბიჭი ხარ.

მე: ეგეც ჩემი ბედია! 36 წლის ასაკში აუცილებლად პედოფილ დედაკაცს უნდა გადავყროდი!

ოთხშაბათი

ღამის ქალაქში მოძრაობის წესები შეცვლილად მეჩვენა: ადრე ბოდიში უნდა მოგეხადა ნარკოტიკის მოხმარებისთვის, ახლა ალიბია საჭირო, რომ არ იკაიფო. ამსტერდამელი ტაქსის მძღოლი შუა გზაში კოკაინს ყნოსავს. მეც შემომთავაზა ერთი

გრამი 60 დოლარად. წითელზე ფხვნილი შევიყნოსეთ, მუსიკა ბოლო ხმაზე ჩართო და მივხვდი, ეს ჩამოსვლა კიდევ უფრო შემირყევდა ჯანმრთელობას.

ხუთშაბათი

ერთი შესწორება: ერთი თვის წინ ვაცხადებდი, რომ პლანეტის ყველაზე უსაფრთხო თავშესაფარი შვეიცარიაა-მეთქი. უპს! ახლახან ცუგში მკვლელობა მოხდა: 15 მოკლული, აქედან 3 მინისტრი. სულ რამდენიმე წამში. თუ შვეიცარია უსაფრთხო ქვეყანა აღარ არის, მაშინ სიტუაცია მარტივია: არავინ არსად არ არის დაცული. ამიერიდან ნებისმიერი თვითმფრინავი, მინიბუსი, სკუტერი, ნაგვის მანქანა, ქურთუკიანი ადამიანი ბომბის პოტენციური მატარებელია. ქალაქში სასეირნოდ ვერ გახვალ. პარანოია დაემართება ყველას. ნებისმიერ მომენტში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ცხვირწინ ბომბი აგიფეთქოთ. რაც ძალიან საინტერესოა, ამ მუდმივ შიშს დეპრესია არ მოჰყვება: პირიქით, ჩემს მორალურ ნიჰილიზმს ამართლებს. ამ დროს ჩვენს სულიერ მდგომარეობას აპოკალიფსური ჰედონიზმი უნდა ერქვას. ადამიანს თუ სჯერა, რომ ცა ჰა და ჰა თავზე დაგვემხობა, ამ დროს ყველაზე ჯანსაღი რეაქციაა, ბოლომდე გამოიყენოს დარჩენილი წამები. სალმან რუშდი მართალია: ფუფუნებაში ცხოვრება საუკეთესო საშუალებაა ფაშისტი ინტეგრისტებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. 11 სექტემბრის მერე რაიმე საქმის მეორე დღისთვის გადადების უფლება აღარ გვაქვს: არ ვიცით, მეორედღე გათენდება თუ არა.

პარასკევი

კამიკაძეების გაძლიერებას ნათელი ახსნა აქვს: თვითმკვლელების მეგალომანია. პირადად მეარასდროს მესმოდა დეპრესიული ტიპების, თავს რატომ იკლავდნენ? რაღა თავს იკლავთ, თქვე ოხრებო, არ ჯობია, სხვები ავარჯიშოთ ამ საქმეში?! ეს თვითმკვლელის ნარცისულ ლოგიკას არ ექვემდებარება?

შაბათი

რატომ მინდა ასე, ვუყვარდე ვინმეს? იმიტომ, რომ ღმერთი არ არსებობს. მისი რომ მჯეროდეს, შეიძლება მხოლოდ ამ სიყვარულით მეცოცხლა. ზოგიერთი ათეისტი ღმერთს უარყოფს და დონ ჟუანი ხდება. მაგრამ შეიძლება უფლის სიყვარული ქალის სიყვარულით ჩავანაცვლოთ?

კვირა

იყავი შენ. კარგი, მაგრამ რომელი?

მე რამდენი ვარ?

და მე რომელი ვარ?

არ ვიცი, ვინ ვარ, მაგრამ ვიცი, ვინ არ მინდა ვიყო: მხოლოდ ერთი ვიღაც.

ვიღაცა ხომ არავინაა.

ორშაბათი

არ ვიცი, ვინ ვარ, მაგრამ ვიცი, ვინ მინდა ვიყო: მინდა ვიყო მწერალი, რომელმაც არ იცის, ვინ არის.

სამშაბათი

ბომბების დადების ფსიქოზს მოულოდნელი შედეგი რომ მოჰყვეს და ქალაქები აღიგავოს მიწისაგან პირისა? თხების მწყემსი, გინდა ავღანელი იყოს, გინდა არდეშელი, მაინც უფრო დაუცველი იქნება, ვიდრე დეფანსის ვინმე კლერკი. კარგად იცოდნენ, ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით (ლეპტოპი, მობილური ტელეფონი, აიფონი) სულაც არ არის საჭირო, ამ ჯანდაბურ კაბინეტში ჩაიკეტოს კაცი. პირიქით, უკვე სარისკოცაა. დიდი აგლომერაციები, როგორც ქიანქველების ბუდე, ყველაზე კარგია დასამიზნებლად. ერთ წამში მოაშთობენ, გვამებს კი ბუნებაში მოაბნევენ. შესაძლოა, ალეს უტოპია ადვილად იქნეს რეალიზებული: ინტერნეტის წყალობით ქალაქები სოფლებში გადაბარგდებიან!

ოთხშაბათი

იცით, უცხო ქვეყნებში მოგზაურობის დროს რა მხიბლავს? ინფანტილურობის ფენომენი. ისე მივლიან, როგორც ხუთი წლის ბავშვს. ყველაფერი ორგანიზებულია, წინასწარ გაწერილი, ჰოდა, ეტყობა, მეც ბავშვობას ვუბრუნდები: კაპრიზები, იდიოტური ხუმრობები, უხამსი სიტყვები, უხეშობა, დაგვიანებები, უფასოდ მგზავრობა ტრანსპორტში… ერთი სუფრიდან მეორეზე გავრბივარ. პლანეტის დისკოთეკიზაცია კულმინაციას აღწევს. ეროვნებები წაიშალა საცეკვაო მოედნებზე. ყველა ბარი ერთმანეთს ჰგავს, ყველა ერთ მუსიკას უკრავს. ჩემი სიმარტოვე ახალი მსოფლიო მამაკაცის იმიჯია. ის არყის ჭიქაში და BPM-შია ჩამხრჩვალი. სახლიდან შორს რომ ვარ, მხოლოდ შენ მენატრები. შენ ხარ ჩემი სამშობლო. არ მოისურვე გერმანიაში გამოყოლა: ჩემი ეჭვი კიდევ უფრო გამყარდა. მაშინ მეც გიღალატებ იძულებით, ბოღმისგან, შურისძიების მიზნით…

ხუთშაბათი

თუ დიდი ქალაქების თემას გავაგრძელებ, ასევე მაგარი დასამიზნებელი ქალაქია ბერლინიც. აქ კარგად იციან, რა არის ნგრევა: აპოკალიფსი რუტინაა. ვთქვი და ბედნიერად დავეშვი ჰორიზონტალურ მდგომარეობაში. მერე უზარმაზარ მშენებლობებზე მომიწია გასეირნებამ, როგორც რობ-გრიეს გმირს. სამწუხაროდ, პატარა გასაწკეპლი თინეიჯერი გოგონა არსად ჩანს (თუმცა… SM Fetish Erotic Party-ის ფლაერი კლუბ „ლეეუეში“ სწორედ „ახალი რომანის“ სტილშია).

პარასკევი

სკოტ ფიცჯერალდის პირველ რომანს (ჯერ Scribner's-მა გამოისტუმრა უარით აგვისტოში, მერე 1918 წლის ოქტომბერშიც. ორი წლის მერე გამოაქვეყნეს სახელწოდებით „სამოთხის აქეთა მხარეს“) The Romantic Egotist ერქვა. რა თქმა უნდა, ჩემზე წერდა. მაგრამ მე ხომ სენტიმენტალური მანიაკიც ვარ, უნამუსო შეყვარებული, აბსოლუტური ხეპრე ფაქიზი გულით, მარტოსული მაჩო, გარყვნილი კათოლიკე. გმადლობ, ფრენსის, ამ წიგნის სათაურისთვის.

შაბათი

გუშინ ბერლინის Pogo Club-ში დისკჟოკეი ვიყავი. ჩემმა არჩევანმა პუბლიკა არ მოხიბლა. დიდი რისკი გავწიე, The Beatles და დონა სამერი ერთად გავმიქსე. AC/DC და ჯენიფერ ლოპესიც არა, როოო? ნირვანა ელტონ ჯონსა და ჯეიმს ბრაუნთან ერთად წარმოგიდგენიათ? (ასეთი არჩევანი მქონდა და რა მექნა? ეს ყველაფერი ხელოვნებისა და ისტორიისთვის ჩავიდინე). კლუბისტები დაუნდობელი ნაროდია. მიქსს ვერ იტანენ. თუ დისკო უყვართ, როკს ვინ დაგაკვრევინებს? თუ ჰაუს-მუსიკაზე ცეკვავენ, მიდი და რეპი დაუკარი!.. ეს ხალხი ვითომ open-minded-ია და სინამდვილეში მუსიკალური რასისტები ბრძანდებიან. სტვენით წაიღეს იქაურობა. მე კი გატრეწილმა მთვრალმა, არც ვაცივ, არც ვაცხელე და ტერორისტული ნაბიჯი გადავდგი: მაიკლ ჯექსონის ბოლო შლიაგერი You rock my world დავდე. მოგვიანებით პოლონელი ტოპმოდელები ჯგუფურად მაწყნარებდნენ. ერთმანეთთან ზასაობდნენ, სანამ მათ ძუძუებზე ყინულის ნატეხებს დავასრიალებდი. სამს ერთად გვეძინა. ყველაზე ძლიერი ტესტი იყო, რამდენად მიყვარს ფრანსუაზა. მაგრამ მე ხომ კარგად ვიცი, რომ თავისუფალი არა ვარ და გულიც არ დამწყვეტია.

კვირა

ხელებს ვწევ და პოლ ვალერის ნათქვამს ვუერთდები: „ვაქვეყნებ ჩემს წიგნს, რათა შესწორებებს შევეშვა“.

ორშაბათი

აღარ მგონია, რომ ვინმესთან ერთად ცხოვრება საპატიმროს ტოლფასი იყოს. ახლა ჩემთვის ასეთი ცხოვრება სავანეში ყოფნაა.

სამშაბათი

როგორ დავიჯერო, რომ ჩემთან ურთიერთობისას ქალებს სევდა ეუფლება? ფრანსუაზა ჩემზე უფრო მელანქოლიურია. ჩემი სევდა ესთეტიკურია, მისი - ფიზიკური. მოკლედ, მე უფრო კარგად ვგრძნობ თავს, ვიდრე ის. ფრანსუაზასთან შედარებაც არ მინდა,მირჩევნია, პირქუში დეპრესიული ტიპი ვიყო. ისე, მართლა „პატარა ბიჭი“ ვარ მასთან შედარებით.

ოთხშაბათი

შეცდომებზე ხომ ვსწავლობთ, არა?.. ამიტომაც წარმატება ადამიანს აჩერჩეტებს.

ხუთშაბათი

ფრანსუაზასთან პირველი ჩხუბი… დავშორდით… ისეთი რაღაცები მითხრა, რომ გამოსწორება შეუძლებელია: აღარ ვუყვარვარ, რადგან ვუღალატე, „მორჩა ყველაფერი! გშორდები“. და ეს იმიტომ, რომ ბერლინის ამბების მოყოლისას ვწითლდებოდი. კარი მივუჯახუნე და წავუსისინე, ლუდოს მიუბრუნდი-მეთქი. მიყვირა, შენგან უფლების აღებას არ ვაპირებო. დასაძინებლად სასტუმროში წავედი. ოღონდ ვის დაეძინა…

პარასკევი

ჯობია, ვინმე შერეკილმა გოგომ გული გაგიტეხოს და მიგატოვოს, ვიდრე იდიოტივით ტელევიზორის წინ იჯდე მარტო. მაგრამ უარესი ისაა, რომ ორივე ერთადაც არსებობს.

შაბათი

ფრანსუაზა ჩემთვისაა შექმნილი. გამართულია ნეტავ ეს ფრაზა? „ის ჩემთვისაა შექმნილი“ - რას უნდა ნიშნავდეს? გავაანალიზოთ. მგონი, სექსსა და მოწყენილობას შორისაა ზუსტად. ძალიან სექსუალურია და ეს ძალიან მნიშვნელოვანია (ქალმა უნდა აღგვაგზნოს. ვინც შეხედავს, ყველას უნდა აუდგეს. პირითაც და უკანალითაც უნდა გაგვათავებინოს და ა.შ.), მაგრამ თან მოწყენილიც რომ არის, სულ რაღაცაზე ღელავს, ღამე ვერ იძინებს და ამ ყველაფერს ქკუიდან გადავყავარ (ვერაფრით მხიბლავს ეს ამბავი. რომც იყვიროს, მეორე წამს თითქოს სადღაც სხვაგან მიფრინავს, ისევ იდუმალი და ამოუცნობი ხდება). ასეთი ქალი მჭირდებოდა, მიყენებს და თან ხელიდან მისხლტება. ნაღდი განებივრებული დედიკოს გოგო, დეპრესიული ბოზი, მეორე კაილი დე ბოვუარი (ახლა რომ ვწერ, ძალიან გვიანია. ცრემლიანი თვალებით, ალერსით, დაპირებებით შევრიგდით…).

კვირა

ფრანსუაზა არის O, რომელსაც დომინიკ ორი წაუკითხავს. არა, განა „დედა და მეძავს“, არამედ „ინტელექტუალსა და მეძავს“. ორგაზმების განცდამინდა და მერე ისევ ტანჯვა. სხვებისთვის არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის ესაა სიყვარული: როცა სექსი ისეთი მომაჯადოებელია, რომ სხვასთან ვეღარ შეძლებ ყოფნას. როცა ეს გიჟური ვნება ქვედა სართულიდან მაღლა, ტვინისკენ ადის.

ორშაბათი

როცა ბეკეტს ჰკითხეს, რატომ წერთო, უპასუხა, განა ამაზე კარგი არსებობსო რამე? (მოჩვენებითად თავმდაბალი პასუხი). გარსია მარკესმა თქვა: „იმიტომ, რომ მეგობრებს ვუყვარდეო“ (ეს პასუხი მირჩევნია). მე კი ვიტყოდი: „იმიტომ, რომ აღარ შემეძლო წერის გარეშე“.

სამშაბათი

გვგონია, ის ვიცით, რაც გვსურს. თუმცა ყველას ავიწყდება, ჩვენი სურვილები ჩვენ არ გვეკუთვნის. აქედან გამოდის, რომ ის გვინდა, რაც სინამდვილეში არ გვინდა. ბოლო-ბოლო, სხვისი ცხოვრებით ვცხოვრობთ.

ოთხშაბათი

პარიზულ ღამეებს ახალი საშიშროება დაემუქრა: ჯილეხის შიშით თეთრი ფხვნილის მოხმარება კიდევ უფრო გაძნელდა. ძველად ვენდობოდით და უპრობლემოდ ვიყნოსავდით. საკმარისი იყო, შესასრუტით ერთ ხაზზე დაყრილ ფხვნილს მივყოლოდით დახუჭული თვალებით. ახლა უფრო მეტად დავინტერესდებით, სადაურია. ტერორიზმმა მოდური კლუბების

ტუალეტებამდეც მიაღწია. ახლა კაიფისათვის spore იქნება საჭირო!

ხუთშაბათი

ახლახან Market-რესტორანი გაიხსნა. ეს პირველი რესტორანია, რომელსაც სახელიც ულტრალიბერალური აქვს. რაღაც ძნელად წარმოსადგენია, ჟოზე ბოვემ ისადილოს ასეთი სახელწოდების დაწესებულებაში… სამზარეულოც კი worldwide აქვს: ჟან-ჟორჟი, ლონდონსა და ნიუ-იორკში აღიარებული ელიტური მზარეული აზიურიდან პერიგორამდე არსებული კერძების მრავალფეროვნებას გვთავაზობს. ტიერი არდისონსა და ფილიპ ფატიენთან ერთად მსოფლიოში ყველაზე მაგარ ტაპასს მივირთმევთ სადა ინტერიერში, დაბინდული შუქი კრისტიან ლიეგრის გაწყობილია (ერთხელ ხომ შეიძლება ისადილო ისეთ ადგილას, სადაც ჟაკ გარსიას ხელი არ ამჩნევია!). მერე რის ვაი-ვაგლახით Mathis Bar-მდე მივფორთხდით, პიერ პალმადი, ჟან-მარი ბიგარი, ანი ჟირარდო, კლოდ ბრასერი, რაფაელ მეზრაი და ფრედერიკ ტადეი რომ გვენახა. ამისთვის ფილიპის Mini Austin-ში ჩავეკვეხეთ. ეეე! რაღა მაქნისია ვარსკვლავობა, თუ საღამო გაპობილი ლოთი სტუდენტივით უნდა დაასრულო?

ფრანსუაზასთან მიმავალი რომ დამინახა, პალმადმა სევდიანი სახით წაიჩურჩულა:

- თავისუფლებასა და ბედნიერებას შორის თუ არჩევანს გამაკეთებინებდნენ, მე თავისუფლებას ავირჩევდი.

პარასკევი

ბოსიუე ამტკიცებს, რომ სურვილი საქანელასავითაა, ხან სიამოვნებიდან სიძულვილისკენ მიექანება, ხან პირიქით, სიძულვილიდან - სიამოვნებისკენ. ძნელი დასაჯერებელია, ეს მამაო ქალების წინააღმდეგ რომ გამოდიოდა. მე, როგორც რომანტიკული ეგოისტი, სიძულვილს შიშით შევცვლიდი (მოწყენილობის, დაკარგვის, ტკივილის, მიტოვების და მარტო დარჩენის, ტყვედ ყოფნის შიშით). სიყვარული მართლა საქანელაა, რომელიც მადასა და შიშს შორის ქანაობს.

შაბათი

საყვარელი რბილი ხასიათის მანიაკია: ერექციას მისი გული განიცდის.

კვირა

იცით, სამყაროს გამოსავალი რა არის? ახლავე აგიხსნით: ფრანსუაზა ჯერ სიამოვნებაში მანებივრებს და მერე მატერორებს. ეს ერთადერთი საშუალებაა, რომ არ მოიწყინოთ.

ორშაბათი

რაც უფრო მთვრალი ხარ, თავი მით უფრო ყოვლისშემძლე გგონია, ამ დროს კი არა ხარ. შეიძლება ჰერმაფროდიტ სერფინგისტადაც წარმოიდგინო თავი, ქიანუ რივზის პონტში რა, ფილმიდან „ტალღაზე“. მაგრამ ქალები მხოლოდ პოლ პრებუას მსგავს წითელ სიფათს ხედავენ ხოლმე, ფილმიდან „კიურე ნუდისტებთან“.

სამშაბათი

ფრანსუაზა ფიქრობს, რომ ჩემს წლოვანებასთან შედარებით ათი წლით უმცროსს ვგავარ. რამე რომ იყოს, ეს წიგნი ვერ იქნებოდა ჩემ მაგივრად დაბერებული ტიპის პორტრეტი?

ოთხშაბათი

კვირის ფრაზა პიერ-ლუი როზინესს ეკუთვნის. ძალიან მორიდებულად და ყოვლად დრუპისეულად გუშინ საღამოს კაფე Closerie des Lilas-ში ასეთი რამ თქვა:

- ისეთი მოწყენილი ვარ, შეიძლება გოლფის თამაში დავიწყო.

ხუთშაბათი

კრაკოვში ფრანსუაზას გარეშე წავედი. მისი თანხმობით ერთგულებაზე ახალი ტესტი უნდა გავიარო. დარწმუნებულია, რომ საცოდავი მსახიობი ვარ და აბსოლუტურად უუნარო, მოვატყუო. კრაკოვში ასი ტაძარი და 600 ბარია. მხოლოდ არყის ქიქით ხელში ვილოცებ.

პარასკევი

ერთი ათიოდე „ზუბროვკის“ ქიქის ჩაცლის მერე, კიდევ უფრო მომენატრა ფრანსუაზა. ღამის კრაკოვში ბაროკოსა და სლავური სტილის სილამაზე ქვაფენილიან კაზიმეჟის რაიონში (ებრაელების უბანი) თვალს ჭრის. შუა საუკუნეების სარდაფები სანთლის შუქით არის განათებული. პოლონელებს სმა სიბნელეში ჰყვარებიათ. მსგავს დეკორაციაში ბორძიკ-ბორძიკით სიარული ევროპელებისთვის ნამდვილი ფუფუნებაა. „სოფიტელში“ მეძინა, რომელიც საფრანგეთის კომუნისტური პარტიის რეზიდენციას ჰგავს პოლკოვნიკ ფაბიენის მოედანზე. აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში კაპიტალიზმი ძველი დიდების რეზიდენციებში მოკალათებულა. ყოფილ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში „ექსტაზი“ ძალიან მოდაშია! ფორთოხლისფერი და წაბლისფერი თვალში საცემია (Prada-ს ფერები). პორნოარხი შენს არყოფნას მიიოლებს. წარმოვიდგინე, როგორ გაზის ზურგზე სამი ახმახი გერმანელი და ტკბილად ჩამეძინა.

შაბათი

კრაკოვი ბყ nigth სივრცესა და დროში ნახტომს ჰგავს. „დრუკარნიაში“ (დისკოთეკად გადაკეთებული ბინა) ქერა გოგონები Boney M-ის და B52'ს-ის ძველ დისკებზე ძიგძიგებენ. მეც ვუსმენდი მათ ასაკში: თხუთმეტი წლის ასაკში, მინდოდა, მეთქვა (თუ არა და, რანაირად აქვთ ასეთი მკვრივი მკერდი). სამწუხაროა, ვერ გავიგებ ფისუნაზე როგორი ეპილაცია აქვთ გაკეთებული. ისევ ფრანსუაზას ერთგული ვრჩები. ახლახან აღმოვაჩინე, - როცა შეყვარებული ხარ, ერთგულება მსხვერპლი აღარ არის. შეყვარებული კაცი მაშინვე გასცემს თავს, სპეციალურად ან სახელის მოსაპოვებლად კი არ თამაშობს ერთგულს, უბრალოდ ბუნებრივად გამოსდის. ერთგულია და მორჩა!

კვირა

კმაყოფილი ვარ, რომ დავბრუნდი: ფრანსუაზა მომენატრა. მაგრამ უკვე მიტყდება, ქუჩაში ვეღარავინ რომ ვერ მცნობს!

ორშაბათი

გაო სინძიანის მერე შვედებმა ვ. ს. ნაიპოლს დაადგეს ნობელის გვირგვინი. შვედებმა კიდევ ერთხელ აირჩიეს უმიწაწყლო, სამშობლოდან გამოქცეული. ეს დრომ მოიტანა? ყველაზე დიდი ავტორები სამშობლოდან გამოქცეულები არიან: ტრინიდადელი - ლონდონში, ჩინელი - ბანიოლეში. მაგრამ არც ნაიპოლმა და არც სინძიანმა მშობლიური ენა არ გაცვალეს მასპინძელი ქვეყნების ენაზე: ნაბოკოვმა, კუნდერამ, ჯოზეფ კონრადმა კიდევ უფრო მაგრად ქნეს, უარი თქვეს მშობლიურ იდიომებზე და ახალ სამშობლოში მოკალათდნენ: ეს სამშობლო ლიტერატურა გახდა.

სამშაბათი

საკუთარი თავის გაკრიტიკება კიდევ უფრო რთულია, ვიდრე შექება. კრიტიკოსების განიარაღების იმედი გვაქვს. მეტიჩრები მირჩევნია, ვიდრე თავდახრილები.

ოთხშაბათი

რუასის აეროპორტი. თურქეთში მივემგზავრები. ამჯერად ფრანსუაზამ ინება და მომყვება. მზიანი ქვეყნები უყვარს. ცნობილი 11 სექტემბრის მერე ბოლო მოეღო იმაზე მეტი ბილეთის დაჯავშნას, რაც სინამდვილეში გინდოდა.თავისუფალი ადგილები სად იყო?! ახლა, კი ბატონო, ადგილები რამდენიც გინდა, სულო და გულო. დარწმუნებული არ არის ხალხი, ცოცხალი ჩააღწევს დანიშნულების ადგილს თუ არა და თვითმფრინავი ნახევრად ცარიელია. მაგრამ თუ ბილეთი გაქვს, ნამდვილად იცი, რომ შენს სავარძელში მოკალათდები! ისლამისტებს თუ ველური კაპიტალიზმის სისულელის დასასრული სურდათ, მიზანს მიაღწიეს მათაც და მგზავრებმაც.

ხუთშაბათი

სტამბოლი სან-ფრანცისკოა, ოღონდ უფრო ღარიბი. ქუჩები ხან მაღლობზე ადის, ხან ჩამოდის. გარშემო წყალია. რატომ დავიღალო თავი, პიერ ლოტიზე უკეთესად მაინც არ გამომივა: „ჩამავალი მზის შუქზე თოფხანეს სანაპიროზე, კაფეს ტერასაზე ვარ, აღმოსავლეთში ასეთი ტრადიციაა - გარეთ ცხოვრობ. გამვლელებს ვუმზერ და დაღამებას ველოდები (…) ვზივარ და თავი უზარმაზარი თეატრის პარტერში მგონია. ჩემ წინ აღმოსავლური ცხოვრება დუღს. ბოსფორზე გემები მიდი-მოდიან“ (ნაწყვეტი წიგნიდან „მსოფლიოს დედაქალაქები“, 1892). შორიახლოს „ზღვის მაყურებლები“ ჩანან. „პერა პალასის“ ტერასაზე სურვილი მიჩნდება, ტაში შემოვცხო. ეს პეიზაჟი იმსახურებს, რომ ფეხზე მდგომარემ მოუხარო ქედი, ან ესპანურად შეჰყვირო - Hola! მზის წითელი დისკო ფრთხილად ჩადის ზღვაში, თითქოს წყალი ძალიან ცივია.

პარასკევი

საზიზღარო რასისტებო, თქვენ თურქები ისევ ღიპიანი და ულვაშიანი მუტრუკები გგონიათ „შუაღამის ექსპრესიდან“? ბიზანტიის მზე დიდი ხანია ჩაესვენა. კონსტანტინოპოლი სტამბოლია. ნიუ-იორკი ასეთ დღეშია, ახლა მუსლიმანურ ქვეყნებში უნდა იაროთ გასართობად (დუბაიში, როგორც უსამა, და თურქეთში, როგორც ოსკარი). თურქები იტალიელებსჰგვანან, მაღლები არიან და თქვენზე უკეთესად აცვიათ. თურქი ქალების დანახვა ერთი სიამოვნებაა (მონიკა ბელუჩები ვენსან კასელის გარეშე!). მოსახლეობის 70% 35 წლის ასაკის ქვემოთაა. სტამბოლის ყველაზე მოდური კლუბი გაიხსნა. „ბიუზი“ ჰქვია და ნიშანთაშის უბანშია. „ატომური ბომბების“ ასეთ კონცენტრაციას ვერსად ნახავთ ალბიონის პლატოს მშენებლობის მერე. ამას კი ვწერ, მაგრამ ფრანსუაზა მაკონტროლებს და ეს საკმაოდ რთულია.

შაბათი

მინარეთები ცას აწვდენილან გაუვნებლებული რეაქტიული რაკეტებივით. ეს იმის ნიშანია, რომ ქვეყანა საშიში არ არის? ჩემი რომანები პანტაპუნტით იყიდება: ღამის დისკოთეკების, ნარკოტიკების, რქების დადგმისა და დეკადენტურობის ისტორიები! 50 ახალი გამოცემა!

კვირა

სავსე მთვარე ცარიელი ზღვის თავზე. ჩემი ნაღველის მადლიერი ვარ. უმისოდ რას გავაკეთებდი. მის წინაშე ვალში ვარ. ამიერიდან მხოლოდ სიმსუბუქის მომხრე ვიქნები, აფორიზმებისთვის თავს დავდებ და უბრალო მადლიერებისთვის ვიცოცხლებ. არ დამიჯეროთ… რადგან სიბარიტელად მიცნობენ, გავამართლებ კიდეც ამ სახელს. ვეღარავინ შემიშლის ხელს, ვიცხოვრო სიამტკბილობაში.

ორშაბათი

რატომ ვწერთ საკუთარ თავზე? ავტობიოგრაფიის წერა სახიფათო და ნარცისულია, მანიაკური და ეგოისტური… „გარყვნილი აღიარებების“ ახსნა მხოლოდ ასე შეიძლება: ეს ფენომენი ტელევიზიიდან მოდისო. იმდენად რამდენადაც მწერლები „მედიატიზირებულები“ არიან, ისე ვეღარ წავიკითხავთ, როგორც ადრე. მკითხველი პერსონაჟის უკან უნებურად ავტორს ეძებს და კიდევ უფრო მეტად, ვიდრე სენტ-ბევი თავის დროზე. ტყუილად გვგონია, ფანტასტიკას ვკითხულობთ. დღეს მკითხველი ბევრად გარყვნილია და ურცხვად ინტერესდება ინტიმური სცენებით… მკითხველს მწერლის „ტელევიზიით ნანახი“ პირადი ცხოვრება უფრო აინტერესებს, ვიდრე რა დაწერა. სელინჯერივით თუ არ დაიმალა ხელოვანი, მისი საქციელი უფრო გახდება სალაპარაკო, ვიდრე ის, რაც შექმნა. მეც ასე ვარ, რამდენიც უნდა ვეცადო, როცა ვკითხულობ რაიმე წიგნს, უფრო და უფრო მიჭირს დაინტერესება, თუ მისი ავტორი „კაი ტიპი“ არ არის. და რადგანაც მეც ვწერ და გამბედაობა არ მყოფნის, ჩრდილში ვიყო, ყველაზე მაგარი უნდა ვიყო, ყვე-ლა-ზე!

სამშაბათი

მიშელ უელბეკმა დამირეკა. როგორ ხარ-მეთქი, ვკითხე. ორი წუთის დუმილის მერე მიპასუხა:

- გლობალურად ვერ ვარ კარგად.

ოთხშაბათი

ჟურნალმა VSD-მ VIP-ში საღამო მოაწყო. კიდევ ერთხელ დავამტკიცე, რომ ყველაზე მაგარი დიჯეი ვარ. პუბლიკამ ჩივილი დაიწყო:

- 10.000 ევროს მოგცემთ, ოღონდ მაიკლ ჯექსონს შეეშვი!

მაინც მაიკლი დავდე, ჯექსონი: Don't stop til you get enough, Black or white, Billy Jean, The way you make me feel, Bad, Wanna be startin' something, Beat it (დაჟინებით ვიმეორებ, ამ უკვე კლასიკის მუსიკის და სიტყვების ავტორი მაიკლ ჯექსონია). საღამო გრძელდება. მოცეკვავეებს R&B-ს ფრანკენშტაინის კრუსუნი ცვლის. ვირტუალური ტოპმოდელები პლაზმურ ეკრანზე იგრიხებიან. ვხედავ, მამაკაცები 501-ში ჩაყოფილი ხელით მაგიდის ქვეშ მალულად როგორ ანძრევენ. საცეკვაო მოედანმა რომ დამისტვინა, აზიზ დიუ ლოფტმა გაბედულად დამიჭირა მხარი:

- მეც შენი აზრის ვარ!

მართალია, ჟან-ედუარზე მაგარი ვარ. ჟან როშას კი შევახსენებდი - როცა VIP-ს „78" ერქვა და იმ დროს ოსკარ დიუფრეზნს ალენ პაკადისს უწოდებდნენ. ბევრ დიჯეის იცნობთ, რომელიც AC/DC-დან სერონზე გადადის? ჯოე სტარმაც კი არ შეიმჩნია და კბილები არ ჩამილეწა! (უნდა გითხრათ, რომ პრეზიდენტი დიოდონე მყავდა ბოდიგარდის პონტში).

ხუთშაბათი

ცხოვრება გრძელი ფილმის ლენტს ჰგავს. იწყება დაბადებიდან და სიკვდილამდე გრძელდება. ხანდახან ზოგიერთი სცენის მონტაჟი კარგი იქნებოდა.

პარასკევი

ფრანსუაზა ისეთ ტანზე დგას, გეგონება, ფოტოშოპით გაალამაზესო. ამიერიდან ერთი მიზანი მაქვს ცხოვრებაში: ეს ქალი გავაბედნიერო. არც ისე ცუდადაა საქმე: წამლების სმა შეამცირა, ძილის საშუალებები ღამეში ერთ აბზე დაიყვანა. ხანდახან უმიზეზოდ გაღიმებულზეც კი წამისწრია, ჭერში რომ იყურებოდა. იმისთვის ვარსებობ, როცა ჩემს თავს ვუთხრა, ყოჩაღ, ოსკარ, კარგად იმუშავე!

შაბათი

მთხოვეს, რადიოში გადაცემის წამყვანად მობრძანდითო. რისთვის? უამისოდაც ცნობილი ვარ.

კვირა

ჩემი ცხოვრება პანტომიმაა, რომლის ერთადერთი გამოსავალი წერაა.

ორშაბათი

ოპაააა! ომი დასრულდა. საქმეებს შევუდგეთ. პარიზი by night „ვიაგრას" ახლებურ გამოყენებას იწყებს: ეს ლურჯი აბი, ძირითადად, ფიესტებზე შეგხვდებათ დაღლილი ღამურა მოქეიფეების გამოსაფხიზლებლად. ერთი მეგობარი მყავს (მის სახელს საიდუმლოდ დავტოვებ, ზედმეტად კარგი რეპუტაცია რომ არ დაიმსახუროს), რომელმაც ერთხელ დალია ეს აბი და სტრიპტიზკლუბში მდედრობითი სქესის კლიენტურა დააგდო, მერე კიდევ ბოზებში გააგრძელა დაუკმაყოფილებლობის გამო! ტურ დე ფრანსის ველოსიპედისტები გამახსენდა, ღამეც რომ არ ჩერდებიან და აწვებიან…

ოთხშაბათი

კინო უფრო მეტს ფიქრობს ცნობილ ადამიანებზე, ვიდრე ლიტერატურა. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მსახიობები უფრო პოპულარულები არიან, ვიდრე მწერლები.

ხუთშაბათი

სანამ ცნობილი გავხდებოდი (სულ ცოტათი), მახინჯი ვიყავი. პოპულარულობამ გამალამაზა.

პარასკევი

მეგონა, მინდოდა, განუმეორებელი ვყოფილიყავი! არ მინდა ერთადერთი ვიყო. ყველა ეგეთი არ არის?! მე მინდა ყველაზე მაგარი ვიყო. პათეტიკურია, მაგრამ მაინც. ნერვებს მიშლის ეს „მე". ისეთი გაბღენძილია, რომ ვეღარ ვუძლებ. მაგრამ პრეტენზიული რომ ვარ?! უნდა ვაღიარო: ყველა მწერალი პრეტენზიულია. მაშინაც, როცა მათზე არ ლაპარაკობენ.

შაბათი

ერთი ქაღალდი, ერთი კალამი და ლიტერატურაც გამოვიდა. ყოველთვისმაოცებდა, რანაირად შეიძლება ასეთი მცირე საშუალებებით ასეთი დიდი საქმეების კეთება, ტელევიზიაში კი ყველაფერი პირიქითაა.

კვირა

კარგი, კარგი, აუტანელი ვარ, მაგრამ გულის სიღრმეში ატირებული ბოზი ვარ.

ორშაბათი

ტელეფონში კონტაქტების რეპერტუარს ათვალიერებს. გეგონება, ავტობანის რესტორანში მენიუში იცქირებოდეს. გული ისევ ერევა. მადა ისევ არა აქვს.

სამშაბათი

ლუდოს ძალიან მოეწონა ეტიენ შატილიეს ფილმი „ტანგი". ამ ფილმით ბოლო-ბოლო დაირღვა კიდევ ერთი ტაბუ: მშობლები აღიარებენ თავიანთი შვილების ცუდ საქციელს! „ტანგი" „წითურის" საპირისპირო ფილმია და საერთოდ, გვეყო წინაპრების

ლანძღვა, ჩვენს საქმეს მივხედოთ, ჯობს! წარმოიდგინეთ ფსიქოლოგის კაბინეტი დივნით, სადაც ოჯახის მამა წამოწოლილა და ლანძღავს თავის შვილებს. შატილიემ ფროიდს აჯობა, არა?

ოთხშაბათი

ისევ მიშელ უელბეკი მირეკავს. მე ისევ ვეკითხები, როგორ ხარ-მეთქი. ორი წუთის დუმილის მერე მპასუხობს:

- საოცარია, მაგრამ კარგად.

(უნდა გითხრათ, რომ „პროზაკის“ მიღება დაიწყო).

ხუთშაბათი

მილანი იტალიის ერთადერთი ქალაქია, რომელიც მუზეუმი არ არის. მომწონს აქაური სიგრილე. მობილური ტელეფონების შუაში დავდივარ. იტალიელი ქალები ძალიან საქმიანები ყოფილან, ყველას მობილური აქვს ყურთან. დომის მოედანი ერთ-ერთი იშვიათი ადგილია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკელების დაბომბვას გადაურჩა. ლა-სკალადან ვერდის ქანდაკებისკენ მივსეირნობ, რომ სრული ნეოგოტიკური შოკი მივიღო: Il Duomo ღამის შუქზე უზარმაზარ ზღარბს ჰგავს. ისე დგას, გეგონება, ეკლებით ცას და მთვარეს ეხახუნება. ერთადერთი ტაძარია, რომელიც ზღვის ზღარბს მაგონებს, ან თუ გნებავთ, შიდსის ვირუსს. სტამბოლის ლურჯ მეჩეთსაც მაგონებს ეს წმინდა ადგილი. სადაც უნდა ლოცულობდეთ, რისიც უნდა გწამდეთ, რწმენა სურვილს გგვრით, ისრები ცისკენ აღმართოთ. როგორც ტელევიზიის ანტენები! ეს ამტკიცებს იმას, რაც ყველამ ვიცით: ტელევიზიამ ეკლესია ჩაანაცვლა, მადონამ კი ღვთისმშობელი…

პარასკევი

ისევ და ისევ მსოფლიოს დისკოთეკიზაცია. Plastic-ში, მილანის მოდურ კლუბში, მხოლოდ ღამის სამ საათზე მოდის ხალხი, მე კი უკვე დავბერდი, ამდენი ხანი ლოდინი აღარ შემიძლია. არაყი-ტონიკი, მერე ჩიფსები, რომ მომწყურდეს, და ისევ არაყი-ტონიკი. ჩემისთანა რამდენიმე ბანძი სიბნელეში მარტო ცეკვავს, იმ იმედით, რომ მალე მაგარი თავდავიწყება დაიწყება. ეს გოიმები ხმაურს, ახალგაზრდებს, სიბნელეს ეძებენ, ამ დროს სიწყნარე, სიჩუმე, სიმშვიდე და ლამპის შუქია ზედგამოჭრილი მათზე (ჩემი არ იყოს…), გარშემო სულ მრგვალი ფორმებია: ბარი, ძველი შავი დისკები, რომლებსაც დიჯეი თავზე იტრიალებს, 70-იანი წლების სავარძლები, ლამპები და მე.

შაბათი

როგორც ყოველ წელს, საყოველთაო გამოსვლას - „ერთი დღე საყიდლების გარეშე“, მომხრე არ უჩანს. არადა, მთავრობას უნდა ვაჩვენოთ, რას წარმოადგენს მომხმარებელი. თუკი თქვენი მეუღლე ან მეგობარი გთხოვთ, წამოდი, შოპინგზე წავიდეთო, მშვიდი შაბათი დღე რომ არ დაგერღვეთ, საუკეთესო საშუალებაა თავის ასე გამართლება:

- იცი რა, ძვირფასო, ძუნწი ნამდვილად არა ვარ, მაგრამ რაღაც ძალიან ვბრაზდები ამ კაპიტალისტურ მომხმარებლობის საზოგადოებაზე!

კვირა

თუ სილვიო ბერლუსკონი და მაიკლ ბლუმბერგი იყვნენ მერები, რას ვერჩით არნოლდ შვარცენეგერს? დაე, მართოს კალიფორნია. წარმატებული რეკლამების წყალობით დღეს მდიდრებს ძალაუფლების ყიდვა შეუძლიათ. კიდევ კარგი, ბერნარ ტაპი გაკოტრდა!

ორშაბათი

ამ ბოლო დროს ხშირად მემართება, როცა კი ლამაზ გოგოს დავინახავ, ძაღლივით ენის გადმოგდება მინდება. ერთ დღესაც ხალხის წინ ნერწყვიც ჩამომეწელება. ძაღლები ჩვენზე სინდისიერები არიან. რაც მოსწონთ, იმის წინ ენაგადმოგდებული დგანან, კუდს აქიცინებენ კმაყოფილების ნიშნად.

სამშაბათი

კარგა მოზრდილ ხორცის ნაჭერს შევეჭიდეთ მე და გიიომ დიუსტენი. მიკვირს:

- შენ ვეგეტარიანელი არ იყავი?

შიგ თვალებში ჩამხედა და მითხრა:

- არა. პედერასტი ვარ, მაგრამ ვეგეტარიანელი არა.

ოთხშაბათი

არსებობს დისკოთეკები, სადაც დიდი ყურადღება ექცევა გარეგნობას. რიგის Fashion Club-ში გოგონებს აუცილებლად შუბლზე შეჭრილი ჩოლკა უნდა ჰქონდეთ და ბიჭებს მკერდზე სამკაული უნდა ეკიდოთ. ამ კლუბში არავის აქვს უფლება, შეუხედავი იყოს. ორი ტიპის კლუბი არ მევასება: ერთი, სადაც ყველა მახინჯია, და მეორე, სადაც ყველა ლამაზია. კარგად მახსოვს კლუბები, სადაც მართლავერავის შეხედავდი. მაგრამ ეს რა არის, იმ კლუბებთან შედარებით, სადაც მხოლოდ ლამაზები იკრიბებიან! ყველა გოგონას ღვთაებრივი სახე აქვს, აბრეშუმის კანი, მეტიჩარა კანჭი, ცუღლუტი ჭიპი… ვინმეს შეუძლია გამთიშოს, გთხოვთ?

ხუთშაბათი

მოსკოვში 99% შიმშილით სულს ღაფავს და 1% მილიარდერია. ჩემი შაბათ-კვირა ამ 1%-თან გავატარე, რა საოცრებაა, არა? მოსკოვმა 90-იანი წლების მერე აბსოლუტური მეტამორფოზა გაიარა. რუსეთის 00-იანი წლები საფრანგეთის 20-იანი და ნიუ-იორკის 80-იანი წლების ტოლფასია. ჩვენებური ნუვორიშების სინონიმი ნუვორუსები მობილური ტელეფონების და დამუქებულშუშიანი „მერსედეს 600“-ით ამოიცნობიან. ტიპებს არასდროს სძინავთ. მთელი მათი ცხოვრება ერთი დიდი ფიესტაა, რომელიც ღამის კლუბიდან იწყება და სტიპტიზ-ბარში მთავრდება. კოკაინით სავსე კაზინოებში კი დაჯავშნული

ლიმუზინებით მიდიან. მოსკოვი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირი ქალაქია (ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის). მომწონს შვიდი გოტიკურ-სტალინური სტილის ცათამბჯენი (როგორც მსოფლიოს შვიდი საოცრება). ხარების მოოქრულგუმბათიანი ტაძარი და თეთრად დათოვლილი წითელი მოედანი: თეთრკრემიან მარწყვის ნამცხვარს ჰგავს. რძის პროდუქციის მაღაზიას, ბუნებრივია, სახელწოდება შეეცვალა და Danone დაერქვა. კონდიციონერიანმა კოშმარმა ლენინური კოშმარი შეცვალა. ბოღმა ადამიანები არ აღმოჩნდნენ და მარქსის ქანდაკება დიდი თეატრის წინ დატოვეს. მავზოლეუმიც - წითელ მოედანზე… იქ ლენინი წევს და ახლა ამ ადგილას ვარ და ვწერ. ვაღიარებ, ეს რომ ოციოდე წლის წინ დამეწერა, ციმბირში ფეხშიშველა გადასახლება ზედ მექნებოდა.

პარასკევი

რუსული გიგანტიზმი: თვალუწვდენელი არყის ხის ტყეები, მილიონობით მკვდარი, რაზეც არავინ ხმას არ იღებს ღამის ბარში First, გაჩირაღდნებულ კრემლს რომ გადაჰყურებს. სასტუმრო Metropol-ი Shining-ს მაგონებს, თუ ჯეკ ნიკოლსონსა და ცულს ნახევრად შიშველი კახპებით შევცვლით.

ფრანსუაზა: მინდა, ამ გოგოს დაუზასო. ოღონდ დიდხანს არა!

მე: კი არ ვაკოცებ, შევისრუტავ… რა ჩემი ბრალია, თუ 17 წლისაა… არ იდარდო, მერე შენთან გამოვუშვებ…

რესტორანში Petrovitch ემანუელ კარერმა მაგიდაზე არყის ბოთლი დადგა. ამ ჟესტისთვის ჩემთან მოუწევს საქმის დაჭერა, მეორე დღეს თავის ტკივილით მოვკვდი. მე და მორის ჟ. დანტეკმა მუცლები ხიზილალიანი ბლინებით ამოვიყორეთ. ახლა მესმის „ბაბილონის შვილების“ ავტორის, თავს კარგად რომ გრძნობს სოდომ-გომორში. ანტუან გალიმარი რუსულ სიტყვებს მიხსნის: თურმე „შიოტ“ ანგარიშს ნიშნავს, „შიას“ - ახლავეს…

- შიოტ, შიას! - ასე შეჰყვირა, სანამ მთელ მაგიდას არ გამოუცხადა, ყველასი გადახდილიაო, რისთვისაც დიდი მადლობას ვუხდი. ოლივიე რუბინსტაინმა დამაკვალიანა, მოსკოვის დათვალიერება თავისუფლად შეიძლება, თუ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტას“ მარშრუტს გაჰყვებიო… სულ მთლად ისე, როგორც დუბლინს ვათვალიერებთ ჯოისის „ულისეს“ მიხედვით. დრო რომ მოვა და წიგნები აღარაფრის მაქნისი გახდება (ეს დრო კი უკვე შორს აღარ არის), ტურისტულ გიდებად მაინც გამოდგებიან: ეს ცოტა არ არის. მეტს აღარ მოგიყვებით, ვინმე რომ არ გავცე, თან მეცოდებით კიდეც, მაგრამ იცოდეთ, რომ ისევ არსებობს კაფე „პუშკინი“, „კარმა ბარი“, „საფარი ლოჯი“ და Night Flight. განსაკუთრებით Night Flight-მა გამაოცა (ტვერსკაიას ქუჩაზეა, ჩვენებურ ელისეს მინდვრებზე. არსად მინახავს ამდენი თვითმარქვია: „ყველა ფრანგი მეუბნება, რომ კაროლ ბუკეს ვგავარ უკეთესვარიანტში… და ვინაა კაროლ ბუკე?“)

შაბათი

მდინარე მოსკოვი თავის კალაპოტში მორჩილად და ატალახებული მიედინება. ხელი მაქვს შენზე ჩაკიდებული. თორმეტგრადუსიან ყინვაში ერთმანეთს რომ ვაკოცოთ, დიდი რისკია, ერთმანეთს მივეყინოთ და ასე დავრჩეთ სამუდამოდ. ცუდი იდეა როდია. უფერული კორპუსები განათებულია მთვრალ ღამეში. თითოეული წამი იბეჭდება ჩემს მეხსიერებაში. „მოსკოვი რომ არ ყოფილიყო, პარიზში ცხოვრებასა და სიკვდილს ვინატრებდი“, - წერდა მაიაკოვსკი. მე პირიქით ვარ. მოსკოველების თვიური შემოსავალი დაახლოებით 400 დოლარია. ნეტავ როგორ ყიდულობენ მობილურებს? მარტივია: ღამე ტაქსაობენ. პატრიარქის ტბასთან ვსეირნობთ. „ოსტატი და მარგარიტას“ დასაწყისში სქელი მთავარი რედაქტორი, სახელად ბერლიოზი, სწორედ აქ ხვდება ეშმაკს, რომელიც ამცნობს მის მომავალ აღსასრულს ტრამვაის ბორბლებქვეშ. მაგრამ ჩვენ ვერც ერთი დემონი ვერ გაგვაჩერებს ამ აუტანელ ყინვაში. ახლა მესმის, რატომ გადაწყვიტა ბულგაკოვმა, რომანის მოქმედება ზაფხულში განვითარებულიყო. სასტუმროში დაბრუნებისას სექსი ბიოლოგიური გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა.

კვირა

ზამთარმა ნაპოლეონსა და ჰიტლერზეც გაიმარჯვა, ჩვენზე - ვერა! უკანა გზაზე ერვე გიბერის რომანს ვკითხულობდი თვითმფრინავში. ცოტა ხნით წიგნი დავხურე და დანტეკს მივუბრუნდი:

- წიგნი რომ კარგად გაიყიდოს, სიკვდილია საჭირო.

- სწორედ ამაზე ვმუშაობ, - წყნარად მიპასუხა.

ზამთარი

ანგარიშს ვინ იხდის?

ორშაბათი

„აი, რისი დამატება შეიძლება რომანის გარშემო: მკითხველს მოჰბეზრდა გამოგონებული ისტორიების კითხვა. ნამდვილი ამბავი უნდა, გამოუგონებელი. სურთ, რასაც კითხულობენ, ნამდვილ ფაქტებზე იყოს დამყარებული“, - ეს ვ. ს. ნაიპოლის ინტერვიუა „Le Monde“-ში. ვგიჟდები, როცანობელის პრემიის ლაურეატები ჩემს სიტყვებს იმეორებენ.

სამშაბათი

ჰაშიშს რომ მოსწევს, ლუდო ბრძენი ადამიანი ხდება. როცა კი ცხოვრებისეულ კითხვას ვუსვამ, მაშინვე გახვევას იწყებს:

- ფრანსუაზა შენთან მღალატობს.

- მოიცა, ერთიც გავახვიო.

- ღმერთი არ არსებობს.

- კიდევ ერთს მოვწევ.

- ცხოვრების აზრი მაინტერესებს…

- გავახვევ ახლავე და…

- ფეხბურთში საფრანგეთს დაენძრა, არა?

- ახლა ერთს კიდევ შევაკეთებ და…

ეს ის ფრაზაა, რომლის საშუალებითაც ყველაფრის გადაჭრაა შესაძლებელი.

ოთხშაბათი

პალმადისა და ლაროკის სპექტაკლზე La Porte Saint Martin-ის თეატრში დაგვიანებით მისვლისას ტიერი არდისონი კვირის ფრაზას აძრობს: „ვგიჟდები ჩემს დამპალ ცხოვრებაზე. აბა, ნამდვილ ცხოვრებას რა აზრი აქვს“.

ხუთშაბათი

ჩემი მიზანია, ვიპოვო ერთი უტოპია, რომელიც სასაცილო არ იქნება.

პარასკევი

Paris Match (ჟურნალია) სასიამოვნო რაღაცებს წერს Match TV-ზე (მისი ფილიალი). უკვე შიში მეპარება, რა დემოკრატიული ხდება ტელევიზია. ყოველდღე ახალი არხი ყალიბდება 20 გადაცემით, სადაც 10 რუბრიკის წამყვანი მაინც არის. იქმნება 200 სამუშაო ადგილი კრეტინი ახალგაზრდებისათვის, რომლებიც თურმე ჩემზე მაგრები არიან. რა სამწუხაროა, გამოჩნდე ტელესამყაროში ზუსტად იმ დროს, როცა ის პრივატული კლუბი უკვე აღარ არის. ისღა დამრჩენია, რადიოში დავიწყო მუშაობა, რომელიც ტელეეთერის ძმობილი ყოფილა. აი, როგორც ი დივიზიონია ფეხბურთში, ისე რა…

შაბათი

მაგარი კითხვა დაისვა La Coupole-ში:

- პური ქრისტეს ხორცია, ღვინო - ქრისტეს სისხლი და „ბურსენი“ რაღაა?

კვირა

ფრანსუაზა: ისეთი კარგი ვარ, ჩემი თავი მინდა ვიხმარო.

ვინ შეეწინააღმდეგება?!

სამშაბათი

ბარსელონაში ზუსტად იმ დროს ჩავფრინდი, როცა ანტონიო გაუდის 150 წლის იუბილესთვის ემზადებოდნენ. უკვე წინასწარ ვგრძნობ, ამ საზეიმო იუბილეთი ისე გაუწყალებენ ბარსელონელებს გულს, როგორც ჩვენ გვიწყალებენ გულს ჰიუგოს იუბილეთი. მაგრამ გაუდი ამად ღირს: ამ კატალონიელმა ფოსტალიონმა შევალმა და ჰ. რ. გიგერის წინაპარმა, შეძლო და დააჯერა მდიდარი ესპანელები, რომ მისი გარეკილი შემოქმედება დაეფინანსებინათ. ქალაქი გადატენილია დრაკონის ფორმის შენობებით. შეიძლება იფიქროთ, ახლა ცეცხლსაც ამოუშვებენ ხახიდანო. რა გითხრათ? არც უშნოა, არც ლამაზი. უცნაურია უფრო. ალბათ, ჩვეულებრივს შორდება ის გრძნობა, როცა გიჟის ოცნების ნამოქმედარში ცხოვრობ. მის გვერდით დღევანდელი არქიტექტორები რატომ ჩანან მოსაწყენები? აღარ მინდა სწორკედლებიან შენობაში ვიცხოვრო, ახლა ნამცხვრის ფორმის სახლი მინდა.

ოთხშაბათი

ესპანეთში ყოველთვის მიჭირს მიჩვევა hola-ზე, სულ hello მეთქმევინება. აბა, მსხალს რომ ვჭრი, რას ვამბობ ჰელა თუ hollo? ჩემმა მკითხველმა გადაწყვიტოს. ჰოდა, კიდევ ამ ესპანელებს რა საშინელი თვისება აქვთ, იცით? „ვ“-ს მაგივრად გამოთქვან ბ-ს. შეიძლება პოეტური კონფუზები მოგვიიდეს კაცს: იბერიელები თავიანთი აქცენტით ამბობენ libre, როცა უნდათ თქვან livre - არა, ხომ ლამაზია და სიმბოლური? თუ demande a voir-ის თქმა უნდათ, demande a boire გამოსდით. მე კი ეს უკანასკნელი უფრო მხიბლავს.

ხუთშაბათი

ბარიო ჩინოს არ შეიძლება გვერდი აუარო. ჯერ ისადილეთ, სანამ ჯინ-კასს მიირთმევთ Borneo-ში, Suborn-სა და Miramelindo-ში. წიგნის დასაწყისიდან თუ ყველა მისამართი და ბარი ჩაინიშნეთ, აბა, ჩემნაირი „კაი ტიპი“ გახდებით. ერთი კია: თუ შობა თქვენს მახინჯ მეუღლესა და მუწუკიან ბავშვებთან ერთად გინდათ გაატაროთ, სანამ ლა პლანჟში წახვალთ, კი ბატონო, მე პატივს ვცემ თქვენს არჩევანს.

პარასკევი

მარტოობა კარგად გაგაგებინებთ ქალაქის პულსაციას. 22 საათიდან ქალაქი ღიაა 22 წლის ზემოთ ადამიანებისთვის. „პატა-ნეგრათი“ გამოტენილი პირით (შავი ღორის ლორი აქ უკეთესია, ვიდრე პარიზში, იმიტომ, რომ სნობი ვარ) ჩამოვდივარ რამბლას ქუჩაზე, გარშემო ხეები სახურავებივით მადგას. რამბლა აქაური კრუაზეტის ქუჩაა, ოღონდ სანაპიროსთან პერპენდიკულარულად განლაგებული. გასწვრივ კი არ მიუყვებით ხმელთაშუა ზღვას, პირდაპირ მისკენ ეშვებით. თუკი ბარების დავლის მერე ფხიზელი დარჩით, ხო კაი, თუ არა და, ყველა ვარიანტში, პირდაპირ თუ გაქანდით, თავს ვერ შეიკავებთ, პირდაპირ ზღვაში გადაეშვებით და შეიძლება დაიხრჩოთ კიდეც. პლასა რეიალის გარშემო ქუჩები ადი-ჩამოდის, ქალაქი ფეხებქვეშ ვიბრირებს, კედლები ერთმანეთს უახლოვდება და ქვაფენილზე ფეხები მიბრუნდება. ბარის უკან კედელზე ჩამწკრივებულ ბოთლებს ვითვლი. ნეტავ რამდენი ჩამეტევა. ძალიან სერიოზულად ჩავუღრმავდი ამ საკითხს. „რა სიგიჟეა: ერთი ბუზი გადამეკიდა. დაჯდა. ვა�ა… რა უცნაურია, ახლა გაფრენილა!“ რას ვიფიქრებდი, მობის რემიქსის მოსმენა თუ ასე მომხიბლავდა.

შაბათი

ალკოჰოლის დოზის მიღების მერე შეიძლება ყველასა და ყველაფრის მიმართ ლტოლვა დაგეწყოს, სკამის მიმართაც კი. მაშ, ბარსელონა ქალაქია, სადაც მე სკამი შემიყვარდა. აბა, კიდევ რას და ვის შეეძლო ჩემი წონის ატანა ამდენი ხანი? სხვა ვინმე ამიტანდა, რომ ორი საათი ხვნეშა-კრუსუნის გარეშე მასზე დამეძინა?

კვირა

დილინჯერი ნიუ-იორკს ასე ახასიათებდა: A night, a fork, a bottle and a cork. მაშინ ბარსელონა იქნება ექვსი ექთანი გოგო, ერთი კორსეტიანი კახპა და კულტურისტი ტიპი წითელ ტანგაში. დავბერდი თუ უბრალოდ, გაგიჟებით მიყვარხარ? ახლა ყოველთვის მაშინ ვბრუნდები დასაძინებლად, როცა საღამო ხურდება.

ორშაბათი

ფლეიბოი ვერასდროს გავხდები, რადგან სიყვარული აღმაგზნებს.

სამშაბათი

როგორც ყველა გამდიდრებული გოიმი, მეც საშობაოდ მავრიკიზე გადავფრინდი. Air Liberte-ით ფრენა? ხუმრობ?! „პრინცი მავრიკი“ ინდოეთის ოკეანეში მდიდრებისთვის შექმნილი რეზერვაციაა (მშრ). მხოლოდ ასეთ ადგილებში ვაანალიზებთ, მაყუთი რა დონის ბორკილია. აქ ჩანს ადამიანის სიდებილე: წახვიდე მსოფლიოს დასალიერში, ჩაჯდე ტაქსიში, მერე თვითმფრინავში, მერე მეორე თვითმფრინავში, მერე კონდიციონერიან ჯიპში და ეს ყველაფერი იმისთვის, რომ გაექცე იმ ხალხს, რომლებიც ისევ აქ შეგხვდებიან ასპირინის აბივით თეთრები და მზეს მიფიცხებულები. ძლივს მოვასწარი საბანაო კოსტიუმის ჩაცმა, რომ ბაბეტ ჯიანს შევეფეთე (მოდური რედაქტორი, მხოლოდ ისეთ ადამიანებთან მუშაობს, რომელთა სახელი „ო“-ზე თავდება: „ნუმერო“, „კენზო“, მონდინო…). მისმა დანახვამ დამაწყნარა: ეგ თუ აქაა, მაშ, სასტუმროც სვეცკია და მეც სვეცკი გამოვდივარ. დიდი იმედი მაქვს, ისიც იმავეს ფიქრობს.

ოთხშაბათი

ალბათ, ვბოდავ, მაგრამ ამ კუნძულმა დამანახვა, რომ დედამიწა ჯერ კიდევ არ გადაქცეულა დისკოთეკად. მავრიკი არა მარტო პოლი და ვირჟინის კუნძულია, არამედ მალკოლმ დე შაზალისაც. ეს ისაა, კლერის მოგვარე რომ არის, მაგრამ უკეთესად რომ წერდა. „მთები უზარმაზარ კონცხებს ქმნიდნენ, სადაც მზის შუქი იკარგებოდა. ცა იასამნისფერი იყო, ლურჯ სიმწვანეს ამეთვისტოს ფერი დაჰკრავდა. უფრო შორს, უკვე გაწითლებულ ზეცაში, მთები თავწაჭრილებივით იდგნენ“. („პეტრუსმოკი“, 1951). საინტერესო დამთხვევებია, ამ კუნძულიდან არიან პუავრების ოჯახი, ლე კლეზიო, შირაკების სააგარაკო ადგილი იყო (რუაიალ-პალმში): გამოდის, ლიტერატურული ადგილია. როგორ? არ იცით, ვინაა სენ-პიერელი დიდი მწერალი ბერნადეტი? (და ის მაიმუნი პოლ-ჟან ტულე არ დამავიწყდეს, მისი სული ხომ „ყვავილოვან სავანაში, ოკეანით დასველებულ და მწველი მზის პლაჟზე დაიბადა“.).

ხუთშაბათი

წვიმს. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ გასიამოვნოთ, მართლა წვიმს. ქვიშაზე წვიმს. ახლახან ჩამოსულ ბენჟამენ კასტალდის აწვიმს (ბავშვები აუზში Lofteurs up and down ღიღინებენ, ნერვები რომ მოუშალონ. მაგრამ ის არ იმჩნევს. როგორც ნაღდ პროფესიონალს, ნერვი არ უტოკავს. მე მის ადგილას, აუზში ჩავახრჩობდი ამ სულელებს). სასტუმრო „პრინცი მავრიკი“ კუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზეა. ძალიანაც კარგი: ჩრდილოეთით კაპ-მალერეა (კონცხი „უბედური“), მაგრამ მართალი გითხრათ, წვიმაშიც კი ეს სახელი ცოტა გადამეტებულია. ერთადერთი, რაც დაგვრჩენია ამ საზიზღარ ამინდში, სექსია.

პარასკევი

რამდენი მავრიკიზე ჩამოვალ, იმდენი ჩემი ძიძა ოლგა მახსენდება, მეტსახელად ტიგას რომ ვეძახდით. ნეტავ სად არის ახლა თავზე 45-ჯერ შემოხვეული კოშკით, გულიანი ღიმილით, კეთილი გულით, უამრავი საყვარლითა და ცხარე კერძებით? ნეტავ სამშობლოში ხომ არ დაბრუნდა? მგონი, ფრანგს გაჰყვა ცოლად და პარიზის გარეუბანში ცხოვრობს. ჩემ მერე, ალბათ, უკვე თავის შვილებს ზრდის.

შაბათი

დიდი გამოცდა იქნება, ერთ კვირაზე მეტი რედიოჰედის Everything In Its Right Place-ის გარეშე რომ გავძლო. ეს თუ გამომივიდა, შესანიშნავი სამხრეთაფრიკული ღვინის დამსახურება იქნება. კი არ ვხუმრობ. მართლა „მადირანის“ გემო აქვს. ამ მოგზაურობებმა უმაღლესი კლასის ელიტური ტიპი გამხადა. დამსწრე ვარ იმ ყველაფრის, რაც მძულს. საკუთარ ცხოვრებას ვაკრიტიკებ და შეცვლა არაფრის ძალმიძს. მძულს, რაც კი მიყვარს. უფრო ნათლადაც რომ ჩამოვაყალიბო, პრობლემა მაინც ვერ გადაიჭრება.

კვირა

დროდადრო მაყუთიან დამსვენებლებთან პატარა ზვიგენი მოცურდება ხოლმე. ბედნიერების მომტანიაო, აქ ასე ამბობენ. სასტუმროს დირექტორმა ჯონიც კი შეარქვა. „გარწმუნებთ, თქვენსავით ვეგეტარიანელია“, - ასეთი ფანტასტიკური ფრაზა გაუძრო იმ დღეს ერთ ტოპმოდელს, რომელსაც აშკარად არ ჰქონდა გადაწყვეტილი ამის შემოწმება.

ორშაბათი

ოსკარ დიუფრეზნი is a dirty job, but somebody’s got to do it.

სამშაბათი

ამ თავსხმა და გაუთავებელი წვიმის დროს მაინტერესებს, ჩემს ადგილას რას იზამდნენ „კო-ლანტას“ თავგადასავლის მაძიებლები. მე მხოლოდ ორი ვარიანტი ვიპოვე: ან უნდა გეძინოს, ან ბარში მაყუთი ხარჯო. ჰოდა, ორივეს ვაკეთებ. სეგაც ვიცეკვე. აუზის ტერასაზე რამდენი გავიფიქრე, კლაუდია შიფერს როგორ ჰგავს-მეთქი, იმდენჯერ კლაუდია არ იყო? დიახ, აი, ასეა „პრინც მავრიკიში“.

- ერთი შეხედე, დანიელა ლუმბროზოს არ ჰგავს?

- ჰო. ისაა.

- და კარინ ვიარის ორეული დაინახე, ბავშვებთან ერთად რომ სადილობდა?

- ისე ძალიან ჰგავს, რომ ის არის.

ასეთია ვარსკვლავების ცხოვრება. ხან ვის ვამსგავსებთ, ხან ვის და ამ დროს თავად ისინი არიან. ორეულების კონკურსის საპირისპირო პონტია.

ბოლო-ბოლო, მზემ გაგვიხსენა: უფალმა შუქის საოცარი პიკანტურობა გვაჩუქა. გოგენი ამას ხომ თავის ფუნჯად მონათლავდა.

ოთხშაბათი

კი მაგრამ, რა გვინდა აქ? პარიზში ვბრუნდებით. „მწერლების ორ ტიპს ვიცნობ: უნიჭო ღორები და ნიჭიერი, ისევ ღორები“. მარსელ რაიჰ-რანიცკი გერმანელი ბერნარ პივოა (ისიც პენსიაში გასულა).

ხუთშაბათი

„როგორც წესი, თქვენობით არ ვლაპარაკობ,

მაგრამ მას მერე, რაც გნახე, სულ სხვაა.

სხვებს შენობით მივმართავ,

მაგრამ „თქვენ“ სჯობია „შენ“-ს (იდეა მარკ ლავუანის მომავალი სიმღერისთვის).

პარასკევი

მატარებლის ფანჯრიდან ძროხების დანახვა მამშვიდებს (ძროხები მატარებელს ხედავენ და კი ვერ ხვდებიან, ჩვენც რომ ვხედავთ.) საფრანგეთი - მწვანე სავარგულები, მრგვალი ხეები, თაფლისფერი ძროხები და სატელეგრაფო ბოძებია ლიანდაგების ორივე მხარეს. ამერიკელებს ვეთანხმები: საფრანგეთი ფრანგების გარეშე უკეთესი იქნებოდა!

შაბათი

ავტობიოგრაფიული რომანის წერა სიამოვნება არ არის, უფრო სადომაზოხიზმს ჰგავს. Body-art-ია, თითოეული ფრაზა კიდევ ერთი პირსინგია, კიდევ ერთი ტატუ მკლავზე.

კვირა

პარიზში წვიმს, როგორც წვიმდა მავრიკიზე, ოღონდ 30 გრადუსით დაბლაა ტემპერატურა. შინ ვბრუნდებით და მერე გული გვწყდება, ნეტავ ტროპიკული შობა, იქაური წვიმის წვეთების რაკარუკი, გუბეში დაყუდებული გომბეშოს როხროხა ყიყინი, მაყალზე შემწვარი ლანგუსტები, ჟერალდ დე როკმორელი, Hachette-ჯგუფის პატრონი შეგვერგოო (ეს უკანასკნელი წიგნიდან მიხვდება, პლაუზე თურმე მიცნესო). და, რა თქმა უნდა, სიყვარული! სიყვარულზე გვწყდება გული, რომელიც ყველაფერში მართალია და, შეძლებისდაგვარად ხშირად, საშუალებას გვაძლევს, საზოგადოება ფეხზე დავიკიდოთ.

ორშაბათი

ზუსტად მაშინ ვიპოვე ბედნიერება, როცა ვიფიქრე, რა ტყუილად ვირჯები-მეთქი…

სამშაბათი

გუშინ საღამოს Pink Platinum-ის ინაუგურაცია იყო. Showgirls-ს კლუბია ასეთი, კატი და დავიდ გეტების კლუბი. გაჭიმულ 21.00 საათზე წინ ვდგავართ, ერთი დედიშობილა ნაშაც რომ არ გამოგვეპაროს. სამწუხაროდ, ამ დროს კლუბი ჯერ ღია არ არის. ერთი მოხეული ტიპი მტვერსასრუტით დაბოდიალებს და ცოტა მოგვიანებით გვირჩევს გამოვლას. მე და ჩემი მოქეიფე გუნდი Bindi-ში შევეყარეთ. აქ ჩვენმა უკვე ნაცნობმა „უცნობმა კახპამ“ ახალი ზმნა გამოიგონა, როცა თავის კაცს ყველით ხელში ემუქრებოდა:

- სულ ცოტა მაკლია და გამოგასირებ.

როცა Pink Platinum-ში მივბრუნდით, ხალხით გაჭედილი დაგვხვდა. ერთითავისუფალი მაგიდა აღარ იყო. ერთ საათში დაიხურა, ხალხი სადღა დაეტეოდა. მაგრამ ღმერთი მაინც არსებობს, განსაკუთრებით, VIP-ტიპებისათვის, ისეთისთვის, როგორიც მე ვარ: დავიდ გეტას გაახსენდა, რომ პირველად 1991 წელს ფოტო ერთად გადაგვიღეს Vogue Hommes-ისთვის. და სამოთხის კარი გაიღო. სამოთხე? რა არის სამოთხე? ჰალსტუხიანი ტიპები სხედან და შიშველ გოგონებს თირავენ. ეს რომ კარგად შეიგრძნო, ყველამ თავდაუზოგავად უნდა იშრომოს. ზოგი შერეკილი იმ იმედით, რომ სიკვდილის მერე ამ წარმოდგენით დატკბება, ბოინგით შენობას ასკდება! იქაურობას თვალი მოვავლე. ელოდი ბუშე შევნიშნე. ფეხმძიმედაა და, ალბათ, მალეც გააჩენს. ჟან-ედუარ დიუ ლოფტიც აქ ყოფილა (რაც დრო გადის, პოპულარობა აკლდება… შეიძლება ითქვას, ყოველ წამს). აი, ბეტინა რეიმსი. ფოტოებს იღებს. რომენ დიურისი, ფაბიენ ბარტეზი, კაზიმირის ფორმაში გადაცმული კლოდ შალე, ჟერარ მილერი, ლინდა ჰარდიც აქ არიან. ყველას აინტერესებდა, სად დაიკარგა ეს ლინდა ჰარდიო და აი, აქ არ ყოფილა? მაგრამ სცენაზე მაინც არ დგას. ინგლისელი showgirls ნაშები სცენაზე გადი-გამოდიან. იხდიან, რითიც ზემოთ შემოსეს, მაგრამ ტანგები ადგილზე აქვთ. სადმე ხომ უნდა შეუცურონ 20-ევროიანები. ტექს ეივერის მგელს არმანის ჰალსტუხი ამშვენებს და არაყს სვამს, თან 20-ევროიანებს ატრიალებს… აზრზე არ არის, 131 ფრანკისა და 20 სანტიმის ეკვივალენტი რომ არის. რაღაც მომენტში ფრანსუაზა ერთ ფანტასტიკურ ნაშას სტრიპტიზის ცეკვას სთხოვს მის მუხლებზე. მაგრამ ის უხსნის, აქ არ ვმუშაობო. კი გამაზა, მაგრამ რა მისი ბრალია, თუ კლუბის კლიენტურა პროფესიონალივით ჩაცმული დადის!

ოთხშაბათი

„უცნობმა კახპამ“ ვიღაც ტიპი გაჩითა, რომელიც სულ უკმაყოფილოა და ყველას ეუხეშება. ვალერი ჰქვია და თავი ალ პაჩინო ჰგონია ფილმიდან „იარიანი სახე“. ამიტომაც შევარქვი „ვალ პაჩინო“. მეგონა, დამჭრიდა, მაგრამ ბოლოს დავმეგობრდით.

ხუთშაბათი

იმ საღამოს მშვენიერ რუსულ რესტორან „დომინიკში“ ვისადილე, ბრეას ქუჩაზე რომ არის. უცებ აღმოვაჩინე, რომ საზიზღარი გასტრონომიული პედოფილი ვარ: სულ ახალგაზრდა თევზის კვერცხები გეახელით დიდი სიამოვნებით…

პარასკევი

კლოდ შაბროლი ერთ ინტერვიუში ასეთ რამეს ამბობს: „მსუყე პარაზიტი მირჩევნია, გაძვალტყავებულ მეამბოხესო“. ჩემს სოციოპროფესიონალურ კატეგორიას არაფრად აგდებს: მე ხომ გაძვალტყავებული პარაზიტი ვარ.

შაბათი

ჩემი ბინის საარენდო ფასი ისეთი მაღალია, თავიდან ფრანკებში მეგონა.

კვირა

ამ დილას მზემ ფარდა გაარღვია, შენს კისერზე რომ მოკალათებულიყო და ოქროსფრად ეამბორებინა შენს კისერზე. ისე მომეწონა, მეც მივბაძე…

ორშაბათი

ახალი საიტი შექმნეს: w. შეგიძლიათ თქვენი ცხოვრების ქრონიკა გაგზავნოთ ტექსტის სახით, თუ გნებავთ, ლექსები იყოს, ნოველები, რომანი, თქვენი ფოტო ან ვიდეო, ბავშვობის მოგონებებიც იყოს, თუ გინდათ… დროისა და სივრცის გაგება შეიძლება 125 წლამდე. ვარსკვლავების ცხოვრება ხალხისთვის ხელმისაწვდომი რომ გამხდარიყო, ჯერ Loft Story და მერე Star Academy შეიქმნა, ყველაფერი ისტორიას და მომავალ თაობებს უნდა დარჩესო. ავტობიოგრაფიული ჟანრი ჯერ კიდევ სოკრატემ დაამკვიდრა: „შეიცან თავი შენი“ ახლა myposterity.com-ით შეიცვალა, ბრძნული გამონათქვამით, რომელიც უკეთესად ახასიათებს ჩვენს ეპოქას: „შემიცანით ყველამ“. მალე ექვსი მილიარდი კრისტინ ანგო გვეყოლება.

სამშაბათი

ევროების სუნი გიგრძნიათ? ცხვირთან მიიტანეთ და ნახავთ, ევროებს სუნი არა აქვს.

ოთხშაბათი

დიალოგი ტიერი არდისონთან:

- „ხიზილალის სახლში“ მაგიდა დაჯავშნე?

- კი, 21.00 საათზე.

- გამომივლი?

- აბა, რა.

- სახლთან რომ მოხვალ, დამირეკე და ჩამოვალ.

- რა პრობლემაა.

- ვაა, რა მაგარი სადილი გველის.

ხუთშაბათი

- მალე ოცი წლის გავხდები… რა საშინელებაა!

ლოლიტა პილი ერთი პატარა თავხედი გოგოა და კიდევ უარესი გახდება, როცა მისი პირველი რომანი ყველას აალაპარაკებს!

პარასკევი

რობერ იუსთან ვისადილე. „ლიპში“ ხალხის სახეები უნდა გენახათ, როცა ერთ მაგიდაზე დაგვინახეს! მე, ჟერმენ-დე-პრეს უბნის რევოლუციონერი, და „ბაღის ჯუჯა“ ერთმანეთს ჭიქებს ვუჭახუნებთ. ამ ტიპს ხომ ყველაზე მცირე ხელფასის გაზრდა 9.000 ფრანკამდე სურს. უცებ მესმის: „ჩვენ კი გვეგონა, კაპიტალიზმს თავის გასართობად აკრიტიკებდი!“ სადილის ბოლოს კბილებში კარაქის დანით ჩვენი მაგიდის გვერდით მსხდომებს მივუბრუნდი. ვენსან ლინდონი ცოტა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ ბრუნო კრემერი სიცილით გასკდა. რობერ იუს საპრეზიდენტო კამპანიის რეკლამისტად დამასახელეს. ჩემი ძველი ხელობა გავიხსენე, ოღონდ კეთილი მიზნებისთვის: ჟაკ სეგელას უნდა დავადო (ჟოსპენის მხარდამჭერია).

შაბათი

თხილამურები სიზიფეს მითის თანამედროვე ვერსიაა.

კვირა

გამომცემლობა „გალიმარი“ მონტერლანის დღიურებს გამოსცემს. ბევრი დიდი ნაწარმოები დაუსრულებელია, ფრაგმენტული

(ხშირად ავტორის გარდაცვალების მერე გამოცემული): მაგალითად, პასკალის „ფიქრები“, ჟიულ რენარისა და კაფკას „დღიურები“, პეროსის „კოლაჟი“, პესოას „შფოთვის წიგნი“, შოპენჰაუერის „მსოფლიო, როგორც ნება და წარმოდგენა“. დიდი ავტორები ათასჯერ ეფექტურები არიან, როცა პატარა შენიშვნებს წერენ, ვიდრე ვრცელ ისტორიებს. თავის დასაწყნარებლად არ ვწერ. თუმცა, რა ვიცი, რა ვიცი…

ორშაბათი

თუკი ვიქტუარ დე კასტელანი სასტუმრო „რიცში“ „ვამპირის საცოლის მეჯლისს“ აწყობს, რა უნდა ვქნათ? ტუჩებზე შავ ტუნსაცხს ვისვამთ და მივდივართ. მახსოვს, კარლ ლაგერფელდი ამ ქალბატონს „ვიკი სიურბუმს“ ეძახდა. მაშინ ჯერ დიორთან მუშაობდა. ივ სენ ლორანის პენსიაზე გასვლამ ცუდი ენები აალაპარაკა.

- საფრანგეთში გიჟდებიან ადამიანების მიწაში ჩადებაზე, განსაკუთრებით, სანამ ცოცხლები არიან. მხოლოდ მაშინ ვაფასებთ, როცა შემოქმედებით ცხოვრებას ან, საერთოდ, ცხოვრებას წყვეტენ.

- ივ სენ ლორანის წასვლამ უფრო აალაპარაკა პრესა, ვიდრე პიერ ბურდიოს სიკვდილმა!

- სენ ლორანი ოტ-კუტიურის ბერნარ პივოა: აი, ნახავ, სამ თვეში დაბრუნდება.

- ვინაა პიერ ბურდიე? მოიცა, ეგ ლუი ვუიტონთან არ მუშაობდა?

ცოტა სტუმარია ვამპირის ფორმაში. თუმცა ყოველი მეორე სისხლის წოვის სპეციალისტია. კარგი საღამო გამოვიდა, ჩვენ კი მხოლოდ ათი წუთი დავრჩით. სასტუმრო Costes-ში სექსი ბევრად მირჩევნია, ვიდრე სასტუმრო „რიცის“ „გათავისუფლება“. მე ოსკარ დიუფრეზნი მქვია, ერნესტ ჰემინგუეი კი არა.

სამშაბათი

ტესტი პოპულარობაზე: საღამოს 23.00 საათზე წადით სასტუმრო ჩოსტეს-ს რესტორანში მაგიდის დაუჯავშნავად. გაუღიმეთ ემას (მიმღებში დგას)… უთხარით: „საღამო მშვიდობისა. ხუთნი ვართ“. თუ გიპასუხათ: „ვწუხვარ, ამ საღამოს გადატვირთული ვართ“, ესე იგი, ვიღაც უცნობი ხართ ამ სამყაროსთვის. მაგრამ თუ გკითხათ: „დაჯავშნილი გაქვთ?“, მაშასადამე, თქვენი პოპულარობა იწყება. და თუ გითხრათ: „ერთი მაგიდა ხუთ წუთში თავისუფლდება“, ნიშნავს, რომ ამას წინათ ტელევიზიით გნახათ. თუ გადაგკოცნათ და გითხრათ: „ოსკარს გაუმარჯოს. როგორ ხარ? ახლავე მიგიყვან შენს მაგიდასთან“, ეს უკვე ნიშნავს, რომ მე ვარ და სამწუხაროა თქვენთვის.

ოთხშაბათი

ამას წინათ ზურგიდან სერონი დავინახე. მივუახლოვდი და კატრინ ლარა შემრჩა! უკვე მართლა უნდა მივიდე ექიმთან და მხედველობა ლაზერით გამოვისწორო.

ხუთშაბათი

კაროლინა, 22 წლის:

- 18 წლის ასაკში მთელ დღეებს სიყვარულზე ოცნებაში ვატარებდი. 22წლის ასაკში ღამეებს უქმად აღარ ვკარგავ. ვიცი, რომ მეძავი ვარ, იმიტომ,რომ მომწონს, რასაც ახლა ვაკეთებ.

პარასკევი

ძალიან საინტერესოა, მე ამ ამბებს ვყვები და თქვენ თან აქ ხართ, თან არა. ყველგან ჩემ გვერდით ხართ. ამ ისტორიებში მონაწილეობა მხოლოდ იმიტომ მსიამოვნებს, რომ მერე თქვენ უნდა მოგიყვეთ. თუ არ წაიკითხეთ, რად მინდა ეს ყველაფერი?! ვწერ, რომ მეხსიერება არ დამიბლაგვდეს. თქვენ კი ამაში მეხმარებით. ჩემს ცხოვრებას აზრი არ ექნება უთქვენოდ.

შაბათი

მწერლობაზე ადვილი არაფერია: საკმარისია, კითხვაზე: „თქვენი პროფესია?“ - უპასუხოთ: „მწერალი“.

(თუ დაფიქრდა კაცი, გამბედაობა უნდა)

კვირა

მე პედერასტი ვარ, რომელიც მხოლოდ გოგოებთან წვება. მიყვარს ირონია ცინიზმის გარეშე, გონების სიფხიზლე ნიჰილიზმის გარეშე, დღესასწაული დანაშაულის გრძნობის გარეშე, ზრდილობა ფარისევლობის გარეშე, მორიდებულობა მოჩვენებითობის გარეშე, ხელგაშლილობა ქველმოქმედების გარეშე, ღამე მარტოობის გარეშე, ქუჩები მანქანების გარეშე, ბედნიერება პრობლემების გარეშე და ცრემლები მიზეზის გარეშე.

ორშაბათი

ლუდო თავის ახალ აღვირახსნილ ცხოვრებაზე მიყვება:

- მალე 40-ის გავხდები, ეს კი ნიშნავს, რომ ზედიზედ შვიდჯერ აღარ შემიძლია. მეხუთეს მერე უნდა დავისვენო.

(თუ მიაქციეთ ყურადღება, ფრანსუაზაზე ბევრს არ ვლაპარაკობ. ეს ნიშნავს, რომ სიყვარულსა მალვა უნდა? თუ გრძნობა ნელდება?)

სამშაბათი

ევოდი ფრანსუაზას მეგობარია. კაბარეს ერთ კლიენტს ისტორიული ვეშჩი გაუძრო. ტიპი რამდენიმე წუთი მის წინ ცეკვავდა. ბოლოს დაიხარა და მარცხენა ყურში ჩასჩურჩულა:

- შეიძლება გაკოცო?

- არა, გმადლობ.

- კაი ახლა…

- ნუ დაიჩემე რა: ბრონქიტიც მაქვს.

- დიდი ამბავი! ძალიან გამძლე მაქვს იმუნური სისტემა. არც ერთი ავადმყოფობა არ მეკარება.

- შიდსი და ღრძილების ანთებაც მაქვს!

რა საჭირო იყო, Real Men Eat Pussy!-წარწერიანი მაისური ჩაეცვა?!

ოთხშაბათი

ლოტოში შემთხვევითობა თამაშობს მთავარ როლს და ეს შემთხვევაც აუცილებლად მდიდრის ხვედრია.

ტელერეალითიშიც შემთხვევითობაა გადამწყვეტი და აქაც, ვითომ შემთხვევით, ვინმე ცნობილი ტიპი ხვდება.

ეს მარი-ანტუანეტას ნათქვამზე მაფიქრებინებს: „პური გამოელიათ? მაშინ ნამცხვრები ჭამონ!“ ბრბოს უნდა დაუთმო ცოტათი, როცა უსამართლობა ძალიან თვალში საცემია. მუტრუკს გაკეთილშობილება სჭირდება. გაიხსენეთ, გესტაპო როგორ აკეთებდა, მაგალითად, ხალხს კენჭისყრით ხვრეტდა. მიზანი ახლაც იგივეა: მასები რომ დააწყნარო, ან უნდა დაუყვავო, ან დაემუქრო. ძალადობა ჩასახშობია, როგორც ნებისმიერი ამბოხება.

ხუთშაბათი

ლუდომ აიწყვიტა (ზედიზედ მიყოლებულმა სექსმა აღვირი ახსნა):

- მხოლოდ ანალური გზით თუ ვხმარობ. უკვე დამავიწყდა, ქალებს ვაგინა რომ აქვთ.

მე:

- ყოველ შემთხვევაში, ამ გზით გარანტირებული ხარ, რეპროდუქცია არ მოხდება.

პარასკევი

ჟან-ფრანსუა ჟონველი ისე სწრაფად წავიდა ამ ქვეყნიდან, როგორი სისწრაფითაც ფოტოებს იღებდა. მან ცხოვრება მოპარულ მომენტებს უძღვნა. სიკვდილმაც იგივე გაუჩალიჩა - სიმსივნე იანვრის დასაწყისში აღმოუჩინეს და თხუთმეტ დღეში ყველას დაემშვიდობა. თვალის დახამხამებაში წავიდა. ახლა, როცა მეგობრის წიგნს ვათვალიერებ, ფოტოები მეთხაპნება. ჩემი ცრემლების გამო ჟონველის ნამუშევრებს „ა ლა დევიდ ჰამილტონი“ აღვიქვამ.

შაბათი

გამიმართლა: ჩემი სიზარმაცე პროდუქტიულობაზე მოქმედებს. ყოველი სამი წლის მერე ვაქვეყნებ რომანს, მაგრამ ეს იშვიათობა ინტერესს აღვივებს. ზარმაცებს ლიტერატურაში ხშირად უფასდებათ (სელინჯერი, ანტუან ბლონდენი, ბერნარ ფრანკი, ალბერ კოსერი…)

კვირა

ერთ დღეს მეც გამაკრიტიკებენ. როცა მოვხუცდები და ფრანგული აკადემიის წარმომადგენლობაში ვიჯდები (მაგალითად, გონკურის პრემიაზე, 2024 წელს), ვინმე ნორჩი მწერალი თავის სასტიკ ტალანტს ჩემზე გადმოანთხევს. ამ დღეს სულის სიმტკიცე მმართებს, რაიმე არ გავუხურო, რადგან ის ნამდვილად ჩემი სულიერი შვილი იქნება.

ორშაბათი

გრენობლის ერთმა პროფესორმა ლიტერატურული პამფლეტი გამოაქვეყნა, სადაც ყველა წარმატებული მწერალი გააკრიტიკა: „ლიტერატურა სტომაქის გარეშე“. ანჟო, დარიესეკი, ბობენი, სოლერი, როლენი, ტუსენი, დელერმი… ყველამ მისი კალმის სიმწარე იგემა… თქვენმა მონა-მორჩილმაც! ერთადერთი გადაურჩა: უელბეკი. ვახ, ეს მიშელი რაა! ლიტერატურის მაკგაივერია: რაც უნდა ხდებოდეს, ყოველთვის მშრალი ამოდის წყლიდან…

სამშაბათი

ერთხელ ჟან კო თავის კერპს, პოლ ლეოტოს, შეხვდა. მაშინვე პაემანი დაუნიშნა:

- შეიძლება თქვენს სანახავად იმ ხუთშაბათს მოვიდე?

- ვერა! - უპასუხა ლეოტომ, - იმ ხუთშაბათს მოვკვდები.

კომ ოთხშაბათს მოასწრო და ნახა და ლეოტო მეორე დღეს მართლა გარდაიცვალა.

ამ ანეკდოტის სიბრძნე ძალიან ძველია:

გენიოსები სიტყვას ასრულებენ.

ზედმეტად არ დაგეგმოთ ცხოვრება.

ოთხშაბათი

კინოფილმის „მარჯვენა ნაპირი, მარცხენა ნაპირი“ ნახვის მერე.

ტიერი არდისონი ელიზაბეტ ქუინს: - ვგიჟდები შენს პატარა ძუძუებზე.

ელიზაბეტ ქუინი: - არ შევმცდარვარ, პედერასტია-მეთქი, რომ ვფიქრობდი.

ხუთშაბათი

ბენუა დელეპინი კი აკრიტიკებს World Company-ს, თუმცა Universal-ისთვის კი მუშაობს. ჟერარ მილერი ამიტომ გაათავისუფლეს პოსტიდან. მიშელ დრიუკერი დაფნე რულიეს გადაცემაში ეუბნებოდა, როგორ აფურთხებ იმას, ვინც პურს გაჭმევსო. რატომ უნდა გააკრიტიკო ის, ვინც გაცმევს, გახურავს, შენზე ფიქრობს? ეს „საკუთარ თეფშში ჩაფურთხებას“ ჰგავს, ნაჩუქარ ცხენს კბილი რომ არ უნდა გაუსინჯო, შენკენ გაწვდილ ლუკმიან ხელს თითი რომ არ უნდა მოაჭამო და რა ვიცი, კიდევ რამდენი შეგონება გამოიგონეს დამსაქმებლებმა, რათა დაქირავებულ პერსონალს ხმა გაეკმინდა და რამეში არ შედავებოდა. ცხოვრებაში ძალიან მაგარია არა სხვების გაკრიტიკება, არამედ იმ ადგილის, სადაც იმყოფები, სადაც მუშაობ, ვინც გასაქმებს და შენ მაღლა მდგარი უფროსობის. ამიტომაც ახლა არც კი ვიფიქრებ, ვიღრიალო: „ძირს Grasset! Fuck le groupe Hachette“! არნო ლაგარდერი პედერასტი!… უაუ! ისე, რა კარგი ყოფილა! გული ვიჯერე!

პარასკევი

მემარცხენე ხიზილალიდან ექსტრემ-მემარცხენე „პრადასკენ“ გაჩოჩება გადავწყვიტე.

შაბათი

მეგონა, მზის სხივმა გამაღვიძა-მეთქი და ჩემი სასთუმლის ლამპა ყოფილა. ანთებული დამრჩენია. შენ ლოგინში არ იყავი და ჩემს ტელევიზორში თოვდა. ეჭვმა ამიტანა, ლუდოსთან დავრეკე და ყურმილი შენ აიღე. დავკიდე, არც გიპასუხე. არ მინდოდა, გცოდნოდა, რომ გავიგე. ამას როგორ ვიზამ, რომ საუკეთესო მეგობარი და ჩემი ქალი დავკარგო, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ერთად წვანან.

კვირა

თავდაპირველად მეც ვიქტორ ჰიუგოსავით შატობრიანი მინდოდა გავმხდარიყავი ან არავინ. მაგრამ ასაკში გადავხედე ჩემს პრეტენზიებს. ერთხელ ვთქვი: „ანტუან ბლონდენი ან არავინ“. მომავალ წელს იყო „ფრედერიკ დარდი ან არავინ“. მერე „ჩარლზ ბუკოვსკი ან არავინ“, „ფილიპ ჯიანი ან არავინ“…. ახლა კი „ოსკარ დიუფრეზნი ან არავინ“. თუნდაც ვინმე, ოღონდ „არავინ“ აღარ შემიძლია.

ორშაბათი

ჩვენი უიკენდი ამსტერდამში? მატარებლიდან ჩამოვედით, კანფეტები ვჭამეთ და უცებ გაგვეღვიძა უკანა გზაზე. ერთადერთი მოგონება იყო კანაბისი ლამაზი სახელით MORNING GLORY.

მსხვერპლად აღარ გავიღებ შენდამი ერთგულებას და არც შენ აღარ გთხოვ.

სამშაბათი

სამი კვირის ფრაზა მაქვს და თვითონ აირჩიეთ. ნომინაციაზე წარდგენილი არიან:

- იქ ჩემი კაცი დგას. უნდა მივიდე, რომ დავშორდე (სიურეზნელი ევოდისგან).

- გკოცნი, როგორც სარეცხი მანქანა (ევოდის კაცისგან, პარიზი VI).

- ხვალ წმინდა ვალენტინის დღეა და კბილების გამოხეხვა არ დაგავიწყდეს („უცნობი კახპისგან“, პარიზი XVI).

ხუთშაბათი

აი, ისიც, თვალებით მეძებს ამ იდიოტებით გატენილ რესტორანში. დააგვიანდა და ღელავს. ჯერ გაბრაზებული ვიყავი, მარტო მაგიდასთან რომ მალოდინა, ამ სიგარეტით აყროლებულ ადგილას, ჩემი თაყვანისმცემლების გარემოცვაში, რომლებიც ქილიკობდნენ ჩემს ზურგს უკან. როგორ თუ ოსკარ დიუფრეზნი მარტოა მაგიდასთან, ვიღაცამ დაადოო… რა საჭიროა წიგნების წერა, თუ ასე გაგაპამპულებენ. მაგრამ როგორც კი გამოჩნდა, გული მომილბა, მაშინვე ვაპატიე. მომენტი მინდა გავწელო და ვუცქირო ისე, რომ თვითონ ვერ მხედავდეს.

ასე ვხვდები, როგორია ხოლმე უჩემოდ: დაფიქრებული და კონცენტრირებული, სერიოზული და საქმიანი. ყოველ მიზეზგარეშე საათები დავეყუდები და დაველოდები. ამიტომაც მიყვარხარ: პირველი ქალი ხარ, რომელმაც „ყოველ მიზეზგარეშე“ გამომაყენებინა. როგორ შეიძლება ასეთ ლამაზ ქმნილებაზე ეჭვიანობა? ვისაც შენთან ყოფნის სურვილი უჩნდება, ის ხომ აბსოლუტურად ნორმალურია.

მარტო მე არაფრით დამიმსახურებია ექსკლუზივი. მარტო რომ ვტკბებოდე ასეთი სილამაზით, ეგოიზმის უმაღლესი გამოხატულება არ იქნება?! სასწაულს მალვა არ უნდა. დაჟინებით მოვითხოვ, დარჩე ასეთი ლამაზი, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე რომ შევძლო შენი სიყვარული.

პარასკევი

ჟან-როშთან სადილის მერე რობერ იუსთან შესახვედრად წავედი საფრანგეთის კომუნისტური პარტიის შტაბბინაში. ჩემი მბორგავი ცხოვრების დაიჯესტი. ნამდვილად რაღაც ლოგიკაა ამაში, მაგრამ რა? ის ხომ არა, რომ სოციალური ადამიანი ვარ (ძველი სტანდარტის აქტუალიზაცია: „სოციალ-მოღალატე“)? ოსკარ ნიმაიერის კორპუსები ძალიან მომწონს (ჩვენ, ოსკარები, ძალიან მაგარი ტიპები ვართ). რობერ იუ მიხსნის, დედაქალაქ ბრაზილიის შემქმნელმა ბატონმა ოსკარმა (დღესაც ცოცხალია და 94 წლის ბრძანდება) მუქთაზე როგორ დახატა კოპაკაბანაში ნამგლისა და უროს ფორმის შენობა. კონკორდის მოედანზე, Jeu de Paume-ში, ამის რეტროსპექტივაც არსებობს. ყველა არქიტექტორი მაგარი გარეკილია: გაუდი, ლე კორბიუზიე, ნუველი, ნიმაიერი. პოლიტიკოსებისგან კი იმით განსხვავდებიან, რომ ჩადენილი აქტებით გამოწვეულ

შედეგებზე პასუხს აგებენ.

შაბათი

კაფკამ ყველაფერი გამაზა (სიყვარული, სამსახური, ოჯახი), ნაწარმოები რომ მაგარი გამოსვლოდა. ვგრძნობ, ამდენზე ვერ გავქაჩავ. არ მინდა, სევდა მომერიოს, დიდი მწერალი რომ გავხდე. უარს ვამბობ, ვიყო უბედური, ღრმა ნაწარმოებები რომ ვწერო. ისედაც განვიცდი, რომ საკმარისად დეპრესიული არა ვარ. საკმაოდ ირონიულია: რომ დამიცვან, ჩემი მეგობრები ხშირად მეუბნებიან, რომ ის არა ვარ, ვინც ვგონივარ ხალხს. ვიღაც სხვა დგას სვეკი ჯამბაზის ნიღბის მიღმა. მარტოობა, ტკივილი, დახმარების ძახილი… მადლობელი ვარ ამისთვის, მაგრამ ხანდახან ვფიქრობ: არაფერი რომ არ იყოს ნიღბის მიღმა? უბრალო ღამის კლუბის კლიენტი, ცარიელი მემატიანე,სასაცილო მარიონეტი და მეტი არაფერი? რადგან მსხვერპლის გაღების მუღამი არა მაქვს, იქნებ ამიტომ ვერ გავხდი მწერალი. ყოველ შემთხვევაში, სანამ მე თვითონ არ დავიჯერებ, რომ მწერალი ვარ, სხვაც არ დაიჯერებს.

კვირა

ან სკოტმა დამირეკა და მითხრა, სექს თოი გარდაიცვალაო (გულის შეტევა მოსვლია მედიკამენტური ოვერდოზის ნიადაგზე). სულ 33 წლის იყო. ახლა კი ნამდვილად სუპერ-ვარსკვლავი გახდება.

ორშაბათი

წარმატება მხოლოდ და მხოლოდ წარუმატებელი მარცხია.

სამშაბათი

კრისტინ ორბანმა რომანი გამოუშვა სახელწოდებით „ზმანი“ („ალბენ მიშელში“). დავუფასოთ, რაც მითხრა:

- გამომიჭრით შორტს?

ოთხშაბათი

კინო არ შეედრება თეატრს. ფილმი რომ გამოდის, მაშინვე უნდა წახვიდეთ და ნახოთ, თორემ მერე იმედი გაგიცრუვდებათ (უკვე ყველა ყველაფერს მოგიყვათ. ზეპირად იცით საკვანძო სცენა. მედიამ ტვინი წაიღო ანონსებითა და მსახიობების პრომოებით, პატრიკ ბესონმა კი დასასრული უკვე გიამბოთ). მაგრამ აი, თეატრის პიესა რაც შეიძლება მეტი დროის გასვლის მერე უნდა ნახოთ, არასდროს წახვიდეთ პრემიერაზე (თავიდან ყველაფერი საშინელია, მსახიობები პრემიერის საღამოს ყველაზე ცუდად თამაშობენ. დრო სჭირდებათ მათაც და ავტორსაც, რათა რეპლიკები შეასწოროს). კინოში ყველაფერი მაშინვე ხდება, თეატრს კი დრო სჭირდება დასაწრეტად, რომ ღვინოსავით უკეთესი გახდეს. კინო ახალი პროდუქტია, რომელიც მალე ფუჭდება. თეატრი კი ისეთი კერძია, რომელიც ცივი იჭმება. ნახეთ ახალი ფილმები და ძველი პიესები. ჟიეზბერ-ბეგბედერის თეორემას ჰგავს, ოღონდ ჟან-ლუკა ლაგარდერთან სადილის დროს. ამის დედა… სირცხვილია, ჩემნაირი ტიპი ძალაუფლებაში იყოს.

ხუთშაბათი

ერთ სადილზე მინდა მოგიყვეთ. მოკლედ, სასტუმრო Georges V-ში ვიყავით. იარაღის ერთმა გამყიდველმა შეგვკრიბა ომთან მებრძოლი ერთი ინტელექტუალის ბესტსელერის პრეზენტაციაზე. ისევ ვაშლის მღრღნელი ჭიის თეორიაა? სწორედ ამას დასცინის პასკალ ბრიუკნერი თავის ნაწარმოებში „აყვავების სიღატაკე“ (გამომცემლობა გრასსეტ), მაგრამ სხვა რამე აზრიანს ნეტავ ამბობს? ჯანყი სისტემის შიგნით სასაცილოა, მაგრამ ამ დროს რომ იოლია ხიზილალიანი ლანგუსტების უფასოდ მირთმევა? მაგრამ ჟოზე ბოვე ხომ გამოამწყვდიეს ექვსი თვით ციხეში, „მაკდოს“ მშენებლობაში უხეშად ჩარევისთვის. კრისტინ ოკრენი მეუღლის თანამშრომლის, ლორან ფაბიუსის, გვერდზე იჯდა და მომდევნო კვირას საფრანგეთის ტელევიზიის მესამე არხზე ინტერვიუ ჩამოართვა. კარლ ზეროს ძალიან ბევრი ეხვეწნენ, დიურასსა და გოდარს მიჰბაძეო. შევენმანის გამოკითხვები დსკ-ს გულს უხეთქავდა. აი, რეჟი დებრე კი არ იყო დაპატიჟებული (რეჟი დებრე ერთადერთი მწერალია, რომელსაც არასდროს შეუცვლია აზრი. აგერ ორმოცი წელია, ჩე გევარას მხარდამჭერია… რა, არა?). ამ ბოლო დროს სულ უფრო იმ აზრის ვარ, რომ ფულიან ტიპობას კაიტიპობა ჯობია.

პარასკევი

ბორდელში ძალთა თანაფარდობა შეიცვალა: თუ ვინმეს დაერხა, მამრობით სქესს - ნამდვილად.

შაბათი

გავუძლებ ჩემს midlife crisis?

კვირა

გამოვედი, რომ იქნებ სადმე უბედურებას გადავეყარო… რატომ და ბედნიერება უკვე ყელშია.

ორშაბათი

ევოდი ფრანსუაზას აცინებს:

- არა, ვერა… ამ საღამოს ვერ წავალ ორგიაზე. ეპილაცია არ გამიკეთებია.

სამშაბათი

ულტრალიბერალურ საზოგადოებაში ადამიანები ერთმანეთს აღარ ეკითხებიან, როგორ გიკითხოთო. სამაგიეროდ, ასე იკითხავენ:

- რამდენს ხარ?

ოთხშაბათი

ავტობუსის გაჩერებაზე „ლ'ორეალის“ რეკლამა ანათებს. ახალი შამპუნისთვის გაისარჯნენ: „ლოგინიდან წამომხტარი ვარცხნილობა: აჩეჩილის ეფექტი“. არ მეგონა, ჩვენი საზოგადოება აქამდე თუ მივიდოდა: უნდა ვიყიდოთ პროდუქტი, რომ ავიფოფროთ თმა. თურმე ყოველ დილას, როცა იღვიძებთ, ყველაზე მოდური ვარცხნილობა გაქვთ, იცოდით?.. არ გაბედო, ბედკრულო! არ გაბედო და თმა არ დაივარცხნო! არ გააფუჭო შედევრი! „ლ'ორეალი“ აქ არის, რომ ეს სასწაული შეგინარჩუნოთ: ზღარბული ღვთაებრივი სილამაზე, მისდა უნებურად გაპანკებული. სიმინდის ფუჩეჩი, თავისი სიქორფითა და სპონტანურობით, მოდის ბოლო კივილია! თქვენი ბალიში ბევრად მაგარი ყოფილა, ვიდრე ზუარი, ბიგინი და დესანჟი ერთად აღებული! ყოველ დილას ედუარ ბაერს ჰგავხართ და ეს ვარცხნილობა უფასოდ გაქვთ. ახალ იდეას ვთავაზობ „ლ'ორეალს“: კიდევ უფრო შორს შეუძლია წასვლა: ხომ შესაძლებელია მაკიაჟიც დაემატოს ამ ყველაფერს? ოღონდ მაკიაჟს უნდა შეეძლოს ზეწრის ნაოჭის აღბეჭდვა სახეზე… კიდევ მაინტერესებს, თუ შეძლებთ კბილის პასტის გამოშვებას სახელწოდებით „მყრალი სუნი“? და საპარსი კრემი „წვერის მოშვება“? იმიტომ, რომ ჩვენ ამად ვღირვართ, ამის დედაც!

ხუთშაბათი

ბერტრან სუშესთან, ბრუნო რიშარსა და ვუჩთან (ამის ნამდვილი სახელი გასაიდუმლოებულია) ერთად გადავწყვიტეთ, დავაარსოთ Number One Club de France. ეს იგივეა, რაც „Successful ტიპების ასოციაცია“. მსუყესადილების და ვულგარული დღესასწაულების მოწყობას ვაპირებთ ატომურ ნიმფომანებთან ერთად. ერთ კარგ ბეიზლაინს ვეძებთ ამ ძალიან პრივატული წრისთვის. ერთ ორიგინალურ აზრს გაგიზიარებთ: თუ რამე უკეთესი იპოვეთ, მოგვწერეთ, უარს არ ვიტყვით.

Number One Club de France: თქვენ არა ხართ წევრი და კიდევ დიდხანს არ იქნებით.

Number One Club de France: ისინი ტრიუმფატორები არიან.

Number One Club de France: შეიძლებოდა ეს კურდ იურგენსისკლუბი ყოფილიყო, მაგრამ სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის საწყალი.

Number One Club de France: მე მაყუთი მიყვარს. შენ არა?

Number One Club de France: თქვენ არ დგახართ მოწოდების სიმაღლეზე? ისინი - კი.

Number One Club de France: რა მსახიობია არა, ეს ბელმონდო?!

Number One Club de France: თუ ომი დაიწყო, კმაყოფილი დარჩებით მათი გაცნობით.

Number One Club de France: „მოყინულ ღამეს“ უჯოკრავს.

Number One Club de France: გეყო დანძრევა, აღარ მესმის დიკ რაივერსის სიმღერა.

Number One Club de France. ააუუუუუუუ, თფუიიი რაა! უნდა წავიდე, პარკინგში ჩემი მანქანა მეორე რიგშია და…

Number One Club de France: They are. Not you?

Number One Club de France: მდარე თუ ხარ, სულაც არ ნიშნავს, რომ ეს შენი ხვედრია.

პარასკევი

იდიოტებს ქათინაურები უხარიათ. ჭკვიანებს გაკრიტიკება ურჩევნიათ.

შაბათი

გუშინ საღამოს ტელეარხზე „ჯიმი“ სპეციალური გადაცემა იყო „ნირვანაზე“. პატრიკ ოდელინი გრანდიოზული იყო: როგორც ყოველთვის, ვერ გავიგეთ, რისი თქმა უნდოდა, მაგრამ, რასაკვირველია, ის იყო მართალი. დასასრულ, როცა როკის კრიტიკოსები კურტ კობეინის თვითმკვლელობაზე გადავიდნენ, ლორანს რომანსმა და ფილიპ მანევრმა ჯღავილი შეწყვიტეს. ვერაფრით გავიგე, რას მისტიროდნენ, დიდი songwriter-ის გარდაცვალებას, rok'n roll-ის დასამარებას თუ დაკარგულ ახალგაზრდობას.

ჩემზე ყველაზე მეტად იმან იმოქმედა, რომ კურტ კობეინი 1967 წელს იყო დაბადებული. სულ მიკვირს, რანაირად ხდება ისე, რომ ვინმე ჩემზე ახალგაზრდა ჩემზე ადრე კვდება.

კვირა

ბევრი ქალაქი მინახავს და ყოველთვის ვეძებდი ისეთ ადგილს, სადაცთავს საკუთარ სახლში ვიგრძნობდი. ან ოდესმე იმ ადგილს შევაფარებდით თავს. ვმოგზაურობ და თან პლანეტას ვათვალიერებ, თითქოს ბინის დასაქირავებლად დავდიოდე. ზოგიერთი ადგილი შეიძლება მიზნის მიღწევის ადგილად ჩავთვალოთ, ლამის ცხოვრების მიზნად. ეს მომავლის იმედს აღვივებს.

ვისბადენის პარკში ბავშვებს ვუყურებდი, როგორ თამაშობდნენ ფეხბურთს. ცხელოდა და ბალახზე ვიჯექი.

კრაკოვის ტაძარი… ღამის შუქზე გადავიღე.

სივერგის თუ აეცის ბორცვი, სადაც ცხვრები თეთრი ლაქებივით ჩანან მწვანე ფონზე.

პირანის მოედანი, პატარა სლოვაკური ვენეცია, თეთრი და ვარდისფერი სახლებით, საიდანაც კეკლუცად მოლივლივე გემები მოჩანს ადრიატიკის ზღვაზე.

ბუქარესტის სიშმიგიუს პარკი. ამ ადგილას სრულიად გალეშილი ვებაასებოდი რუმინელ კატას.

თუნდაც პეტრე I-ის ბაღი სანქტ-პეტერბურგში. ბაროკოს სტილში ნაშენი ყვითლად შეღებილი სახლები, რომ დაგვაბოლონ, კარგი ამინდიაო. ქვის სკამზე მე - ლუდით ხელში. ვრცელი მოედნები და გაყინული ნევა, რომელსაც ფეხითაც გადაჭრი.

სამხრეთისკენ მიმავალი სწრაფი მატარებელი. ჩემს მხარზე ჩაძინებული პაწაწინა გოგონა, პატარა ბუტია, შეჭმუხნილი წარბებით, ცერათითით პირში.

სავსე მთვარე შუადღისას. რიგის გაყინული ცის ქვეშ ტელეანძა.

ახალი ევროპა მირჩევნია. ისე უცნაურად მეჩვენება ისეთ ხალხთან შეხვედრა, რომლისთვისაც ევროპელობა სიამაყის მიზეზი გამხდარა.

სადილი რუსეთში. ვიღაც კითხულობს: „და ანგარიშს ვინ იხდის?“ რაზეც გალეშილი კონსული პასუხობს: „საფრანგეთი“.

ყველა ეს გრაალი გამბედაობას მმატებს.

ორშაბათი

როგორც იდიოტი, ორი დღით ადრე დავეყუდე Nirvana Lounge-ის (მატინიონის პროსპექტზე) გახსნაზე. კლოდ შალეს გადავეყარე. თვალები ჰქონდა ჩამოსივებული. კომბინეზონიანი მუშები ტუალეტის კედლებს ხვრეტდნენ. გადმობრუნებული სკამები მაგიდებზე იყო შემოწყობილი. მოკლედ რომ ვთქვა, საუკუნის ფიესტას არ ჰგავდა. საბედნიეროდ, პატრონს შევებრალე და კლუბის მიწისქვეშა სივრცე დამათვალიერებინა. სამოცდაათიანების სული ტრიალებს. ლენი კრავიცის სახლის სტილშია გადაწყვეტილი. კედლებთან სტაბილიზატორებია და საცეკვაო მოედანი დიდი შავი მუსიკალური დისკია. მრგვალი სავარძლები მოედნის გარშემოა ჩამწკრივებული, როგორც ფინურ ინტერიერის ჟურნალებში. ნაზი შუქი ბალიშებზე წამოწოლისა და გათიშულ მოდელებზე რწყევის სურვილს მიჩენს. როგორც ტერმინატორი, ვტოვებ იქაურობას იმ იმედით, რომ: I'll be back (თუმცა არ დავბრუნებულვარ).

სამშაბათი

Bains-ში ალენ შაბა სადილს აწყობს. სპეციალურად ოფელისთან ერთად გვიან მოვიდა. რომ დავტუქსოთ, მე და კადი ისე ვიქცევით, თითქოს ვერ ვცნობთ. სულ ფეხზე ჰკიდია. რა უჭირს?! თოთხმეტი მილიონი ახალი მეგობარი შეიძინა. მას მერე, რაც ნორმალური კბილები აქვს, ჯოესტარი შესანიშნავი დიჯეი გახდა. მაიკლ ჯექსონი დადო და მიკროფონში რაღაცას ბურტყუნებს (ზუსტად ისე, როგორც მე VIP Room-ში). მე ვიყვირე: „მაიკლლლლ!“. ფრანსუაზა მევედრება, ნუ ღრიალებ, შეიძლება გაიგოსო: „მოკეტე რა!“ და ცხვირ-პირი დაგინგრიოსო. ჯამელ დებიუზის რაღაც იდიოტური ქუდი ახურავს, რომელიც სულ არ აღიზიანებს მის მარჯვნივ მდგომ მაღალ შავთმიან გოგოს. მგონი, თავზე ბლენდერიც რომ ჰქონოდა ჩამომხობილი, მაინც მოხიბლავდა ამ გოგოს. ერთი პიერ ფარუჯია არ ჩანს არსად. რა ენაღვლება, რა? კარგად ცხოვრობს და პრობლემები არ სჭირდება.

ოთხშაბათი

ნეტავ რატომ არ ვიკადრე Elle-ს ფართი? იმიტომ, რომ უკვე ასაკში ვარ და ზედიზედ სამ საღამოს ვერ ვილოთავებ. ჩემი სიკვდილი გინდათ თუ რა? კითხვა მირჩევნია: „ეს დიდებაა, პიერ-ფრანსუა!“ - გაბრიელ მაცნევის სტატიების კრებულია. აქ კი ჩემს დევიზსაც კი გადავაჭარბე: „რაც უფრო დიდია ხელოვანი, მით უფრო ხდება თავისი ბზიკების მსხვერპლი“.

ხუთშაბათი

…და წავიდააააა! ეს რა გიჟური კვირა იყო: იმ საღამოს WAGG-ის (ეხ, Whisky a Go Go) ინაუგურაცია აღვნიშნეთ. დეკორაცია აბსოლუტურად შეცვლილი იყო. ახალი შესასვლელი სენის ქუჩიდან კი აღარ არის, ახლა მაზარინის ქუჩიდან შევდივართ, რესტორან „ალკაზარის“ ქვეშ. ცოტათი პროვინციული გეი-კლუბის იერი გაჰკრავს (თაღიანი სარდაფი, ლურჯი განათება… ეს კი სახეზე ცუდ ფერს აჩენს. კლიენტურა - „კაი ტიპები“,ატმოსფერო - „კომპანიის ბიჭის“). ძალიან პეოპლე-ც არ არის. და ამას რითი ვხვდებით? მაშინ, როცა მე იქ ვარ და ყველაზე პოპულარული ტიპი ვარ.

პარასკევი

ერთი საშუალება ვიპოვე, იმ შემთხვევისთვის, როცა ახლომხედველი ხარ და საზოგადოებაში ხშირად გადიხარ: სულ უნდა იღიმო. დეგენერატს კი ვემსგავსებით, მაგრამ, როგორც წესი, მტრების გაჩენის შანსი დაბალია.

შაბათი

დამნაშავეობის კომპლექსის მოსახსნელად ყველა მდიდარი კომუნისტებს უნდა აძლევდეს ხმას. ძალიან გროტესკულია წითელი მილიარდერი, მაგრამ ნაკლებად მარაზმული, ვიდრე ისეთი მილიარდერი, რომელიც ტირის, ზედმეტ გადასახადს მაწერს სახელმწიფოო.

კვირა

„საკუთარი ფანტაზმების რეალიზება იმედის ჩაკვლას ნიშნავს“, - ამბობს ფრანსუაზა. ფრანსუაზა კი ყოველთვის მართალია. მინდოდა ჟიული და ჯიმი მეთამაშა ლუდოსა და ფრანსუაზასთან „სამკუთხედის“ პონტში. მაგრამ ფანტაზმები რომ სულ არ გავანადგურო, მირჩევნია, არ გავძღე და გემოვნებაც შევინარჩუნო. დაე, გვქონდეს დაუკმაყოფილებელი სურვილები, გავუფრთხილდეთ ოცნებებს: სურვილის ქონა სიცოცხლის წყურვილს ამძაფრებს.

ორშაბათი

სადილი ოლივიე კასტელის რესტორანში: ძმაბიჭების საზოგადოება (ლეოპოლდ რობერის ქუჩა, პარიზი XIV). გიიომის ძმა მოვიკითხე:

- ჰმმმ… პაკისტანსა და ინდოეთს შორის რომ ქვეყანაა, აი, იქ არის… უხ შენი, სახელი დამავიწყდა… მოიცააა, აი, რომ ეწევიან, იმის სახელი აქვს…

- ავღანური? რა, ირანი?

- არა! ქაშმირშია!

- შენ რა, შენს პულოვერებს ეწევი?

- ჰო, აბა, რა ვქნა, სხვა მოსაწევი თუ აღარ მაქვს?..

სამშაბათი

სტეფან მარეს მოწყობილი საღამო პრინცესას ქუჩაზე. იმდენი ვართ, რომ ცოტა ვღელავ. რატომ მოვაკლდე სიტუაციას, როცა შეიძლება ჩემი საყვარელი სპორტი გავიხსენო: დავინახო ნაცნობები და ვითომ ვერ ვცნობ, არ შევიმჩნიო.

ჰოოო, აი, მაშინ, როცა დომინიკ ისერმანი ლინდა ევანჯელისტას გამაცნობს, არავითარ შემთხვევაში სნობი არ ვიქნები. ვეკითხები, არ მოგბეზრდათ, ფოტოაპარატის პროჟექტორი სიფათში თექვსმეტი წლის ასაკიდან რომ გინათებთ-მეთქი. ჩემს კითხვაზე არ იცინის, იმიტომ, რომ ვერ გაიგო, რა ვკითხე? ამ საღამოს რაღაც აგრესიული ვარ, ჟან-ფრანსუა ჟონველზე ვფიქრობ. სტეფან მარე ბოლო ფართიზე ამ სავარძელში იჯდა. ახლა სად ზის? სიევის მარჯვნივ? ვურჩევდი, „ანჟ პროვოკატორზე“ გაწვეს და ჰიპერკონტრასტული შავ-თეთრი ფოტო გადაიღოს. ვიქტუარ დე კასტელანი ერიკ ბერჟერის პერანგს მიხსნის და უბალნო მკერდზე ნამცხვარს მაწებებს. ხმას არ ვიღებ. მიმაწებოს თუ უნდა… ჟერალდ მარი ტელეფონის ნომერს მეკითხება: ნეტავ რა ხდება? ტოპმოდელის კარიერა ხომ არ მეჭყანება? ერთ დღესაც მივაღწევ ჩემს მიზანს: სახე გავხდები. ფრედერიკ სანჩესი ჰერბი ჰენკოკს დებს და ყინულისთვის განკუთვნილ ჭურჭელში რომ არ ვიცეკვო, სამი კაცი მჭირდება გასაკავებლად.

ოთხშაბათი

მოკლედ, რისი თქმა შემიძლია ამ საღამოზე: „მაგრად მევასება ეს გოგო, მაგრამ 1997 წლიდან არაფერი უჭამია“. „ჩემს სპერმაზე სერფინგი ხომ არ მოვაწყოთ?“ You're so you!“ არ ვიცი, თუ ხვდები, მაგრამ სიცოცხლის ექვსი წამი დამაკარგვინე“. „ჩემი ერთადერთი რელიგია თავად მე ვარ“.

გაზაფხული

საღამო მშვიდობისა, ამა სოფელო

ხუთშაბათი

Stringfellows-ის ინაუგურაცია. როგორც ადრე, ახლაც ისეა - ტანისამოსის გარეშე. Pink Platinum, Hustler და Stringfellows-თან ერთად პარიზმა თავისი ომამდე არსებული რეპუტაცია დაიბრუნა: ფეხაწეული დედიშობილა ნაშების ქალაქი. ჩვენ, ყველა, ტანგიანი „კაი ტიპები“ ვართ! შიშველი სხეულით, მოთანთალე მკერდით, კრიალა ბოქვენით, ვარდისფერი ტუჩებით, მოქნილი ზურგით (სადაც „დიორის“ J'adore ოფლად მოდის) ვკაიფობ. იმას ვხედავ, რაც მინდა. ყველაზე სასიამოვნო პროცესია, ერთგული დარჩე თვალის მოტყუებით.

პარასკევი

Vivendi SA-ის დეფიციტი 13 მილიარდ ევროს აღწევს. რა მაყუთია, აზრზე ხართ? არ შეიძლება მისი გენერალური დირექტორი მოგვეტეხა და ვინმე სერიოზული ტიპი დაგვესვა სათავეში? რა ვიცი აბა, მე…. ან რობერ იუ, მაგალითად? ჰაა, არა?

შაბათი

„კომერციულ სტრატეგიაში მონაწილე ვარ“. ყველაზე მაგარ ტიპს მსოფლიოში ტომ ფორდი ჰქვია. თქვენი ცხოვრება აბრეშუმივით რომ გახდეს, იფიქრეთ ტომ ფორდზე, რას იზამდა თქვენს ადგილას და ა.შ. არა, ის მართალია, რომ თქვენნაირად ჩაცმული არ იქნებოდა. არავის უღიმის კარლ ლაგერფელდის გარდა. არც ამ წიგნს წაიკითხავს, რა დავწერე მასზე. სად სცალია? სადმე იქნება ახალი მექსიკის უდაბნოში, სულ შავებში ჩაცმული, თავისი ვილის ქათქათა კედელზე მიყუდებული და მთქნარებით გადაფურცლავს Wall Paper-ის ფურცლებს. მერე ძალიან პრივატულ საღამოს მოაწყობს, სადაც ისეთი ადამიანები იქნებიან, რომლებსაც, როგორც წესი, ბრიუს ვებერის ფოტოებზე ვხედავთ და ძალიან, ძალიან, ძალიან სასიამოვნო საღამოს გაატარებენ.

კვირა

გითხრათ, მომავალი ორმოცი წელი რა პრობლემა მექნება? ვეცდები, ვიყო ბედნიერი, მიუხედავად იმისა, რომ ტომ ფორდი არა ვარ.

ორშაბათი

საზიზღარ ხასიათზე გავიღვიძე: ფრანსუაზა ისევ არ მოსულა შინ. ვცდილობ, მაგრამ მაინც არ გამომდის, დავიკიდო. ჟან-პოლ ენტოვენთან ერთად ვსადილობ. ჩემი გამომცემელი და თან მეგობარიცაა.

- როგორ ხარ? რა სახე გაქვს, რა გჭირს?

- ანუ… თავის მოკვლა მინდა.

- მშვენიერი იქნება წიგნის ტირაჟისთვის. „დღიური“ საკულტო წიგნი გახდება. აი, მაგალითად, როგორც ბროტიგანმა ქნა, ან სილვია პლათმა.

- დიდი მადლობა…

- იცი, თვითმკვლელობის პრობლემა ისაა, რომ ჩვენ აღარ ვხედავთ, მერე რა ხდება.

აი, როგორ მიწამლა და ხელი ამაღებინა თვითმკვლელობაზე. მაშასადამე, იმ დღეს, მისდა უნებურად, ჟან-პოლ ენტოვენმა, ფაქტობრივად, სიცოცხლე მაჩუქა.

სამშაბათი

ვალ პაჩინომ ახალი კოქტეილი გამასინჯა: „თხევად კოკაინად“ მონათლა. ერთი მესამედი არაყი, ერთი მესამედი Get 27, ერთი მესამედი „პერიე“. Get 27 არყის სიმწარეს კლავს, „პერიეს“ გაზი კი ალკოჰოლის სისხლში შეღწევას აჩქარებს. სამი ჭიქის მერე, ფაქტობრივად, სტრობოსკოპი ხდები.

ოთხშაბათი

„თხევადი კოკაინის“ ლიტრობით ხუხვის მერე, ძალიან გამიჭირდება რაიმეს მოყოლა. მოკლედ, ჟურნალVSD-ს ფართიზე, როგორც ყოველთვის, ორგანიზატორებს ცუდი იდეა მოუვიდათ, ჩემთვის Warm up ეთხოვათ. რისი თქმა მინდა: 23 საათიდან ღამის თორმეტამდე დისკ-ჟოკეობა დამავალეს, ვითომდა როგორმე დიდი ავა გარდნერის VIP Room-ში შემოსვლა რომ გამეჩალიჩებინა. რის ვაი-ვაგლახით Surpemes უნიჭოდ გადავაბი Stooges-ს, თან საშინელ იდიოტობებს ჩავძახოდი მიკროფონში. განსაკუთრებით „მიხმარეთ, არ დამინდოთ!“-ზე ჩავიხვიე (მას მერე, რაც მარკ დორსელმა მელანი კოსტი გამაცნო და პატრიკ ბესონი ჩემს ქალს აბამდა, საოცრად სექსუალური გავხდი). პლაზმურ ეკრანზე ბიკინიანი ესტელ დესანჟი ფოტოებიდან იჭყიტება, გარშემო გამოლენჩებული უნგრელი გოგოები ახვევია. ეკრანზე რაც ხდება, ბევრად მირჩევნია, ვიდრე დარბაზში. პუბლიკა შუალედებში მისტვენს. მაგრამ ესეც ჩემი „ფაბრიკის“ ნაწილია - Dufresne’s touche, რა! ეს მარცხია ჩემებურად, ოღონდ მოედნის დაუტოვებლად. ჩემი საიდუმლო? ადვილია: რაც მინდა, იმას დავდებ. ხალხი შინ მაინც არ წავა, სანამ ბარი open-ია. ერთმა შერეკილმა ასეთი თამაში შემომთავაზა: „აღვირახსნილი Art“ (სექსუალური პარტნიორის გაცვლის ტრივიალური მდევრის პონტში). ერთი სული მაქვს, შინ როდის მივალ და პირველ პარტიას ვითამაშებ: „თქვენ და თქვენი პარტნიორი ერთმანეთს თავს ანდომებთ. ეძებთ ერთდროულად და პოულობთ სურნელს, რომელიც აღაგზნებს თქვენს სხეულებს“, - ასე ამბობს 46-ე ბარათი. რა სკრაბლის თამაში, რის სკრაბლის თამაში? უკვე ხავსმოკიდებულია ამასთან შედარებით.

ხუთშაბათი

ვცდილობ, მაგიდა დავჯავშნო Cantine de Faubourg-ში. მოიცა ერთი, სადა ხარ? მიბრძანდით, ყველაფერი დაკავებულიაო. სულ ტყუილად ვიმეორე ჩემიგვარი, დავმარცვლე რამდენჯერმე… არა! არაფერმა გაჭრა. ამის დედაც… აბა, რაღა საჭიროა ტელევიზიით გამოჩენა, თუ მოდურ რესტორანში ადგილს ვერ იშოვი?

- ჰოდა, შენც რადიოში იმუშავე, - მეუბნება „უცნობი კახპა“.

ბოლო-ბოლო, ბედს დავემორჩილები. ევრიკა! მივხვდი, რატომ უნდა ყველა წამყვანს რადიოში მუშაობა: მზადაა აიტანოს მსმენელის საზიზღარი დამოკიდებულება, თავი დაიმციროს, მთელი წელი გადაცემაში დებილები მოიწვიოს, იღიმოს prime-time „თქვენი აპლოდისმენტების თანხლებით“, სასაცილოდ გაიხადოს თავი პირდაპირ ეთერში, ულტრაიისფერი სხივებით დასხივდეს, ჩაისვას ინპლანტანტები და გაიკეთოს ლიფტინგი… და ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ, რომ Cantine de Faubourg-ში მოხვდეს.

პარასკევი

ჟან-ნოს Pulp-ში მოწყობილ საღამოზე ვკითხე, რა ჰქვია ამ შესანიშნავ პანკჯგუფს, რომელიც თრაშ-მეტალის ვერსიით მღერის ნიკოლეტას „მუსიკას“-მეთქი.

- ნეტაი შენ… - ასე მიპასუხა.

მოუსმინეთ, შესანიშნავი ჯგუფია: „ნეტაი შენ“.

შაბათი

ლოლიტა და მისი ერთი მეგობარი პარიზისXVI ოლქში არიან და საუბრობენ:

- „ნივაკინი“ გაქვს?

- არა. რატომ მეკითხები?

- Fabrique-ში მივდივართ დღეს საღამოს?

- კი და მერე რა…

- ბასტილიის მერე არ არის, აღმოსავლეთით? რა, გინდა მალარია აიკიდო? შენ იცი, რომ იქ ხალხს შავი კბილები აქვს და სულ შალის ქუდები ახურავს?

კვირა

ყველაზე უცნაური საზღვარგარეთ ყოფნისას ის არის, რომ ჟურნალისტები ძალიან სერიოზული სახით მეკითხებიან ცხოვრების აზრზე. ერიკ-ემანუელ შმიტში ვერევი თუ რა, არ ვიცი…

ორშაბათი

ყველაზე კომფორტულად თავს თვითმფრინავში ვგრძნობ, როცა მუსიკის თანხლებით ილუმინატორიდან ღრუბლებს გავცქერი ან თუ სასმლისგან სრულიად გათიშული ვარ და უცნობი გოგონა ტანთ მხდის… ან როცა აუზში ვცურავ მზიან დღეს, ან როცა მე და ფრანსუაზა 69-ე პოზაში ვწევართ, ან კიდევ, როცა ბარნაბუთის დღიურს ვკითხულობ და ზედ „მადუდუს“ „რომ-ვანილს“ ვაყოლებ.

სამშაბათი

ამ პერიოდში რაღაც ძალიან მაღიზიანებენ ისეთები, რომლებიც მელოდიებს უსმენენ „ამელი პულენიდან“. ასეთ აკორდეონის მუსიკაზე მახსენდება საღამოები ბარებში, სადაც კლიენტები მაგარ შავ ღვინოს სვამენ, ტუჩების გარშემო სისხლისფრად რომ ახმებათ, თმა ჭუჭყისგან გალესილი აქვთ და ერთ ქალს ვერ იპოვით, დასაწოლად რომ ღირდეს.

ყოველთვის მოიძებნება ვიღაც იდიოტი, რომელიც მოგეკრობა და დაუსრულებლად მოგიყვებათ, როგორ წერს რაღაც წიგნს. მიდი და აიტანე მისი პირის მყრალი სუნი. მანიაკი გავხდი. ვეღარ ვიტან „სამი დღის მოშვებული წვერის“ ამბავს… და „ჯიგარ, სადმე სხვა კაფეში ხომ არ გავსულიყავით და „მწვანე ზანგისთვის“ მოგვესმინა?“ - გული მერევა ამაზე. სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ. ეს იმ ღამეებს მახსენებს, სამყაროს შეცვლის სურვილი რომ დავკარგე და ბოლოს თავად მე გამოვედი გადაკეთებული.

ოთხშაბათი

ჯერ ნახევარი საათია, რაც ბარსელონაში ვარ, მაგრამ მოვასწარი და ლიმონიან ჯინს ვსვამ და თვრამეტი წლის კატალონიელ გოგოშკებს ვთირავ. ვგიჟდები, ჩემს ტვინში გადარჩევაზე რომ ვმუშაობ: ეს არა უშავს. ესსს? არა, ვერაფრით. ეს კი, როგორ არა! შესაძლოა! ვერა! ვიზამ! ვერ ვიზამ! ძაალიან ლამაზია… ოჰ, ეს ძაალიან უშნოა…. ქალებს ვერ გაუგიათ, რომ კაცები მთელ ცხოვრებას მათ შედარებაში ატარებენ. ამას ვიხმარდი, ამას - ვერა… დამამცირებელია ქალებისთვის? შეიძლება კი. მაგრამ ყველაზე დამამცირებელი მამაკაცის მდგომარეობაა. ბოლოს გაიჩითება ვიღაც ლამაზუკანალიანი, დიდი მკერდით და შენ უყურე. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ფრანსუაზას მაგონებს. ჯანდაბა! ჯანდაბა! მართლა ჰგავს. ყველა ქალი, ვინც მომეწონა, შენი პლაგიატი გამოდის. რა სისულელეა ეს სიყვარული! შეყვარებულ კაცზე მეტი რასისტი არ არსებობს. მხოლოდ ერთი აინტერესებსდა სხვები, თუ გინდ, ამოწყვეტილან. უღალატე ცოლს ან შეყვარებულს? ეს საკუთარი თავის ღალატია და სხვა არაფერი. მოკლედ, გამოდის, ერთს მეორით ვერ შეცვლი. თუ გიყვარს ერთი, გინდა ის და არა სხვა.

სამაგიეროდ, ყველაზე გენიალური ის არის, რომ ფულის გადაცვლა აღარ არის საჭირო. ევროთი უცხო ქვეყანაშიც შინ გგონია თავი. ესპანური არ იცით, მაგრამ ისე გაცვიათ, როგორც ოტოქთონებს. გლობალიზაცია ნიშნავს, თავი ისე იგრძნო, როგორც შინ, მაგრამ თან უცხოობდე. აბა, მოგზაურობა წარმოიდგინეთ გლობალიზაციის რეჟიმის დროს? გენიალურია. მთავარია, ევროთი იყოთ გაძეძგილი, დანარჩენი სულ ფეხზე დაიკიდეთ. მე ხომ მოგზაურობის მეტს არაფერს ვაკეთებ. მაგრამ გგონიათ, რამეს ვხედავ ან ვამჩნევ? არა, იმიტომ, რომ არაფერია სანახავი! ყველა ქვეყანა ჩემსას ჰგავს. მსგავსიდან იმავეში მივფრინავ. ადამიანებს იგივე ტანისამოსი აცვიათ, დადიან იმავე მაღაზიებში. ერთადერთი დადებითი ამ უნიფორმაციაში არის ის, რომ მთელი მსოფლიო ჩემთანაა, რადგან წავალ თუ დავბრუნდები, სულერთია… ყველა ერთნაირია მაინც.

ხუთშაბათი

ბრავო „მოხრჩობას“, ჩაკ პალანიკის ახალი რომანია („მებრძოლთა კლუბის“ ავტორი). რას წერს, ნახეთ: „ყველაზე უარესი ორალური სექსიც კი სჯობს ულამაზესი ვარდის ყნოსვას, ან ყველაზე ლამაზი მზის ჩასვლით ტკბობას“.

ყოველ შემთხვევაში, ლიბიდო აღარ შემრჩა. სექსი აღარ მინდა, ფლირტი მირჩევნია. დიდი-დიდი, მინეტი ან დანძრევა, კარგი იქნებოდა. ქალთან დაწოლა? არა, დიდი მადლობა. აღარ მივდევ ამ სპორტს. თან პრეზერვატივით? რა ინტერესია? უპრეზერვატივოდ კი იზმენა მემართება (მაშინვე შედეგი იცვლება). არ მესმის კაცური დებილური აზროვნება: თითქოს რამით სჯობდეს სექსი ფლირტს. ჩემი აზრით, პირიქითაა. სექსი ნაკლებად აღმგზნებია, ვიდრე სლოუს ცეკვა. ერთი კოცნა კისერში რად ღირს? შეედრება ვაგინალურ შედი-გამოდის?! თმაში უჩუმრად შეცურებული ხელი და Durex-ის პრეზერვატივში გამოთავისუფლებული ვნება?.. ამბორი საფეთქელზე, პირში ვნებიანად ჩადებული თითი, განა უფრო სასიამოვნო არ არის, ვიდრე სასქესო ორგანო ყურის ნიჟარაში? აბა, რომელი ჯობია, მუშტი უკანალში თუ უკანალი ცხვირზე? კარგი ახლა, ალალად მითხარით, არა ვარმართალი?

პარასკევი

სადილი ბარიო-ჩინოში, Casa Leopoldo-ში, ცნობილი რესტორანია, რომელიც ანდრე პიერ დე მანდიარგმა ახსენა „მინდორში“. ვასკეს მონტალბანი, ხუან კარლოსი და ხოსე ლუის დე ვილალონგა აქ ხშირი სტუმრები არიან. ხაბუგო გამორჩეული ადგილია. მუცლის გვრემა დავიმართე, იმდენი შემწვარ-მოხრაკული გეახელით. ახალი ტენდენცია დავნერგეთ: Poiling (დემის რუსოსის სტილი მოდაში დაბრუნდება, ჩემი მამაკაცური მეგობრების აზრით. აუცილებლად უნდა მოვუშვათ წვერი სახესა და მკერდზე. ნიკაპსა და სასქესო ორგანოს შორის არსებულ ადგილებზე გაშენებული ტყე მაგრად ასწორებს. „აბა, შენ რა გეშველება ამ ზაფხულს, შე საწყალოო“… - თუ მართლა ასე მოხდა, მთლად ოხრად წავა ჩემი ზაფხული მოკრიალებული მკერდის წყალობით). მერე ბარსელონის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში წამიყვანეს (ფანტასტიკური შენობაა, რიშარ მაიერმა დააპროექტა):

- აი, ნახავ. ბარსელონის ტიპური ფიესტა იქნება: არავინ ცეკვავს და ყველა მისჩერებია ახალ მოსულს.

- მართლა? უყურე შენ? პარიზის ტიპურ ფიესტებს ჰგავს, - ვუპასუხე.

შაბათი

ტელევიზიის ხსენება ხასიათს მიკეთებს. ლესკიური და ფარუჯია მეძახიან, მოდიო. არდისონმა მირჩია, ნუ წახვალ, არ გინდაო. თუ დავთანხმდი, გამოდის, სიძულვილს დავიმსახურებ. ცნობისმოყვარეობამ და გამარჯვების ხიბლმა მაინც თავისი ქნა.

კვირა

ძალაუფლება რომ მოიპოვოთ, ითამაშეთ, ვითომ სუსტი ხართ.

ორშაბათი

მომხრე ვარ, „ღარიბთა ბარათის“ შემოღების. ამ ბარათით აუცილებლად შეაღწევენ Zara-ში, H&M, Kookai, NafNaf, Gap-სა და ასე შემდეგ მაღაზიებში. მხოლოდ ამ ბარათის მფლობელ ქალბატონებს (მიენიჭებოდათ მხოლოდ მას მერე, როცა დაამტკიცებდნენ, რომ თვეში 1500 ევროზე მცირე თანხას გამოიმუშავებენ) ტანსაცმლის იაფ მაღაზიებში ვაჭრობის უფლება ექნებოდათ. ამგვარად, მდიდრები იძულებული გახდებოდნენ, ერთი ბიკინი 2000 ევროდ ეყიდათ Chanel-თან (რაც საავადმყოფოებსა და ბაგა-ბაღებში დღგ-ს 33% გადარიცხვას გულისხმობს…), ასევე თანახმა ვარ, აიკრძალოს ფასდაკლებები Khristine Orban-სა და Paris Hilton-ში.

სამშაბათი

ამ საღამოს მეშვიდეჯერ მოვუკიდე მარიხუანიან სიგარეტს. ეჭვი მქონდა, ცოტა ზედმეტი ხომ არ არის-მეთქი, მაგრამ უკვე ძალიან გვიანი იყო, ჩაქრობის თავი აღარ მქონდა. ნეტავ საიდან მომივიდა ეს დეპრესიული კრიზისი, რამაც ჩემს მუჯი-დღიურში ასეთი რამ დამაწერინა: „ამის დედაც… მაგრამ სად ვარ? ნეონის შუქი ასფალტზე როგორ ირეკლება. წესით, ქალაქში უნდა ვიყო, მაგრამ რომელში? და რომელი ქვეყნის ქალაქში? სამშობლო უნდა ვიპოვო, თუკი ის ოდესმე მქონია“.

დასკვნა: უფრთხილდით მარიხუანას მეშვიდედ მოწევას. სუვერენიტეტულს გაგხდით.

ოთხშაბათი

ალენ ფინკელკრაუტი ვერ იტანს მუსიკას ბარებში. ეს გაუთავებელი ხმაური ხელს უშლის ლაპარაკს, ფიქრს, აღგზნებას. მართალი ბრძანდება, მაგრამ ამ კაკოფონიის გამართლებაც შეიძლება: მუსიკა ისე ძლიერად უკრავს (მაგალითად, Fabrique-ში ან Sans Sanz-ში), რომ შეუძლებელია, გაიგო, რას გეუბნება მეზობელი. უცებ ხვდები, რომ ლამაზი ქალის შესაბმელად ლაპარაკით ვერაფერს გახდები და პირდაპირ მხარზე უნდა აკოცო ან კისერზე უკბინო და ან საერთოდ, ზასით ჩაჰყვირო. ბისტროებში ხმამაღალი მუსიკა ქალის შებმის გარკვეულ ეტაპებს გატოვებინებს, პირდაპირ სხეულის სიახლოვეზე გადაჰყავხარ… კომუნიკაციის სხვა დონეზე.

ხუთშაბათი

„უკეთესი“ „კარგის“ მტერია, „უარესი“ - „საუკეთესოსი“. ვერაფერი მტრობს „გენიალურს“. „ბანძი“ „სუპერმაგარს“ მტრობს. „ნაგავი“ „უმაღლეს ხარისხს“ მტრობს. უაუუუ! რამდენი ახალი რამის აღმოჩენა შეიძლება, თუ ცოტა გაანძრევ ტვინს.

პარასკევი

რატომ არის ასე მჭიდროდ ერთმანეთთან დაკავშირებული ჩემი ცხოვრება და ჩემი წიგნი? იმიტომ, რომ სანამ ქაღალდზე გადავიტან, როგორც განსწავლული გიუი ექსპერიმენტებს ვატარებ საკუთარ თავზე. თავად ვარ ადამიანი, რომელზეც ცდას ვატარებ.

შაბათი

ფრანსუაზასთან ახალი საეჭვიანო მაქვს. მართლა ცინიკოსი რომ ვყოფილიყავი, ასე ხშირად ხომ არ გავწითლდებოდი? ლუდოსთან ურთიერთობას უარყოფს. მისი არ მჯერა, თუმცა ჩემზე უკეთესი მსახიობია.

კვირა

საცეკვაო მოედანი ხალხით იყო სავსე. VIP-ოთახს შევაფარე თავი. იქაურობაც გადატენილი დამხვდა. ამიტომ კიდევ უფრო პრივატული კუთხე მიპოვეს ზედა სართულზე. ისიც სულ მალე გაივსო. მაშინ ბარის პატრონმა თავის კაბინეტში წამიყვანა, ულტრარჩეული პირებისთვის. ნეტავ ამის მერე რა იქნება? რა და, შინ წავალ. VIP-საღამო დასასრულს მიუახლოვდა, უფრო და უფრო ცოტა ხალხი დარჩა, კიდევ უფრო გაიცხრილნენ. სნობიზმის უმაღლესი წერტილი ხომ მონასტერია. VIP-ოთახი იდეალური ადგილია, კუნძულია უდაბნოში.

ორშაბათი

რესტორან Bon n2-ის გახსნა. ფილიპ სტარკმა მოხატა (პარიზი, II ოლქი, 4 სექტემბრის ქუჩა). ზედა სართულზე ბირჟის კურსი თამაშობს. დაკაიფებულმა მელოტმა ბარმენმა, სახელად, ქსავიემ, „ბურბონი“ დაგვისხა, შიგ ვანილი, და „კანაბისიანი“ მექსიკური არაყი ჩაამატა. რამდენიმე ჭიქის მერე გიიომ რაპნომ ამოანთხია:

- მიქენით, რაც გსურთ!

საპირფარეშო თეთრი კაფელისაა. „უცნობი კახპა“ შემომხვდა კიბეზე.

- ყველა ადგილს დაგიკოცნი, გარდა ერთისა, საიდანაც ცუდი სუნი გამოდის, - მითხრა.

ლორან ტაიები Big Bon-ია. დაგვპირდა, მალე StarckHotel-ს გავხსნი, როგორც პარიზში Mondrian-სო. მთელი წელი სადღაც წასასვლელი მექნება, ყინულოვან ოცნებაში ვიცხოვრებ, სხვის მირაჟში. 2005 წელს კიდევ უფრო შეგძულდებით. მე ანტიქრისტე ვარ!

სამშაბათი

ყველა მეუბნება, ცხოვრებაში უფრო კარგი ტიპი ხარ, ვიდრე ტელევიზიითო. და კიდევ, ბევრ სისულელეს. ამ დროს ყველაფერი ტყუილია. ამ საქმეს ჟაკ შირაკს მივანდობ. მე კი ყველგან კარგი ტიპი ვარ. უბრალოდ ვთამაშობ ხოლმე ცუდ ტიპს, რომ არ შემაწუხონ ზედმეტად. ჩემში მაჩხუბარა და რომანტიკულია შეჭიდებული და ყოველთვის მეორე (ჩერჩეტი,სენტიმენტალური, ბრიყვი, ზრდილობიანი და ოპტიმისტი) იმარჯვებს.

ოთხშაბათი

დოკუმენტურ ფილმს ვუყურებ ჰიუ ჰეფნერზე. ფლეიბოის დამაარსებელი ჰოლივუდში ცხოვრობს ექვს ქალთან ერთად. ექსტრემალური მხარეები ერთიანდებიან: როცა სექსუალური თავისუფლების, რეგრესის, ტოტალური პორნოგრაფიის სიმბოლოს ვეძებთ, ჰარამხანის წინაშე აღმოვჩნდებით, მაშასადამე, მუსლიმანი ვხდებით. იდეალური იქნებოდა, ჰეფნერის ცხოვრება გვქონოდა. მაგრამ 50 წლის ასაკამდე, მერე აუცილებლად უნდა გაჩერდეთ (დაქორწინდეთ, ან თავი მოიკლათ, რაც პრინციპში ერთი და იგივეა). 75 წლის ფლეიბოიზე მოსაწყენი არის ნეტავ რამე? ჰიუ ჰეფნერი თავის სიამაყეს ისწორებს და „ვიაგრას“ იღებს. სწორედ ამით არის მაღალი ალაჰი.

ხუთშაბათი

მასტურბაცია ნიშნავს ჰომოსექსუალი იყო საკუთარ თავთან.

პარასკევი

პარტნიორის გაცვლის კულტურა კომუნიზმი არ არის, მაგრამ სექსუალური ულტრალიბერალიზმია. ამიტომაც ფრანსუაზა არ მიესალმება. მივდივართ კლუბში, რომ გუშინდელი ქალი ახალში გავცვალოთ. მალე ყველა ღამის კლუბი პარტნიორის გაცვლის ადგილად იქცევა და „გაცვლა“ შეცვლის სიყვარულს. ამ დღიურში მერე ჩავწერ: „ორშაბათი: პოლინა ჟიზელში გავცვალე. სამშაბათი: ჟიზელი ნოემიმ შეცვალა. ოთხშაბათი: ნოემი პენელოპაში გადავცვალე“. კლუბებში აფიშებიც ჩამოიკიდება შემდეგი შინაარსით: „ამ საღამოს პენელოპას სამი ქულა ეწერება: ტუჩის საცხი წაისვა. ნოემიმ ექვსი ქულა დაკარგა, მას მერე, რაც ექვსი კილოგრამი მოიმატა. ჟიზელი სტაგნირებულ პოზიციაზეა ზედმეტად დიდი ფეხის გამო“. სექსუალური ლიბერალობა გარყვნილება არ არის, ლიბერალობაა: ამ საკითხში „პლატფორმის“ ავტორს ვეთანხმები.

შაბათი

კასაბლანკაში ფრანსუაზასთან ერთად ჩავედი. წვიმდა. სასტუმრო Excelsior-ში არც სენტ-ეგზიუპერია, არც ჰამფრი ბოგარტი დასდევს გათხოვილ ქალებს. ანარქიული და ხმაურიანი მეტროპოლიაა. მანქანების გაუთავებელი სიგნალების ხმა ისმის თეთრი ცის ქვეშ. შერატონის სახურავზე აუზია, ბარები, რესტორნები, ქათქათაკბილებიანი გოგოები. Petit Rocher მაროკოული ბუდა-ბარია. აქ მდიდრების შვილები ამერიკაზე ოცნებობენ და ისრაელი სძულთ. BMW-ს საჭესთან მარიაჟობენ ტიპები, ვინც Loft 2-ს უყურა ტელევიზიით. აბა, ვინ დარჩებოდა გულგრილი მარლენის შემხედვარე: სატელიტის წყალობით მსოფლიო ვარსკვლავი გახდა. აქაურ ბაზარში ყველა ამ გოგოზე ლაპარაკობს. ათი წუთი მოიგო ნიმფომანმა მას შემდეგ, რაც Big Brother-თან შევიდა. ამასობაში ბომბების ცვენა არ წყდებოდა.

კვირა

ერთხელ ციურიხში, კაფეში, ჯეიმზ ჯოისს თაყვანისმცემელი შეხვდა:

- შეიძლება ვეამბორო ხელს, რომელმაც „ულისე“ შექმნა?

ჯოისმა უპასუხა:

- სხვათა შორის, ამ ხელმა ბევრი სხვა რამეც შექმნა.

ორშაბათი

რიშარ დიურნს არაფერი გაუკეთებია დიდად ორიგინალური: ჰეროსტრატეს ამბავი გაიმეორა, რომელმაც არტემიდას ტაძარი დაწვა ეფესოში, უკვდავება რომ მოეპოვებინა (მსოფლიოში ცნობილი შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი. და მოხდა ეს ძვ. წ. 356 წელს). ჰეროსტრატემ, როგორც რიშარმა, სასაკლაო მოაწყო, ისტორია დამიმახსოვრებსო. მისი პირადი დღიური Le Monde-მა გამოაქვეყნა. ეს რაღაცით ჩემს თავს მაგონებს, მეც დავწერდი ამის მსგავსს, ხალხს რომ ვეღიარებინე. „და რომ არ ვარსებობდე?“ - იმღერებდა ჯო დასენივით, ნარცისივით თავზე შეყვარებული რომ ყოფილიყო. პირველად ხდება საფრანგეთში ასეთი რამ, პოპულარობის სურვილით ადამიანებს კლავენ. ნუ დაგავიწყდებათ, ჰეროსტრატე ცეცხლზე დაწვეს და მისი სახელის ხსნებაზე, ადამიანებს სიკვდილით სჯიდნენ. ვფიცავ, აღარ ვახსენებ იმის სახელს… რა ჰქვია? აღარც მახსოვს…

სამშაბათი

ავად ვარ, უგროშკაპიკოდ… ჟან ჟორესის პროსპექტზე გიიომ დიუსტენი მემშვიდობება, ხელს მაღლა სწევს და თითებით V-ს მიკეთებს, ვითომდა, გავიმარჯვეთო.

ოთხშაბათი

„მე ერთი კაცი ვარ, ღამღამობით ქუჩებში მოხეტიალე და ქალებისმადევარი“. არჩიბალდ ოლსონ ბარნაბუთი თავის დღიურში ერთი მდიდარი ახალგაზრდის ამბავს გვიყვება, მოქმედება ევროპაში ვითარდება ზუსტად საუკუნის წინ. თუ სტილს არ მივაქცევთ ყურადღებას და ჩემსა და მის ნაწარმოებს შევადარებთ, თვალში ცვლილებები მოგხვდებათ (კულტურების ერთფეროვნება, დისტანციის ტექნიკურად შემცირება, წეს-ჩვეულებების გათავისუფლება წნეხისგან…), მაგრამ ამავე დროს არც იმდენი ცვლილება (ისევ ძალაშია უსამართლობა, სოციალური განსხვავებები, მუზეუმებში იგივე ქმნილებებია გამოფენილი, ერთი და იგივე ტაძრები, უცვლელია სილამაზე, იგივე „კურტიზანები“, იგივე პეიზაჟები, პეიზაჟები, ოღონდ მაშინ ხელუხლებელი…). XX საუკუნის პირველ ათწლეულებში ბარნაბუთმა იტალიაში, გერმანიაში, რუსეთსა და ინგლისში იმოგზაურა. ოსკარ დიუფრეზნი მის კვალს მიჰყვება სამი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდშიდა ისეთივე უდარდელი და სევდიანია, იგივე წინააღმდეგობები აქვს სიყვარულში… და დრო რომ არ არსებულიყო, ნეტავ არ შეიძლება?…

ხუთშაბათი

სანამ თქვენ ამ დღიურს კითხულობთ, ჰიუ ჰეფნერი პიჟამაშია გამოწყობილი და გარშემო სახეგადაჭიმული კახპები ახვევია, რომლებსაც იმედი აქვთ, ფულის ხარჯვით პოპულარობას დავიბრუნებთო. ჰიუ კი დაძრწის ცარიელ აუზებსა და ნელთბილ ჯაკუზებს შორის. სანამ თქვენ ამას კითხულობთ, ჰიუ პენსიაზე გასულ ვარსკვლავებს იღებს სტუმრად და მოდიდან გადასულ კინოდარბაზში პრივატულ კინოსეანსზე ეპატიჟება. ეკრანზე მათი ახალგაზრდობა ცოცხლდება. ოხხხ, ისე მინდა ვიღაცამ მითხრას, ჰიუ ჰეფნერი და ტომ ფორდი ძალიან უბედურები არიანო…

პარასკევი

ბილი უაილდერი წერს: „როცა დეპრესია მქონდა, კომედიებს ვიღებდი. როცა ბედნიერი ვიყავი - ტრაგედიებს“.

შაბათი

კრიტიკოსის მდგომარეობა (მსახიობისგან განსხვავებით) უკეთესია. რატომ? რატომ და ჩვენ შეგვიძლია სხვების რეალობას შევაფაროთ თავი. სხვისი ფილმი, სხვისი გადაცემა, სხვის მიერ დაწერილი წიგნი, სხვისი დისკი… „სხვისი“ საშუალებას გვაძლევს, საკუთარს გავექცეთ და აღარ ვიფიქროთ. კრიტიკოსს არ უყვარს ცხოვრება. არ გააჩნია პირადი მოგონებები: ხელოვანი ხალხის მოგონებებით არსებობს. სხვების ნაწარმოებები იცავენ ცხოვრებისგან. ხელოვნება ცვლის კრიტიკოსის ცხოვრებას, რომელიც პრინციპში, არ გააჩნია. უფრო და უფრო მეტი ადამიანი ცხოვრობს ასეთი წესით დედამიწაზე. ასეთ სამყაროში პრობლემები ქრება, სევდა სიყვარულის სიმღერით მოდის, ელეგანტური და ფიქციური პერსონაჟები ჩვენ მაგივრად იტანჯებიან.

კვირა

არასდროს არ იყოთ ისეთ ადამიანებთან, რომლებიც გძულთ… ბოლოს ყველაფერი სიყვარულით მთავრდება.

ორშაბათი

რობერ იუს კამპანიის მარცხის მერე თავს უფლებას ვაძლევ, პოლიტიკიდან მოვკურცხლო. ძალიანაც კარგი! ძლივს არ ამოვისუნთქე?! დემოკრატია ოპტიკურ ილუზიად, დემაგოგიის კონკურსად იქცა. ახალი კომუნისტების გვერდით ჩემი გამოჩენა რომანტიზმის ბოლო იდიოტურ გაფართხალებას ჰგავს. მორჩა ჩემი საქმე, არასდროს აღარ ამიყვანენ: შეუძლებელია პოლიტიკა ჩემთვის. ნიჰილიზმში უკეთ ვგრძნობ თავს და ბევრად უფრო კომფორტულია. არც არავისი და არც არაფრის აღარ მჯერა. გული ამერია საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურზე. უარს ვამბობ იმედზე, ყოველგვარ ცვლილებაზე, რევოლუციაზე, უტოპიაზე. ვაღიარებ - შევცოდე და დავიჯერე პროგრესის. ამიერიდან ინდივიდუალისტად მივიჩნევ თავს. მხოლოდ საფრანგეთის ეგოისტთა პარტიას მივცემ ხმას. ვიქნები ჰედონისტი და დეკადენტი, რომ აღარ ვიყო სასაცილო და იმედგაცრუებული. ახლა ისღა დამრჩენია, სიხარულით დაველოდო სამყაროს დასასრულს, ვიკაიფო ჩემი პრივილეგიებით და არავის გავუზიარო. ნეტავ რა საჭიროა დროის დაკარგვა სხვისი ჭირით დაინტერესებით? სხვების უბედურება არ მეხება. ისიც მეყოფა, რაზეც ვფიქრობ: ფრანსუაზაზე, ხელოვნებაზე, მზეზე, ქალის ტრაკზე, ბანკში ჩემს ანგარიშზე, პოემაზე, ზღვაზე, ნარკოტიკზე… დანარჩენი მე აღარ მეხება. არ გაბედოთ და ჩემს გასაგონად სიტყვა „ოპტიმიზმი“ არავინ ახსენოთ. რაც შეეხება პეტიციებს, გაუგზავნეთ დებილებს. პოლიტიკაში ჩემი პოზიციის დაფიქსირება უკანასკნელად მოხდა ჩემს ცხოვრებაში.

სამშაბათი

ლესკურის დათხოვნამ დააბნია და შეაშინა საზოგადოება. მათი შიშიკერძო საწარმოს ძალადობის გამოხატულებას გულისხმობს. რა, არა?! ვიღაც ტიპს შეუძლია ჩემი სატელევიზიო არხის პატრონის გაგდება ისე, რომ ჩემი აზრი სულ არ აინტერესებს? დიახაც, შეუძლია. მენეჯმენტს არაფერი სცხია დემოკრატიის. გაუგებარი და ბუნდოვანი გადაწყვეტილებებია. კაპიტალიზმი მაშინაა გამჭვირვალე და სამართლიანი, როცა აწყობს. ხშირად გასაიდუმლოება, მიჩქმალვა, იდუმალებაც კი, ურჩევნია. ხალხის აზრი რაში აინტერესებს…

ოთხშაბათი

ახალ სტრიპტიზ-კლუბებს თითქოს რაღაც აკლიათ. ამიტომ სხვა ბარებთან თანამშრომლობა შევთავაზე, მაგალითად, როგორც სექსის Formule Hippo-cine: Stringfellows+Baron, Pink Platinium+Japan bar… საღამოს პირველი ნაწილი ასეთი იქნება: მაგარმა ნაშამ უნდა აგიყენოს. საღამოს მეორე ნაწილი: ბოზუშკამ ხელით უნდა გაგათავებინოს. ვნებისგან სიამოვნების მიღება ბორდელებში სხვანაირად ხდება: ყველამ ვიცით, რომ იქ ქალი ყველაფერზე თანახმაა, ამიტომ ობიექტურები ვართ. იქ გადამწყვეტ როლს ჩემი ლტოლვა თამაშობს და არა თავად ობიექტი. დასკვნა: ჩემს ცხოვრებაში თუ ოდესმე სურვილი დამიკმაყოფილებია (იმის თქმა მინდა, რომ ისეთ კლიენტს ვგავარ, რომელიც სუპერმარკეტში თავისი სურვილისამებრ ირჩევს ხილს), ეს მხოლოდ ბორდელში მომხდარა. მხოლოდ იქ მქონდა არჩევანის საშუალება. მხოლოდ იქ დავინახე, რა ძალაუფლება ჰქონდათ კაცებს ჩემს დაბადებამდე.

ამ ბოლო დროს მე ვბრუნდები შინ ყველაზე გვიან. ფრანსუაზა უფრო და უფრო მშორდება. ბოლო შანსი მაქვს. ჩემი უუნარობა ნერვებს უშლის. ბრძოლის უნარი მაქვს დაკარგული. კი მიყვარს, მაგრამ აღარაფერს ვაკეთებ ამის დასამტკიცებლად. ვიცი, ის არის ყველაფრის წარმმართველი. როცა რაღაცით უკმაყოფილოა, ესეც ვიცი, რისი ნიშანია, ამით მთხოვს, უფრო კარგად დავიცვა. შეცდა არჩევანში. ორივე შევცდით და თან, თავიდანვე. მალე მიმატოვებს, ვგრძნობ ამას. ერთადერთი საშუალებაა, დასძლიოს შიში, რომ პირველმა არ მივატოვო. ამიტომ თვითონ გამოიჩენს ინიციატივას.

ხუთშაბათი

აი, რა თქვა ჟაკბროსტაინმა ანა გავალდას რომანზე „მე ის მიყვარდა“:

- სჯობს, სევდა განიცადო, ვიდრე საერთოდ არ გქონდეს ხალისიანი მომენტები ცხოვრებაში.

პარასკევი

საბერძნეთში მივდივართ, ბერძნებს რომ გავეცნოთ. ათენში ცხოვრება ღამის თორმეტ საათზე იწყება, მაგრამ დაღლილებს Bee-ში (მონასტირასის მოედანზე) ან Gouronakia-ში (სკუფას ქუჩა) წასვლა გვირჩევნია. მაშინ Frame-ში, კლეომენუსის ქუჩაზე, ჭერში ჩამოკიდებულ ჩალის სავარძელში ვქანაობ და პირველად ვამბობ უარს, დავესწრო მსოფლიო კლუბიზაციას.

შაბათი

ბრიტნი სპირსი იდრამდე მომდევს. თავს ვერ ვაღწევ მის ბოლო ალბომს ამ კუნძულზეც კი. ამ ერთხელ ვაპატიებ: მგონი, ცუდი არ არის, მსოფლიოს ყველა გოგონა მისნაირ, ძუძუებთან მოჭრილ მაისურს რომ ატარებს. პეიზაჟი მშვენიერია აქ.

კვირა

რადგან ამ დროისათვის ჭიპი ერთადერთი უტოპია გახდა, ყველამ პირსინგი გაიკეთა.

ორშაბათი

ერთხანს ნამდვილი თავში ავარდნილი ბურჟუა გავხდი და წიგნს ვერ ვეკარებოდი, სადაც არ ეწერა სიტყვები „შიგნაკრავი“, „სირი“, „ნარკოტიკი“, „ამის დედაც“, „მომე ერთი შპრიცი“ და ა.შ. ახლა ნამდვილი trash-hardcore-neopunk ტიპი გავხდი. ვირჟინი დეპენტი ვარ: მირჩევნია, ვიხმარო სიტყვები „ბედნიერება“, „ბავშვი“, „სიყვარული“, „გულწრფელობა“.

სამშაბათი

ტროკადეროში ელიტა შეიკრიბა: ფრანგი ვარსკვლავები აქ არიან „მარსელიეზას“ სამღერად. სანამ მივიდოდი, უარესის მეშინოდა: people-ის აჯანყებას ველოდი, სადაც პრივილეგირებული საზოგადოება, მათდა უნებურად, ლე პენს მისცემდა ხმას და მხარდაჭერას გამოუცხადებდა „კეთილებს“. მაგრამ ედუარ ბაერმა და ათმენ ხელიფმა პარანოიდული შიში

გამიქარწყლეს: „ფრანგული სამფერი დროშა ყველა ჩვენგანისაა, „მარსელიეზა“ ჩვენ გვეკუთვნის. ვიამაყოთ ამ სიმბოლოებით, რომლებიც საკმაოდ დიდხანს ექსტრემისტი მემარჯვენეების ექსკლუზივი იყო“. კარგი იქნებოდა, რომელიმე კლუბში ახალ მოდურ სტილად ეროვნული ჰიმნის სიმღერა ჩაითვალოს. მგონი, ცუდი არ იქნება, დისკ-ჟოკეიმ „საფრანგეთს გაუმარჯოს!“ იღრიალოს, ნურც ნურავინ იფიქრებს, რა გოიმები დადრომოჭმულები, ან რა ფაშისტები არიანო. ვახხ, ისევ პოლიტიკაზე ვლაპარაკობ. ამ დროს პირობა არ დავდე, კრინტს აღარ დავძრავ-მეთქი?!

ოთხშაბათი

იდრიდან დავბრუნდი, მშვენიერი ფერი მაქვს და ისევ შეყვარებული ვარ. ფრანსუაზამ შეამჩნია, ფოტოები არ გადავიღეთ. არა უშავს, რა მოხდა მერე. სამაგიეროდ ყველა კადრი თავშია: მაგალითად, ვირები, მანქანების მაგივრად რომ დაყიალებენ ქუჩებში, პორტის პატარა რესტორნები, სადაც პურს სულ მთლად ცხელ-ცხელს მოგართმევენ, ავსტრალიური გემი სახელად Protect me from what I want, ლეონარდ კოენის ცარიელი სახლი, კენედების ოთახი Hotel Orloff-ში, მზე, ზეითუნის ზეთი, მზისგან დამცავი კრემი შენს ძუძუებზე, ბერძნული ღვინო, ერთმანეთში ალესილი ცა და ზღვა… ბარის ჭერში ჩამოკიდებული გიგანტური პლასტიკური ფუტკრების დანახვაზე ნახევარი საათი გაუჩერებლივ ვიცინეთ. პირედან რომ დავბრუნდით, შემწვარი თევზი მივირთვით Jimmy and the Fish-ში (მიკროლიმანოში). ისევ ბედნიერი შიში, ისევ შიში, რომ ეს შეიძლება ერთ დღეს დასრულდეს… ჩვენს საუკეთესო ფოტოაპარატს ჩვენი მეხსიერება ჰქვია.

ხუთშაბათი

გუსტავ ფლობერი 1862 წლის ნოემბერში, წერა არ გამოსდიოდა და ასეთ რამეს წერდა: „სულელი და ცარიელი ვარ, როგორც ულუდო კათხა“.

პარასკევი

მართლაც კათხას ჰგავს მწერალი, ულუდო კათხას, თუ არ წერს. ულუდო კათხა, უმელნო კალამი, უსაწვავო მანქანა. უსარგებლო და ზედმეტი ნივთი, არაფრის მაქნისი ინსტრუმენტი, რომელიც მიუხედავად ყველაფრისა, უნდა გამოვიყენოთ. დეპრესიაში ვინ უნდა იყოს და, წერის გარეშე დარჩენილი მწერალი. მდორე და პრეტენზიული, დაფნის გვირგვინზე გართხმული და უწყვეტელ წარსულში ნაუღლები მწერალი. გარიმ და ნურისიემ კი დაწერეს მაგარი რამეები ამის შესახებ. ჰო, რაც შეეხება ნურისიეს, თემას შევცვლი: Nova magazine-ში წავიკითხე, რომ თურმე „ექსტაზის“ პარკინსონის განკურნება შესძლებია! ეს ინფორმაცია რომ დადასტურდეს, „დრუანში“ დაუვიწყარი საღამოები გველის! ნურისიესთან ერთად „ექსტაზით“ დაკაიფება, შეიძლება გონკურის პრემიაზეც იფიქროს კაცმა. რა არ ხდება!..

შაბათი

ჩემი ცხოვრება ორ პერიოდად იყოფა: ოცი წლის ასაკამდე და არაფერი მახსოვს. შემდგომ კი ისეთი პერიოდი იწყება, დავიწყება სჯობს.

კვირა

პირველადაა, რომ ჩემს გულს დროის არ ეშინია. ამჯერად მგონია, რომ დრო სიყვარულს აძლიერებს. მაგრამ შიში რომ აღარ მაქვს, ესეც მაშინებს.

ორშაბათი

ალმოდოვარის „დაელაპარაკე მას“ მელოდრამაა, სადაც ორი დაკომპლექსებული ჰომოსექსუალის ისტორიაა მოთხრობილი. ლუდო და მე? total-body-fucking შავ-თეთრი, მუნჯი სცენა მომწონს. ათი სანტიმეტრის სიმაღლის კაცი მძინარე ქალის სასქესო ორგანოში აღწევს. საღოლ! ფელინიმაც კი ვერ გაბედა! დანარჩენ ამბავში ალმოდოვარი ცოტა დაღლილი მეჩვენა. ზუსტად ვიცი, ელიტური ტიპები კაეტანო ველოზუს „კუკურუკუკუ პალომას“ ორიგინალურ ვერსიას შეიძენენ. ყოველ შემთხვევაში, მე რამდენჯერაც წავალ კინოში ფრანსუაზასთან ერთად, მირჩევნია მის პროფილს ვუყურო, ვიდრე ეკრანს. თავი შენკენ ტრიალდება. ბოლო-ბოლო, კისერი მიშეშდება. ფილმი მართლა მაღალი დონის უნდა იყოს, რომ შენი ღირსი გახდეს. გიყურებ, როგორ უმზერ ფილმს. თუ იცინი, მეც მეცინება. თუ ტირი, მეც ემოციის მსხვერპლი ვხდები. თუ ამთქნარებ, მე მეძინება.

სამშაბათი

სადილი ტიერი არდისონთან ერთად: რა სასიამოვნოა, როცა მთელი დარბაზი სხვას უყურებს და არა მე. შავებში ჩაცმული კაცი მიყვება:

- მარი-ფრანს ბრიერმა მიმკითხავა: „ტიერი მაშინ იქნები კარგი, როცა ტელეეთერშიც ისე მოიქცევი, როგორც რესტორანში“. თხუთმეტი წლის მერე ტელეეთერში ხომ კარგი ვარ, მაგრამ რესტორანში არაფრად ვარგივარ!

ოთხშაბათი

მე კი რა ორიგინალური მეგონა თავი ჩემი სხარტულათი - „ფოტოაპარატს მეხსიერება ჰქვია“! პრუსტმა იგივე ოდნავ უკეთესად საუკუნის წინ თქვა: „სიამოვნება ფოტოგრაფიას ჰგავს. ის, რასაც საყვარელი არსების თანხლებით აღვიქვამთ, მხოლოდ და მხოლოდ ნეგატივია. მას მოგვიანებით, შინ ვამუღავნებთ, ჩვენს შინაგან ჩაბნელებულ ოთახში, სადაც უცხო პირთა შესვლა აკრძალულია“. ეშმაკმა დალახვროს, ჯერ კიდევ როდის თქვალაბრიუერმა, „ყველაფერი უკვე ნათქვამიაო“, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მასზე ადრე ეს უკვე ნათქვამი ჰქონდა ვიღაცას.

ხუთშაბათი

რა არის სიცოცხლე? ხანგრძლივი ტვინის ჯახი, როგორ უპასუხო ამ კითხვას.

პარასკევი

ამსტერდამი პიმ ფორტუინის მკვლელობის შემდგომ შოკშია. ერთი ექსტრემალი მემარჯვენე გეი იყო. ევთანაზიის მომხრე, ამავე დროს საზღვრების ჩაკეტვა და ევროს გაუქმებაც უნდოდა. ეს მელოტი, რომელიც „იაგუარითა“ და ორი ძაღლით

დაბრძანდებოდა, სამხედრო სალამს იძლეოდა შეძახილით: „At your service!“ სიკვდილმა ის ხალხში კულტად აქცია, სინამდვილეში უბრალოდ საშიში ტიპი იყო. ლე პენმა საკუთარი სიკვდილი უნდა მოაწყოს, თუ უნდა ეროვნულ ფრონტს საკანონმდებლო არჩევნებში გამარჯვება. კონფერენციის მერე მატრასებზე გართხმული ვსადილობ სუპერკლუბში. მერე მიწის ქვეშ ჩავალ, დისკოთეკაზე. ჭამის მერე ჩვენ გვჭამენ. ძალიან მომწონს Soul Kitchen (club R&B ამსტერდამის) რეკლამა: „ჩვენთან იმ დროის მუსიკა უკრავს, როცა მაიკლ ჯექსონი ჯერ კიდევ შავი იყო“. წარმომიდგენია, პიმ ფორტუინი Soul Kitchen-ში არ დადიოდა. ყოველ შემთხვევაში, უკვე ვეღარც მოხვდება.

შაბათი

თვითმფრინავში, რომელსაც პარიზში მივყავარ, ერთ-ერთმა ბორტგამცილებელმა მიცნო:

- მწერალი ხართ, ხო?

- დიახ (სულმთლად წითელი სიამოვნებისგან)

- მაპატიეთ, მაგრამ… თქვენი სახელი?

- ოსკარ დიუფრეზნი… (თეთრი იმედგაცრუებისგან)

- ვიცი! ფოჟიელთან გნახეთ!

- კი, უკვე დიდი ხანია, რაც დამპატიჟა… (ბოღმისგან მწვანე).

- უკაცრავად, მაგრამ თქვენი დაწერილი არაფერი წამიკითხავს.

აი, შე პატარა პრეტენზიულო, შეურაცხყოფილი ხარ? დაუბრუნდი ადგილს… არადა, რა გინდოდა, გამარიაჟება? ამ დროს, მგონი, პირველად, არავინ გაგიღიზიანებია.

კვირა

ჩემზე ამბობენ, მოხეტიალე ცეცხლიაო, ქარაფშუტა, სიახლეს აყოლილი, ეფემერულიო. მართალია ყველაფერი. მაგრამ ხომ ვერაფერს დავწერდი, ასეთი რომ არ ვყოფილიყავი? რამეთუ ვწერ, რათა გავიგო, რას ვფიქრობ…

ორშაბათი

მარტოობისა და სიკვდილის შიშმა გამასვეცკა. და რაც მთავარია, ლუდო იმავე მიზეზებს მეუბნება, როცა მიხსნის, რამ გადააწყვეტინა ბავშვების გაკეთება. ესე იგი, ღამისკლუბიზაცია და რეპროდუქციულობა ერთი წყაროდან იღებს სათავეს: მარტოობაში სიკვდილს საზოგადოებაში სიცოცხლე სჯობს.

სამშაბათი

შლი გაზეთს და გრძნობ, ვერ უგებ ოსკარ დიუფრეზნს. უაზრობებს წერს საკუთარ თავზე. გააზრების დრო არა გაქვს, რადგან „ოსკარი“ და „დიუფრეზნი“ იმხელა გავლენას ახდენენ შენზე, გონზე მოსასვლელად დრო გჭირდება. ყველგან ისმის ეს სახელი და გვარი და ყველას საკუთრებაა. ამ სახელი და გვარისთვის აუცილებელია ყოველ წამს საომარ მდგომარეობაში ყოფნა. ხომ გინდოდა, ყველას სცნობოდი, შენი ბრალია. ყველასათვის მაგალითი უნდა იყო, ანტიმაგალითიც კი, ყველას სამიზნე და განტევების ვაცი, სიმბოლო, სიმპტომი, სენი, მანკიერება, კომეტა, პროდუქტი, ბრენდი, მოკლედ, ყველაფერი, ადამიანის გარდა… რა გინდა, შენსას მიაღწიე: ხალხი, რომელიც ფეხზე გკიდია, შენზე ალაპარაკდა და ტყუილებსაც ჰყვება იმ ადამიანზე, რომელსაც შენი სახელი და გვარი აქვს, მაგრამ შენ ის კაცი არა ხარ. ოპაააა! ცნობილი ხარ უცნობთა შორის.

ოთხშაბათი

როცა 33 წლის ასაკში დეპრესიამ შემომიტია, არავისთვის მითქვამს: წიგნი დავწერე, რაც ნიშნავს, რომ ბოლო-ბოლო ყველამ ყველაფერი გაიგო.

ხუთშაბათი

პარიზში ნებისმიერი სწრაფი მანქანა ჩემს ნელ სკუტერზე ნელა დადის.

პარასკევი

სასიამოვნო საუბარი მეგობრებს შორის:

- რამდენი ხანია ვ.-ზე ახალი ამბავი არ მსმენია.

- მართლა? ფიქრობ, რომ გარდაიცვალა?

- არა, Le Figaro-ში ხომ წავიკითხავდით…

შაბათი

შაბათ-კვირა სასტუმრო Costes-ში გავატარეთ, კანის ფესტივალს სნობურად რომ დავსწრებოდით (პარიზში დარჩენა მიყვარს ხოლმე, ოღონდ თუ სახლში არა ვარ). მიმღებში ტუალეტის წყალი, შამპუნი, სანთლები, საპნები, მუსი Costes-ის მარკით იყიდება. სასტუმრო კი არა, მეგასუპერმარკეტია, მგონი. იქაურ თანამშრომლებს მინდა ვუთხრა: „ცოტა მოკლე ხომ არ არის სია, ძმებო!“ ახლა Costes magazine-ის გამოსვლასელოდებიან (ყოველთვიური ჭორებით სასტუმროდან: ვისთან ერთად ისადილა ჯამელმა, მიესალმა თუ არა პალმადი პატრისია კაასს, რა ერქვა მეძავს, ბუხართან ახლოს რომ იდგა, როგორ გავაღიმოთ ემა რესტორანში, როგორი სატაცური შევუკვეთოთ, ვინეგრეტით თუ მაიონეზით, რომელ საათზე მოვა დომინიკ ფარუჯა, რომელ საათზე წავა არნო კლარსფელდი და ა.შ.), მალე ჩოსტეს TV იქნება (საკაბელო არხი, რომელიც 24/24 საათზე გაუშვებს ყველა ოთახიდან ტრანსლაციას, ასევე მიწისქვეშა აუზიდან, განსაკუთრებით ჰამამიდან… ჰამამი ხომ ძალიან

მნიშვნელოვანია, რასაკვირველია, იქ სასტუმროს მოდელები შიშვლები და გაოფლილები არიან), ჰო, კიდევ რიგშია ჩოსტეს-რომან (ამას ვისურვებდი, თან თუ ვინმეს დაქირავებაა შესაძლებელი, შენ მაგივრად რომ წეროს და მერე ანაზღაურებაც თუ იქნა, სულ მთლად კარგი), Costes-film (ნუ აქ, რასაკვირველია, პორნოფილმები იქნება), Costes Car-ც გამოვა, რომ იცოდეთ (პირველი კაბრიოლეტი ნაპოლეონ III, მცირე სერია Designed by Garcia)… აქამდე როგორ არავის მოჰფიქრებია ასეთი რამეები? აბა, დროზე, საქმე, ბიჭებო! ჯერ უნდა ჩამოთვალოთ, სანამ რამეს არ დაეთანხმებით.

კვირა

ჟერომ ბეგლემ კიდევ უფრო იდიოტური ალბომი გამოუშვა, ვიდრე Bratisla Boys-მა: The Final Condom (უნდა იმღეროთ მელოდიაზე The Final Countdown). ეს აღმგზნები სიმღერა „ფინალური პრეზერვატივი“ მილიონობით ახალგაზრდას აიყოლიებს ამ ზაფხულს. ამ წუთისათვის არც ერთი ჩამწერი სტუდია ჯერ არ შებმულა ამ პროექტით. როგორ მოუვიდათ ეს?

ორშაბათი

იმდენი ხანია რაღაცას გავურბივარ, რომ უკვე აღარ მახსოვს, რას.

სამშაბათი

უკვე დროა, რაღაც ძალიან სერიოზულ რამეში გამოვტყდე: 10 წლისა აბსოლუტური პედოფილი ვიყავი. პატარამკერდიანი გოგონების გიჟური ვნება მწვავდა, რომლებსაც ძუძუების ფორმები Fruit of the Loom-ის ფირმიან მაისურებში ემჩნეოდათ. საოცრად აღმაგზნებდა მათი უმანკო სახეები, პლაჟზე მათი ვიწრო ბიკინები. სასწრაფოდ მიყვარდებოდა მათი ვარდისფერი უკანალი, რომელიც ფანტაზმებში მაგდებდა. დევიდ ჰამილტონის ფოტოგრაფიაში ვცხოვრობდი და ამით ყოველ წამს ვსარგებლობდი. რა ბედნიერება იყო პლაჟის ფრენბურთი! მომენტი არ გამიმაზავს და რამდენჯერ მომითათუნებია მათ მუცლებზე და დამიკბენია ვიწრო ტაკუნები. ვგიჟდებოდი მათი, ჯერ დაუსრულებელი ტანების გვერდით ცურვაზე. ხელიხელჩაკიდებული დავსეირნობდით ქვიშაში. სული მეხუთებოდა გატყავებულ მუხლებზე, დამწვარ ღაწვებზე. 10 წლისა, მარკ დიუტრუ ვიყავი, რადგან ლოლიტები ჩემხელები იყვნენ. ჩემო მეგობარო მკითხველო, თუ თორმეტი წლის ხარ, არც კი იცი, რა შანსი გაქვს! მიდი, გახდით ჰუმბერტ ჰუმბერტი, სანამ ამის უფლება გაქვთ!

ოთხშაბათი

ძალიან მინდა, ყველაფერს შევეშვა, ისე, რომ ხალხმა იფიქროს, „მისი“ მოსახელეაო. ჩემი შიზოფრენია დილეტანტიზმის კი არა, უბრალოდ ყველგანმყოფობის სურვილის შედეგია.

ხუთშაბათი

დღევანდელი მშვენიერი ნაშუადღევი ქალთა ციხეში გავატარე. ერთადერთი მამაკაცი ვიყავი ამდენ ქალ პატიმარს შორის! სამწუხაროდ, არც ერთმა არ გამაუპატიურა და დღის ბოლოს გარეთ უპრობლემოდ გამოვედი… წარმოვიდგინე, თავისუფლებას ამყრიდნენ, მძევლად ამიყვანდნენ, ასობით ნიმფომანის სურვილის დასაკმაყოფილებელი ლუკმა გავხდებოდი, გამწეწავდნენ! არც არაფერი, პირიქით, ადგილობრივი რადიო Radio Meuf-ის თაოსნობით უდიდესი თავაზიანობით მიმიღეს. ოდი, ნაუელი, იურსა, ჟილდა, ზაბუ და კიდევ რამდენი, სახელები დამავიწყდა, მადლობას გიხდით ამ გაქცევისთვის (თუ შეიძლება, ასე ვუწოდო). გპირდებით, აღარასდროს ვიწიწინებ თავისუფლად ცხოვრებაზე. გეფიცებით, არასდროს ვიტყვი, რომ სისტემის ტყვე ვარ. სანამ 6-კვადრატულმეტრიან საკანში არ ჩაჯდები, ვერ გაიგებ, რას ნიშნავს სისტემის ტყვეობა.

პარასკევი

დღეს ჩამოვთვალე, რას მთავაზობს სამყარო. დიდს არაფერს, მაგრამ სამყარო ჩემთვის საკმარისია.

შაბათი

იმ ღამეს დამესიზმრა, რომ ტანგა მეცვა… ცუდი არ იყო სამი მიზეზის გამო: 1. ცეკვა არ ღირდა 20 ევრო; 2. მოცეკვავეს უნდოდა, რომ მთელი სხეული ამელოკა; 3. როცა გამეღვიძა, თმა არ მქონდა სიგარეტის სუნით აყროლებული.

კვირა

You must eat or must die, - ამბობს ჯიმ ჰარისონი. მაგრამ რა ვქნათ, თუ არ გვშია?

ორშაბათი

ხშირად მითქვამს, სანამ თვითმფრინავში არ ჩავსხდებით, ისე მარშრუტს ვერ შევაცვლევინებთ. პრობლემა კი ის არის, როცა უკვე შიგნით ვსხედვართ, შეიძლება აზრი შევიცვალოთ და პირველ კლასში გადავიდეთ. ბორტგამცილებლის მოწოდებული ერთი ჭიქა შამპანური და ვირტუალური საჰაერო პირატები მაშინვე გულად ღიპიან ბიზნესმენებად გადაიქცევიან.

სამშაბათი

ყველაზე პოპულარულ ამერიკულ სატელევიზიო გადაცემას ჰქვია The Osbornes MTV-ზე. ახალი ჟანრი შემოიტანა: Reality Celebrity Show. ოზი ოსბორნს ნახავთ, მომღერალს Black Sabbath-ის ჯგუფიდან. მას და მის ოჯახს 24 საათი ვიდეოკამერა დასდევს და იღებს. ყველა ხედავს, როგორ ფაციფუცობს სამზარეულოში მეუღლესთან ერთად, როგორ დატანტალებს ფეხშიშველა და ფეხს დგამს ძაღლის განავალში. მისი კონცერტებიდან უფრო შეჩვეულები ვიყავით, კბილებით როგორ აცლიდა თავს ღამურას. ახლა დამშვიდდა. ამიერიდან მისი აგრესიულობა ნორმალურობით გამოიხატება. რატომარის ასეთი პოპულარული ეს გადაცემა? რადგან პუბლიკას კულისების ნახვა სურს, მაგრამ იმავდროულად, უსიამოვნების ნახვაც რომ სურს? ვარსკვლავების უმრავლესობა კარჩაკეტილ ცხოვრებას ამჯობინებს, რომ არ გავიგოთ, რა მოსაწყენია მათი ყოფა. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც უარს არ იტყვიან, ყველამ ნახოს ტელეგადაცემად გადაქცეული მათი ცხოვრება. შესაძლოა, მოკლე ხანში თითოეულ ვარსკვლავს თავისი სატელევიზიო არხი ჰქონდეს. აუ, რას გავიხარებ დისტანციური პულტით ტელევიზორის წინ, რომ გადავრთავ ხან „შირაკ TV“-ზე, ხან „ბინ ლადენ ჩენელზე“, ხან „ზიდან canal“-ზე, ხანაც „დე ნირო-TV“-ზე და, რასაკვირველია, „ოსკარ დიუფრეზნ-Live“-ზე. ეს ტელეჟურნალი თქვენი საყვარელი გადაცემა გახდება. უკვე სლოგანიც მოვიფიქრე: „მე თქვენთვის ვცხოვრობ“.

ოთხშაბათი

„როლან გაროსი“ საერთო ინდიფერენტულობით დაიწყო. ბოლო თხუთმეტი წელია, აღარ ვიცი მოთამაშეების სახელები. ვილაზე, ბორგზე, ვილანდერსა და ნოაზე გავიყინე. აღარც ჩოგბურთის კორტზე აღარ ვდგამ ფეხს. Village-ში კი შევექცევი უფასოდ. კანის ფესტივალს ჰგავს, სადაც აღარავინ მიდის ფილმების საყურებლად. „როლან გაროსზე“ ვინმე ნორჩი მიდის, რომელსაც, ასე თუ ისე, მატჩი აინტერესებს. რა საყვარლები არიან ახლები. იცით, რითი ყიდიან თავს? ანგარიშს რომ კითხულობენ. რაღაც სიახლე მაინც კარგია.

ხუთშაბათი

მოგზაურობა შეუძლებელი გახდა. ყველგან ტურისტს გადაეყრები. ტელევიზორში ჯობია პეიზაჟები, ვიდრე სინამდვილეში. „როლან გაროსს“ ან ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს ჰგავს: ტელევიზიით უფრო მეტი კაიფია, ვიდრე რეალობაში. ყველა მოგზაური იმედგაცრუებული დარჩენილა, ვიდრე ის, ვინც შინ არის და გარეთ არ გაუსუნია.

პარასკევი

ეს ანეკდოტი იცით: ჯგუფური სექსის დროს რითი არჩევენ ბელგიელს? ერთადერთია, ვინც თავის ცოლს ხმარობს. ჰოდა, მართალი გითხრათ, მე ცოტა ბელგიური მიდგომა მაქვს პარტნიორის გაცვლასთან. რა ჩემი ბრალია, თუ კლუბში ფრანსუაზა ყველას ჯობია!

შაბათი

„არსებობა მხოლოდ მაშინ ხდება ჯოჯოხეთურად აუტანელი, როცა ორიეპოქა, ორი კულტურა, ორი რელიგია ერთმანეთს ეჯახება (…) ზოგჯერ ორი თაობა მოყვება ხოლმე ორ ეპოქას შორის, ცხოვრების ორ კულტურას შორის. ეს ზოგჯერ ისეთ ხარისხს აღწევს, რომ ქეშმარიტების, არსებობის, უმანკოებისა და უსაფრთხოების აღქმა იკარგება“, - როცა ჰერმან ჰესე „ტრამალის მგელში“ ამას წერდა, 1927 წელი იდგა და ჯერ არ იცოდა, რომ მეორე მსოფლიო ომი დაამტკიცებდა მის სიმართლეს. არც ის იცოდა, XXI საუკუნის დასაწყისზეც რომ წერდა. საოცარია, ტანში გამცრა. სადღაც ორპირი ქარი უნდა იყოს.

კვირა

„უცნობი კახპის“ იუმორი:

- ჩემი კაცი ისეთ მაგარ ტანზე დგას, რომ მხოლოდ პერიდიურალის გაკეთების მერე ვთანხმდები სექსზე!

ორშაბათი

ვენაში ჩავფრინდი. ზუსტად ისეთივე აეროპორტია, როგორიც ყველგან, სხვა ქვეყნებში. მსოფლიო იდენტურია. აეროპორტს სწორხაზოვანი მარშრუტით გავდივართ, ესკალატორები ნეონის ნათურებით არის გაჩირაღდნებული. მოგზაურობა დისკის მოსმენას ჰგავს. ცხოვრება? ისეთივეა, როგორიც წინა დღეებში. ხომ ვიცით, რაც არის დეჟა-ვიუ: როცა ასაკი გემატება, ამას დეჟა-ვეკიუ, „უკვე განვლილი“ ჰქვია. ეს ვირტუალური გაზეთია, სადაც სულ ერთსა და იმავე პარაგრაფს ვკითხულობთ.

სამშაბათი

ჩავფრინდი ჰელსინკიში (ფინეთი), აქაც აეროპორტი ყველა დანარჩენს ჰგავს. მსოფლიო იდენტურია. აეროპორტს სწორხაზოვანი მარშრუტით გავდივართ, ესკალატორები ნეონის ნათურებით არის განათებული. მოგზაურობა დისკის მოსმენას ჰგავს. ცხოვრება? ისეთივეა, როგორიც წინა დღეებში. ხომ ვიცით, რაც არის დეჟა-ვიუ? როცა ასაკი გემატება, ამას დéჯà ვéცუ „უკვე განვლილი“ ჰქვია. ეს ვირტუალური გაზეთია, სადაც სულ ერთსა და იმავე პარაგრაფს ვკითხულობთ.

ოთხშაბათი

ჩავფრინდი ლონდონში (გაერთიანებული სამეფო). აქაც აეროპორტი ყველა სხვას ჰგავს. მსოფლიო იდენტურია. აეროპორტს სწორხაზოვანი მარშრუტით გავდივართ, ესკალატორები ნეონის ნათურებით არის განათებული. მოგზაურობა დისკის მოსმენას ჰგავს. ცხოვრება? ისეთივეა, როგორიც წინა დღეებში. ხომ ვიცით, რაც არის დეჟა-ვიუ? როცა ასაკი გემატება, ამას დéჯà ვéცუ, „უკვე განვლილი“ ჰქვია. ეს ვირტუალური გაზეთია, სადაც სულ ერთსა და იმავე პარაგრაფს ვკითხულობთ.

ხუთშაბათი

ღმერთო ჩემო: სამი დღეა ჯეკ ნიკოლსონი გავხდი, „ნათებიდან“ ერთსა და იმავე ფრაზებს ვიმეორებ. თუმცა კუბრიკის დროს კლავიატურაზე copi-paste ჯერ არ არსებობდა. რა წინასწარგანჭვრეტაა! მწერალი, რომელიც მუდმივად ერთსა და იმავე ფრაზას გაიმეორებდა, ბრძენი იქნებოდა. ყველა უბედურება იქიდან მოდის, რომ უარს ვამბობთ გამეორებაზე. თითქოს ათასი ქეშმარიტება არსებობდეს.

პარასკევი

ამ წელს მაღვიძარამ დილით პირველად გამაღვიძა. ცხრის ნახევარზე ავდექი, რომ მენახა, როგორ წააგო საფრანგეთმა დანიასთან ორით ნული. რა უსამართლობაა: რამხელა ძალისხმევაა, მე გავიღვიძე და ჩვენმა გუნდმა - არა. ჩვენი ფეხბურთელებისთვის ახალ სლოგანს გთავაზობთ, როცა რუასის აეროპორტში ჩამოვლენ: „თქვე, ნულებო, ნუ-ლე-ბო, ნუ-ლე-ბოოო!“.

შაბათი

ვინსენტ მაკდუმთან სადილი ყოველთვის უცხოპლანეტელთან შეხვედრას ჰგავს. განსაკუთრებით მაშინ, როცა „მოტოროლა“ საჩუქრად მობილურს გაძლევთ, რომელიც ლაზერულ პისტოლეტს ჰგავს. ვენსანი თავის კატაზე მიყვება, რომელსაც მხოლოდ ინგლისური ესმის. ფრანსუაზა ლაკრუა გამახსენდა. ყოველთვის ამბობდა, ჩემი კატა ბრმააო. ნობუ-ში სადილი ძალიან New Aristocraty პონტია. ფრანგული შოუბიზნესის მამები, ყველანი, აქ არიან. ყველას ახალი მობილური აჩუქეს (ლამაზი კი არის, მაგრამ სულ ფუჭდება): მიშელ ბლანს, მარკ ლავუანს, ნიკოლ გარსიას, კლოტილდ კუროს, ლორან რუკიეს, ჟან-შარლ დე კასტელბაჟაკს… რამდენიმე დღეში ჩემს თავს Raymond Weil-ის შვეიცარიული საათი, მერე კი მზის სათვალე

ვაჩუქე. ადრე ნამდვილი მუქთამჭამელი ვიყავი. ახლა გამოვიცვალე. რითი ვასხვავებთ სხვა კასტის (სულით ხორცამდე კორუმპირებულ) წარმომადგენლებს? მათთვის მთელი წელი შობაა. მუდმივად ვიღაც სპონსორი ჰყავთ, როგორც „ფორმულა1“-ის პილოტს… რისკი იგივეა: შეიძლება ცოცხლად დაწვა.

კვირა

რა ნიჭი აღარ მქონდა ბავშვობაში: ბრძანებაზე ვწითლდებოდი, წყლის ქვეშ ორი წუთი სუნთქვის შეკვრა შემეძლო, ცხვირიდან სისხლი მდიოდა, ერთ თვალს ვაელმებდი… ყველას კი ფეხზე ჰკიდია, მაგრამ დღესაც მაქვს იგივე ნიჭი. არ დამიკარგავს. დარწმუნებული არა ვარ, დღეს თუ რამეში გამომადგება. სხვათა შორის, არც მაშინ მადგებოდა დიდად… ვის აინტერესებს ნეტავ ეს ყველაფერი? კი, ალბათ, იქნება ვინმე, ვისაც ვაინტერესებ… ეს შენ ხომ არა ხარ? მაშინ ვიღაც სხვაა? მე თვითონ? ეს დღიური მართლა მაინტერესებს, რადგან მისი ერთგული ავტორი ვარ, მთავარი მოქმედი გმირი და ერთადერთი მკითხველი.

ორშაბათი

რომ აღარ ვწერო, სისტემამ სადღესასწაულო პონტი იპოვა: რეკლამას მიკეთებს ტელევიზიით. იდეა უმარტივესია: ლიტერატურულად მაჩუმებს და მედიაციურად მაყბედებს. სიტყვის მოცემა ყველაზე ეფექტურია ჩემს გასაჩუმებლად. ბრავო, ქედი მომიხრია (თან უხმოდ).

სამშაბათი

ლოლიტა პილი მაგალითია იმისა, რომ დაბევება მრავალ წელს არ მოითხოვს.

ოთხშაბათი

ფრანსუაზამ ტვინი წაიღო, აღარ გიყვარვარო. ლოგიკურია: როცა არ მიყვარდნენ, ყველას ეგონა, რომ მიყვარდნენ. ახლა სიტუაცია შემოტრიალდა.

ხუთშაბათი

ვგიჟდები ემინემის სიმღერის მისამღერზე: Now this looks a job for me/ So everybody just follow me/ Cause we need a little controversy/ Cause it feels so empty without me.

ემინემი ამერიკელი დიუფრეზნია? მევასება, სულში გულწრფელად რომ იციან ჩაფურთხება, ან ის მომღერალი, ვინც ალბომს აკეთებს და ანალიზის თავიც აქვს, რისთვის აკეთებს. უფრო ზუსტად, იდიოტები ვგონივართ, ამით გვაგებინებენ, ჩვენ რომ არ ვიყოთ, სიცოცხლე მოგბეზრდებათო. დაგვცინიან და ჩვენ ამის გამო ვაღმერთებთ. ადრე როკვარსკვლავები დაუფარავად აჩვენებდნენ, რომ მეამბოხეები იყვნენ. დღეს იმავეს ცინიკურად აკეთებენ. სიცხადემ ბოღმა შეცვალა. სიცხადე გახდა ჯანყის ახალი ფორმა. უძრავი ზიზღი, გაბზარული სარკე…

პარასკევი

სიცხადის თემას გავაგრძელებ. ეს თვისება გამხდარა დღევანდელი ახალგაზრდების მთავარ თვისებად. მაგრამ, ჩემო კარგებო და ძვირფასებო, უნდა იცოდეთ, რომ სიცხადე არ დაგიცავთ რეალობისგან. უბედურება რაც უნდა გააანალიზოთ თეორიულად, ეს მაინც არ შეუშლის ხელს მოსახდენს. გაფრთხილებული კაცი დაცულია. მაგალითად, ჩემი სასიყვარულო პესიმიზმი არაფრად მეხმარება ტანჯვის შიშის დაძლევაში. თუ იცი, რატომ მოგიწყენია, გამოდის, ნაკლებად იდიოტი ხარ, მაგრამ სევდა მაინც ხომ რჩება და არსად მიდის. ასე მივიწევთ ცხოვრებაში, გადაუჭრელი პრობლემებით დახუნძლულები. თავი გენიოსები გვგონია, რადგან ვიცით, რომ არა ვართ. თუმცა ეს გასახარი სულაც არ არის. აქამდე არასდროს მოსულა საკუთარი სისულელეების წინააღმდეგ ასე ამაყად გალაშქრებული, საკუთარი პატივმოყვარეობით კმაყოფილი და მარცხით გაბღენძილი თაობა. პრინციპში თავისი თავით კმაყოფილები არიან. გონის სიცხადის კულტს უუნარობამდე მივყავართ ბოლოს. ეს უსარგებლო გონიერებაა. აბა, როდის უტარებია დედამიწას თავის ზურგზე ასეთი მორჩილი ახალგაზრდობა? მოკლედ, ჩემი პოლიტიკური და სენტიმენტალური მარცხის გარშემო თეორიების აწყობას ვანდომებ მთელ დროს. რა სარგებელი მოაქვს თეორიებს ჩემი უუნარობისათვის? გონის სიცხადემ ვითომ რამით შემცვალა?

შაბათი

ყველა კრიტიკოსს, რომლებსაც იმედი გავუცრუე, მინდა ვუთხრა, რომ ვეთანხმები: მეც კი მინდა უკეთესი წიგნები ვწერო.

კვირა

არდისონმა მიურიელ რობენთან იცეკვა მიშელ ლაროკის დაბადებისდღეზე, რეჟინთან. აი, ინფორმაციაც ხომ მოგაწოდეთ. ლაროკის დაბადების დღე „მოტოროლას“ საღამოს ჰგავდა, ერთი განსხვავებით, საჩუქრებს არ არიგებდნენ, თქვენ უნდა მიგერთმიათ იუბილარისათვის.

ორშაბათი

არა, მაინც უნდა ვიამაყოთ საფრანგეთის ნაკრებით. ერთ დღეს გენიალურად თამაშობენ, მეორე დღეს არაფრის მაქნისები არიან. ზუსტად ასახიერებენ ჩვენი ქვეყნის ხატებას. ჩვენ წაგებასა და გამარჯვებაშიც მაგრები ვართ. ოქროს შუალედი საჩვენო არ არის.

სამშაბათი

ფრანსუაზა ემინემს ეჯიბრება. გუშინ საღამოს ჩემი ციკლოტომიით აღშფოთებულმა მომახალა: „იცი, რა გიშველიდა? არაფერი!“

ოთხშაბათი

რატომ მიყვარს ეს ქალი? იმიტომ, რომ full optionsარის.

ხუთშაბათი

რა უაზრო ნათქვამია, არა? „გუნდს, რომელიც იგებს, არ ვეხებით“. ამ ანდაზამ წააგებინა საფრანგეთის ფეხბურთის გუნდს. ამ სისულელეს იმეორებდა, ალბათ, თავისთვის როუე ლემერი და იმიტომაც ჩაეყარა ყველაფერი წყალში. ცხოვრება პერმანენტული მოქმედებაა. ყველაფერი თვალის დახამხამებაში იცვლება. ტურბოს სიჩქარით იცვლება მსოფლიო. სულ უნდა ამოწმებდეს კაცი ყველაფერს, ცვლიდეს და სიახლეს ერგებოდეს. გადარჩებიან ქამელეონები, ფრეგოლები, ბამბის ნაყინი, ჩარლზ დარვინი! გუნდი, რომელიც მოიგებს, მხარ-თეძოზე წამოწვება, აქაოდა, დაფნის გვირგვინის ღირსი გავხდიო, იმის მაგივრად, რომ ისევ მოგება აზეიმოს გულშემატკივარს. გთავაზობთ, გავაუქმოთ ზარმაცების ანდაზები და ჩავანაცვლოთ: „მოგებული გუნდი ჩასარეცხად!“

პარასკევი

კვირის ფრაზა მიშკა ასაიამ ტელეფონში მოისმინა: „ჰელო, მიშკა. ბონო ვარ. ჩემთან ერთად ისადილებ? შირაკი უნდა ვნახო შუადღის თორმეტ საათზე და მერე, „ფრანსისთან“ შევხვდეთ, ალმას მოედანზე“.

შაბათი

ტელევიზიის დამსახურებით მსოფლიო ვარსკვლავი შეიძლება გახდეს კაცი, ბესტსელერის დაწერის მერე კი - ერთი ვიღაც საერთაშორისო უცნობი. აი, მიმიწვიეს ათასი და ერთი ულვაშის ქვეყანაშიც: თურქეთი მეოთხედფინალში მოხვდა და ვეღარ ვაწყნარებთ, თარგმნიან და თარგმნიან ჩემს ნაწარმოებებს. ევროპის კიდეზე, ბოსფორის სრუტის გადაღმა, შავგვრემანი, შავთვალა და თეთრკბილება გოგონების ზურგს უკან, აზიაა, გაბრწყინებული აზია. მისი ცქერით ვტკბები. ბაღდადის ქუჩაზე (აზიის ელისეს მინდვრები) თურქ ქალებს სექსუალურად აცვიათ, თუმცა XL ზომის Chanel-ის მარკის ტანსაცმლის მაღაზიები თვალში არ მოგხვდებათ. ეს ნიშნავს, თურქის ქალებო, ბევრი არ მოგივიდეთ ფაჰლავის ჭამა, თორემ სრუტესავით განში გახვალთო.

კვირა

აზიურ მხარეს XVII საუკუნის ხის ფასადის სახლები მთელი დღე ვარდისფრად ანათებენ სანაპიროს. აქ დილიდან საღამომდე მზის სხივები გველამუნება: ცხოვრება ხომ პერმანენტული მზის ჩასვლაა. კონსტანტინოპოლი? ჩვენი ბრწყინვალების ფრესკაა. „ლაილა“, „რეინა“, „ანჟელიკა-ბიუზი“. ეს ღია დისკოთეკების სახელწოდებებია, ბოსფორის გასწვრივ რომ ჩამწკრივებულან. ხვდებით ხომ, რომ ცეკვის დროს გემებისა და კატერების დანახვა ადვილია. ფელინის E la nave va ზუსტად! გემების შუქები ლაზერის სხივებს ჰგავს, რომლებსაც ზღვა ანარეკლით ყვითელი მთვარისკენ ტყორცნის, ამ უფლის ბოძებული ბრწყინვალე ბურთისკენ. მე საახალწლო ნაძვის ხე ვარ, ფრანსუაზა - ჩემი გირლანდა (სიმთვრალეში დაწერილი პარაგრაფი).

ორშაბათი

სიყვარული „ამერიკულ მთებს“ ჰგავს: დასაწყისში მაღლა მივემართებით, მერე უცებ დაბლა ვეშვებით, მერე ისევ მაღლა, მერე მოწყვეტით დაბლა და დაბლა გული გვერევა!

სამშაბათი

თურქეთ-სენეგალის მატჩის წინ მოლა მოუხმობდა ხალხს. ამ თამაშმა მარაბუები და იმამებიც დააპირისპირა. გატანილმა ოქროს ბურთმა ქალაქს თავი დააკარგვინა. ზღვასავით ხალხია ქუჩაში ინფლაციის პრობლემებისფონზე. ღიმილია ყველას სახეზე, ცა განათდა. გამოდის, სპორტსაც შესძლებია კეთილი საქმის გაკეთება. ერთ საღამოს სულთნებად იქცნენ მოთამაშეები. ნახევარმთვარე და თეთრი ვარსკვლავი მეწამულ ცაში. ამ საღამოს ზეცაც კი თურქეთის დროშას ჰგავს.

ოთხშაბათი

კასტელას დე სივერგში 2002 წელს ალენ რობ-გრიეს მიენიჭა ფაბრის იბერის მიერ შექმნილი გამორჩეული ფორმის მარკიზ დე სადის სახელობის ლიტერატურული პრემია. შებრაწული გოჭის ხორცი გველოდებოდა, მარი მორელი კი გაშმაგებით უსმენდა შონბერგის „მთვარის პიეროს“. ადრე ჟიურის წევრები პიერ ბურჟადი, გიიომ დიუსტენი, კატრინ მილე, ემანუელ პიერა, შანტალ ტომა და თქვენი მონა-მორჩილი ვბრძანდებოდით, მაგრამ ახლა ლაკოსტის სასახლეში შესვლაზე უარი გამომიცხადა მისმა პატრონმა პიერ კარდენმა, თუმცა, თავის დროზე, ჟანა დე ბერგმა დაიბარა, არავინ დაისაჯოსო. რას იზამ? ინანებს ოდესმე ეს სევდიანი ბატონი! ამის მაგივრად ვოკლუზის გენერალურმა საბჭომ სომანის სასახლე დაგვათვალიერებინა. ამ სასახლეში გაატარა ბავშვობა დიდმა მარკიზმა. სახალხო საცხოვრისი კი სჯობდა კერძო ტიპის ნანგრევებს.

ხუთშაბათი

ჟან-მარი მესიეს საქმიდან წასვლამ მისი მეტსახელიც შეცვალა: J6M J2MPMRT გახდა („ჟან-მარი მესიე აღარაფრის პატრონი“). მეორე მეტსახელი უფრო ძნელი დასამახსოვრებელია. ძალიან კომიკურ კომუნიკეში ლიონელ ჟოსპენის პლაგიატობაც მოინდომა: „გაცლა სჯობს, გადავწყვიტე“ (მაშინ, როცა მისმა ადმინისტრაციულმა საბჭომ კარზე მიუთითა, როგორც უღირსს). ნეტავ ვერც ერთი ვერ მიხვდა, რომ ვუდი ალენის ბოლო ფილმის რეპლიკის პაროდია გამოუვიდათ? „გამომაგდეს და სამსახურიდან ჩემი წამოსვლაც ამაზე მეტყველებს“.

პარასკევი

სადილი ლონდონში. ფრედი და ფარიდი სარეკლამო სფეროში საუკეთესოები არიან (ამ წელს კანში „ოქროს ლომი“ დაიმსახურეს Xbox ფილმისთვის, რომელიც ცხოვრებას ოცდაათ წამში უკეთებს რეზიუმეს). ჩვენც მედიასავით ვსაუბრობთ სკანდალზე: როგორ გამოვიყენოთ ის იარაღად… როგორ ამოვიღოთ მიზანში… როგორ გავუკეთოთ ორგანიზება. რა არ შეძლეს?! სულ ნაკუწებად აქციეს რობი უილიამსი კლიპში. მე შიშველი ვიჯექი ტელევიზიაში. შემდეგში რას იზამენ? ელისაბედ II-ს სახეში ტორტს შეაზელენ? ჯგუფმა Prodigy კითხვაზე პასუხი გაგვცა: საკმარისია „როჰიპნოლი“ ვაქოთ. მათ ბოლო სინგლს Baby’s Got a Temper, BBC-მ ახლახან ცენზურა მიაკერა. ემინემზე უფრო მაგარია, არა?! მაგრამ ჩვენი ყველას მეტრი მაინც სალმან რუშდია: მოლების PR-ად (Public relations) არჩევას მოფიქრება ხომ უნდოდა?!

შაბათი

ბრუნო მაზიურის აქსიომას: „ტელევიზია აგიუებს, მაგრამ მე ვმკურნალობ“, მე დავუმატებდი: „ტელევიზია აგიუებს, თუ სხვას არაფერს აკეთებ“. ყველაზე კარგი მკურნალობა სხვადასხვა საქმის კეთებაა. ჩემი ასეთი არჩევანი თვითგადარჩენის სურვილმა განაპირობა.

კვირა

რაც ყველაზე მძულს ინგლისელებში, მათი გადამეტებული ზრდილობაა. ევროპის იაპონელები არიან. იმის მაგივრად, პირდაპირ თქვან: „მიდი რა, გააჯვი“, შეწუხებულ სახეს იღებენ და გეტყვიან: I'm awfully sorry Sir but I'm afraid it's not going to be possible at the moment. გადამეტებული ზრდილობა ტოტალურ სიძულვილში გადადის. მართლა მერჩივნა ეთქვათ: I'm awfully sorry Sir but I'm afraid you're going to have to go fuck yourself, indeed.

ორშაბათი

ისეთი წიგნი უნდა დაიწეროს, სადაც არც ერთი სიტყვა უფასო არ იქნება და მერე გაყიდოთ ძალიან ძვირად.

სამშაბათი

ხუმრობა იქით იყოს და „ვივენდის საქმეზე“ ახალი კარგი ამბავია: მთელი მედია (რადიო, ტელევიზია, ყოველდღიური გაზეთები) კერძო საწარმოს ადმინისტრაციულ საბჭოზე ლაპარაკობს. ჟან-მარი მესიემ ფოტოგრაფები დაიბარა, როცა ყველაფერი მართლა კარგად იყო. ლამის ყოველდღე აჩხაკუნებდნენ აპარატებს, სანამ ყველაფერი არ გაფუჭდა. ეს გარდამავალი ეტაპი იყო ბიზნესის გამჭვირვალობის საქმეში. ვინაიდან და რადგან პოლიტიკოსებს ძალაუფლება აღარ აქვთ, ახლა უკვე პრესამ უნდა აუხილოს თვალი საზოგადოებას, როგორ მუშაობენ კერძო ჰოლდინგები. სიბნელე და სიძუნწე ირითმება? J2MPMRT-ს ფიასკო ყველა თავის გენერალურ დირექტორ კოლეგას მესიჯს უგზავნის: ოკეი, მსოფლიოს მეტრები კი ხართ,მაგრამ მორჩა გაუმჭვირვალობა თქვენს საქმეში.

ოთხშაბათი

საწარმოს მმართველების ახალი თაობა უფრო პატიოსანია: „კომუნიზმი ადამიანების დახოცვაა მათი ბედნიერებისათვის, კაპიტალიზმი კი მათი გასაჭირში მიტოვება“. შარლ ბეგბედერი (კიდევ ერთი გენერალური დირექტორი).

ხუთშაბათი

მეუბნებიან, ანგოს ნაწარმოებებში რიტმი არისო. ერთხელ რომ დაწერ სისულელეს, ჯერ ერთი, ეს სისულელეა. ორჯერ თუ დაწერე, ეს უკვე გამეორებაა. აი, თუ თორმეტჯერ დაწერე, ეს რიტმი ყოფილა.

პარასკევი

კაცებს შორის არსებობს მეგობრობა? მამლების ჩხუბს ხომ არ ჰგავს? თუ ეს ბრმა მოხიბვლაა? მალული მეტოქეობა? იქნებ მარტოობა სასტავში? პლატონური ჰომოსექსუალობა? ვაითუ, პენისების კონკურსია? თუ საიდუმლოა, რომელიც ჯერ ნათელია, მერე კი ქრება სპონტანურად და უაზროდ?

შაბათი

Loft 2 გადაცემის მთავარი ინტერესი, ჩემი აზრით, სიტყვის სემანტიკური მიმდევრობის გარკვევაა. როგორ უნდა ვთქვათ „ასე“ თუ „სეა“? საფრანგეთის აკადემიას ჯერ არა აქვს ამაზე პასუხი. რატომ არ ვამბობთ „აეს“, ან „საე“? ნეტავ როგორ იუღერებდა „მოგზაურობა ღამის დასალიერში“ უკუღმა გამოთქმული? „ყველაფერი ასე დაიწყო“ ასე იქნებოდა: „ფერიყველა სეა იწყოდა“? თუ „რიფელაყვე საე ყოიწად“? ღმერთო მაღალო, ეს Loft 2 ულიპოზე რთული გამოდგა! ამიტომაც არ ჰყავს მაყურებელი. ზედმეტად ლიტერატურულია.

კვირა

საფრანგეთში ზაფხული იწყება თუ არა, ჰოპ და აღარაფერი მუშაობს. ორი თვე არაფერი ხდება. ვამაყობ ჩემი ქვეყნით, 1-ლი ივლისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით საფრანგეთში სიცოცხლე ჩერდება. წელიწადის დანარჩენ სეზონებშიც დიდი არაფერი ხდება, მაგრამ თავს ვიწყნარებთ, რომ ვითომ ხდება.

ორშაბათი

აბა, რითი ვხვდებით, რომ კორსიკაზე ვართ? შუადღის სადილის მერე, გინდა Cabanon bleu (Saint-Cyprien)-ში სადილობდეთ, გინდ Maora Beach (santa Manza)-ში წიწაკის არაყი მოაქვთ. აქაურები ამბობენ, მონელებას უწყობს ხელსო. აბა, რა! გაუპრანჭავად ვსვამთ, არც ძალიან მცოდნეს ვთამაშობთ, სტილში: „ჰო, აბა, რა წიწაკისაა“. მზე ერთ ადგილას დგას და რაღაცა ხომ უნდა გააკეთო.

სამშაბათი

გუშინ საღამოს ღამის კლუბ Via Notte-ს (პორტო-ვეკიოსთან) იუბილე აღნიშნეს. მეორე წლისთავზე კლუბიზაციის დასასრულია. მთელი ცხოვრება ამ დღესასწაულს ველოდი. ექვსი ათასი კაცი ღია ცის ქვეშ მექსიკურ ასიენდაში და ფილიპ კორტი ვერტმფრენზე თოკით დამაგრებული მოფრინდა. ზღაპრული მობანავე ქალები ზურმუხტისფერ აუზში დაცურავენ. სესილ სიმეონები ფოსფორისფერ ტანგებში და ლეტისია კასტები, წამწამების ფახულით რომ იხსნიან აზღუდებს. „კაიპირინიას“ აბაზანა შეიძლება მიიღოს კაცმა… აპოთეოზს შუაღამისას ვაღწევთ, საზეიმო გრაალი ჩვენ წინაშეა… „ვაუუუ ფუჩუნები“ და ამბავი… მორჩა, აღარ წავალ ასეთ რამეებზე!

ოთხშაბათი

მართალია პიერ-ლუი როზინესი: კვირის გამარჯვებული ფრაზა უდავოდ პოლ-ლუ სულიცერს ეკუთვნისო: „თავი ცუდად დაწერილ რომანში მგონია, რომელიც შეიძლება მე თვითონ დამეწერა“. ვერაფერი შეედრება, არა?!

ხუთშაბათი

გუშინ ერთმა შერეკილმა ნეონაცისტმა ჟაკ შირაკს ესროლა, ცნობილი შერეკილი ნეონაცისტი რომ გამხდარიყო. ჰეროსტრატეს კიდევ ერთი მსხვერპლი. მაქსიმ „ვიღაცამ“ დაწერა: „ხვალ ტელევიზიით მიყურეთ, ვარსკვლავი გავხდებიო“. ჩვენ კი გვევალება, არ მივანიჭოთ ეს სიამოვნება: მის გვარს სპეციალურად არ დავწერ. ერვე „ბრიყვმა“ გრძელი კარაბინიგადატენა. ჟან-პიერ „კრეტინი“ გვერდით მიუდგა და მხარი შეუშვირა, უკეთესად მოარგებს მიზანსო. „ვაშა�ა, ბოლო-ბოლო ჩემზეც ილაპარაკებენ!“ - წამოიყვირა სერჟ „სულ ტყუილად ლაქლაქამ“, ფილიპ „სირმა“ კი ჰაერში ისროლა თავისი კარაბინი.

პარასკევი

კამიუ „დაცემაში“ მარკ „სიაფანდზე“ ასე წერს: „ცნობილი რომ გახდე, საკმარისია კონსიერჟი მოკლა“. და აი, თუ ელისეს სასახლის კონსიერჟს მოკლავ, მით უმეტეს…

შაბათი

სადილი შპერონე-ში მაყუთიან გამომცემლებთან ერთად. მათი კანადური კედრის ხის სახლები ფირუზისფერ ყურეს გადაჰყურებს. ლამაზპეიზაჟიანი მისალოცი ბარათების გაგზავნა არ ღირს, ისედაც ამ სიამოვნებაში ცხოვრობენ. კორსიკაზე შესანიშნავი ხელუხლებელი პეიზაჟებია, ყოველ შემთხვევაში, სადაც მდიდრები ცხოვრობენ. არც ბეტონის უაზრო სასტუმროებია წამოჭიმული, არც დაბურულ ტყეში ნახავთ ბინისთვის საჭირო ხელსაწყოების მაღაზიას Bricorama. ამიტომ უყვართ გამომცემლებს Sperone. ეს ერთადერთი ხელუხლებელი ადგილია. თვალებს ასვენებენ მთელი წლის სიმახინჯის მერე.

კვირა

ვირტუოზულად შესრულებული „ოცი წლის მერე“, ბერნარ ფრანკის ქრონიკის კრებული (გამომცემლობა გრასსეტ). 2002 წელს შექმნილ ნაწარმოებში ყოველი კვირის ჩანაწერია 1981 წლის შემოდგომიდან დაწყებული: „მწერლის ლოცვა მისი მეხსიერებაა“. 1982 წელი: „შატობრიანი ყოველდღე ვერ გეახლებათ“. 1982, შემოდგომა: „ჩვენი ინტიმურობა ძალიან მნიშვნელოვანია, რათა ბევრისთვის ვიყოთ ამოუხსნელი“ (შესანიშნავი ახსნა დღიურისთვის). 1984 წლის გაზაფხული: „ტელევიზიის პარადოქსულობა: ის თქვენს მეზობლებს გაცნობთ და იმავდროულად, მათ თქვენს თავს მასხრად აგდებინებს“.

ორშაბათი

Via Notte-ში ბარი არის open. მე კი უკვე გათიშვა მოვასწარი. ნუ რა არის ეს?! ბოლო-ბოლო, ღამის აპოთეოზით მაინც ვისიამოვნე და აი, ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ ვარ თუ არა, აღარ ვიცი. ფრანსუაზა დარდიანად ფიქრობს:

- ნეტავ რატომ არ არსებობს ნული კალორიის ალკოჰოლი?

ფილიპ კორტიმ თავისი მეგობარი კანარელი გაგვაცნო, რომელმაც აქტიურად „მოგვკიდა ხელი“: სამჯერ ათი გადახუხვა არაყი-საზამთროსი, ოღონდ „ბოლომდე“. ჟერომ ბეგლემ მიიღო ამბიციური გამოწვევა და ამის შედეგად ყოვლად უკონტაქტო გახდა. ფლორანს გოდფერნო კრაზანებს ხოცავდა შიშველი ხელებით. მე კი სამმეტრიან ბუზთან ვცეკვავდი. მხოლოდ ერთი კითხვა მიღრღნიდა გონებას: ივან კოლონა VIP-სალონში იმალებოდა თუ არა, ვერაფრით გავიგე…

სამშაბათი

ინფლაცია საფინანსო ბირჟაზე შესანიშნავი ახალი ამბავია. ძუნწები, რომლებიც მაყუთს ბნელ კუნჭულში, ტომრებში ინახავდნენ, ისჯებიან. მოკლედ, რწყილისთვის მზიანი დღე გათენდა და ჭიანჭველას დაერხა. ახლავე დახარჯეთ თქვენი ფული! აქციონერებიც კი კარგავენ აქციებს.

ოთხშაბათი

„რედ ბული“ ერთადერთი სასმელია, რომელიც მომავლის მაუწყებელია: სვამ და გრძნობ, რომ ნარწყევის სუნი აქვს. ზუსტად გუშინ ვნახე ნორჩი კახპები, როგორ უმოწყალოდ ინადგურებდნენ თავს Chivas-Red Bull-ის ნაზავით. ღმერთია მოწმე, შერევის მომხრე ვარ, მაგრამ ეს უკვე ზედმეტია. „რედ ბული“ და „ჩივას რიგალი“?! არა! ოღონდ ეგ არა! კიდევ ერთი მიზეზი, თავი აღარსად გავყო სახლიდან: არ მინდა სამყაროს ნგრევის მომსწრე გავხდე, სამყაროსი, რომლისაც მჯეროდა…

ხუთშაბათი

რამდენჯერაც ომარებს გეახლებით, იმდენი ვფიქრობ, კიბორჩხალისებრთა ოჯახის წარმომადგენლებმა აფიშა უნდა გამოაკრან: „ჩვენ ოსკარი გვანადგურებს“.

პარასკევი

ყველა აღფრთოვანებულია საპრეზიდენტო „ნუთუ!“-თი. ჟაკ შირაკმა გაიგო თუ არა, რომ თავდასხმას გადაურჩა, შესძახა: „ნუთუ!“ წარმომიდგენია,პოლიტიკური მიმომხილველები რას დაწერდნენ, შირაკს „უ ლა ლა“ რომ ეთქვა. ან „ვერაფერი დამაკლეს!“, ან კიდევ „ვახ, ჩემი!“, „ძლივს არ გადავრჩი?!“, „ამას დამიხედეთ!“… მე კი „ნუთუ!“ უფრო მაკ-მაჰონის „წყალნი ჩაივლიან!“-ს უფრო მაგონებს…

შაბათი

თუ თინეიჯერი ამბობს, დავეციო, ესე იგი, კარგადაა საქმე. თუ იმავეს ოცდაათს გადაცილებული ქალი იტყვის - მაშინ ცუდი და აუტანელია. მაშასადამე, სიტყვა „დავეცი“ თქვენთან მოსაუბრე ქალის წლოვანებას ააშკარავებს. სიტყვა „დავეცი“ თანამედროვე ქალის ნახშირბად 14-ია.

კვირა

ემანუელ კარერმა არაჩვეულებრივ საქმეს მოჰკიდა ხელი „პერფორმანსული ლიტერატურა“. მან გაზეთ Le Monde-ს საყვარელი ქალისთვის განკუთვნილი წერილი გაუგზავნა გამოსაქვეყნებლად. ამ წერილში ავტორი საყვარელ ქალს სთხოვს, რამდენიმე ეროტიკული ჟესტი გაუკეთოს პარიზი-ლა როშელის მატარებელში. წარმოგიდგენიათ, ყველაზე მაღალტირაჟიანი ყოველდღიური გაზეთის საშუალებით ანიჭებს სიამოვნებას თავის ქალს. პირადად მე ძალიან ბედნიერი

ვარ, რომ ამ დღიურში უკვე ორი წელია „პერფორმანსული ლიტერატურის“ მიმდევარი ვყოფილვარ. ერთი სული მაქვს, გავიგო, მოეწონება მკითხველს მისი დებიუტი თუ არა.

ორშაბათი

ემანუელ კარერის წიგნი „სამყაროს წეს-ჩვეულება“ შედევრია. ჩემს კორსიკულ სახლში ყველა გოგონა ბალნის მიმართულებით ეფერებოდა (არ ვამეტებ).

სამწუხაროდ, სოფი არ წავიდა პარიზი-ლა როშელის მიმართულების მატარებლით! იმედია, მარშრუტის გადადება საოჯახო სკანდალის ბრალი არ იყო:

- რატომ არ ჩაჯექი მატარებელში?

- მკითხავიკი არა ვარ, გამომეცნო!

- კარგი რა! ყველაფერი წარმოვიდგინე ამის გარდა!

- რა აუცილებელი იყო, ჩვენი ლოგინის ამბები საყოველთაოდ გამოგეცხადებინა, ვაააა!

- შე საზიზღარო დედაკაცო! ეს ხომ პერფორმანსი იყო!..

- იცი, სად გაირჭვე შენი პერფორმანსსსიიი?!

სამშაბათი

ყველაფერი მაინც კარგადაა, მაგრამ ჯოჯოხეთს ადამიანი ყოველთვის თავისებურად წარმოიდგენს. პირადი, ინტიმური ცხოვრების მოყოლა პრესაში, მგონი, ყველაზე საშინელი ძალადობაა. ფრანსუაზას ვერ აუტანია, ამ დღიურში რომ გამოვაჭენე. სულ ამაზე ვკამათობთ. არგუმენტები არ მყოფნის ამ დღიურის დასაცავად. უფრო დახვეწილი რომ ყოფილიყო, ალბათ, თვითონ დაიცავდა თავს…

ოთხშაბათი

პარიზში ვბრუნდები და ვმსახიობობ, ვითომ სამუშაო მაქვს. იმის მაგივრად, ტალღების ხმებს გამოვეფხიზლებინეთ, მანქანების საყვირები გვაღვიძებენ. ყველას დასანახად მაცვია ტანზე მომდგარი, ტომ ფორდის თარგით გამოჭრილი YSL-ის პერანგი. ჩემი საყოველთაო პოპულარობა ისეთივე ნათელია, როგორიც ჩემი შესანიშნავი, ერთფეროვანი ნამზეური. ეჰ! რა სამწუხაროა, ერთგული რომ უნდა ვიყო. რა საჭიროა ნეტავ?! არადა, თვალის ერთი ჩაპაჭუნება იქნებოდა საჭირო და სულ ქორფა, შვლისთვალა გოგონები თავს მოიხრიდნენ ჩემი მაყუთისა და პოპულარობის წინაშე! სიცხეს აზრები შარვლიდან ტვინის მიმართულებით აჰყავს. ოჰ, ეს ოფლი… სამაგიეროდ მე ვხდები იმ დროს, როცა სხვები სუქდებიან. ესეც დიეტაა. ზაფხული საშიშია ბედნიერებისთვის. ამიტომაც შორდებიან წყვილები აგვისტოში. ზაფხული უფლის მიერ მოწყობილი ორგიაა! და პარიზი რას ჩამორჩება: ნამდვილი „ცდუნების კუნძულია“. არა, არაფერი გამოვა: სიმარტოვე ჩემი ჰობი არ არის. ერთგული მამაკაცები ცოლებს ლამაზ საჩუქრებს ჩუქნიან: ყველას უარი, ცოლების გარდა. ერთგულება მსხვერპლად გაღების რიტუალია. ყველა რაკეტა, თვითმფრინავი და ზარბაზანი ჩვენი ატომური სიყვარულისთვის გამიღია მსხვერპლად (მეუღლის შეკითხვაზე პრინც დე ლინის პასუხი მახსენდება: „იყავით ჩემი ერთგული?“ - „დიახ, ხშირად“.)

ხუთშაბათი

ბერტრან დელანოემ სანაპიროზე ქვიშა დაყარა, სამი პალმის ხე ჩარგო და ყველა გაგიჟდა სიხარულით. ოპაააა, პარიზს პლაჟიც გაუჩნდაო. ხალხი შეზლონგებზეა გართხმული, რომ ევროპაში ყველაზე დაბინძურებული ჰაერი ყლაპოს და წამოკოტრიალდეს ტოქსიკური მდინარის ნაპირზე. შირაკი მახსენდება, ამ წყალში ვიბანავებო!.. მართლა რომ ასრულებდეს, რასაც ხალხს ჰპირდება… მაგრამ ბანაობის ამბავი ყველაზე ნაკლებად სასაცილოიქნებოდა: წარმოიდგინეთ სენის წყლიდან ამოსული გალუმპული და გარადიოაქტიურებული პრეზიდენტი, ცხვირზე ჩამოცმული ნახმარი პრეზერვატივით! გაგახსენებთ, ადრე არსებობდა საჯარო აუზი ღია ცისქვეშ „დელინი“ და კიდევ XVI ოლქში მეორე - „მოლიტორი“ და ორივე დაანგრიეს ისე, რომ ქალაქის მუნიციპალიტეტი არაფერში ჩაერია. კარგი, ბატონო, მე კმაყოფილი ვარ „პოლოს“ აუზით, რომელიც, როგორც უკვე მოგახსენეთ, პარიზის პლაჟია ახლა. დიახ, ბატონო მერო, ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ იცით, თქვენს პლაჟს რა აკლია? VIP-ზონა და ყველაფერი წესრიგში იქნებოდა.

პარასკევი

ჟურნალის გარეკანისთვის ვპოზირებ. აბა, ამ დროს როგორ უნდა დავწერო? მძევლად ამიყვანეს…

შაბათი

ლიტერატურის კრიტიკოსისთვის შვებულების პრივილეგია? - დრო აქვს ძველი და გადავიწყებული წიგნები წაიკითხოს, აღმოაჩინოს საინტერესო გაპარული დეტალები და დონე აიმაღლოს: „აწმყოში ვიყავი ჩაკეტილი, როგორც გმირი, როგორც ლოთი. უცებ გამოვფხიზლდი, ჩემი წარსული იმედს აღარ მაძლევდა ახალი გეგმებითა და მისი ჩრდილით, რომელსაც მომავალს ვეძახით“, - რა თქმა უნდა, ეს პრუსტია. პირდაპირ Vivagel-ის სლოგანს ჰგავს, ერთი განსხვავებით, გაყინულ პროდუქტს არ აწარმოებს.

კვირა

იმ დღეს ტელევიზიით რაულ რუისის „ნაპოვნ დროს“ აჩვენებდნენ. ფილმმა პრუსტის გადაკითხვა მომანდომა. ყველა მერყევ ადამიანს შეეძლო ენახა ფილმში, მდიდრები როგორ ითრევენ ბოზებს და პედერასტებს. ხედავთ? პრუსტი უცებ კაი ტიპი გახდა! კიდევ ერთი პერსონაჟია (სენ-ლუ), რომელიც ყველას დასცინის, ვინც „კოკოს“ ეძახის კოკაინს. ტყუილად ვიმტვრიე თავი, რატომ მადარებენ ბრეტ ისტონ ელისს-მეთქი? პრუსტმა არ შემოიყვანა ლიტერატურაში პირველად ღამის თრეშ-მოგრიალენი?..

ორშაბათი

რა მინდოდა ამ „ოსკარ დიუფრეზნის დღიურთან“? ვინმე მარტოხელას ცხოვრება მინდოდა, დამეწერა, რომელსაც ვიღაც უყვარდება? და თან, აზრზე მოდის, რომ სულ აღარ არის მოწყენილი? რაღაც უცნაური ხდება ფრანსუაზასთან: პირველად ხდება ჩემს ცხოვრებაში, რომ ვიღაც ერთი უფრო და უფრო მიყვარდება.

სამშაბათი

ჩემი შესანიშნავი ნამზეურით ყოველ საღამოს ვიღაცას უარით ვისტუმრებ. ძალიანაც მინდა ვუღალატო ფრანსუაზას, მაგრამ ყველა ქალის პრობლემა ის არის, რომ ფრანსუაზა ერთი და განუმეორებელია.

ოთხშაბათი

პელიკანოში ჩავდივარ, პორტო-ერკოლეში (ტოსკანა). მატილდა და რობერტო აგოსტინელები ვიქტუარ დე კასტელანსა და ტომა ლანტალთან ერთად წყალში ლაზღანდარობენ. ლი რაძივილი მეუბნება: Nice to meet you, არადა, უკვე მიცნობდა. თუმცა, ეს სჯობს, ვიდრე Disgusted to meet you. ზღვა იასამნისფერია, როგორც ჯეკი ო.-ს დის საცურაო კოსტიუმი. პატრიკ ბრიუელი ერთსა და იმავე სიმღერას მღერის აკორდეონის გარეშე. ზღვაში ფრანსუაზამ, მისდა უნებურად, პატრის შეროს მიაფსა. ასე იცის ხოლმე, როცა სასახლეში ცხოვრობ… Delighted to meet you.

ხუთშაბათი

ცუდია, მაგრამ წიგნის გამოქვეყნება ქუჩაში ფეხებთან რაღაცის აფეთქებას თუ ბაზრობის ყაყანს ჰგავს, სადაც გულწრფელობა ფარისევლურია.

პარასკევი

როცა The World of Interiors-ს ვფურცლავდი, ვიგრძენი, ცოტა ზედმეტად მატერიალისტი ვხდებოდი და ერექცია დამეწყო.

შაბათი

რა ცუდია, ბარსელონაში ვერ წავედი სონარის ფესტივალზე. თურმე ახალი ნარკოტიკი გამოჩენილა: Liquid Acid. ოთხმოცდაათიანი წლების ქუჭყიანი და მძიმე ნარკოტიკებისგან განსხვავებით, ეს თხევადი ნარკოტიკი ბევრად მსუბუქი და რბილია. „ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს მთელი გონება გამომერეცხა ყველანაირი უწმინდურებისგან, - ტელეფონში მიყვებაემილიო, - სარეცხი ფხვნილის რეკლამაში რომ არის, აი, ზუსტად ისე!“ პრინციპში, არც ისე ცუდი ვქენი, რომ არ წავედი: სარეცხი ფხვნილი რომ ბოლომდე გამომერეცხა ტვინიდან, რაღა მეშველებოდა?!

კვირა

წლის დასაწყისის რომანების კითხვის დროა: ვერ დაითვლის კაცი, იმდენი კრეტინობაა შემოსული. პიეტრო ჩიტატის მაგონებს, „კულტურულ ბულიონში“ რომ ამბობდა და თან საწყალი სახით შემომყურებდა: „დაიღალა ლიტერატურა, ჰოდა, ახლა ისვენებს“. და ვაითუ, აღარასოდეს გაიღვიძოს ამ მძინარე მზეთუნახავმა?

ორშაბათი

ფრანსუაზა დე პანაფიეს წინადადებას ვეთანხმები, ისევ გაიხსნას ბორდელები. როცა არ შეგვწევს უნარი, გადავჭრათ პრობლემა, მაშ, შევქმნათ მისგან ინდუსტრია. ისედაც ყველა მეძავია ამ მატერიალისტურ სამყაროში: Lots of money? Love story. Got no money? I am sorry (aformizmi მოსკოვში ღამის ფრენის დროს).

სამშაბათი

რაღაც იდეა მაქვს. ხომ არიან პროსტიტუტი ქალები და მამაკაცები, რატომ არ უნდა იყოს პროსტიტუტი წყვილი? მეორე პროსტიტუტ წყვილს იქირავებდა კაცი უქმეებზე ან კვირის რომელიმე დღეს. ევრიკა! ადრე როგორ არ ვიფიქრე ამაზე? აი, რა დაგვიფინანსებდა არდადეგებს მე და ფრანსუაზას!

ოთხშაბათი

„სამყაროს დასასრული მოვიდა და მე თავს კარგად ვგრძნობ“, - მღერის ჯგუფი REM. დღევანდელი სიტუაცია გარკვეულია. კლიმატი აირია, აზიას ყავისფერი ღრუბელი ფარავს, გვალვას ყველგან წყალდიდობა ცვლის, ზაფხული გრძელ და დაუსრულებელ ზამთარს ემსგავსება, ქარიშხალი ქალაქებს ანადგურებს. მაგრამ ყველა თვლის, რომ ეს ნორმალურია. საწარმოები ისევ მთელი დატვირთვით მუშაობენ, ქარხნები გამონაბოლქვით პლანეტას წამლავენ, ჰაერი დაბინძურებულია, სამაგიეროდ, ყველას ხელისუფლების სათავეში უნდა ყოფნა. It’s the end of the world and I feel fiiiiiiiiiine: მაიკლ ჰატჩენსი ყველაზე დიდი ფილოსოფოსი გამოდგა ამ თანამედროვეობაში. ჩვენ კი საკუთარ განადგურებას სიამოვნებით შევყურებთ. XXI საუკუნის ადამიანი სტოიკური დენდია, რომელიც ძალიან ამაყობს საკუთარი ნიჰილისტური ღვაწლით. ადრე ასეთი მდგომარეობა მხოლოდ პესიმისტი ელიტური მწერლების ფუფუნება იყო (ლეოპარდი, შოპენჰაუერი, ამიელი, ბენჟამინი, ჩორანი, ჟაკარი, როსე…). ახლა კი მასები ამზეურებენ თავიანთ ნიჰილიზმს და ზედიზედ ორჯერ მიირთმევენ დესერტს. კოლექტიური თვითმკვლელობები… თავად ვითხრით ორმოს.

ხუთშაბათი

იქნებ ერთ დღეს ვინმე გამომცემელმა შეაგროვოს ეს ქრონიკები. ტვინდაჩოჩებულებისთვის დამახასიათებელი მოწყალებით წაიკითხავენ ჩემს ჩანაწერებს, ანდა ჩემი სიზარმაცის პირდაპირპროპორციული სიმკაცრით. ვინ იცის?..

პარასკევი

დომინიკ ფარუჯამ ნება დამრთო, შეგიძლია ისევ მახსენო შენს დღიურშიო. ძლივს ისეთი თხოვნა, რომელსაც ადვილად ავუსრულებ. ჩემს დღიურში რომ მოხვდეს, ერთი გადაცემა უნდა მომცეს Canal+ -ზე და დაწოლა არ მომთხოვოს. აქვე გეტყვით, რომ ჩემი კოლეგა მეგობრების ნაწარმოებებში ხშირად ვარ ნახსენები ჩემივე სახელით: კრისტინ ანგოს რომანში „რატომ ბრაზილია?“, ლეონ-პოლ ფარგის One Man Show-ში, როლან ჟაკარის „უსაქმურობის დღიურში“, ტომა ბუვატიეს „ავტოგამიაში“, ელიზაბეტ ქუინის „სქელკანიანში“. მწერალი თუ არა, რომანების პერსონაჟი მაინც ვიყო.

კვირა

რევოლუცია არ შეიძლებაო და ნებისმიერ დეტალზე ამბოხი გვაქვს ატეხილი. მაგალითად, მე მანქანაში უსაფრთხოების ღვედის გაკეთებაზე ვამბობ უარს. სკუტერზე დგომისას ჩაფხუტს არ ვიკეთებ. ჰაშიშს ვეწევი თვითმფრინავში, მეგობრების აუზებში ჩუმად ვფსამ. ეს ჩემი პროტესტია… ავტობუსში უბილეთოდ ვჯდები, როგორც კი ჟან-პიერ რაფარენის ფოტოს დავინახავ, უტიფრად მეცინება და ა.შ. ყველას ჰგონია, ბურჟუა თუ ხარ, ესე იგი, ბურჟუაზიის ყველა კომფორტი და ბოჰემური ცხოვრება შენია… არადა, ვინ იცის, როგორ უტყდება ბურჟუას, მდიდარი რომ არის და თან ვერც ვერავის აუჯანყდება.

ორშაბათი

სანამ აუკრძალავთ, ვისარგებლოთ თანამედროვე პორნოგრაფიით. გუშინსაღამოს იაპონურ და გერმანულ DVD-ებთან მქონდა შმაგი და საძაგელი სექსი. დომინიკ ბოდისი კი უკმაყოფილოა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ასეთ სექსუალურ განათლებას იღებს… იმედია, ასეც არის!

სამშაბათი

აი, ჩემი სექსუალური განათლება მონტენის ლიცეუმში: დაძველებული დიაფილმები, ისრებმიხატული სქემა, მუწუკიანი მასწავლებელი თეთრ ხალათში, რომელიც საშინელ სიტყვებს ამბობს: „პენისი“,„მამაკაცის სასქესო ორგანო“, „საშვილოსო“, „საშვილოსნოს მილები“… ამ ყველაფერს მერჩივნა, განათლება ისე მიმეღო, როგორც წინა თაობას (ბორდელებში) ან როგორც ახლანდელებს (ვიდეოთი).

ოთხშაბათი

1935 და 1957 წლებში, ანუ ცხოვრების ბოლო 22 წელი, ვალერი ლარბო მხოლოდ ერთსა და იმავე ფრაზას გაიძახოდა: „საღამო მშვიდობისა, ამა სოფელო“. 1935 წლის ნოემბერში კარდინალ ლემუანის ქუჩაზე მყოფს ტვინში სისხლის ჩაქცევის გამო ცალმხრივი დამბლა დაემართა. სავარძელში მჯდომი დაუღალავად უმეორებდა იშვიათ სტუმრებს „საღამო მშვიდობისა, ამა სოფელო“ (მისი ბიოგრაფები ირწმუნებიან, ეს კრიზი მწვავე სიფილისის გამო მოსვლია, მიზეზი: ბორდელების ხშირი სტუმრობა თანმხლებლების კომპანიაში, კერძოდ, ლეონ-პოლ ფარგთან ერთად).

ხუთშაბათი

„საღამო მშვიდობისა, ამა სოფელო“? მე რაღაც იდეა მაქვს. მგონი, ლაბრო იგონებდა, ავად ვარო. სინამდვილეში, სხვა უფრო საინტერესო სათქმელი ვერ იპოვა. ყველაზე ლამაზი ლექსების, რომზე, სიყვარულზე, მილიარდერებზე, ლამაზ ქალებზე შესანიშნავი რომანების ავტორმა ბევრი იმოგზაურა, დაიღალა და ახლა სავარძელში იჯდა გაუნძრევლად თავის სახლში. კი არ ბოდავდა, უბრალოდ ეს ფრაზა ყველაზე ოპტიმალურად ეჩვენებოდა. ამ ფრაზით თავს უყრიდა ყველაზე მნიშვნელოვანს ცხოვრებაზე, გარდაცვალებაზე, სამყაროს სილამაზეზე, ფრინველებზე, ყვავილებზე, სექსზე, მაყუთზე, დროის წარმავლობაზე, ჭირსა და ლხინზე და რომ ერთ დღესაც ეს ყველაფერი დასრულდება. მშვენივრად ვხედავ ამ შესანიშნავი მწერლის განვლილ გზას: მთელი ცხოვრება უნდა წერო და წერო, გადააჭრელო ფურცლები, იმისთვის, რომ ერთ დღესაც იპოვო ერთი და განუმეორებელი. მერე სხვა ფრაზა აღარ უნდა წარმოთქვა (როგორც ნიკოლსონმა „ნათებაში“). მოკლედ, „საღამო მშვიდობისა, ამა სოფელო“ კვირის ფრაზა არ არის, ეს ცხოვრების ფრაზაა.

პარასკევი

მორჩა, აღარ მივეკარები კოკაინს (ხშირად მითქვამს). დილას სისხლით მოსვრილ ბალიშზე გამეღვიძა: თვიური მქონდა ცხვირიდან!

შაბათი

რესტორანში მიმტანები უფრო და უფრო მაგარი ნაშები არიან. უკვე რთული ხდება თავის მართვა. იმ საღამოს ახლობლებთან ერთად ვიყავი რესტორანში. ჩვენი სუფრის ქალებმა ვერ აიტანეს ლამაზი ქალბატონი. მაპატიეთ: მიმტანი ვერ აიტანეს. თქვენ თვითონ მიხვდებით: როცა მენიუ მოგვიტანა, ისეთი რამეების შეკვეთა მომინდა, რაც ჩამონათვალში არ იყო: ერთი მინეტი, სამი კუნილინგუსი, ერთი ყავა და ანგარიში თუ შეიძლება, აბა, კარგად და წინასწარ დიდი მადლობა მომსახურებისთვის, დროებით… ეჰ, ნეტავ სინამდვილეშიც ისეთი გამბედაობა მქონდეს, როგორიც ამ დღიურში მაქვს.

კვირა

მკაცრად რომ მაკრიტიკებენ, უეჭველად იმით აიხსნება, რომ განებივრებული ბავშვისთვის არ უნდათ საჩუქრების მიცემა.

ორშაბათი

მთელი ღამე თეთრად გავატარე. საშინელი სცენა იყო. ყველაფერი მორჩა, საბოლოოდ დავშორდით… ამჯერად ნამდვილად მიმატოვა ფრანსუაზამ. მორჩა, დავკარგე! ცარიელი ვარ. ის გოგო შეუყვარდა, ერთად რომ ვაბამდით. თურმე უკვე თვეებია ერთად არიან და ცხოვრებაც ერთად გადაწყვიტეს. მე ვისზე ვეჭვიანობდი, ლუდოზეეე?! ისე ცივად ამიხსნა ყველაფერი, თითქოს ვიღაც ვყოფილიყავი: „უარს ვამბობ შენზე და შენი სქესის ყველა წარმომადგენელზე“. მთელი ღამე ვცდილობდი, კიდევ ცოტა დრო მოეცა, ცოტა დაფიქრებულიყო… კიდევ ერთი შანსი რა�ა… ბოდიში ტელეფონით, სმს-ითა და ინტერნეტით მომიხადა, მაგრამ პირისპირ - არა. უცებ გაუცხოვდა ჩემთვის. ძლივს ვსუნთქავ. ნუთუ მთელი წელი ერთად ვცხოვრობდით და ერთმანეთისთვის უცხო ადამიანები ვიყავით? თითქოს ორ სხვადასხვა სამყაროში ვცხოვრობდით. შეყვარებულები იხრჩობიან ორ შემთხვევაში: პირველი, როცა ერთმანეთი უყვართ და მეორე, როცა ერთმანეთი აღარ უყვართ.

სამშაბათი

როცა სამყარო ეგოცენტრიზმს მთავარ ღირსებად თვლის, ლოგიკურად ჰომოსექსუალობა ჩვენი მომავლის ნორმაა. ამ ეპოქაში ჰეტეროსექსუალობა ხდება არაბუნებრივი. ის უნდა გვიყვარდეს, რომელიც ყველაზე უფრო გვგავს. მხოლოდ საკუთარი თავი უნდა გვიზიდავდეს. მეც იმავეს უნდა მივყო ხელი. აუცილებლად მაღალი, ახლომხედველი ტიპი უნდა მოვიყვანო ცოლად. ასე ნამდვილი „რომანტიკული ეგოისტი“ გავხდები.

ჟურნალების ყველა კიოსკზე შავ-თეთრი აფიშაა გაკრული. მარკ-ოლივიე ფოუიელს არიანა მასენე ჰყავს გადაკუზული.

საღამო მშვიდობისა, ამა სოფელო!

ოცდაათ წელიწადში ჰეტეროსექსუალები უმცირესობა, ჰეტეროსექსუალობა სკანდალური, გარყვნილება და შოკის მომგვრელი იქნება. ქუჩებში თავს დაესხმებიან. სკვერში, სკამზე, მამაკაცი ქალს რომ დაუზასებს, გული აგვერევა ზიზღისგან. ჰომომშობლები ინვიტრო შვილებს თვალებზე ხელებს ააფარებენ. რა საშინელებაა, აკოცო ტუჩებში შენზე ასე განსხვავებულ არსებას?! ბავშვებს ეტყვიან, რანაირად შეიძლება ამ ასე განსხვავებულ ადამიანს გაწონასწორებული და ნორმალური ოჯახი ჰქონდესო… საღამო მშვიდობისა, ამა სოფელო! საღამო მშვიდობისა, ამა სოფელო! საღამო მშვიდობისა, ამა სოფელო!

ოთხშაბათი

სამი დღეა პირში ლუკმა არ ჩამსვლია. გამოშტერებამდე ვარ მისული. „ნობუ“ და „კოროვა“ გაკოტრდნენ, Cab და VIP ისევ ადგილზეა… ისევ შევხვდი ღამურა მომლხენებს. ორშაბათსაღამოობით Queen-ში შეკრებები, სტრიპტიზის მოცეკვავეებიც აქ არიან, Doobie's-ში მსმელები იკრიბებიან… ამდენი ხალხი ერთმანეთს აზის, ყველა ერთ ადგილას არის შეჭეჭყილი, თითქოს მიხვდნენ, რომ სითბო მაკლდა…ჩემი თავი ყველაზე მაგარი მეგონა, მე საცოდავს, მიტოვებულს. იმათ კი გამათბეს, ოჯახური სითბო მაგრძნობინეს, ნამდვილი ოჯახის. ფრანსუაზას გარეშე ცხოვრება მეწყება. და რა მახინჯია ასეთი ცხოვრება, რომ იცოდეთ. ასე არასდროს დავტანჯულვარ, თუმცა რაღაცას მაინც ვგრძნობდი: ძლივს დავიწყეთ ნორმალური ცხოვრება და მეც დავკარგე ფანტაზია, გადაწყვეტილებებს ვეღარ ვიღებდი და შევძულდი, აბა, რას იზამდა… არადა, სანამ შევხვდებოდი, მე ხომ მიყვარდა და ახლაც მიყვარს. ეტყობა, ერთად ყოფნის დროს არ მიყვარდა საკმარისად. როცა დავკარგავთ ადამიანს, მხოლოდ მაშინ ვხვდებით, რომ გვიყვარდა. ხომ შემეძლო, ისე მყვარებოდა, ვირტუალურად, შეუხებლად. ყველაფერი ჩემი ბრალია: ჩვენი ამბავი მაშინ დასრულდა, როცა მე დასაწყისი მეგონა. ეს მარტოსული ადამიანის ისტორიაა, რომელმაც არ იცის, რისთვისაა ამქვეყნად მოსული და საერთოდ, რას აკეთებს ამა სოფლად. თავი თავისუფალი ჰგონია, ვიღაც უყვარდება, ბედნიერებას უგებს გემოს და მერე ბედნიერება ქრება. ბოლოს ხვდება, რომ სძულს ეს თავისუფლება.

„არაფერი იცვლება, სამყაროს ათასწლეულები მაწვება მხრებზე“. ვალერი ლარბო, „ა. ო. ბარნაბუთის დღიური“.

მე კი გიჟი მეგონა! სულაც არა: ფრანსუაზა საკმაოდ გაწონასწორებული ადამიანი გამოდგა. ასე ჰქვია ამას: ქალს, რომელიც მე ვერ მეგუება, გაწონასწორებული ქალი ჰქვია. კი არ მიმატოვა, დამაცარიელა. გადავწყვიტე, აღარასდროს ვიყო ეგოისტი და რომანტიკული. მგონი, მაგარი ლოთი დადგება ჩემგან.

ხუთშაბათი

და მაინც, ყველაზე უარესი ნარკოტიკი სიყვარულია. შენ დამიბრუნე ცხოვრების გემო, ემოციები. ყველგან, სადაც მივდიოდი, მხოლოდ შენი სახე დამდევდა და თვალები ცრემლით მევსებოდა. ჩემი უმანკოების გამო ლოყები მიწითლდებოდა. ასე მგონია, შენი სახელის გაგონებაზე სული შემეხუთება და პატარა ბავშვივით დავიკარგები ამ სამყაროში და ასე იქნება სიკვდილამდე. სხვები, ალბათ, იტყვიან, რამდენი დაულევია საწყალს, ამ ქვეყანას აღარ არისო. მე კი გამეცინება. უკვე შორს ვიქნები, ლოს-ანჯელესში, შენს მზისფერ მკლავებში, ან კიდევ პორტო-ერკოლეში, შენს მარილიან თმაში დაკარგული… ან სტამბოლში, ან მოსკოვსა და ამსტერდამში - შენს მკვრივ მკერდზე აკრული, ჩვენი სიყვარულის სამოთხეში. ეს აუხდენელი ოცნება ვინძლო ერთ დღეს ამისრულო… ვაი, რომ არა…

პარასკევი

ამით მთავრდება რომანტიკული ეგოისტის დღიური. შევწყვიტე დღიურის წერა, რადგან ამ დღიდან ჩემი ცხოვრება უინტერესო გახდება. შეამჩნიეთ, რა ინიციალები აქვს ოსკარ დიუფრეზნს? ო. და დ. დავიღალე ჩემი თავით. სასიკვდილო დოზას ვუახლოვდები. ახლა, როცა უკვე მდიდარი და ცნობილი ვარ, მაშასადამე, თითქმის ლამაზიც, თავი უნდა მოვიკლა, მაგრამ, ალბათ, მაინც ცხოვრება ღირს. ასე უფრო კარგად დავინახავ, მერე რა მოხდება. სჯობს პოპულარობის მწვერვალზე ყოფნისას წავიდე. ეს ცხოვრება თეატრია. ამ თეატრში ამა სოფლიდან წასულები ყოველთვის მართლები არიან. ოსკარ დიუფრეზნს ვეღარ წაიკითხავთ და ყველგან დაუწყებთ ძებნას. მე თქვენ გვერდით აღარ ვიქნები. ისააკ ალბენისის მერე მე პირველი ცოცხალი თვითმკვლელი ვიქნები (სესილ სარკოზის წინაპარი. ესპანელი მუსიკოსი, რომელმაც საკუთარი სიკვდილი დააჯერა მტრებს, რათა წაეკითხა მათისაქებარი ნეკროლოგები). ოსკარ დიუფრეზნი? ლიტერატურის ზომბი. სულ არ არის საჭირო შირაკის, ბუშის ან მადონას მოკვლა, ისტორიაში რომ ჩაეწეროთ. საკმარისია, დაიმალოთ. მშვიდად იყავით, ჩემი თვალი ყველაფერს მისწვდება, თან უსაფრთხოებისთვის დისტანციის დაცვაც არ დამავიწყდება. ერთ დღესაც აუცილებლად აირევა რამე. სამყაროს დასასრულის დღეს, დიდი იმედი მაქვს, ყველაზე კარგ ადგილას ვიჯდები და დავინახავ, რა მოხდება.

შაბათი

დროდადრო ვმოგზაურობ. სასტუმროს ფანჯრიდან მზის ამოსვლას ვუყურებ და ყოველ ჯერზე მზე სხვადასხვა ქალაქს ანათებს და ათბობს. რა მშვენიერი დღე გათენდა ამ დედამიწაზე. ვიცი, რომ არ ვინანებ ამ დაკარგულ სიყვარულზე. საავადმყოფოშიც რომ ვიყო, ძარღვებში გაჩრილი წვეთოვანით, მაინც ამ სიყვარულზე ვიფიქრებ. ვიამაყებ, რომ ასეთი სიყვარული მქონდა.

კვირა

ფიქრობენ, რომ სიყვარულს ადამიანის შეცვლა შეუძლია, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ეს მდგომარეობა მხოლოდ ერთხანს გრძელდება. მირჩევნია, მიმატოვონ. მერე უფრო გულუხვი ვხდები ხოლმე. საყოველთაოდ ვაცხადებ: რომც დამიბრუნდე, გეტყვი: „დარჩი შენს საყვარელ ქალთან, მე აღარ გჭირდები. სჯობს უჩემოდ იყო ბედნიერი“ და კიდევ მსგავს იდიოტობებს (დაე, მე ვიყო უბედური… ჩემს თავს მაინც ვერ მივატოვებ). მერე მისი „მეგობრები“ მოვლენ და წამექორავებიან ფრანსუაზასა და მის საყვარელზე. როცა მეუბნებიან, არა უშავს, მალე მოჰბეზრდება ის ვულგარული დედაკაციო, ჩემი დაკოდილი გული სიამით ივსება.

- ასე გგონიათ? გგონიათ, დამიბრუნდება? თუნდაც მილიონიდან ერთი შანსი მაქვს, მაინც ფიქრობთ, რომ ეს შესაძლებელია? ღმერთო მაღალო, რატომ არ დავუშალე და რატომ გავუშვი?!

ჰოდა, ამის გაგონებაზე ჩემს მზერას გაურბიან და თვალებს ვეღარ მისწორებენ მე საცოდავს.

ორშაბათი

ლუდო Lounge-ში შემხვდა და აგრესიულად მეცა:

- მითხარი ერთი, მართალია,დღიურს აღარ აგრძელებსო?

- ჰო, რა იყო?.. სურვილი აღარ მაქვს…

- ღალატია! შენ უფრო გულწრფელი იყავი, ვიდრე ბრიჯიტ ჯონსი, ამის დედაც!..

- არა, უბრალოდ, უფრო კაცური მომენტია. თავის მსხვერპლად მიტანაა საჭირო, იმ ყეყეჩს პასუხი რომ გავცე. თუ კაცებს ყველა ქალის ხმარება უნდათ, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ის არ გიყვარს? მადლობა ღმერთს, ამ არეულ საზოგადოებაში ამაზე კარგი არის ნეტავ რამე?..

- და მაინც, ხომ ყველას ხმარება გვინდა?!

- ჰო, ეგრეა.

- შენი ცინიზმი მომენატრება.

- ეს ცინიზმი კი არა, პატიოსანი დამოკიდებულება იყო. და მინდა გითხრა, არაერთი თავსატეხი გამიჩინა ჩემმა გულწრფელობამ. „პატიოსნება - ჩემი ლამაზი დარდი“.

- კაი ახლა, ჰო… დარწმუნებული ხარ, რომ აღარ გააგრძელებ?

- ჩემს დღიურს? არა, მაგრამ გამოვაქვეყნებ. ახლა ტელევიზიაში ვარ და აღარ უნდა გამოვჩნდე. მეტისმეტი მომივა. და თან, როგორც მარსელ დალიო ამბობდა „თამაშის წესში“: „ბუნდოვნად მახსენდება, რომ ახლახან კარგად ვიცინე“.

- მოიცა რა! მაინც ტელევიზია გირჩევნია და მეტი არაფერი! წერა ეკრანზე გამოჩენის გამო მიატოვე! ტახტს ტოვებ! გინდა, ქუჩაში გიცნონ! უაუ, მაგარი ბიჭი მოდისო! შე დეზერტირო!

- მარტო ეს რომ იყოს. კიდევ უფრო უარესს გეტყვი… გადავწყვიტე, ქალებზე ხელი ავიღო. არც ღმერთი მინდა და არც ქალი! მითხარი ერთი.. ვაა, რა ლამაზი თვალები გაქვს… ამ საღამოს რას აკეთებ?

- მომისმინე, ოსკარ, თუ გინდა, შენთვის პედერასტი გავხდები, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით: ერთად არასდროს დავწვებით.

- ოკეი, მაწყობს.

- სამაგიეროდ, პაპარაცების თვალწინ ხელიხელჩაკიდებულმა ვიაროთ.

- კარგი, შენს იმიჯს წაადგება… გრძნობ ამ სუნს? ვა, რა უცნაურია. რა? არა? ვერაფერს გრძნობ?

სამშაბათი

ამ ეპოპეის დასასრულებლად რა დამრჩენია? სუნი. მამაჩემის ინგლისური მანქანის ტყავის სავარძლების სუნი. ფუფუნება ყარს და გულს მირევს. „იაგუარი“, „დაიმლერი“, „ასტონ-მარტინი“, „ბენტლი“: ყველა ერთნაირად ყარს. მახსოვს, როგორ მძულდა იმ პირისფერი სავარძლების სუნი. უბრალოდ მინდოდა იმ ფლეიბოის მოვწონებოდი, ასე სწრაფად რომ ატარებდა მანქანას. მოვწონებოდი ყველა ქალს, როგორც ის მოსწონდათ. ამისათვის კაცი უნდა დავმდგარიყავი, თან ცნობილი. ყველას უნდა ვყვარებოდი, მთელ მსოფლიოსა და ამ კაცს, რადგან ის მსოფლიოს ნაწილი იყო. ოსკარ დიუფრეზნი არ იყო მარტოხელა სიყვარულის მაძებარი. ის პატარა ბიჭი იყო, რომელიც მამას ელოდა. დიდი ლიტერატურული უსამართლობა: დედამ გამზარდა და მაინც სულ მამაზე ვლაპარაკობ.ოჯახებშიც ასეა, ვინც წასულია, ის არის მართალი. ჰოდა, გამოდის, მხოლოდ ილუზიებზე ვწერთ.

ორშაბათი. 2002 წლის 9 სექტემბერი

თუ არავისზე ფიქრობ და ზრუნავ, არც სხვა იფიქრებს შენზე. გამოდის, არავინ არავისზე არ ზრუნავს. ყველა თავისთვის ცხოვრობს, არავინ არც აწუხებს და არც მას აწუხებენ. აი, მეც ასე ვარ, ისევ მარტო. ჩამუქებულ მინას ვწევ, არავინ რომ არ დამინახოს, ხელებში როგორ ვმალავ სახეს. ლიმუზინში უკანა სავარძელში ვზივარ და ჩემი დასასრულისკენ მივქრი.

ოსკარ დიუფრეზნი აღარ გამოაქვეყნებს თავის ინტიმურ დღიურს. Canal+-ზე წამყვანად დანიშნეს. ეს დაწინაურება მის დაცემას ბეჭედს დაასვამს.

ფრედერიკ ბეგბედერი მადლობას უხდის ფრანკ მობერს, მარკ დოლიზისა და ჟან-მარი ბიურნს. მათ გარეშე ეს წიგნი არ იარსებებდა.